

შავი ზღვის ეკოსისტემის აღდგენისა და დაცვის სტრატეგიული სამოქმედო გეგმის შესრულება

სარჩევი

შესავალი

განმარტებითი შენიშვნები

I. პრობლემა: შავი ზღვის გარემოს მდგომარეობა

II თანამშრომლური მოქმედების საფუძველი

ა. პრინციპები

ბ. ფართო თანამშრომლობა

III. პოლიტიკური ქმედებები

ა. დაბინძურების შემცირება

ა) დაბინძურების ხმელეთზე განლაგებული წყაროები

ბ) დაბინძურება ჰაერიდან

გ) მაღალი პრიორიტეტის მქონე წერტილოვანი წყაროები

დ) წერტილოვანი წყაროების რეგულირება

ე) დაბინძურება გემებიდან

ვ) დამფინგით გამოწვეული დაბინძურება

ზ) ნარჩენების მართვა

თ) სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადატანა

ი) დამაბინძურებლების შეფასება და მონიტორინგი

ბ. ცოცხალი რესურსების მართვა

ა) კომერციული რესურსები

IV. ბიომრავალფეროვნების დაცვა

V. ჰაბიტატებისა (ადგილსამყოფელების) და ლანდშაფტების დაცვა

ა. საზოგადოების მდგრადი განვითარება

ა) გარემოზე ზემოქმედების შეფასება

ბ) სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვა

გ) მდგრადი აკვაკულტურის და ტურიზმის განვითარება

დ) საზოგადოების ჩართვა გარემოსდაცვით გადაწყვეტილების მიღების პროცესში

VI. შავი ზღვის ეროვნული სტრატეგიული სამოქმედო გეგმები

VII. სტრატეგიული სამოქმედო გეგმის დაფინანსება

ა. ამ სტრატეგიულ სამოქმედო გეგმაში არსებული შეთანხმებული ქმედებების დაფინანსება

ბ. დაფინანსების კონკრეტული ღონისძიებები

ა) შავი ზღვის გარემოს დაცვის ფონდის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება

VIII. მომავალი თანამშრომლობა

IX. შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვის კონვენციის მხარე ქვეყნების გარემოს დაცვის მინისტრთა შეხვედრის რეზოლუცია შავი ზღვის რეაბილიტაციისა და დაცვის სტრატეგიული სამოქმედო გეგმის შესწორების თაობაზე

X. დანართები

შავი ზღვის რეაბილიტაციისა და დაცვის
სტრატეგიული სამოქმედო გეგმის
განხორციელება

1996-2001

შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვის
კომისიის მოხსენება

სტამბული, თურქეთი 2002წ.

შესავალი

რეგიონული თანამშრომლობა შავი ზღვის გარშემო ყოველ წლიურად მყარდება და მიზანდასახული ხდება, რაც განპირობებულია შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვის კონვენციით (1992 წ. ბუქარესტი), სამთავრობო დეკლარაციით შავი ზღვის დაცვის შესახებ (1993წ. ოდესა) და შავი ზღვის დაცვისა და რეაბილიტაციის სტრატეგიული გეგმით (1996წ. სტამბული).

შავი ზღვის სტრატეგიული სამოქმედო გეგმის განხორციელების ანალიზმა, რომელიც იტვირთა შავი ზღვის კომისიამ 1996-2000 წლებში კვლავ დაადასტურა იმ პრინციპების უტყუარობა, რომლის საფუძველზეც შეიქმნა ზემოაღნიშნული გეგმა და სტრატეგიული ღონისძიებების სისწორე, რომლებიც გამიზნულია შავი ზღვის დაბინძურების დაცვისა და რეაბილიტაციისათვის. მოხსენება „შავი ზღვის გარემოს მდგომარეობა: ზეგავლენა და ტენდენციები“ ნათლად ასახავს ეკოსისტემების აღდგენის პირველ ნიშნებს.

შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვის კომიტეტის ხუთწლიანმა გამოცდილებამ შავი ზღვის სტრატეგიული გეგმის განხორციელებისას გვიჩვენა, რომ შავი ზღვის სანაპირო ქვეყნები ნელა, მაგრამ მტკიცედ მიიწევენ ბუქარესტის კონვენციის და შავი ზღვის სტრატეგიული სამოქმედო გეგმის მიზნებისაკენ, მიუხედავად იმისა, რომ მათ ზედმეტი ამბიციურობა გამოავლინეს შავი ზღვის სტრატეგიული სამოქმედო გეგმის ვადაჩარჩოს დადგენის მიმართ. 2002 წლის 14 ივნისს სოფიაში (ბულგარეთი) შავი ზღვის კომისიის რეკომენდაციებზე დაყრდნობით შევიდა და მიღებულ იქნა ცვლილებები სამოქმედო გეგმის განხორციელების ვადებში ბუქარესტის კონვენციის მხარე ქვეყნების გარემოს დაცვის მინისტრების მიერ.

შავი ზღვის სტრატეგიული სამოქმედო გეგმის პოლიტიკური ღონისძიებები მნიშვნელოვნად სცილდება დაბინძურებისაგან უბრალო დაცვას და მიზანმიმართულია შავი ზღვის სანაპირო ქვეყნების საზოგადოების მდგრად განვითარებაზე. შავი ზღვის სტრატეგიული სამოქმედო გეგმის პრინციპების შესაბამისად, საკითხისადმი აუზის მასშტაბით მიდგომა, რომელსაც ხელი შეუწყო ევროკომისიამ თავისი სამთავრობო დეკლარაციით (ბრუსელი 2001წ.) და ღუნაისა და შავი ზღვის (DABLAS) მიზნობრივმა ჯგუფმა (Task Force) კვლავაც წარმოადგენს შავი ზღვის სანაპირო სახელმწიფოთა ამჟამინდელ ინტერესს.

შავი ზღვის კომისია გააგრძელებს მუშაობას რათა სრულად განხორციელდეს შავი ზღვის სტრატეგიული სამოქმედო გეგმა. შავი ზღვის კომისიას გადაწყვეტილი აქვს გადაისინჯოს ბუქარესტის კონვენცია და შავი ზღვის სტრატეგიული სამოქმედო გეგმა ბუქარესტის კონვენციის მასშტაბების გაფართოებისა და საზოგადოების მდგრადი განვითარების რეგიონულ დონეზე სრული ჩართვის მიზნით 2007 წლის მომავალ სამთავრობო შეხვედრამდე.

განმარტებითი შენიშვნები

შავი ზღვის რეაბილიტაციისა და დაცვის სტრატეგიული სამოქმედო გეგმა შემუშავდა შავი ზღვის გარემოსდაცვის პროგრამის მხარდაჭერით, რათა განხორციელებულიყო ოქტომბრის 1993 წლის სამთავრობო დეკლარაციისა პოლიტიკური ღონისძიებები, და ხელმოწერილ იქნა 1996 წლის 31 ოქტომბერს შავი ზღვის სანაპირო ქვეყნების გარემოს დაცვის მინისტრების მიერ. ამ დოკუმენტში ჩამოყალიბებული სასურველი მიზნები მნიშვნელოვან წილად სცილდება შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვას. იგი მოიცავს სანაპირო ქვეყნების მოსახლეობის მდგრად განვითარებას, როგორც მთავარ პრინციპს და ასევე ითვალისწინებს გარემოს დაცვისა და ეკოსისტემის რეაბილიტაციის სოციალურ-ეკონომიკურ ასპექტებს.

გატარებულ ღონისძიებათა და შედეგთა ხუთწლიანი შეფასება (1996-2001) გვადლევს კონკრეტულ პასუხებს შემდეგ კითხვებზე:

- რა იქნა გაკეთებული ეროვნულ და რეგიონულ დონეებზე შავი ზღვის სტრატეგიული სამოქმედო გეგმის განხორციელებისათვის?
- რა შეზღუდვები თუ სხვა დაბრკოლებები განიცადეს შავი ზღვის სანაპირო ქვეყნებმა შავი ზღვის სტრატეგიული სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში?
- რა ქმედებანია საჭირო რეგიონალურ დონეზე რათა ხელი შეეწყოს შავი ზღვის სტრატეგიული სამოქმედო გეგმის განხორციელებას შავი ზღვის სანაპირო ქვეყნებში?

შავი ზღვის სტრატეგიული სამოქმედო გეგმის განხორციელების ანალიზი, 1996-2001, ეფუძნებოდა ქვეყნების პასუხებს კითხვარზე, რომელიც შემუშავდა შავი ზღვის კომისიის მუდმივი სამდივნოს მიერ და დამტკიცდა საკონსულტაციო ჯგუფებისა და თვით კომისიის მიერ.

მოკლე მტკიცებულებანი მიღწევებზე, პრობლემებზე და საჭირო ქმედებებზე მოცემულია შავი ზღვის სტრატეგიული სამოქმედო გეგმის თითოეულ მუხლში.

მოხსენების ფორმა იმეორებს შავი ზღვის სტრატეგიული სამოქმედო გეგმის სტრუქტურას. ტექნიკური ინფორმაცია უკვე გატარებულ ღონისძიებებზე და სამომავლო ქმედებებზე, შეგროვებული ეროვნული პასუხების საფუძველზე, წარმოდგენილია ამ მოხსენების დანართებში.

დასკვნებზე დაყრდნობით მომზადდა შავი ზღვის სტრატეგიული სამოქმედო გეგმის განხორციელებული ქმედებების ვადა-ჩარჩოში შესატანი შესწორებანი, რომლებიც მიიღო შავი ზღვის კომისიამ და რომლებსაც ხელი მოაწერეს გარემოსდაცვის მინისტრებმა შავი ზღვის სანაპირო ქვეყნებიდან 2002 წლის 14 ივნისს.

I. პრობლემა: შავი ზღვის გარემოს მდგომარეობა

შავი ზღვის სტრატეგიული სამოქმედო გეგმა მოითხოვდა, რომ ბუქარესტის კონვენციაზე ხელმომწერ მხარეებს ეტვირთათ ყველა საჭირო პოლიტიკური და ორგანიზაციული ღონისძიებები, რათა რეაბილიტირებულიყო და დაცულიყო შავი ზღვის გარემო მისი ეკოსისტემების მიმდინარე დეგრადაციისაგან, ისევე როგორც მისი ბუნებრივი რესურსების არამდგრადი გამოყენებისაგან. ეროვნული და საერთაშორისო ძალისხმევა მიმართული შავი ზღვის გარემოს დაბინძურების საფრთხის შემცირებისა თუ აღმოფხვრისაკენ გაშუქებულ იქნა 1996 წელს ტრანსსასაზღვრო დიაგნოსტიკური ანალიზის საფუძველზე, რაც ერთგვარ წარმატებაში აისახა, თუმცა მთლიანად ვერ შეამცირა, შეამსუბუქა შავი ზღვის გარემოზე აწმყოსა და წარსულის არასასურველი ზემოქმედების შედეგები.

მუხლი 1.

შავი ზღვის ეკოსისტემას კვლავ საფრთხეს უქადის კონკრეტული დამაბინძურებელი, კერძოდ – ნუტრიენტები. ისინი ხვდებიან შავ ზღვაში ხმელეთზე განლაგებული ობიექტებიდან მდინარეების მეშვეობით. ნუტრიენტების მთელი მოცულობის ნახევარზე მეტი შავ ზღვაში მდინარე დუნაის შემოაქვს. ეუთოოფიკაცია შავი ზღვის ფართო არეებში დამახასიათებელი მოვლენაა და მოითხოვს შავი ზღვის აუზის ყველა ქვეყნის ზრუნვას.

აღიქმება რა ეუთოოფიკაცია შავი ზღვის ტრანსსასაზღვრო დიაგნოსტიკურ ანალიზში, როგორც შავი ზღვის გარემოსთვის ერთ-ერთი უმთავრესი საშიშროება, იგი კვლავაც წარმოადგენს უმთავრეს პრობლემას. როგორც ცნობილია ეუთოოფიკაციის სუსტად გამოხატულ დადმავალ ტენდენციას ვერ მიუღწევია მდგრადი ღონისათვის. შედეგად აუზის მასშტაბით სტრატეგიამ ნუტრიენტების შემცირების შესახებ შავ ზღვაში გამოიწვია როგორც ზღვისპირა ასევე შავი ზღვის აუზში სხვა ქვეყნების ძალისხმევის გაერთიანება. ვალდებულება საკვები ნივთიერებებისა და უპირველესი დამაბინძურებლების შემცირების შესახებ გამოხატულია ბრიუსელის სამთავრობო დეკლარაციით (2002 წლის ნოემბერი). ურთიერთგაგების მემორანდუმმა შავი ზღვის კომისიასა და დუნაის მდინარის დაბინძურებისაგან დაცვის საერთაშორისო კონვენციას (ICPDR) შორის საფუძველი ჩაუყარა თანამშრომლობას ორ კომისიას შორის, რომელიც ყურადღებას ამახვილებს დაბინძურების შემცირებაზე დუნაისა და შავი ზღვის აუზში.

მუხლი 2.

არასაკმარისად გაწმენდილი ჩამდინარე წყლები იწვევს მიკრობიოლოგიური დამაბინძურებლების არსებობას, რომლებიც ადამიანთა ჯანმრთელობას უქადიან საფრთხეს და, მთელ რიგ შემთხვევებში, მდგრადი ტურიზმისა და აკვაკულტურის განვითარებას ელოდება წინ.

ბაქტერიული დაბინძურება, რომლის მიზეზს არასაკმარისად გაწმენდილი ჩამდინარე წყლები წარმოადგენს, უფრო იშვიათი გახდა და ლოკალური ხასიათისაა, რუმინეთისა და ბულგარეთის მუნიციპალური სექტორების მნიშვნელოვანი გაუმჯობესების შედეგად. გარკვეული პროგრესი შეიმჩნევა უკრაინაში, რუსეთის ფედერაციასა და თურქეთში. ნაკლებ თვალსაჩინო ცვლილებები გამოვლინდა საქართველოში. წარმოადგენს რა ადამიანის ჯანმრთელობისათვის საფრთხეს და აფერხებს მდგრადი ტურიზმისა და აკვა-კულტურის განვითარებას, ბაქტერიული დაბინძურება კვლავაც უარყოფითად მოქმედებს სანაპირო ზოლის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე, რაც თავის მხრივ ბრკოლდება გარდამავალ ეტაპზე მყოფი სანაპირო ქვეყნების მეურნეობების არსებული ეკონომიკური პირობებით.

მუხლი 3.

გარდა ამისა, სხვა მავნე ნივთიერებების, და განსაკუთრებით ნავთობის ჩაშვება, კვლავინდებურად უქადის საფრთხეს შავი ზღვის ეკოსისტემას. ნავთობის მოხვედრა გარემოში გამოწვეულია მისი ავარიული ან მუშა ჩაღვრით მცურავი საშუალებებიდან, ასევე – ხმელეთზე განლაგებული ობიექტებიდან. თითქმის ნახევარი იმ ნავთობისა, რაც შავ ზღვაში ხმელეთზე განლაგებული წყაროებიდან ხვდება, მდინარე დუნაის გზითაა შემოსული.

ნავთობის გადაზიდვის მოსალოდნელი გაორმაგება შავ ზღვაზე, იწვევს აუცილებლობას განხორციელებს სათანადო სიფრთხილის გამოჩენის ზომები, როგორცაა გაუთვალისწინებელ შემთხვევებზე რეაგირების გეგმა, რეაგირებაზე პასუხისმგებელი ორგანოების შესაძლებლობების გაზრდა, ქონების გადარჩენისა და სამაშველო ოპერაციების გაუმჯობესება და სხვა. შავარაუდოდ, შავი ზღვის გაუთვალისწინებელ შემთხვევებზე რეაგირების გეგმის პროექტი, რომელზეც ამჟამად მუშაობენ შავი ზღვის სანაპირო ქვეყნები, შავი ზღვის კომისიას მიერ 2003 წელს იქნება მიღებული.

მუხლი 4.

გარდა ამისა, გემებიდან ბალასტური წყლების ჩაღვრის შედეგად ეგზოტიკური სახეობების დამკვიდრებამ სერიოზულად დააზიანა შავი ზღვის ეკოსისტემა და საფრთხეს მომიჯნავე კასპიისა და ხმელთაშუა ზღვებსაც უქადის.

Mnemiopsis leyde-ის გამანადგურებელმა ზეგავლენამ თევზის რეწვაზე შავსა და აზოვის ზღვებში დაგვანახა ეგზოტიკური ჯიშებისაგან პოტენციური საშიშროება და შავი ზღვის უნიკალური ეკოსისტემის მოწყვლადობა ბიოლოგიური დაბინძურებისადმი. ამ მტაცებლის თევზის მარაგსა და ზღვის ეკოსისტემაზე ზემოქმედების გამო თევზის სარეწი სექტორი თითქმის დაინგრა. შავ ზღვაში *Beroe ovata-ს* გამოჩენა, რომელიც *Mnemiopsis leydei-ის* ბუნებრივ მტერს წარმოადგენს, გვაძლევს სიტუაციის გამოსწორების ნიშნებს.

მუხლი 5.

რესურსების შეუსაბამო მართვა კერძოდ, შეუსაბამო მიდგომა თევზრეწვისა და სანაპირო ზოლის მართვაზე, კვლავინდებურად ელობება წინ შავი ზღვის რეგიონის მდგრად განვითარებას. სარეწაო თევზის მარაგის უმეტესი ნაწილი, არის რა ამჟამად დაზარალებული დაბინძურებისაგან, ჯარბ ექსპლუატაციასაც განიცდიდა ან ასეთი ექსპლუატაციის საფრთხის ქვეშაა; ბევრი სანაპირო არე ეროზიის გამო, და ქალაქებისა თუ წარმოების უსისტემო განვითარების შედეგად, სამშენებლო საქმიანობების ჩათვლით, ცუდ მდგომარეობაშია. ამის შედეგად არსებობს ცხოველთა და მცენარეთა გავრცელების ფასეული არელებისა თუ განუმეორებელი ლანდშაფტების და საბოლოო ჯამში, შავი ზღვის ეკოსისტემის დაზიანების რისკი.

იშვიათი საბინადრო ადგილებისა და ლანდშაფტების, ხოლო საბოლოოდ, ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნებისა და ეკოსისტემის პროდუქტიულობის დაკარგვის სერიოზული რისკი, გარკვეულწილად შემსუბუქებულია ეროვნული ჩარჩო-კანონმდებლობების არსებობით, შავი ზღვის ქვეყნების ვალდებულებებით რიგ კონვენციებზე, შავი ზღვის სტრატეგიული სამოქმედო გეგმითა და საზოგადოების გაცნობიერების შედარებით მაღალი დონით. გაცილებით სერიოზული პრობლემა წარმოიშვა შავი ზღვის ქვეყანათა უძღურებით მოახდინონ იშვიათი საბინადრო ადგილების, ლანდშაფტების, ისევე როგორც ბიოლოგიური მრავალფეროვნების რეაბილიტაცია, რომელიც მოითხოვს მნიშვნელოვან კაპიტალდახანდახან ეროვნულთან საბრძოლველად და ნაპირის დასაცავად. ამასთან მართვის და ფინანსური არაადეკვატური რესურსები, ასევე ეკონომიკური და სოციალური პრობლემები ურთიერთკავშირშია. შავი ზღვის სანაპირო ქვეყნების უმეტესობის ადგილობრივი სახელისუფლო ორგანოები არაადეკვატური კადრებით და აღჭურვილობით არის დაკომპლექტებული რის გამოც ამ ორგანოებს არ ძალუძთ ეფექტურად წარმართონ მუშაობა ეროვნული გარემოს დაცვის კანონმდებლობის სრულფასოვნად განხორციელებისათვის.

მუხლი 6.

ზემოთ აღნიშნულმა მოსაზრებებმა მიგვიყვანა აზრამდე, რომ შავი ზღვის დეგრადაცია შეუქცევადია. მაგრამ, გარემოს მონიტორინგმა ბოლო 4-5 წლის განმავლობაში გამოავლინა შესამჩნევი და ახლაც მიმდინარე შავი ზღვის ეკოსისტემის ზოგიერთი ლოკალიზებული კომპონენტების გაუმჯობესება (რამდენიმე კერძო უბანში??). ეს სასიკეთო ძვრები – არაპირდაპირი შედეგია რეგიონში ეკონომიკური აქტიურობის დაქვეითებისა, ნაწილობრივ კი – მთავრობების მხრიდან გატარებული დაცვითი ღონისძიებების. ამოცანა (პრობლემა), რომლის წინაშეც დგას ახლა რეგიონი, ასეთია: შენარჩუნებული იქნას შავი ზღვის გარემოს ჯანსაღი მდგომარეობა იმ მომენტისათვის, როდესაც დაიწყება რეგიონის ეკონომიკური აღორძინება და შემდგომი განვითარება.

ეკონომიკური გაუმჯობესების ნიშნები უფრო და უფრო საგრძნობი ხდება. ანალოგიური ტენდენცია შეიმჩნევა სანაპირო ზოლში მდებარე სახელმწიფოების ეკონომიკაში. ეკონომიკური

შავი ზღვის გარემოს მდგომარეობის გამოსწორების ნიშნები სულ უფრო და უფრო თვალსაჩინო ხდება. იგივე მდგომარეობა აღინიშნება ქვეყნების მეურნეობაში. კონომიკური ზრდა რომელიც აისახა შავი ზღვის ქვეყნების 2000 წლის ეროვნულ სტატისტიკაში, შეიძლება გამოვლინდეს შავი ზღვის გარემოზე ზეწოლით. ქედან გამომდინარე შავი ზღვის გარემოს დაცვის უზრუნველყოფა უფრო გადაუდებელი ხდება.

მუხლი 7.

ეს სტრატეგიული სამოქმედო გეგმა არის ერთი საფეხური შავი ზღვის რეგიონში მდგრადი განვითარების მიღწევის საქმეში. მისი საბოლოო მიზანია – მიეცეს შავი ზღვის რეგიონის მოსახლეობას საშუალება ისარგებლოს ჯანსაღი საცხოვრებელი გარემოთი როგორც ქალაქში, ასევე სოფლად და მიღწეულ იქნეს შავი ზღვის ეკოსისტემის ისეთი ბიოლოგიური მრავალფეროვნება, რომელშიც წარმოდგენილი იქნება უმაღლესი ორგანიზმების სიცოცხლისუნარიანი ბუნებრივი პოპულაციები, ზღვის ძუძუმწოვრებისა და ზუთხისებრთა ჩათვლით, რაც ხელს შეუწყობს სასიცოცხლო მნიშვნელობის ისეთ მდგრად საქმიანობას, როგორიცაა თევზჭერა, აკვაკულტურა და ტურიზმი

შავი ზღვის რეგიონის მოსახლეობის უზრუნველყოფა გამოიყენონ ჯანსაღი სასიცოცხლო გარემო, როგორც ქალაქად ასევე სოფლად; იმის მიღწევა, რომ შენარჩუნდეს შავი ზღვის მრავალფეროვანი ეკოსისტემა მისი სიცოცხლისუნარიანი ბუნებრივი მაღალი ორგანიზმებით - ზღვის ძუძუმწოვრებით და ზუთხით, ასევე იმის უნარი, რომ ხელი შეეწყოს საარსებო საშუალებების განვითარებას ისეთი მდგრადი საქმიანობების ბაზაზე, როგორცაა თევზჭერა, აკვაკულტურა და ტურიზმი შავი ზღვის ქვეყნებში, შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვის კონვენციის სტრატეგიულ მიზნებად გვევლინება. ეს სასურველი მიზნები განსახორციელებლად უფრო ძნელი გამოდგა, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო, რომლის მიზეზს ის წარმოადგენს, რომ შავი ზღვის სანაპირო ქვეყნები იყვნენ და არიან როგორც ეკონომიკურ, ასევე სოციალური ძვრების ძალიან რთულ გარდამავალ პროცესში. ამასთან საერთაშორისო დახმარების მოზიდვა, განსაკუთრებით კი ინვესტიციების, წარმოადგენს ნელ, ხანგრძლივ პროცესს, რომელიც მოითხოვს საფუძვლიანი მოსამზადებელი სამუშაოს, ისევე როგორც ცვლილებებს ეროვნულ კანონმდებლობაში, რათა შეიქმნას ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატი.

შავი ზღვის გარემოს მდგომარეობასთან დაკავშირებული ყველა მიგნება წარმოადგეილია რიგ პუბლიკაციებში, რომლებიც შავი ზღვის გარემოს დაცვის პროგრამის ფარგლებში მომზადდა. (ცხრილი 1.1).

შავი ზღვის სტრატეგიული სამოქმედო გეგმა მოითხოვს გულმოდგინე, ბევრით სისტემატურ ყოველდღიურ მუშაობას, რათა გარანტირებული იყოს შავი ზღვის მდგომარეობის გაუმჯობესება 1960 წლისათვის არსებულ მდგომარეობამდე.

II თანამშრომლური მოქმედების საფუძველი

ა. პრინციპები

შავი ზღვის სტრატეგიული სამოქმედო გეგმისათვის შემუშავებული პრინციპები სრულად სცნეს შავი ზღვის ქვეყნებმა და ისინი ასახული იქნა შესაბამის ეროვნულ საკანონმდებლო და მარეგულირებელ ჩარჩოში.

მუხლი 8.

გამოყენებულ იქნას მდგრადი განვითარების კონცეფცია, რომლის მიზანს წარმოადგენს შავი ზღვის ეკოსისტემის ბუნებრივი სიმდიდრის გადაუჭარბებელი გამოყენება, რომელიც არ შელახავს მომავალი თაობების ინტერესებს.

შავი ზღვისპირა სანაპირო ქვეყნებში უკვე შემუშავებულია ან მიმდინარეობს საჭირო საკანონმდებლო ბაზის შემუშავება. კონვენციის სამ მონაწილე მხარეს – ბულგარეთს, რუმინეთსა და თურქეთს შემოაქვთ ევროკავშირის ღირებულებები და მიდგომები თავიანთ გზაზე ევრო კავშირში შესასვლელად; საქართველო, რუსეთის ფედერაცია და უკრაინა იმყოფებიან თავიანთი გარემოსდაცვითი პოლიტიკის ევრო კავშირის საკანონმდებლო ბაზასთან ჰარმონიზაციის პროცესში.

მუხლი 9.

სიფრთხილის გამოჩენის პრინციპი, რომელიც გულისხმობს წინასწარი ზომების მიღებას იმ შემთხვევაში, თუ გაჩნდა დასაბუთებული ეჭვები ამა თუ იმ საქმიანობის ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო მავნე ზემოქმედების, სასიცოცხლო რესურსების ან ზღვის ეკოსისტემისათვის შესაძლო ზიანის, ბუნებრივი (სიმდიდრის) ლანდშაფტების ხელყოფის ან ზღვის სხვა რომელიმე კანონიერი გამოყენებისათვის შესაძლო ხელის შეშლის შესახებ, იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც არ არსებობს საქმიანობასა და მის შედეგად შესაძლო მავნე შედეგებს შორის არსებული კავშირის დამაჯერებელი მტკიცება. ამ პრინციპის მიხედვით დიდი სიფრთხილვა გამოსაჩენი, როდესაც ინფორმაცია არის ბუნდოვანი, არასანდო ან არაადაქვავებული.

სიფრთხილის გამოჩენის პრინციპის გამოყენება, მიუხედავად იმისა რომ ამ უკანასკნელს ფართო აღიარება აქვს შავი ზღვის რეგიონში, ფერხდება შავი ზღვის სანაპირო ქვეყნებში ეკონომიკური პირობების გამო. სხვა სიტყვებით, მათი გარდამავალი ეკონომიკა ერთნაირად უარყოფითად მოქმედებს განხორციელების მექანიზმებზე, საზოგადოების მდგრად განვითარებაზე და ა.შ.

მუხლი 10.

უნდა განხორციელდეს წინმსწრები ქმედებები, როგორებიცაა მაგალითად, გადაუდებელ ღონისძიებათა გეგმის შემუშავება, გარემოზე ზემოქმედების შეფასება და გარემოს საზრუნველო მოქმედებები (სამოქმედო პოლიტიკის პროგრამებისა და ვიდეოს

გარემოზე ზემოქმედების შეფასება, გაუთვალისწინებელ შემთხვევებზე რეაგირების დაგეგმვა, გარემოს სტრატეგიული შეფასების ეფექტურობა (მათ შორის განხორციელებული სამთავრობო სტრატეგიის შედეგების, პროგრამებისა და გეგმების შეფასება) თანდათანობით, შავი ზღვის ქვეყნებისათვის ზოგადად მიღებული და გავრცელებული პრაქტიკული ქმედება ხდება. გარემოზე ზემოქმედების შეფასება ეროვნული კანონმდებლობის მეშვეობით შავი ზღვის ყველა ქვეყანაშია დანერგილი. "შავი ზღვის გარემოს ავარიული სიტუაციების შედეგად ნავთობით ან სხვა მავნე ნივთიერებებით დაბინძურების შემთხვევაში თანამშრომლობის ოქმის შავი ზღვის ავარიულ დაბინძურებაზე რეაგირების" პროექტი 2002 წელს ეროვნულ დონეზე განხილვის მიზნით ყველა ქვეყანაში იქნა გაგზავნილი.

მუხლი 11.

სტიმული უნდა მიეცეს სუფთა ტექნოლოგიების გამოყენებას. ამისათვის საჭიროა ამჟამად გამოყენებული მაღალ ნარჩენებიანი ან ნარჩენების წარმოშობი ტექნოლოგიების შეცვლა ან თანდათანობით ხმარებიდან ამოღებას.

საჭიროა ჯეროვნად შეფასდეს სუფთა ტექნოლოგიების გამოყენების, ან მაღალი ნარჩენებიანი თუ ნარჩენების წარმოქმნილი ტექნოლოგიების გამოყენების ხმარებიდან ამოღების მნიშვნელობა. დინამიკური და ბაზარზე ორიენტირებული ეკონომიკა, რაც შავი ზღვის სანაპირო ქვეყნების უმრავლესობის მთავარ მიზნად გვევლინება, მოითხოვს ეკონომიკური სტიმულირებისა და მდგრადი განვითარების სხვა ეკონომიკური ბერკეტების სრულ განხორციელებას.

მუხლი 12.

ეკონომიკური ინსტრუმენტების (ბერკეტების) გამოყენება, რომლებიც ხელს შეუწყობს მდგრად განვითარებას, საჭიროა განხორციელდეს, სხვა ქმედებებთან ერთად, გარემოსათვის სასიკეთო ტექნოლოგიების და საქმიანობის დანერგვის ეკონომიკური წახალისებებით; იმ სუბსიდიების გაუქმებით, რომლებიც ხელს უწყობენ გარემოსათვის არასასიკეთო ტექნოლოგიების გამოყენებისა და საქმიანობების გაგრძელებას; სამომხმარებლო გადასახადისა და დამაბინძურებელი იხდის პრინციპის შემოღებით; ასევე, ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს მდგრადობის აღწერის შემოღებით.

ეკონომიკური ინსტრუმენტები გადაიქცა გარემოს დაცვის ეროვნული სტრატეგიისა და მართვის მნიშვნელოვან ნაწილად. განსაკუთრებით აღსანიშნავია მომხმარებლის გადასახადის და "დამბინძურებელი იხდის" პრინციპების შემოღება. შავი ზღვის სანაპიროს ქვეყნების საერთო პრობლემას წარმოადგენს ამ შემოსავლების არასწორი ფინანსური გადანაწილება. ბევრ შემთხვევაში ეს ფინანსური რესურსები არ არის ინვესტირებული გარემოს დაცვის სფეროში, მისი რეაბილიტაციისა თუ კონსერვაციის განხორციელების საქმეში. თურქეთის გამოკლებით, ეკონომიკური სტიმულის გამოყენება ჯერაც არ დანერგილა პრაქტიკაში, თუმცა მათი დანერგვა შავი ზღვის სანაპიროს ქვეყნების კანონმდებლობაში გათვალისწინებულია.

მუხლი 13.

გარემოსა და ჯანდაცვის საკითხები გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა შესატყვის პოლიტიკურ მიმართულებასა და დარგობრივ გეგმაში, რომელიც ეხება ტურიზმს, ქალაქების დაგეგმარებას, სოფლის მეურნეობას, მრეწველობის განვითარებას, თევზჭერასა

მოსაზრებები გარემოს დაცვისა და ჯანმრთელობის შესახებ ასახულია ყველა პოლიტიკურ და დარგობრივ გეგმაში, რომლებიც ეხება ტურიზმის განვითარებას, გარემოს ზემოქმედების შეფასებას და სხვა შესაბამის საკანონმდებლო დოკუმენტში. არსებული საკანონმდებლო და მარეგულირებელი ღონისძიებების პრაქტიკული დანერგვა და ამოქმედება წინააღმდეგობას სვდება ადგილობრივი მოსახლეობის დაბალი შემოსავლის, არასწორად აღჭურვილი და არასწორად შერჩეული საშტატო შემადგენლობის მქონე მაკონტროლებელი უწყებებისა და სხვა ეკონომიკური ფაქტორების გამო.

მუხლი 14.

რეგიონში საზღვაო საზღვრების დადგენამდე აუცილებელია მჭიდრო თანამშრომლობა შავი ზღვისპირა ყველა სახელმწიფოს შორის, ისეთი დროებითი ზომების მისაღებად, რომლებიც ხელს შეუწყობენ შავი ზღვის ეკოსისტემის რეაბილიტაციასა და დაცვას და მისი რესურსების მდგრად მართვას.

იმის გათვალისწინებით, რომ საოკეანო სასაზღვრო საკითხები არ არის სრულად გადაჭრილი შავ ზღვასთან მიმართებაში, შავი ზღვის რეაბილიტაციისა და დაცვის საკითხებს ხელი შეეწყო ორმხრივი შეთანხმებების გზით და GEF-ის და TACIS-ის, აგრეთვე NATO-ს და IAEA-ის რეგიონალურ პროექტებში მონაწილეობის მეშვეობით.

მუხლი 15.

ხელი უნდა შეეწყოს თანამშრომლობას შავი ზღვის აუზის ყველა ქვეყანას შორის, განსაკუთრებით კი, ზღვისპირა ქვეყნებსა და მდ. დუნაის აუზის ქვეყნებს შორის.

თანამშრომლობა შავი ზღვის სანაპიროს ქვეყნებს შორის წარმატებით წარიმართა შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვის კონვენციის, შავი ზღვის სანაპიროს ქვეყნებს შორის ორმხრივი თანამშრომლობის, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ჩარჩოებში მრავალმხრივი თანამშრომლობის, გადარჩენისა და სამაშველო ოპერაციებში მთავრობათაშორისი თანამშრომლობის, ნავსადგურის სახელმწიფო კონტროლისა და სხვა შესაბამისი შეთანხმებები და ღონისძიებების მეშვეობით.

ბრიუსელის 2001 წლის სამთავრობო დეკლარაციამ და 2002 წლის შავი ზღვის კომისიასა და მდინარე დუნაის დაცვის საერთაშორისო კომისიას შორის თანამშრომლობის გაგების მემორანდუმმა ხელი შეუწყო თანამშრომლობას შავი ზღვის აუზის მასშტაბით. 2002 წელს შემოხსენებული პოლიტიკური დოკუმენტების განხორციელების მიზნით დაარსდა დუნაი-შავი ზღვის მიზნობრივი ჯგუფი (Task Force) და შავი ზღვა-დუნაის ერთობლივი ტექნიკური სამუშაო ჯგუფი.

მუხლი 16.

ხელი უნდა შეეწყოს ყველა დაინტერესებული პირის ჩართვას ამ სტრატეგიული სამოქმედო გეგმის განხორციელებაში, სხვა ქმედებების პარალელურად, მესაკუთრისა და მომხმარებლის უფლებათა განსაზღვრის გზით.

შავი ზღვის სტრატეგიული სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში დაინტერესებულ პირთა რიცხვში შედის საზოგადოების მრავალი სხვადასხვა ჯგუფი მთავრობების, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების, ფინანსური ინსტიტუტების, ბიზნეს-საქმიანობების, ტრანსპორტირების კომპანიების, სახელმწიფო, არასამთავრობო ორგანიზაციების, საგანმანათლებლო და სხვა ორგანიზაციების ჩათვლით. სექტორთაშორისი თანამშრომლობა ყოველთვის ადექვატურად არ მიმდინარეობს ეროვნულსა თუ რეგიონალურ დონეზე, შეასაბამისად, შავი ზღვის სტრატეგიული სამოქმედო გეგმის განხორციელების მიზნებისათვის საჭიროა ეროვნული და რეგიონული მექანიზმების არსებობა.

მუხლი 17.

ხელი უნდა შეეწყოს გამჭვირვალობას და საზოგადოების მონაწილეობას შავი ზღვის რეაბილიტაციისა და დაცვისათვის გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაციის ფართოდ გავრცელების მეშვეობით და იმ უფლებების აღიარებით, რომლებიც გააჩნია მთელ საზოგადოებას, ყველა დაინტერესებული პირის (მონაწილის) ჩათვლით, გადაწყვეტილებების მიღებასა და ამ სტრატეგიული სამოქმედო გეგმის განხორციელებაში.

შავი ზღვის მუდმივმოქმედი კომისიის დაარსების შეყოვნებამ (2000წ. ოქტომბერი) ხელი შეუშალა რეგიონული კონტექსტის მქონე სამუშაოს შესახებ ინფორმაციის გავრცელებას. ინფორმაციული მიწოდება, კერძოდ, ეროვნული ძალისხმევის შესახებ შავი ზღვის ეკოსისტემის დაცვისა და რეაბილიტაციის მიზნით, არაადექვატური აღმოჩნდა, რამაც შექმნა უარყოფითი აზრი შავი ზღვის სამოქმედო გეგმის რაიმე წინსვლის შესახებ. ასევე არაადექვატურად მიმდინარეობდა პროექტის ფარგლებში შექმნილი შავი ზღვის კომისიის ვებსაიტების შექმნა, რაც განპირობებული იყო რეგიონული დონის ქმედებების დაფინანსებს ბუნდოვანი სიტუაციით. სხვა პრობლემების წარმოქმნის მიზეზს ხშირად შავი ზღვისპირეთის სახელმწიფოებში მნიშვნელოვანი ინფორმაციის ეროვნულ ენაზე არარსებობის ფაქტი წარმოადგენდა.

ამის შედეგად, რეგიონული ინფორმაცია არაადექვატურად იქნა მიწოდებული საზოგადოებრივი განხილვისათვის, საზოგადოებისადმი არ იქნა მიწოდებული ინფორმაცია რეგიონული საქმიანობის შესახებ და ძნელი გახდა ნამდვილი სურათის შეფასება.

იმავედროულად, საზოგადოების მონაწილეობა ეკოლოგიური საკითხების გადაწყვეტა-მიღებაში ეროვნულ დონეზე ნათლად არის წარმოჩენილი შავი ზღვისპირა ქვეყნების ეროვნულ კანონმდებლობაში და თანდათანობით ჩვეულებრივ ქმედებად იქცევა.

ბ) სტამბოლის კომისია

შავი ზღვის დაბინძურების წინააღმდეგ შექმნილი შავი ზღვის დაცვის კომისია (შემდგომ ტექსტში - შავი ზღვის კომისია ან შზკ - BSC) დაარსებულ იქნა ბუქარესტის კონვენციის თანახმად იმ მიზნით, რომ გაუმჯობესებულიყო თანამშრომლობა შავი ზღვისპირა ქვეყნებს შორის. ამ კომისიის ამოცანათა შორის უპირველესს ეროვნული და რეგიონული ძალისხმევის კოორდინაცია წარმოადგენს შავი ზღვის სტრატეგიული სამოქმედო გეგმის განხორციელების მიზნით.

მუხლი 18.

შეთანხმებული ღონისძიებებისა და პოლიტიკის განსახორციელებლად (ხორკისასხმილად) აუცილებლად საჭიროა შავი ზღვის ქვეყნების თანამშრომლობის

შავი ზღვის კომისიამ, როგორც ეროვნულ ასევე რეგიონალურ დონეზე შექმნა ფუნქციონალური ინსტიტუციური სტრუქტურა, რომელიც შედგება თავად კომისიისაგან და მისი დამხმარე ორგანოებისაგან, რომლებიც კომისიის სახელით მოქმედებენ ეროვნულსა და რეგიონალურ დონეზე. შავი ზღვის კომისიის დამხმარე ორგანოები შედგება თემატურად მიზნობრივი შვიდი საკონსულტაციო ჯგუფისაგან, თითოეულისათვის ადგილობრივი საკონტაქტო პირის/ორგანოსაგან (Focal Point) და აქტიური ცენტრისგან (Activity Center), რომელიც მდებარეობს შავი ზღვის სანაპიროს თითოეულ წევრ ქვეყანაში და უზრუნველყოფილია ინდივიდუალურად თითოეულის მიერ. (იხ. ნახაზი 1).

მუხლი 19.

სტამბოლის კომისია და მისი დამხმარე ორგანოები, სამდივნოს ჩათვლით, სრულფასოვნად უნდა ფუნქციონირებდეს ბუქარესტის კონვენციის თანახმად, 1997 წლის იანვრისათვის. ამის მისაღწევად შავი ზღვის ქვეყნები თანახმანი არიან გამოყონ საჭირო ფინანსები და სხვა რესურსები.

შავი ზღვის კომისიის მუდმივი სამდივნოს ჩამოყალიბების დაგვიანებამ შესამჩნევად შეანელა კონკრეტული პრაქტიკული ნაბიჯების კოორდინირება შავი ზღვის სანაპირო ქვეყნებში, რომლებიც წარმოდგენილი იყო რეგიონალურ დონეზე. შავი ზღვის კომისიის დამხმარე ორგანოების პრაქტიკული სამუშაო შეკვეცილ იქნა, თუმცა ზოგიერთი კონკრეტული ღონისძიებანი განხორციელდა მხოლოდ GEF-ის, TACIS-ის და IMO-ს დახმარების შედეგად გახდა შესაძლებელი. ქვეყნების მიერ მხარდაჭერა დამხმარე ორგანოებისათვის აღმოჩენილ იქნა ქვეყნების ექსპერტების მონაწილეობით ზოგიერთი საბაზისო დოკუმენტების, მათ შორის ტრანსსასაზღვრო დიაგნოსტიკური ანალიზის, შავი ზღვის დაბინძურების შეფასების მოხსენების, შავი ზღვის წითელი წიგნის და სხვა შემუშავების სახით. აღსანიშნავია, რომ არ განხორციელებულა ზოგიერთი მათგანის განხილვა და მიღება შავი ზღვის კომისიის მირ, რის გამოც ადგილი არ ჰქონია მათ შეთანხმებას რეგიონულ დონეზე.

პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ შავი ზღვის კომისიის მუშაობის ზოგიერთი მნიშვნელოვანი ასპექტი გამოტოვებულ იქნა და ზოგიერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი არ შემუშავებულა როგორც ჯეროვნად ჩამოყალიბებული იურიდიული დოკუმენტი. ამის გამო შავი ზღვის კომისიის დამხმარე ორგანოები უნდა უფრო გაძლიერდეს ან დამატებითი საკონსულტაციო ან ღრობითი ჯგუფების შექმნით, რომლებიც შეიმუშავებდნენ და შავი ზღვის კომისიისათვის მისაღებად მოამზადებდნენ იურიდიულად სავალდებულო და არასავალდებულო დოკუმენტებს (დეკლარაციები, სამოქმედო გეგმები, ავარიულ შემთხვევებზე რეაგირების გეგმები და სხვა), ხელს შეუწყობდნენ ევროკავშირის დირექტივებთან ჰარმონიზებას, შეიმუშავებდნენ და შესაბამისობაში მოიყვანდნენ რეგიონულ კრიტერიუმებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების მიზნით, ისევე როგორც განახორციელებდნენ სხვა საჭირო ქმედებებს შავი ზღვის სტრატეგიული სამოქმედო გეგმის წარმატებით განხორციელებისათვის. მოსალოდნელია, რომ შავი ზღვის კომისია შეიმუშავებს შავი ზღვის სტრატეგიული სამოქმედო გეგმის განხორციელების მუდმივი შეფასების მექანიზმს მოხსენებებისა და მონაცემების მიწოდების მოთხოვნების გაადვილებით (გამარტივებით), ევროკავშირის შესაბამის პროცესთან გაერთიანებითა და ევროპის გარემოს დაცვის სააგენტოსთან მჭიდრო თანამშრომლობით.

მუხლი 20.

სასურველია, რომ სტამბოლის კომისიამ, რომელმაც 1996 წელს 16-17 სექტემბერს სტამბულში ჩატარებულ მეორე შეხვედრაზე აიღო ვალდებულება განახორციელოს სტრატეგიული სამოქმედო გეგმა, 1997 წლის ნოემბრისათვის დააფუძნოს ორგანო,

პროექტის განხორციელების ორგანო (PIU), რომელიც 1996-2000 წლებში დროებითი

სამდივნოს ფუნქციას ასრულებდა, კოორდინირებს უწყვეტად UNDP-/GEF-ის გარდამავალ პროექტებს და TACIS-ის შავი ზღვის 1995/1996 და 1996/1997 წლების ფონდებს. შავი ზღვის კომისიის მუდმივი სამდივნოს დაარსებისა და შავი ზღვის კომისიისადმი ევროკავშირის მიერ (2002წ) აღმოჩენილი დახმარების შემდეგ, შავი ზღვის კომისიას გადაეცა მაკოორდინირებელი როლი პროექტის განხორციელებელი ორგანოდან. შავი ზღვის კომისიის მოღვაწეობა ძლიერ მხარდაჭერას იღებს GEF/UNDP-ს შავი ზღვის ეკოსისტემის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში (2002-2003).

მუხლი 21.

რეკომენდებულია, რომ 1997 წლის იანვრისათვის სტამბოლის კომისიამ შავი ზღვის გარემოსდაცვითი პროგრამის სამუშაო ჯგუფების ამჟამინდელ სტრუქტურაზე დაყრდნობით დააარსოს დამხმარე ორგანოები, რომლებიც ხელს შეუწყობენ სტრატეგიული სამოქმედო გეგმის განხორციელებას.

შავი ზღვის კომისიის შეზღუდული ფინანსური რესურსების გამო, საკონსულტაციო ჯგუფებმა უნდა მოახდინონ სამუშაო პრიორიტეტების განსაზღვრა. პირველესად, დადგენილ ვადებში უნდა განხორციელდეს უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტული ქმედებანი ყველა ხელმისაწვდომი საშუალებით. შედეგები კომისიას უნდა ეცნობოს ანგარიშგების ეფექტური და დროული გზით.

მუხლი 22.

რეკომენდებულია, რომ სტამბოლის კომისიამ თავდაპირველად დააარსოს შემდეგი საკონსულტაციო ჯგუფები, როგორც მისი დამხმარე ორგანოები, რომელთა ზოგადი კომპეტენციის აღწერილობა მოცემულია დანართში 1:

ა) ნაოსნობის გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების ასპექტების საკონსულტაციო ჯგუფი, საკოორდინაციო სამოქმედო ცენტრით ქ. ვარნაში, ბულგარეთი;

ბ) დაბინძურების მონიტორინგისა და შეფასების საკონსულტაციო ჯგუფი, საკოორდინაციო სამოქმედო ცენტრით ქ. ოლესაში, უკრაინა;

გ) ხმელეთზე განლაგებული წყაროებიდან გამოწვეული დაბინძურების კონტროლის საკონსულტაციო ჯგუფი, საკოორდინაციო სამოქმედო ცენტრით ქ. სტამბულში, თურქეთი;

დ) სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვისათვის საჭირო ზოგადი მეთოდოლოგიების შემუშავების საკონსულტაციო ჯგუფი, საკოორდინაციო სამოქმედო ცენტრით ქ. კრასნოდარში, რუსეთი;

ე) ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვის საკონსულტაციო ჯგუფი, საკოორდინაციო სამოქმედო ცენტრით ქ. ბათუმში, საქართველო;

ვ) თევზრეწვისა და სხვა ცოცხალი რესურსების საკონსულტაციო ჯგუფი, საკოორდინაციო სამოქმედო ცენტრით ქ. კონსტანცაში, რუმინეთი;

ზ) ინფორმაციისა და მონაცემების გაცვლის საკონსულტაციო ჯგუფი, კოორდინირებული უშუალოდ კომისიის სამდივნოს მიერ;

შავი ზღვის კომისიამ ჩამოაყალიბა ექვსი საკონსულტაციო ჯგუფი და დაავალა შავი ზღვის კომისიისათვის რეკომენდაციების მომზადება საუკეთესო ხელმისაწვდომ რეგიონულ და საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით. საკონსულტაციო ჯგუფების შემადგენლობაში შედიან ეროვნული საკონტაქტო პირები და ქვეყნის მმართველობითი ორგანოების წარმომადგენლები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან შესაბამის სექტორებზე, და საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი ექსპერტები.

საკონსულტაციო ჯგუფების ძირითადი ვალდებულებანი და ფუნქციები განსაზღვრულია შავი ზღვის სტრატეგიული სამოქმედო გეგმის დანართებში. ამ დამხმარე ორგანოებს, რომელთაც კოორდინაციას უწევენ სამოქმედო ცენტრები (აქტიური ცენტრები), მხარდაჭერას უწევენ ეროვნული მთავრობები, რაც ბუქარესტის კონვენციისადმი „ინ-კაინდ“ კონტრიბუციას წარმოადგენს, და სერთაშორისო დონორი ორგანიზაციები, სადაც ეს საჭირო და გამართლებულია. საკონსულტაციო ჯგუფების ტექნიკური დავალებები გადასინჯვის პროცესშია შავი ზღვის კომისიის მიერ და დასრულებული იქნება 2002 წლისათვის.

ქვეყნების მთავრობათა მიერ სამოქმედო ცენტრის და ეროვნული საკონტაქტო პირების (ორგანოების) მხარდაჭერა არ შეესაბამება იმ ამოცანებს, რომელიც მათზეა დაკისრებული. აქედან გამომდინარე ყოველთვის მიმდინარეობდა და ამჟამადაც გრძელდება საერთაშორისო დახმარების მოძიება შავი ზღვის კომისიისა და მისი დამხმარე ორგანოების ინსტიტუციური გაძლიერების მიზნით.

მუხლი 23.
რეკომენდებულია, რომ სტამბოლის კომისიამ რეგულარულად გადასინჯოს საკონსულტაციო ჯგუფების სტატუსი და ფუნქციები და განიხილოს სპეციალური ჯგუფების დაარსების საკითხი ამ სტრატეგიული სამოქმედო გეგმის განხორციელებისათვის.

შავი ზღვის კომისია შექმნის ეროვნული მმართველობითი ორგანოების, შავი ზღვის კომისიის საერთაშორისო პარტნიორების, დაინტერესებული მხარეებისა და საერთოდ საზოგადოების საკონსულტაციო ჯგუფების მუშაობისა და შედეგების შესახებ ინფორმირების გასაგებ და გამჭვირვალე მექანიზმს.

ჩამოყალიბების პროცესშია ინფორმაციისა და მონაცემთა გაცვლის საკონსულტაციო ჯგუფი, რომელიც კოორდინირებული იქნება მუდმივი სამდივნოს მიერ. სამოქმედო ცენტრები (აქტიური ცენტრები), რომლებიც ჩამოყალიბდა GEF-ის მეშვეობით შავი ზღვის გარემოს დაცვის პროგრამის განხორციელებისათვის (1993-1995წწ) და რომელთა მუშაობისათვის ეროვნულ დონეზე აღებული იყო მათი შემდგომი მხარდაჭერის პასუხისმგებლობა „ინ-ქაინდ“ კონტრიბუციის სახით, კოორდინირებას უწევენ საკონსულტაციო ჯგუფების მუშაობას შავი ზღვის კომისიის გეგმის მიხედვით.

გარდა ამისა, ჩამოყალიბდება დროებითი საკონსულტაციო ჯგუფი ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის წყლის დირექტივასთან ჰარმონიზებისათვის.

შესადლოა აგრეთვე სხვა დროებითი ჯგუფების ჩამოყალიბება იმ ამოცანების მნიშვნელოვნებისა და მათი გადაუდებელი განხორციელების, ისევე როგორც დამატებითი განსაკუთრებული გამოცდილების მქონე ექსპერტების, საჭიროების მიხედვით.

მუხლი 24. რეკომენდებულია, რომ სტამბოლის კომისიას შავი ზღვის გარემოსდაცვითი პროგრამის მაკოორდინირებელი ორგანოდან (BSEP) გადაეცეს მუშაობისა და მოვლის პასუხისმგებლობა ელექტრონულ საკომუნიკაციო სისტემაზე, რომელიც დაარსებულია შავი ზღვის ინსტიტუციური ქსელის კომპონენტებს შორის კომუნიკაციების ხელშეწყობის მიზნით.

შავი ზღვის კომისიის მუდმივი სამდივნოს ჩამოყალიბებისთანავე შავი ზღვის კომისიამ აიღო ელექტრონული სისტემის, რომელიც დაარსდა კომუნიკაციის გაადვილების მიზნით GEF-ის პროექტის განხორციელებელი ორგანოს (PIU) შავი ზღვის ინსტიტუციური ქსელის კომპონენტებს შორის, წარმოების პასუხისმგებლობა დაწყებული 2000 წლის ოქტომბრიდან. რასრულად დაკომპლექტებული სამუშაო კადრებისა და არასაკმარისი დაფინანსების გამო შავი ზღვის კომისიის მუდმივ სამდივნოს, თხოვნის საფუძველზე, 2001 წლის დეკემბერში ევროკომისიისაგან აღმოუჩნდა დახმარება გრანტის სახით. შავი ზღვის ინფორმაციული სისტემა (BSIS) ჩამოყალიბების პროცესშია და სავარაუდოდ სრულფასოვნად 2002 წლის დეკემბრისათვის ამოქმედდება. ამ ღონისძიებისათვის GEF/UNDP-ის შავი ზღვის ეკოსისტემის აღდგენის პროექტის ფარგლებში მოსალოდნელია დამატებითი დახმარება.

მუდმივი სამდივნოს მუშაობა გარკვეულწილად ფერხდება იმის გამო, რომ შენელებულია ძირითადი შტაბ-ბინის ხელშეკრულების რატიფიკაციის პროცესი თურქეთის მთავრობასა და შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვის კომისიას შორის, ასევე, ქვეყნების მიერ გვიანდება შავი ზღვის კომისიის ბიუჯეტში სავალდებულო თანხების გადარიცხვა. ამჟამად მუდმივი სამდივნო შედგება აღმასრულებელი დირექტორისა და დაბინძურების მონიტორინგისა და შეფასების პასუხისმგებელი პირისგან. შავი ზღვის კომისიისათვის უცილებლობას წარმოადგენს მისი საშტატო კადრების სრულად დაკომპლექტება მაღალკვალიფიციური ტექნიკური ექსპერტებით.

მუხლი 25.

ეროვნული და რეგიონული კვლევითი ინსტიტუტების მუშაობის გასაძლიერებლად და უკეთ კოორდინირებისათვის რეკომენდებულია, რომ სტამბოლის კომისიამ აიღოს პასუხისმგებლობა კლირინგ-ჰაუსის მექანიზმზე (რომელიც ამჟამად BSEP-PCU-ს აკისრია) ბიბლიოგრაფიის, მონაცემთა წყაროებისა და კვლევითი პროგრამების შესახებ არსებული ინფორმაციის გაცვლისათვის. გარდა ამისა, რეკომენდებულია, რომ სტამბოლის კომისიამ ყოველ 2 წელიწადში ჩატაროს კვლევითი კონფერენციები იმ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია სტრატეგიული სამოქმედო გეგმის მიზნებთან. პირველი ასეთი კონფერენცია ჩატარდება 1998 წლის ივნისში.

შავი ზღვის რეგიონში შავი ზღვის გარემოს პრობლემების გადაწყვეტის გზების პოვნისათვის მნიშვნელოვანია კვლევითი კონფერენციების მოწყობა მეცნიერების მიერ მწვავე და ფუნდამენტურ პრობლემებზე აზრთა გაცვლის, გამოცდილების გაზიარებისა და საერთო მიდგომებზე შეთანხმების მიზნით. კონფერენციის მიზნები უნდა მოიცავდეს ცოდნის გაუმჯობესებას შავი ზღვის გარემოს მდგომარეობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესის შესახებ. მოძიებული იქნება საერთაშორისო და ეროვნული დახმარება კონფერენციების რეგულარულად მოწყობისა და კლირინგ-ჰაუზის მექანიზმების შესაქმნელად ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის, მონაცემების წყაროებისა და სამეცნიერო პროგრამების გაცვლისათვის. სამეცნიერო პუბლიკაციების პირველი ბიბლიოგრაფია შავი ზღვის რეგიონში 1998 წელს გამოიცა.

ბ. ფართო თანამშრომლობა

მუხლი 26.

შავი ზღვის ქვეყნებმა ინდივიდუალურად და ერთობლივად ხელი უნდა შეუწყონ შემდეგს:

ა) გაუმჯობესებულ კოორდინაციას იმ რეგიონალურ ორგანოებს შორის, რომლებსაც წვლილი შეაქვთ შავი ზღვის ეკოსისტემის რეაბილიტაციის, დაცვის და აგრეთვე მისი რესურსების მდგრადი განვითარების საქმეში. ასეთი ორგანოებია სტამბულის კომისია და მისი დამხმაე ორგანოები, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობა (BSEC), შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტაშორისო ასამბლეა (PABSEC), მომავალში დაარსებული შავი ზღვის თევზრეწვის კომისია და არასამთავრობო ორგანიზაციათა ფორუმი;

მუდმივმა სამდივნომ ჩამოაყალიბა სხვა რეგიონალურ ორგანოებთან თანამშრომლობის მექანიზმი და პროცედურა, შავი ზღვის კომისისათვის დამკვირვებლის სტატუსის მინიჭებით. დამკვირვებლის სტატუსი მიენიჭა მთელ რიგ ორგანიზაციებსაც მათ შორის BSEC, GEF, UNDP, მდინარე ღუნაის დაბინძურებისგან დაცვის საერთაშორისო კონვენცია (ICPDR), საპორტო სახელმწიფო კონტროლს, ევროკავშირს, შავი ზღვის არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელს და სხვებს.

რეგიონული თანამშრომლობის განმტკიცების მეორე ინსტრუმენტი ჩამოყალიბდა რიგი ურთიერთგაგების მემორანდუმების მეშვეობით (MOUs). ურთიერთგაგების მემორანდუმი შავი ზღვის კომისიასა და ICPDR-ს შორის მოლაპარაკებულ და ხელმოწერილ იქნა 2001 წელს. ურთიერთგაგების მემორანდუმი ACCOBAMS-ისა და შავი ზღვის კომისიის სამდივნოს შორის ხელმოწერილ იქნა 2002 წლის 14 ივნისს. ურთიერთგაგების მემორანდუმი შავი ზღვის კომისიასა და ევროპი გარემოს დაცვის სააგენტოს (EEA) შორის მოლაპარაკების სტადიაშია და მოსალოდნელია ხელმოწერილ იქნეს 2002 წლის ბოლოსათვის.

რადგან შავი ზღვის ქვეყნები მთელ რიგი საერთაშორისო, ევროპის და რეგიონული კონვენციებისა და ბუქარესტის კონვენციის საკითხებთან დაკავშირებული ხელშეკრულებების მხარეებს წარმოადგენენ, შესაფერი მიერ განხილული საკითხებისა, მუდმივი სამდივნო სათანადო თანამშრომლობას დაამყარებს მათ აღმასრულებელ ორგანოებთან და სამუშაო ქსელებთან.

ბ) მჭიდრო თანამშრომლობას რეგიონალურ სამთავრობო ორგანოებსა და არასამთავრობო ფორუმს შორის მოლაპარაკების პროცესის გამჭვირვალობით, ინფორმაციისა და

შავი ზღვის კომისიის დღის წესრიგში ერთ-ერთ მთავარ ქმედებას წარმოადგენს მჭიდრო თანამშრომლობის დამყარება რეგიონულ სამთავრობო ორგანოებსა და არასამთავრობო ორგანიზაციების ფორუმს შორის მოლაპარაკებების პროცესის გამჭვირვალობის, ინფორმაციისა და დოკუმენტების ფართო ხელმისაწვდომობისა და, სადაც შესაძლებელია, შეხვედრებზე დასწრების მეშვეობით. ნებისმიერი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც წარმოაჩენს რეგიონულ პრობლემებზე მუშაობის უნარსა და შესაძლებლობებს არსებული კრიტერიუმებისა და პროცედურების მიხედვით, შეუძლია განაცხადი გააკეთოს მისთვის დამკვირვებლის სტატუსის მინიჭებაზე. რეგიონული პროექტები, როგორც წესი, ყოველთვის მოიცავს არასამთავრობო ორგანიზაციის კომპონენტებსა და მცირე გრანტების პროგრამას, რომლის მიზანს წარმოადგენს არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის დახმარების აღმოჩენა მათ საქმიანობაში როგორც რეგიონულ, ასევე ადგილობრივ დონეზე. GEF-ის შავი ზღვის ეკოსისტემის აღდგენის პროექტის ფარგლებში გამოცხადდება მცირე გრანტების ახალი ტრანში.

გ) დონორთა ქმედებების მჭიდრო კოორდინაციას. მათ რიცხვში შედიან მრავალმხრივი ფინანსური ინსტიტუციები (ორგანიზაციები), ევროგაერთიანება და ორმხრივი დახმარების სააგენტოები და კერძო ფონდები, რომელთა მიზანს წარმოადგენს ამ სტრატეგიულ სამოქმედო გეგმაში მოცემული პროექტებისა და პოლიტიკური მიმართულების დაფინანსების უზრუნველყოფა და მომავალში ეროვნული სტრატეგიული სამოქმედო გეგმის შექმნაში დახმარება;

შავი ზღვის კომისიისათვის დონორთა მიერ გამოხატული მხარდაჭერა ბუქარესტის კონვენციის ხელმოწერის შემდგომ, მოიცავს გრანტებსა და ტექნიკურ დახმარებებს GEF, UNDP, UNEP, ევროკომისიიდან, TACIS, PHARE, ინდივიდუალური მთავრობებიდან და სხვა. UNDP/მსოფიო ბანკის „პარტნიორობის პროგრამა“ ამოქმედდა შავი ზღვის რეგიონში. ევროპის კომისიის მიერ DABLAS-ის მიზნობრივი ჯგუფის ჩამოყალიბების ინიციატივა კონკრეტულად მიმართული იყო შავი ზღვის სტრატეგიული სამოქმედო გეგმისა და შავი ზღვის ეროვნული სტრატეგიული სამოქმედო გეგმების საინვესტიციო კომპონენტებზე.

დ) მჭიდრო თანამშრომლობას შესატყვის საერთაშორისო ორგანიზაციებთან, გაეროს სპეციალიზირებული ორგანიზაციებისა და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების ჩათვლით, სტრატეგიული სამოქმედო გეგმის განხორციელებაში.

შავი ზღვის სტრატეგიული სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში კვლავ გაგრძელდება მჭიდრო თანამშრომლობა გაეროს სააგენტოებთან, ევროკომისიასა და შესაბამის სააგენტოებთან, საზღვაო რეგიონულ კონვენციებთან და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

მუხლი 27.
საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც მიესადაგებიან სტრატეგიული სამოქმედო გეგმის მიზნებსა და ამოცანებს, სასურველია განხორციელდეს, ხოლო სადაც ეს შესაფერისია, მაგრამ ჯერ არ განხორციელებულა, რეკომენდირებულია, რომ შავი ზღვის ქვეყნებმა განიხილონ ასეთი ხელშეკრულებების რატიფიკაცია ან მათზე მიერთება. ასევე უნდა იქნას განხილული სხვა სათანადო საერთაშორისო ინსტრუმენტების განხორციელების საკითხი.

ის საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც შეესაბამება სტრატეგიული სამოქმედო გეგმის მიზნებს და ამოცანებს და რომელთა ხელმომწერი მხარეები არიან შავი ზღვის სანაპირო ქვეყნები წარმოდგენილია ცხრილში II.2 და III.3.

III. პოლიტიკური ქმედებები

მუხლი 28.

იმის გათვალისწინებით, რომ საჭიროა მთლიანად სრულდებოდეს ბუქარესტის კონვენცია და ოდესის დეკლარაცია, აგრეთვე ოდესის დეკლარაციის შესრულების შეფასებისა და ტრანსსასაზღვრო დიაგნოსტიკური ანალიზის (TDA – ამ სტრატეგიული სამოქმედო გეგმის ტექნიკური დამატება) მონაცემთა გათვალისწინებით, აუცილებელია განხორციელდეს შემდეგი პოლიტიკური ქმედებები.

ა. დაბინძურების შემცირება

ა) დაბინძურების ხმელეთზე განლაგებული წყაროები

მდინარეები

მუხლი 29.

შავ ზღვაში ეუტროფიკაციის პრობლემების გადასაჭრელად უნდა შემუშავდეს შავი ზღვის აუზის ფართომასშტაბიანი სტრატეგია, რომელიც შეთანხმებული იქნება შავი ზღვის აუზის ყველა ქვეყნასთან. სტრატეგიის მიზანი იქნება განახორციელოს ნუტრიენტების ტვირთების ნაბიჯ-ნაბიჯ შემცირება იქამდე, სანამ არ მიიღწევა შავი ზღვის წყლის ხარისხის შეთანხმებული მიზნები. შესაძლებელია ასეთივე ფართომასშტაბიანი სტრატეგია დასჭირდეს სხვა დამაბინძურებლების შეტანის შემცირების უზრუნველყოფას, განსაკუთრებით – ნავთობის.

შავი ზღვის ეუტროფიკაციის საშიშროება და შედეგები ფართოდაა აღიარებული შავი ზღვის ქვეყნებისათვის ძირითად პრობლემად, ამიტომაც გარემოს დაცვის ეროვნული სტრატეგიები მოიცავს ნუტრიენტების ტვირთების შემცირების ღონისძიებებს. მდინარეების საშუალებით შავ ზღვაში მოხვედრილი ნუტრიენტების ტვირთები შავი ზღვის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

შავი ზღვის გარემოს რეაბილიტაციის გრძელვადიანი მიზანი 1998 წელს განსაზღვრულ იქნა შავი ზღვის და მდინარე დუნაის ექსპერტთა ერთობლივი ჯუფის მიერ. ეს საფუძვლად დაედო GEF-ის აუზის მასშტაბის პროექტს შავი ზღვისა და მდ. დუნაისათვის. როექტის გრძელვადიანი სტრატეგიული მიზანია რამდენადაც შესაძლებელია დიუახლოვდეს შავი ზღვის ისეთ ეკოლოგიურ მდგომარეობას, რომელიც 1960 წლისთვის არსებობდა, როდესაც ამ უკანასკნელის ბუნებრივი პირობები მნიშვნელოვნად არ იყო დაზიანებული. შავი ზღვის

ქვეყნებმა, თავიანთი შუალედური მიზნის სახით, გამოხატეს სურვილი არ გაზარდონ დამაბინძურებელი ნარჩენების მოხვედრა მასში ეკონომიკური პროგრესის პარალელურად.

მიუხედავად იმისა, რომ შავი ზღვის სანაპირო ქვეყნებიდან მხოლოდ ბულგარეთი, რუმინეთი და უკრაინა მიეკუთვნებიან მდ. დუნაის აუზს, დამაბინძურებლების გადაჭარბებული ტვირთების მოხვედრა დუნაის წყლებში და მათი მავნე ზეგავლენა შავი ზღვის შელფის ყველაზე პროდუქტიულ ნაწილზე არაპირდაპირი გზით გავლენას ახდენს იმ ქვეყნების ზღვის გარემოზეც, რომლებიც არ შედიან დუნაის აუზში. ეს განსაკუთრებით ეხება ანადრომიული სახეობების თევზებთან და ზღვის სხვა ცოცხალ რესურსებთან მიმართებით. ბულგარეთი, რუმინეთი და უკრაინა დუნაის დაცვის კონვენციის მხარეებიც არიან.

ეროვნული ძალისხმევა, შემცირებულიყო ევტროფიკაცია, მხარდაჭერილ იქნა საერთაშორისო თანამშრომლობის საფუძველზე განხორციელებული რამდენიმე GEF-ის და ევროკავშირის პროექტით შავი ზღვის კონვენციის მოქმედების არეალში და მსოფლიო ბანკისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) საინვესტიციო პროგრამებით (იხ. ცხრილი III .1).

- GEF-ის მდ. დუნაის აუზისა და განხორციელების მექანიზმებისათვის სტრატეგიული სამოქმედო გეგმის შემუშავება (ბელორუსია, რუსეთის ფედერაცია, უკრაინა);
- GEF-ის დუნაის დაბინძურების შემცირების პროგრამა;
- მდ. დუნაის აუზის ეკოლოგიური რეაბილიტაციისა და სასმელი წყლის ხარისხის გაუმჯობესების ეროვნული პროგრამა, უკრაინა;

UNDP-ისა და GEF-ის ბლოკ B-ს ჩარჩოში, 2000 წელს შავი ზღვის სანაპირო ქვეყნებმა შეიმუშავეს ან დაგეგმეს შავ ზღვაში ნუტრიენტების ტვირთების შემცირების ეროვნული გეგმები/ღონისძიებები, შემდეგი სახით:

ბულგარეთი	არ გამოეხმაურა;
საქართველო	არ გამოეხმაურა;
რუმინეთი	ევროკავშირში გაწევრიანების პროცესის ჩარჩოში;
რუსეთის ფედერაცია	ფედერალური პროგრამების ჩარჩოში;
თურქეთი	არ გამოეხმაურა;
უკრაინა	აზოვისა და შავი ზღვების დაცვისა და რეაბილიტაციის ეროვნული პროგრამისა (2001-2011წწ.) და მდინარის აუზისა და სექტორული სხვა პროგრამების ჩარჩოში.

ფართოდ არის აღიარებული რომ, მდგრად ხანგრძლივ შედეგებთან მიყვანა შეუძლია მხოლოდ შეთანხმებულ ქმედებებს ეროვნულ დონეზე ეფექტური თანამშრომლობის საფუძველზე ყველა სხვა დაინტერესებულ სექტორებთან (მუნიციპალურ, სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო) და შავი ზღვის აუზის ყველა ქვეყანასთან.

ნუტრიენტების შემცირების რეგიონული გეგმა, რომელიც შავი ზღვის გარემოს დაცვის პროგრამის (BSEP) მხარდაჭერით შემუშავდა, ეროვნულ დონეზე არ განხილულა და შავი ზღვის კომისის მიერ არ ყოფილა მიღებული. არ დაწყებულა ნუტრიენტების შემცირების გეგმის განხორციელების თაობაზე მიმდინარე რეგულარული ანგარიშგების პროცედურა.

შავი ზღვისა და მდ. დუნაის აღდგენის და დაცვის ღონისძიებების კოორდინირებას ანხორციელებენ:

ბულგარეთი	გარემოს დაცვისა და წყლის სამინისტრო;
რუმინეთი	გარემოს დაცვისა და წყლის სამინისტრო;
რუსეთის ფედერაცია	ბუნებრივი რესურსების სამინისტრო;
თურქეთი	გარემოს დაცვის სამინისტროს;
უკრაინა	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო.

მდ. დუნაის დაცვის საერთაშორისო კომისიასა და შავი ზღვის კომისიას შორისკოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით, 2001 წლის ნოემბერში, ბრიუსელში, ხელმოწერილ იქნა „გაგების მემორანდუმი“. მდ. დუნაის ქვეყნებთან თანამშრომლობას ხელი ეწყო DABLAS-ის მიზნობრივი ჯგუფის ქოლგის ქვეშ, რომელიც შექმნილია „დუნაის შავი ზღვის აუზში“ თანამშრომლობის შესახებ მინისტრთა დეკლარაციის, ბრიუსელი 2002წ, განხორციელები-სათვის.

შავი ზღვის ქვეყნებში გამოიყენება ჩამდინარე წყლების ზღვრული დასაშვები კონცენტრაციები და სტანდარტები, რომლებიც ხარისხის მიზნებად ითვლება. ისინი გამოანგარიშებულია წყლის თითოეული ობიექტისათვის. ბულგარეთი, რუმინეთი და თურქეთი ვალდებული არიან შეასრულონ ევროკავშირის ნიტრატების ღირებულებას და WFD-ს.

შავ ზღვაში გოგირდწყალბადით გაჯერებული ფენის შესახებ შეფასებაში ცოდნის არარსებობის გამო, აუცილებელია რომ მოხდეს ამ საკითხის და ეუთოოფიკაციის პროცესთან მისი კავშირის შესწავლა. ამ გამოკვლევაში ასევე ყურადღება უნდა დაეთმოს წყლის სვეტის გოგირდწყალბადით გაჯერებული ფენის სიცოცხლის ფორმების ფენომენს.

შავ ზღვასთან დაკავშირებული საერთაშორისო პროექტების განხორციელება რეგიონალურ დონეზე უკეთ კოორდინირებული უნდა იყოს. წყლის საერთაშორისო გლობალური შეფასება, რომელიც გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და GEF-ის საინიციატივო ღონისძიებას წარმოადგენდა და მიმართული იყო რეგიონული გარემოსდაცვის პრიორიტეტების იდენტიფიკაციაზე, უნდა შეთანხმდეს რეგიონულ ორგანოებთან. კოორდინაცია გაეროს გარემოსდაცვით პროგრამასთან (UNEP) ორივე მხრიდან უნდა იყოს გაუმჯობესებული. გაეროს გლობალურ სამოქმედო გეგმას მომავალში კიდევ უფრო შეეწყობა ხელი შავი ზღვის კომისიასთან მჭიდრო თანამშრომლობით. ინსტიტუციური ქსელები, რომლებიც მოიცავს საკონტაქტო პირებს, რეგიონალურ ცენტრებს და ა.შ., მჭიდროდ დაკავშირებულნი და ინფორმირებულნი უნდა იყვნენ მნიშვნელოვანი საერთო ღონისძიებების შესახებ.

ამკარად შესამჩნევია ცოდნის უკმარისობა და არასაკმარისი ინფორმაცია შემდეგ საკითხებში:

- ცხელი წერტილების ახლანდელი მდგომარეობის და მათი აღმოფხვრისათვის საჭირო ინვესტიციების, ისევე როგორც ნარჩენი წყლების მართვის შეფასება.
- შავ ზღვაში ლიფუზური წყაროების, მდინარეებისა და ატმოსფერული ჰაერით გადატანილი დაბინძურების შეფასება.
- მყარი ნარჩენების პრობლემების და მათი მართვის შეფასება
- სანაპიროს ეროზიისა და აბრაზიის შეფასება აზოვისა და შავი ზღვის სანაპიროების ურბანული განვითარების გათვალისწინებით.

საჭირო ღონისძიებები:

- ⇒ 2004 წლისათვის ნუტრიენტებით დაბინძურების შემცირების გეგმის ბოლომდე შემუშავება, მიღება და განხორციელების დაწყება.
- ⇒ კოორდინაციის გაუმჯობესება საერთაშორისო პროექტებს, პროგრამებს, ქმედებებს შორის და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის, როგორცაა UNEP, ENDP, GEF, EU და სხვა.
- ⇒ დაჩქარდეს რეგიონული დადგენილი მაჩვენებლებისა და სტანდარტების შემუშავება. გამოინახოს შესაძლებლობა დამაბინძურებლებისა და ნუტრიენტების ზღვაში მოხვედრის შესახებ რეგიონული სამეცნიერო კვლევების დაფინანსებისათვის; როგორც მოსალოდნელია დაბინძურების მონიტორინგისა და შეფასების საკონსულტაციო ჯგუფი (AG PMA) და ხმელეთზე განლაგებული წყაროების საკონსულტაციო ჯგუფი (AG LBS) დაასრულებს ხარისხის რეგიონული დადგენილი მაჩვენებლების შემუშავებას 2003 წლის დასასრულისათვის.
- ⇒ განახლდეს "ტრანსსასაზღვრო დიაგნოსტიკური ანალიზი" მთელი აუზის მასშტაბით მიდგომისა და უკანასკნელ ხანებში ევროპის სტრატეგიების შემუშავების, მათ შორის ევროპაში საზღვაო სტრატეგიის შემუშავების გათვალისწინებით.
- ⇒ 2006 წლამდე შემუშავდეს შავი ზღვის აუზის ქვეყნების მიერ ერთობლივად შეთანხმებული მდინარიდან დაბინძურების შეფასების მეთოდოლოგია, ტექნიკა და გარემოსდაცვის ინდიკატორები.
- ⇒ ჩამოყალიბდეს მჭიდრო კოორდინაცია მდინარის აუზის არსებულ პროგრამებთან, რათა იტვირთონ შეთანხმებული მოქმედებანი შავი ზღვის აუზის გარემოსდაცვის პირობების გაუმჯობესებისათვის ბრუსელის სამინისტრო დეკლარაციის (26 ნოემბერი, 2001) შესაბამისად. ეს თანამშრომლობა მხარდაჭერილი იქნება GEF-ის, TACIS-ის, NATO-ს და IAEA-სა და სხვა პროექტების მეშვეობით.
- ⇒ ერთობლივად შემუშავდეს და განხორციელდეს ინდიკატორების შეთანხმებული სისტემა და ხარისხის სტანდარტები შავი ზღვის სანაპირო ქვეყნებსა და მდ. დუნაის ქვეყნებს შორის კონსულტაციების საფუძველზე.
- ⇒ დაარსდეს ინფორმაციის გაცვლის სისტემა, რომელშიც შევა ყველა არსებული ICPDR გამოკვლევის შავ ზღვასთან დაკავშირებული საკითხების აღნუსხვა.
- ⇒ მოხდეს შეთანხმება რიგი დამატებითი ღონისძიებების თაობაზე, რათა მიღწეულ იქნეს გაზომვადი შედეგები შავი ზღვის გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესების პროცესში.
- ⇒ ჩამოყალიბდეს და ხელი შეეწყოს რეგიონული საინფორმაციო სისტემის მდგრადობას, რომელიც ორივე კომისიისათვის მნიშვნელოვანი საკითხების მომცველი იქნება.

ბ) დაბინძურება ჰაერიდან

მუხლი 31.

მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ჰაერით გადატანილი დამაბინძურებლების საკითხს, განსაკუთრებით ტრანსსასაზღვრო ხასიათის დამაბინძურებლებს და აგრეთვე მათი წარმოშობის ადგილზე მართვის საჭირო ზომებს. ამ პრობლემის სიდიდის საწყისი შეფასება უნდა განხორციელდეს (დაიწყოს?) 1999 წლისათვის.

ეროვნული მოხსენებების თანახმად, შავი ზღვის სანაპირო ქვეყნებში ჰაერიდან დაბინძურების რაიმე სერიოზულ ზრდას ადგილი არ ჰქონია. (იხ. ცხ. III .2) ეროვნულ დონეზე, გარემოს დაცვის სახელმწიფო მმართველობითი ორგანოები აწარმოებენ ჰაერიდან დაბინძურების მონაცემების სტატისტიკას. თუმცა, არცერთი რეგიონული კვლევა არ ჩატარებულა დაბინძურების ტრანსსასაზღვრო გადატანის, ატმოსფეროდან შავ ზღვაში დამაბინძურებლების დატვირთვის შეფასებისა და არც ადგილობრივ ბიოტასა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ასეთი დაბინძურებით გამოწვეული მავნე ზემოქმედების განსაზღვრის მიზნით. საერთო ეკონომიკური სიტუაციისა და მოქმედი ეროვნული კანონმდებლობის გათვალისწინების ფონზე, ეკონომიკური განვითარების ზრდის ძალიან ნელი ტემპი ან მისი საერთოდ არარსებობა დღეისათვის არ ქმნის შავი ზღვის გარემოსთვის საშიშროებას. მიუხედავად ამისა, მომავალში პრობლემების თავიდან აცილების მიზნით, სასურველია შემუშავდეს და დაინერგოს სიფრთხილის გამოჩენის ღონისძიებების განხორციელება.

ტყვიაშემცველი ბენზინი ჯერ კიდევ გამოიყენება შავი ზღვის სანაპირო ქვეყნების მიერ, თუმცა თანდათანობით ხდება მისი მოხმარებიდან ამოღება. რუსეთმა გამოთქვა სურვილი მიახლოებულიყო ევროკავშირის დადგენილ მაჩვენებლებს ტყვიის ემისიებში 2010 წლისათვის. თურქეთი კი იყენებს, როგორც ეკონომიკური სტიმულირების ბერკეტებს, ასევე მთავრობის სუბსიდიებს არატყვიაშემცველი ბენზინის გამოყენების ხელშეწყობისათვის. ამასთან დამატებით, თურქეთი ხელს უწყობს ძრავის თხევადი აირის გამოყენებას.

საკანონმდებლო ბაზა ჰაერის ემისიების კონტროლისა და რეგულირების მიზნით მოიცავს ძირითად კანონებს, წესდებებს, წესებსა და პროცედურებს. ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სტანდარტები და ემისიებზე ნებართვები შავი ზღვის ქვეყნებისათვის ზოგადად მიღებულ პრაქტიკას წარმოადგენს.

ჰაერის დაბინძურების მონიტორინგის ინსტიტუციური მოწყობა განსხვავებული ქვეყნიდან ქვეყანაში: ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურები (საქართველო, რუსეთი, უკრაინა), გარემოს დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოები (საქართველო, რუმინეთი, უკრაინა და თურქეთი), ჯანმრთელობის დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოები (უკრაინა და თურქეთი). ჰაერით დაბინძურების ზემოქმედების შეფასების რეგულარულ ანგარიშგებას მხოლოდ რუსეთის ფედერაცია აწარმოებს. ინფორმაციის გაცვლა ჰაერით ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ რეგიონში არ მოიპოვება (ცხრილი IIIA.3).

საჭირო ღონისძიებები:

- ⇒ 2003 წლისათვის დამკვიდრდეს მჭიდრო თანამშრომლობა სხვა შესაბამის მხარეებთან იმ კონვენციებისა, რომელთა მხარეებიც არიან შავი ზღვის ქვეყნებიც.
- ⇒ 2005 წლისათვის ჰაერით გამოწვეული დაბინძურების მონიტორინგი შევიდეს "შავი ზღვის ინტეგრირებული მონიტორინგისა და შეფასების პროგრამაში".
- ⇒ ხელი შეეწყოს ტყვიაშემცველი ბენზინის ხმარებიდან ამოღებას.
- ⇒ გაგრძელდეს თანამშრომლობა კლიმატის ცვლილების კონვენციასა და მისი კიოტოს პროტოკოლთან, ასევე ჰაერით შორ მანძილზე ტრანსსასაზღვრო დაბინძურების კონვენციასა და სხვა შესაბამის კონვენციებსა და პროტოკოლებთან, რომელთა მხარეებიც არიან შავი ზღვის ქვეყნები, რათა ხელი შეეწყოს მათ განხორციელებას შავი ზღვის ქვეყნებში.
- ⇒ ხმელეთზე განლაგებული დაბინძურების წყაროების საკონსულტაციო ჯგუფმა დაბინძურების მონიტორინგისა და შეფასების საკონსულტაციო ჯგუფთან ერთად, ზემოხსენებულ კონვენციებსა და მეტეოროლოგიის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (WMO) მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე, უნდა მოამზადონ წინადადება ატმოსფეროს დაბინძურების მოცულობის რეგიონული შეფასების თაობაზე შესაბამის საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტში (IFI) წარსადგენად 2004 წლისათვის.
- ⇒ იმისათვის რომ მიღწეულ იქნას ადეკვატური ინფორმაციის მიღება ჰაერით გადატანილი დაბინძურებისა და შავი ზღვის ეკოსისტემასა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მისი ზემოქმედების რეგულარული შეფასების განხორციელების მიზნით, ხელი შეეწყოს მჭიდრო თანამშრომლობას შავი ზღვის ქვეყნების გარემოსდაცვისა და ჯანდაცვის პასუხისმგებელ ორგანოებს შორის, ასევე იმ ინსტიტუტებს შორის, რომლებიც მონაწილეობენ ჰაერით გადატანილი დაბინძურების მონიტორინგში.
- ⇒ მოხდეს ჰაერით გადატანილი დაბინძურების მოცულობის შეფასებისათვის საჭირო მეთოდოლოგიისა და ანალიტიკური ტექნიკური საშუალებების ჰარმონიზება და დამკვიდრდეს ხარისხის უზრუნველყოფისა და ხარისხის კონტროლის სისტემა.
- ⇒ ხელი შეეწყოს სექტორთაშორის თანამშრომლობას ეროვნულ და რეგიონულ დონეზე ბუქარესტის კონვენციის დებულებების განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით.
- ⇒ 2004 წელს "შავი ზღვის ეკოსისტემის აღდგენის პროექტში" შევიდეს ჰაერის ემისიებისა და ჰაერით გადატანილი დაბინძურების მოცულობის პირველად განხორციელებული შეფასება. მ გამოკვლევების ფარგლებში უნდა შემუშავდეს და დაინერგოს ჰაერით გადატანილი დაბინძურებისა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასების შეათანხმებული მეთოდოლოგიები.
- ⇒ განხორციელდეს რეგულარული ხასიათის ანგარიშგების სისტემა საყოველთაოდ აღიარებული ფორმატით, რომელიც შემუშავებული იქნება ხმელეთზე

გ) მაღალი პრიორიტეტის მქონე წერტილოვანი წყაროები

მუხლი 32.

დამაბინძურებელთა შესამცირებელი პრიორიტეტული ადგილების (ცხელი წერტილების) სია შექმნილია. მის საფუძველზე შესამუშავებელია დამაბინძურებელთა მკვეთრი შემცირების, წყლის ხარისხის აღიარებული მაჩვენებლების მიღწევამდე, ეროვნული სტრატეგიები და განრიგები. შემდეგი სამოქმედო მიმართულება მიღებული იმ ვარაუდით, რომ ასეთი შემცირება მიღწეული იქნას 2006 წლისათვის. ყველა შავი ზღვის ქვეყანამ საკუთარ ეროვნულ სამოქმედო გეგმაში საჭიროა შეირჩიოს თავის ტერიტორიაზე განლაგებული ცხელი წერტილებიდან შემცირებული დაბინძურების მიღწევის სტრატეგიები და განრიგები. იმ შემთხვევებში, როცა საჭიროა კაპიტალდაბანდები განსაკუთრებული ცხელი წერტილების მოსავლელად და შეიძლება საჭირო გახდეს წინასაინვესტიციო ან საინვესტიციო შესწავლა, სადაც შესაძლებელია – დამფინანსებლის დახმარებაც.

შავი ზღვის ქვეყნებს აქვთ სერიოზული ეკონომიკური პრობლემები, რომელიც დაიწყო 80 – იანი წლების ბოლოს და 90-იანი წლების დასაწყისში და დღესაც გრძელდება. ეკონომიკური აღმავლობის შესახებ ამ ქვეყნებში მხოლოდ ახლახანს გახდა ცნობილი. დაქვეითება ეკონომიკურ საქმიანობაში აისახა მთლიანი დაბინძურების შემცირებაში დაბინძურების სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წყაროებიდან. შემჩნეულია, რომ დაბინძურების შემცირებას აქვთ მრავალი საერთო დამახასიათებელი თვისება, კერძოდ:

- ჩამდინარე სამრეწველო დაბინძურების შემცირება, სამრეწველო ნაწარმის წარმოების შემცირების ხარჯზე.
- მსხვილფენა საქონლის ფერმების, სახნავ-სათესი მიწების შემცირება სასოფლო-სამეურნეო სექტორის შემცირების ხარჯზე.
- ორგანული და მინერალური სასუქი ნივთიერებების და პესტიციდების შემცირებული გამოყენება.
- ტურისტული სექტორის დაქვეითება
- ამორტიზებული და მოძველებული ნარჩენების გამწმენდი ნაგებობები და საკანალიზაციო სისტემა.

შედეგად ტიპური სამრეწველო დამაბინძურებლების რაოდენობა ჩამდინარე წყლებში შემცირდა, მაგრამ ტიპური მუნიციპალური დამაბინძურებელი, როგორცაა აზოტი, ჟანგბადის ბიოლოგიური მოთხოვნილება (BOD) და სხვა, იმავე მაჩვენებელზე რჩება (იხ. შავი ზღვის გარემოს მდგომარეობა: ზეგავლენა და ტენდენცია, 1996-2001წწ.).

შავი ზღვის სანაპირო ქვეყნების ეკონომიკურმა მდგომარეობამ წვლილი შეიტანა დაბინძურების შემცირებისათვის სტრატეგიების შემუშავების საქმეში, რომლებიც მიმართულია ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების (WWTP) აშენება/რეკონსტრუქციაზე, გაწმენდის/გადამუშავების ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე, ისევე როგორც რესურსების დაზოგვის ტექნოლოგიებისა და ღირებულების ანაზღაურების დანერგვაზე. ამ სტრატეგიების განხორციელება ფერხდება რეგიონში არსებული ეკონომიკური მდგომარეობისა და არაჯეროვნად განვითარებული საბაზრო ეკონომიკის გამო. იმავედროულად, შავი ზღვის ქვეყნებმა მიაღწიეს მნიშვნელოვან წინსვლას გარემოსდაცვის კანონმდებლობის შემუშავებაში, თუმცა, როგორც ჩანს მისი ცხოვრებაში გატარება არაადექვატურად ხორციელდება.

“ტრანსსასაზღვრო დიაგნოსტიკურმა ანალიზმა” და “შავი ზღვის გარემოს დაცვის პრიორიტეტების შესწავლამ”, რაც შავი ზღვის გარემოს დაცვის პროგრამის (BSEP) მიმდინარეობის დროს განხორციელდა, დაადგინა დაბინძურების ის “ცხელი წერტილები” შავი ზღვის თითოეული ქვეყნისათვის, რომლებიც გადაუდებლად საჭიროებენ ინვესტიციებს. თავდაპირველად გამიზნული შავი ზღვისპირეთის ყველა ქვეყნისათვის, გარემოს დაცვის ეროვნული პრიორიტეტების შესწავლა გამოქვეყნდა მხოლოდ თურქეთისა და უკრაინისათვის და ისინი გარკვეულ მნიშვნელოვან უზუსტობებს შეიცავდა.

საჭირო ღონისძიებები:

- ⇒ გარემოსდაცვითი პრიორიტეტული კვლევების გადასინჯვა და გამოქვეყნება 2005 წლისათვის ისევე, როგორც მისი განახლების რეგულარული პროცესის დანერგვა. რეკომენდირებული საფინანსო წყაროებს წარმოადგენენ GEF, UNDP და TACIS-ი.
- ⇒ ჩამდინარე წყლის გამწმენდი ნაგებობებისა და საკანალიზაციო სისტემების გაფართოების, განახლების და/ან მოდერნიზების მიზნის განხორციელებისათვის საკმარისი ინვესტიციების მოზიდვა მუნიციპალურ სექტორში.
- ⇒ წყლის მარაგისა და ნარჩენი წყლების გამწმენდი სისტემების მოდერნიზება და გაუმჯობესება.
- ⇒ მუნიციპალურ სექტორში მომსახურე პერსონალის მუშაობის, უზრუნველყოფისა და ტრენინგის გაუმჯობესება;
- ⇒ მუნიციპალურ სექტორში შენახვის ხარჯების ანაზღაურების მიზნით გაწეული მომსახურებისათვის სრული ანაზღაურების დანერგვა;
- ⇒ ეკოლოგიურად საიმედო ინვესტიციების მოზიდვის მიზნით ეკონომიკური წახალისების და სახელმწიფო და კერძო თანამშრომლობის სრული განვითარება.

დ) წერტილოვანი წყაროების რეგულირება

მუხლი 34.
 მაღალი პრიორიტეტების მქონე წერტილოვანი წყაროების გარდა, 2000 წლის იანვრისათვის თითოეული შავი ზღვის ქვეყანა მოამზადებს ყოვლისმომცველ ეროვნულ გამოკვლევებს არასაკმარისად გაწმენდილი ჩამდინარე წყლების ჩაღვრის შესახებ. რეკომენდირებულია, რომ ამ საქმიანობას კოორდინირება გაუწიოს სტამბულის კომისიამ, ხმელეთზე განლაგებული წყაროებიდან გამოწვეული დაბინძურების მართვის საკონსულტაციო ჯგუფის მეშვეობით. ამ გამოკვლევებში უნდა გაანალიზდეს ის სარგებლობა, რომელსაც მოუტანს გამწმენდი მოწყობილობების დაყენება ადამიანთა ჯანმრთელობას, გარემოს დაცვას და რეკრეაციას, ისევე როგორც ნარჩენი წყლების

არასაკმარისად გაწმენდილი წყლების პრობლემა წარმოიქმნება გადატვირთული, ამორტიზებული და გაცვეთილი აღჭურვილობის გამოყენების, მუნიციპალურ სექტორში ვადაგასული ტექნოლოგიების, ჩამდინარე წყლების კოლექტორებისა და მილების ცუდი მდგომარეობის, ისევე როგორც არასაკმარისი ინვესტიციების გამო. ამ თვალსაზრისით სიტუაცია რამდენადმე უკეთესია თურქეთში, სადაც პროცენტულად ბევრად უფრო მაღალია მცირე მუნიციპალიტეტები და სოფლები. ამის შედეგად, სიტუაცია უკეთესია ამოქმედებული გარემოს კანონმდებლობისა და შემცირებული წყლის მოხმარების და არა ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების მოდერნიზებისა და განახლების გამო. არასაკმარისად გაწმენდილი წყალი წარმოადგენს დაღმავალ ტენდენციას შავი ზღვის სანაპიროს უმეტესი ქვეყნებისათვის. (იხ. შავი ზღვის გარემოს მდგომარეობა, 1996-2001 წწ)

საჭირო ღონისძიებები:

- ⇒ მუნიციპალურ სექტორში საკარისი ოდენობის ინვესტიციების მოზიდვა;
- ⇒ ნარჩენი წყლების გამწმენდი ნაგებობების მუშაობისა და სარემონტო სამუშაოების გაუმჯობესება;
- ⇒ მუნიციპალური სამსახურისათვის სრული ანგარიშსწორების შემოღება შენახვის ხარჯების დაფარვის მიზნით;
- ⇒ ეკონომიკური წახალისებებისა და სახელმწიფო/კერძო პარტნიორობის დანერგვა;
- ⇒ ფინანსური თვალსაზრისით სიცოცხლისუნარიანი პროექტების შესამუშავებლად დახმარების მოზიდვა;
- ⇒ მსოფლიო ბანკის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის, გაეროს განვითარების პროგრამის, ევროკომისიისა და სხვა ფინანსური ინსტიტუტების აქტიური ჩაბმა აღრიცხვადი პროექტების მომზადებასა და განხორციელებაში;
- ⇒ რელისტური და გადაუდებელი საინვესტიციო პაკეტის გაუმჯობესება და შემუშავება.
- ⇒ ნიუ-ჰაუსა და ტექნოლოგიების გადმოღება.
- ⇒ პროფესიონალური ტრენინგისა და სამეცნიერო გაცვლების გაუმჯობესება;

მუხლი 35.

ბუქარესტის კონვენციის ხმელეთზე განლაგებული წყაროების პროტოკოლის განსახორციელებლად, იმ მიზნით, რომ საერთოდ თანდათანობით მოხდეს დამაბინძურებლების შემცირება და შეწყდეს გლობალური მნიშვნელობის ქიმიურად მდგრადი დამაბინძურებლების (POP-ების) ჩაღვრები უნდა გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

შავი ზღვის გარემოს დაბინძურებისაგან დაცვის 1992 წლის კონვენციის ხმელეთზე განლაგებული წყაროებიდან შავი ზღვის გარემოს დაბინძურებისაგან დაცვის პროტოკოლი, რომელიც პირობითად ადგენდა დაბინძურების შემცირებს მთავარ მიმართულებებს და განსაზღვრავდა ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა პასუხისმგებლობას დაბინძურების

შემცირებაზე ხმელეთზე განლაგებული წყაროებიდან სრულად არ იქნა განხორციელებული. შეუსრულებელი კომპონენტები შეიცავს შემდეგს:

- ემისიების საერთო სტანდარტები და დაბინძურების შემცირების ვადები;
- ზღვის შესართავების სპეციალური მახასიათებლების საერთო სახელმძღვანელო მითითებები (პრინციპები), სტანდარტები და კრიტერიუმები;
- დაბინძურების თავიდან აცილების კრიტერიუმები და რეკომენდირებული ღონისძიებები დაბინძურების შემცირების, კონტროლისა და აღმოფხვრის განსახორციელებლად;
- დაბინძურების შემცირებისა და განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის გაცვლისა და ანგარიშგების სისტემა.

ზემოთქმული მოსაზრებები ეხება ყველა დამაბინძურებელს, მდგრად ორგანულ დამაბინძურებლებს, რომლებიც 2001 წლიდან შესულია კონვენციაში „მდგრადი ორგანული დამაბინძურებლის“ შესახებ. მიუხედავად იმისა, ქიმიური ნივთიერებების სიიდან, რომელთა გამოყენება დაშვებულია შავი ზღვის ქვეყნებში, ამოღებულია ქლორირებული დამაბინძურებლები, მათი მუდმივი გამოყენება კვლავაც უქმნის საფრთხეს ზღვის გარემოს. მათი აკუმულირება დროთა განმავლობაში მოხდა სანაპირო არეალში. შავი ზღვის ქვეყნებს არ გააჩნიათ საკმარისი უნარი გადაამუშაონ ვადაგასული მდგრადი ქიმიკატები, რომელთა წყაროს უმთავრესად სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა წარმოადგენს. შესაბამისი (ადექვატური) სასაწყობე საშუალებების არარსებობა გარდაუვალ დამატებით საფრთხეს უქმნის ზღვის ეკოსისტემასა და ადამიანის ჯანმრთელობას. შავი ზღვის ქვეყნებიდან მხოლოდ ბულგარეთმა მოახდინა „მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების შესახებ (POP-ის) კონვენციის რატიფიცირება. მიუხედავად ამისა POP-ის პრობლემა არსებობს და მის მოგვარებაში შავი ზღვის ყველა ქვეყანამ უნდა მიიღოს მონაწილეობა.

შავი ზღვის არც ერთ ქვეყანას არა აქვს POP-ი შეტანილი გამოსაყენებლად ნებადართული პესტიციდების ჩამონათვალში; წესები და პროცედურები ნებადართული პესტიციდების გამოყენების შესახებ უკვე ძალაშია შესული. თუმცა ფერმერთა განათლების დონე და მათი არასაკმარისი უნარიანობა ადგილობრივ დონეზე გადაწყვიტონ ეს საკითხები კვლავაც აშფოთებს მოსახლეობას და შესაძლებელია, რომ პესტიციდების არაადექვატურმა გამოყენებამ გამოიწვიოს ეკოსისტემის დარღვევა.

მდგრადი ქიმიკატების სხვა ჯგუფის წარმოება ან გამოყენება, როგორცაა პოლიქლორირებული ბიფენილები და დიოქსინები, აკრძალულია შავი ზღვის ქვეყნებში (ბულგარეთი, საქართველო, რუმინეთი, რუსეთის ფედერაცია - წარმოება 1988 წლიდან, თურქეთი - გამოყენება 1996 წლიდან, უკრაინამ ამ შეკითხვას არ უპასუხა). 1994 წელს რუსეთის ფედერაციაში დამთავრდა პოლიქლორირებული ბიფენილების (PCB) მონიტორინგი ზღვის გარემოში მათი ძალიან დაბალი კონცენტრაციების გამო, მაგრამ მონიტორინგი ხორციელდება უკრაინაში. ამ შენაერთების შავი ზღვის გარემოში არსებული დონეების, ტენდენციებისა და საბოლოო ბედის შესახებ ცოდნა არასაკმარისია და განსაკუთრებულ შესასწავლას მოითხოვს.

საჭირო ღონისძიებები:

- დაბინძურების ხმელეთზე განლაგებული წყაროების პროტოკოლის გადასინჯვა, მისი გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის გლობალურ სამოქმედო გეგმასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.
- რობლემებისა და რეკომენდირებული ნოუჰაუს მასშტაბების შეფასება დროთა განმავლობაში დაგროვილი POP-ის ლიკვიდირების მიზნით.

- POP-ის კონვენციასთან მჭიდრო სამუშაო კავშირების დამყარება და POP-ის კონვენციის შავი ზღვის სანაპირო ქვეყნებში აქტივირება.
- 2006 წლისათვის ჩატარდეს POP-ის შეფასება შავ ზღვაში თავდაპირველად სკრინინგის ჩატარებით 2004 წლისათვის GEF-ის და TACIS-ის პროექტების ფარგლებში და მჭიდრო თანამშრომლობა POP-ის კონვენციასთან პრობლემის მასშტაბისა და შავი ზღვის გარემოსადმი პოტენციური საფრთხის შეფასების მიზნით.

ა) წყლის ხარისხის დადგენილი მაჩვენებლები სრულ შეთანხმებაში უნდა იყოს წყლის გამოყენების თვალსაზრისით (დასალევი წყალი, საბანაო წყალი, აკვაკულტურა, პორტები და ა.შ) რეკომენდირებულია რომ სტამბოლის კონვენცია მისივე საკონსულტაციო ჯგუფის გაცემულ რეკომენდაციებზე დაბინძურების მონიტორინგისა და შეფასების საკითხების ირგვლივ მიიღოს ისეთი დახვეწილი წყლის ხარისხის გაუმჯობესებული მიზნები და საჭიროებისამებრ-სტანდარტები-1998წ. შუა პერიოდში, შემდეგ ეს მიზნების უნდა ექვემდებარებოდნენ შემეცნებით მიმოხილვას ყოველ 5 წელიწადში.

პირველი მიდგომა წყლის ხარისხის რეგიონალი დადგენილი მაჩვენებლებისადმი შემუშავდა დაბინძურების მონიტორინგისა და შეფასების აქტიური ცენტრის მიერ, (ოდესა, უკრაინა) 1996-1997 წლებში TACIS-ის ფონდის ფარგლებში. ეს დოკუმენტი გამოდგა როგორც საფუძველი ამ საკითხზე პირველი დისკუსიებისა. დღეისათვის ნათელი გახდა, რომ გარემოს ხარისხის დადგენილი მაჩვენებლების კონცეფცია სათანადო დონემდე არ იქნა შემუშავებული. შავი ზღვის სანაპირო ქვეყნებში დომინირებს მთავარი მიდგომა, რომლითაც წყლის ხარისხის სტანდარტები გაიგივებულია წყლის ხარისხის დადგენილ მაჩვენებლებთან. ზღვის წყლის ხარისხის სტანდარტები დადგენილია რუმინეთში, რუსეთის ფედერაციასა და უკრაინაში.

წყლის ხარისხის დადგენილი მაჩვენებლები აკვაკულტურასა და საბანაო წყალთან არ განხილულა რეგიონალურ დონეზე. ბულგარეთის, რუმინეთისა და თურქეთისათვის გაწვერიანების პროცესის გათვალისწინებით, ევროკავშირის საბანაო წყლების ღირებულებისა და ბაკნინი ზღვის ცხოველების შესახებ ღირებულების მოთხოვნები ამ ქვეყნებისათვის უპირველეს საკითხებს.

რეგიონული მასშტაბით არ მომხდარა ჩამდინარე წყლების ფაქტიური რაოდენობის მონიტორინგის მონაცემთა ჰარმონიზება, რასაც, როგორც მოსალოდნელ იყო უნდა შეექმნა ბაზა რეგულარული ანგარიშგებისათვის ეროვნული დონეზე ცხელი წერტილების ლიკვიდაციის პროცესის პროგრესის შესახებ.

ეკოლოგიური ინსპექციების ან მისი ექვივალენტური ორგანოს მიერ განხორციელებული მონიტორინგი, ისევე როგორც ზღვის გარემოში ჩამდინარე წყლების მწარმოებელი საწარმოებისა (ბულგარეთი, საქართველო, რუსეთის ფედერაცია, თურქეთი, უკრაინა) სავალდებულო თვით-მონიტორინგი ჩვეულებრივ პრაქტიკას წარმოადგენს შავი ზღვის ქვეყნებისათვის. მონიტორინგის სიხშირე თურქეთში დამოკიდებულია ნარჩენი ჩამდინარე წყლის ოდენობაზე, ხოლო რაც შეეხება რუსეთსა და უკრაინას, აქ სავალდებულოა ყოველდღიური მონიტორინგი ყოველი საწარმოსათვის. ფაქტიური ჩამდინარე წყლების მეთოდოლოგიების, მიდგომების, ტექნიკური საშუალებებისა და პროცედურების მონიტორინგი და შეფასება განსხვავებულია ქვეყნიდან ქვეყანაში შავი ზღვის რეგიონში. გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს საერთო მიდგომისა და ჰარმონიზირებული სისტემის შემუშავება შეფასებისათვის, რომელიც დაეფუძნება რეგიონულ დონეზე ჰარმონიზებულ

გარემოს ხარისხის დადგენილ მაჩვენებლებს და კრიტერიუმებს დაბინძურების შემცირებაში პროგრესის მისაღწევად.

მთავარი პასუხისმგებლობა ჩამდინარე წყლების მონიტორინგის განხორციელებაზე მონიტორინგზე ეკისრებათ გარემოს დაცვის სფეროს პასუხისმგებელ ორგანოებს, რაც შემთხვევებში სხვა ინსტიტუტებთან ერთად, როგორც არის, მაგალითად სოფლი მეთურნეობის სამინისტრო თურქეთში. ინფორმაცია ფაქტობრივ ჩამდინარე წყლებზე გროვდება მათ მიერ, რომლებიც ფლობენ ამ ინფორმაციას, ასევე სტატისტიკური სამსახურების მიერ (რუსეთის გამოკლებით), კერძოდ:

ბულგარეთი	- გარემოსდაცვის აღმასრულებელი სააგენტო;
საქართველო	- გარემოსდაცვის სამინისტრო;
რუმინეთი	- წყლისა და გარემოსდაცვის სამინისტრო წყლის ეროვნული კომპანიების მეშვეობით;
რუსეთის ფედერაცია	- ბუნებრივი რესურსების სამინისტრო;
თურქეთი	- გარემოსდაცვის სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტები;
უკრაინა	- წყლის მართვის კომიტეტი (სპეციალური ფორმა ყოველწლიურად წარმოდგენილი საწარმოების მიერ) და სტატისტიკის დეპარტამენტები.

მონაცემების უზრუნველყოფა განსხვავებულია ქვეყნიდან ქვეყანაში, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში არ არის ადეკვატური; საწარმოდან მიღებული ინფორმაციის კონტროლი ადვილი არ არის; ადგილობრივი გარემოსდაცვის პასუხისმგებელი ორგანოები, რომლებიც უფლებამოსილი არიან აწარმოონ საწარმოების კონტროლი ტექნიკურად არასაკმარისად აღჭურვილი და ფინანსურად ძალიან სუსტნი არიან, ამასთან განიცდიან კადრების უკმარისობას. პროფესიული მომზადება უმეტეს შემთხვევაში ასევე არა შესაბამისია.

საჭირო ღონისძიებები:

- ⇒ საჭირო ტექნიკური დახმარების მოძიება ღონორისაგან, რათა მოხდეს გარემოსდაცვის პასუხისმგებელი ორგანოების ადგილობრივი ინსტიტუციური სტრუქტურების გაძლიერება შესაძლებლობების გაზრდის, აღიჭურვილობისა და მომუშავე პერსონალის თვალსაზრისით;
- ⇒ ფაქტიური ჩამდინარე წყლების მონიტორინგის პროცედურეს ჰარმონიზება და ტექნიკური სახელმძღვანელო მითითებების მომზადება ფაქტიური ჩაშვებების მონიტორინგის განსახორციელებლად 2004 წლისათვის დაბინძურების ხმელეთზე განლაგებული წყაროების საკონსულტაციო ჯგუფის ანალიზის საფუძველზე.
- ⇒ ავტომატური კონტროლის მოწყობილობების დამონტაჟების ხელშეწყობა სამრეწველო საწარმოებში;
- ⇒ რეგულარული ანგარიშგების დამკვიდრება შეთანხმებული ფორმატის მიხედვით „ცხელი წერტილების“ ლიკვიდაციის საქმეში პროგრესის შესახებ და ამ მონაცემთა შეტანა შავი ზღვის საინფორმაციო სისტემაში (BSIS).
- ⇒ რეგიონული ხარისხის დადგენილი მაჩვენებლების მიღება 2005 წლისათვის, რომელიც საბოლოოდ შემუშავებული და შეთანხმებული იქნება დაბინძურების მონიტორინგისა და შეფასების საკონსულტაციო ჯგუფისა (AGPMA) და ხმელეთზე განლაგებული წყაროების საკონსულტაციო ჯგუფის (AG/LPS) მიერ 2004 წლისათვის.
- ⇒ ხარისხის უზრუნველყოფისა და ხარისხის კონტროლის სისტემის განხორციელების უზრუნველყოფა მასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ

გ) შავი ზღვის ყოველმა ქვეყანამ 1999 წლამდე საჭიროა შეეცადოს თავისი სამართლებრივი სისტემის ჩარჩოებში მიღოს და ცხოვრებაში გაატაროს წერტილოვანი წყაროებიდან დაბინძურების მაკონტროლებელი კანონები და მექანიზმები. დაბინძურებაზე კონტროლი საჭიროა მოხდეს ნებართვების სისტემის საფუძველზე, რომელიც გამოიყენებს წყლის ხარისხის შემაჯერებელ მაჩვენებლებს და რომლის წყალობით შესაძლებელი გაზდება ჩამდინარე წყლის დაბინძურების გადასახადის აკრეფა – “დამბინძურებელი იხდის” პრინციპით.

ჩარჩო კანონმდებლობა, წესდებები და ლიცენზირების სისტემები, რომლებიც გულიხმობენ “დამბინძურებელი იხდის” პრინციპს, დანერგილ იქნა შავი ზღვის ყველა ქვეყანაში ჯერ კიდევ შავი ზღვის სტრატეგიული სამოქმედო გეგმისა და ამავე გეგმის სხვა მნიშვნელოვან პრონციპების მიღებამდე. „დამბინძურებელი იხდის“ პრინციპის განხორციელების მექანიზმი მოიცავდა მკაცრ ფისკალურ, ადმინისტრაციულ და/ან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. მიუხედავად ამისა ეს ზომები საკმარისი არ არის მისი წარმატებული განხორციელებისათვის, რომლის მიზეზს არსებული ეკონომიკური პრობლემები წარმოადგენს, როგორც არის, მაგალითად, დამბინძურების გადახდის დაბალუნარიანობა და პასუხისმგებელი ორგანოების არასაკმარისი ინსტიტუციური სიძლიერე არსებული პრობლემის გადასაჭრელად.

მარეგულირებელი ბერკეტების შემუშავებამ შემდგომი ბიძგი შავი ზღვის სტრატეგიული სამოქმედო გეგმის მიღების შემდეგ შეიძინა. TACIS-ის შავი ზღვის ფონდის ჩარჩოში 1996/1997 წლებში ჩატარდა რამდენიმე ზოგიერთი ტრენინგი. ეს ტრენინგები ძალიან სასარგებლო იყო, მაგრამ ამგვარი ტრანინგებისა და უნარიანობის ამაღლების საჭიროება მაღალია, განსაკუთრებით ადგილობრივ დონეებზე.

დაბინძურების ხმელეთზე განლაგებული წყაროების საკონსულტაციო ჯგუფმა (AG LPS) გამოხატა ეროვნულ დონეზე ტრენინგების ჩატარების აუცილებლობა შემდეგ სფეროებში:

ბულგარეთი	- ღირებულების ამოგების პრინციპები, შესაბამისი საბიუჯეტო ცვლილებები;
საქართველო	- ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზება თანახმად WFD -სა.
რუმინეთი	- ევროკავშირის კანონმდებლობა სახიფათო ნივთიერებების შესახებ, ავარიული დაბინძურება, გარემოს დაზღვევა, საერთაშორისო კონვენციები, მრავალ სექტორული ISPA/PHARE ფონდები არის???
რუსეთის ფედერაცია	-ადგილობრივი ინფლაციის დონე; ახალი კანონი გარემოს დაცვის შესახებ; წყლის ჩარჩოს-დირექტივასთან ჰარმონიზება;
თურქეთი	- დამბინძურებელი მხარე არ ანაზღაურებს გრძელვადიან ეკოლოგიურ ღონისძიებებს;
უკრაინა	- WFD და ევროკავშირის კანონმდებლობასთან მიახლოება; სანაპირო ზონის მართვა; საწარმოთათვის ეკოლოგიური აუდიტის სახელმძღვანელო მითითებები; კანონი უკრაინაში.

შავი ზღვის კომისიის მიერ უნდა მოხდეს აუცილებელი ფონდების მოძიება შემდეგი რეგიონული ტრენინგის განსახორციელებლად:

- ტრენინგი **WFD-ის შესახებ**;
- სახელმძღვანელო მითითებები წყლის მართვის სხვადასხვა თემისა და სანაპიროს კოდექსის მართვისათვის;
- მდინარის აუზის მართვის განხორციელება რეგიონში;
- ნარჩენი წყლის მართვის განხორციელების რეგიონული კოდექსი;

საჭირო ღონისძიებები:

- ⇒ მუდმივი პროფესიული ტრენინგის სისტემის განვითარება ადგილობრივი და ქვეყნის პასუხისმგებელი პირებისათვის წერტილოვანი ჩამდინარე წყლების რეგულირებისმექანიზმების ამოქმედების თაობაზე
- ⇒ ადგილობრივი და ქვეყნის პასუხისმგებელი ორგანოების ინსტიტუციური უნარის (შესაძლებლობების) გაუმჯობესება-გამდიერება.
- ⇒ შეთანხმების საფუძველზე გარემოს ხარისხის კრიტერიუმების დადგენა სამრეწველო ნარჩენების ჩაშვებასთან დაკავშირებით დაბეგვრის შემოღების მიზნით.

დ) შავი ზღვის ყოველმა ქვეყანამ საჭიროა შეეცადოს 1999 წლამდე მიიღოს და განახორციელოს თავისი სამართლებრივი სისტემის ჩარჩოებში განხორციელების ხელახედველობის ეფექტური მექანიზმები.

დამაბინძურებელი ჩამდინარე ნარჩენების კონტროლის შესაბამისი სამართლებრივი ქმედებები შეიცავს: ნებართვას განსაკუთრებულ წყალსარგებლობაზე, ჯარიმებს, სახიფათო საწარმოთა დახურვას ან აუცილებელი დამცავი ღონისძიებების გატარების რეკომენდაციებს.

საჭირო ღონისძიებები:

- ⇒ განსახორციელებელი ან საჭირო ქმედებები:
- ⇒ გარემოს დაცვის უმაღლესი მმართველობითი ორგანოების ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება.
- ⇒ ფინანსური მექანიზმების გაუმჯობესება, ბიუჯეტის განაწილება.
- ⇒ გარემოს დაცვის დაზღვევის მექანიზმების შემუშავება.
- ⇒ წარსულში არსებული პრობლემებით გამოწვეულ ზიანთან დაკავშირებული მექანიზმების შემუშავება.
- ⇒ შახელმწიფო-კერძო თანამშრომლობის განვითარება.
- ⇒ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.
- ⇒ გარემოს დაცვის ადგილობრივი და სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენელთათვის პროფესიონალიზმის გაუმჯობესების მუდმივი ტრენინგების ჩატარების შესაბამისი სისტემის შემუშავება.
- ⇒ ნარჩენი წყლების მართვის შავი ზღვის სახელმძღვანელო მითითებების შემუშავება.
- ⇒ ეკონომიკური წახალისების მექანიზმების შემუშავება.
- ⇒ ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლა.

1995/1996 და 1996/97 წლების TACIS-ის შავი ზღვის ფონდების მხარდაჭერით მოეწყო სემინარები და ჩატარდა რამდენიმე ტრენინგი უკრაინელი, რუსი და ქართველი გარემოს დაცვის სფეროში პასუხისმგებელი ორგანოებისათვის ლიცენზიების საკითხებზე. თურქეთში, რამდენიმე ტრენინგი ჩატარდა იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს, გერმანიის ტექნიკური ტანამშრომლობის სააგენტოსა და ნიდერლანდების ტექნიკური მხარდაჭერით. არც ერთი ამ ქმედებებიდან არ განხორციელებულა მთელი რეგიონის მასშტაბით, თუმცა საჭიროება ასეთი სახის ტრენინგისა დიდია.

რეგიონული თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით ხმელეთზე განლაგებული წყაროებიდან დაბინძურების კონტროლის საკონსულტაციო ჯგუფი შეთანხმდეს და შეიმუშაოს შემდეგი ძირითადი სახელმძღვანელო მითითებები/მეთოდოლოგიები:

- ჰაერით გადატანილი დაბინძურების ზემოქმედების შეფასების მეთოდოლოგია 2005 წლისათვის;
- ხმელეთზე განლაგებული დაბინძურების წყაროების აღწერის სახელმძღვანელო მითითებები 2004 წლისათვის;
- ნარჩენი წყლების მართვის რეგიონული სახელმძღვანელო მითითებები 2005 წლისათვის;
- რეკომენდაციები ჩამდინარე ნარჩენი წყლების განსაზღვრისა და მათ ჩაშვებაზე გაწეული დანახარჯების გამოთვლის შესახებ 2004 წლისათვის;
- საწარმოებიდან ჩამდინარე წყლების ჩაშვების შეფასების რეგიონული სახელმძღვანელო მითითებები 2003 წლის ბოლოსათვის;
- რეგიონული რეკომენდაციები ეროვნული მარეგულირებელი და საკანონმდებლო ინსტრუმენტების ევროგაერთანების წყლის ჩარჩო დირექტივასთან ჰარმონიზების მიზნით 2005 წლისათვის;
- დიფუზიური წყაროებიდან დაბინძურების შეფასების მეთოდოლოგია, დასაწყისი 2003 წელი - დასასრული 2005 წელი;
- OSPAR-ის (ოსლო-პარიზი) კონვენციის დოკუმენტების საფუძველზე 2003 წელს შემუშავდეს მდინარეებიდან დამაბინძურებლების შენატანის შეფასების მეთოდოლოგია;
- რეგიონული სახელმძღვანელო მითითებები მყარი ნარჩენების მართვის შესახებ 2004 წლისათვის სანაპირო ზოლის ინტეგრირებული მართვის საერთო მეთოდოლოგიების საკონსულტაციო ჯგუფთან თანამშრომლობის საფუძველზე.

საჭირო ღონისძიებები:

- ⇒ ადგილობრივი და სახელმწიფო მმართველობითი ორგანოების ინსტიტუციური გაძლიერება ჩამდინარე წყლების კონტროლის მარეგულირებელი ინსტრუმენტების ეფექტურად გატარებისათვის.
- ⇒ აუცილებელი რეგიონული სახელმძღვანელო მითითებების, რეკომენდაციების და მეთოდოლოგიების შემუშავება დაბინძურების წერტილოვანი და დიფუზიური წყაროების მართვისა და კონტროლის, და განხორციელების მექანიზმებისათვის.
- ⇒ პროფესიონალური ტრენინგების მუდმივი სისტემის შექმნა.

ე) ამ პარაგრაფში შეთანხმებული ქმედებების განხორციელების უზრუნველსაყოფად, შავი ზღვის ყველა ქვეყანამ მიიღებს ზომებს, რომ ლიცენზიებზე, მონიტორინგზე და განხორციელების ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი სამსახურები შესატყვისი პერსონალით იყოს დაკომპლექტებული. და, რომ მათთვის ხელმძისაწვდომი იყოს საჭირო რესურსები. გარდა ამისა, სადაც საჭიროება მოითხოვს, ცალკეულ სამსახურებში ორგანიზებული იქნება კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები.

კანონის განხორციელება მოიცავს დაჯარიმებას, თავისუფლების აღკვეთას, ქარხნების დაკეტვას ან მოწყობილობების აშენების ან ამოქმედების უფლების აკრძალვას, თუმცა ამ კანონის დამრღვევ პირებს შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს. ზოგადად მუნიციპალიტეტები და სამთავრობო უწყებები აწარმოებენ წესებთან შესაბამისობის მონიტორინგს. მაგრამ ვინაიდან არ არსებობს სრული, ამომწურავი ინფორმაცია შესაბამისობაზე, ისევე როგორც განხორციელების პროცედურების ეფექტურობაზე, სასამართლოში განხილული საქმეების შედეგებსა და/ან გარემოს დაცვის ჯარიმების შედეგად მიღებულ შემოსავლებზე, განხორციელების სისტემის რეგიონულ დონეზე ეფექტურობის შეფასება შეუძლებელია. ინანსების სიმცირე არ იძლევა საშუალებას, რომ არსებობდეს განხორციელების მაიძულებელი კარგად აღჭურვილი და კვალიფიცირებული მუშაკებით დაკომპლექტებული პასუხისმგებელი ორგანოები. ამ მიმართებით მომავალი 5 წლის განმავლობაში შავი ზღვის რეგიონისათვის საჭიროა უფრო ფართო საერთაშორისო ტექნიკული დახმარება.

იმის გამო, რომ ეკონომიკა გარდამავალ ფაზაში იმყოფება გადასახადების სიდიდე შეზღუდულია, რაც აგრეთვე აიხსნება იმ პირობა დაბალი გადამხდელუნარიანობის გამო, რომელთაც ევალებათ გარემოს დაბინძურების თუ მასზე მიყენებული ზიანის ანაზღაურება. გადასახადი საყოფაცხოვრებო და მუნიციპალური მომსახურებისათვის კვლავაც ნაწილობრივ ცენტრალური ბიუჯეტის სუბსიდიებით ხორციელდება, რაც იმავე მიზეზით აიხსნება. ჩაშვებაზე დაწესებული გადასახადი და სხვა გადასახადები არ გამოიყენება გარემოს დაცვითი ფონდების, გარემოს დაცვის ან მისი გამაჯანსაღებელი ღონისძიებების განხორციელების მიზნით.

არაადექვატური განხორციელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი არის გარემოს დაცვის პროფესიული კადრების მომზადების ეფექტური სისტემის არ ქონა ყველა დონეზე, განსაკუთრებით კი ადგილობრივი დონეზე. ტრენინგების გადაუდებელი საჭიროება შემდეგ საკითხებს მოიცავს:

- გარემოს დაცვის სფეროში წყალსარგებლობის და ნარჩენი წყლების ჩაშვების ლიცენზირებისათვის საიმედო და სრული საინფორმაციო ბაზის შექმნა;
- ევროგაერთიანების წყლის ჩარჩო დირექტივასთან ჰარმონიზება;
- ეკონომიკური წახალისების ხელშეწყობა;
- ნარჩენი წყლების ჩაშვების ტარიფები;
- ადგილობრივი მმართველობითი ორგანოების წარმომადგენელთათვის სპეციალური წყალსარგებლობისათვის ნებართვის გაცემაზე ტრენინგის მოწყობა;
- ეროვნული მმართველობითი ორგანოების წარმომადგენელთათვის სპეციალური წყალსარგებლობისათვის ნებართვის გაცემაზე ტრენინგის მოწყობა;
- რეგიონული სემინარი ზღვის გარემოს სახელმწიფო ინსპექციებისათვის;
- წყლის ხარისხის რეგიონული დადგენილი მაჩვენებლების და სტანდარტების გამოყენება, რომლებიც სავარაუდოდ შეთანხმების საფუძველზე დადგენილი იქნება 2004 წლისათვის.

საჭირო ღონისძიებები:

- ⇒ ადგილობრივი მმართველობითი ორგანოების ტექნიკური გაძლიერება იმ დონემდე, რომ მათ მიერ ეფექტურად იქნას ამოქმედებული ჩამდინარე წყლების ჩაშვების რეგულირების წესები.
- ⇒ შავი ზღვის სანაპიროს ქვეყნებში 2005 წლისათვის ადგილობრივი მმართველობითი იმ ორგანოების მუდმივი ტრენინგის სისტემის შემუშავება, რომელთა პასუხისმგებლობის სფეროში შედის საკანონმდებლო ბაზის ცხოვრებაში გატარება.
- ⇒ გადაწყვეტილების მიღებისათვის სარწმუნო და სრული მონაცემთა ბაზის დაარსება წყალსარგებლობისა და ნარჩენი წყლების ჩაშვების ლიცენზირებისათვის.

გარემოს დაცვის კანონმდებლობის ასამოქმედებელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს ეკონომიკური წახალისების გამოყენება, როგორცაა გადასახადისაგან გათავისუფლება, შემცირებული გადასახადი რესურსების გამოყენებაზე საწარმოთათვის, რომლებიც ნერგავენ დაბალი და უნარჩენო ტექნოლოგიების გამოყენებას ან ანხორციელებენ გარემოს დაცვით სხვა ეფექტურ საშუალებებს; წამახალისებელი ფასები და პრემიები ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტისათვის; დღეისათვის რუსეთის ფედერაციაში და თურქეთში გამოიყენება სპეციალური გადასახადები ეკოლოგიურად მავნე პროდუქტისათვის და ხელსაყრელი საკრედიტო განაკვეთები, თუმცა ამ უკანასკნელს შავი ზღვის სხვა ქვეყნებში ნაკლები ყურადღება მიექცა.

მომავალი 5 წლის განმავლობაში შავი ზღვის სტრატეგიული სამოქმედო გეგმის განხორციელების საქმეში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანდა შემდეგი რეგიონული პროექტები:

- შავი ზღვის ყველა ქვეყანაში ეკონომიკური წახალისების მექანიზმების შემუშავებისა და, პარალელურად, მასთან დაკავშირებული პილოტ-პროექტების განხორციელების ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლა.
- ეკონომიკური და სოციალური სარგებლისა და რესურსების გამოყენების შეფასება სანაპირო ზონაში.
- საზოგადოების მოსალოდნელი რისკების ეკონომიკური სისტემის დანერგვა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება;
- დიფუზიური წყაროებისა და ჰაერით გადატანილი დაბინძურების შეფასება;
- მდინარით შეტანილი დაბინძურებისა და მისი ზემოქმედების შეფასება ზღვის ეკოსისტემებზე.
- შავი ზღვის რეგიონში ინვესტიციების მოზიდვა;

საჭირო ღონისძიებები:

- ⇒ გარემოსდაცვითი პროცესების ევროპული კურსის შენარჩუნების მიზნით 2003 წლისათვის ევროპის გარემოს დაცვის სააგენტოებთან გაგების

ე) დაბინძურება გემებიდან

მუხლი 36.

შავი ზღვის ქვეყნებმა საჭიროა უფრო ეფექტურად განახორციელონ მარპოლ 1973/78 2002 წლისათვის, განსაკუთრებით კი მისი დებულებები განსაკუთრებული არეალების შესახებ.

ტვირთის გადაზიდვების უარყოფითი ზემოქმედება შავი ზღვის გარემოს ეკოსისტემაზე გამოწვეულია ოთხი მტავარი ფაქტორით:

- გემების ოპერაციული ჩაშვებები, რომლებიც რეგულირება მარპოლ-ის 73-78 კონვენციის 1-6 დანართებით;
- ზღვის ავარიული დაბინძურება გემებიდან;
- ბალასტური წყლებითა და გემების კორპუსით უცხო სახეობის ტრანსპორტირება, რომელიც პოტენციურ საშიშროებას წარმოადგენს ენდემური ჯიშებისათვის;
- ჩაშვებები ღია ზღვაში განლაგებული ობიექტებიდან.

შავი ზღვა მარპოლ 73/78 კონვენციის მე-10 დადგენილების თანახმად „განსაკუთრებულ არეალს“ წარმოადგენს, თუმცა ეს ჯერაც არ განხორციელებულა (გატარებულა ცხოვრებაში). ეს გულისხმობს მთელი რეგიონის მასშტაბით სპეციალური ღონისძიებების განხორციელებას ნავთობითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით. ნავთობის დაღვრაზე რეაგირების გემების შემუშავების მიზნისათვის ეროვნულ დონეებზე დადგენილია სენსიტიური არეალები ტერიტორიული ზღვისათვის.

საჭირო ღონისძიებები:

⇒ ღია ზღვაში სენსიტიური არეალების დადგენა შავი ზღვის დინებების, საქვირითე ადგილების, ანადრომული სახეობის თევზების სამიგრაციო ბილიკების, მნიშვნელოვანი საბინადრო ადგილების და შავი ზღვის ეკოსისტემისა და

მუხლი 37

შავი ზღვის ნავსადგურებში მოძრაობის სწრაფად ზრდის გამო საჭიროა, მარპოლ-ის განსაკუთრებულ არეალებზე მოთხოვნათა შესაბამისად, სანავსადგურო მიმღები მოწყობილობების გამტარუნარიანობის გაფართოება. დაიდგმება მიმღები მოწყობილობები: მყარი ნარჩენების (ნაგვის) – 1999 წლის დეკემბრისათვის; ნავთობის – 2000 წლის დეკემბრისათვის და ქიმიკატების – 2002 წლის დეკემბრისათვის. ამ მოწყობილობების გამოყენება სავალდებულო უნდა გახდეს. მათი დამონტაჟებისათვის საჭიროა მჭიდრო თანამშრომლობა კერძო სექტორთან, IMO-ს რჩევების გათვალისწინება და BSEP-ისა და ევროკავშირის მიერ ჩატარებული გამოკვლევების შედეგების მხედველობაში მიღება.

1996-2000 წლებში ნავსადგურის მიმღები მოწყობილობები ნაგვის, ნავთობის და ქიმიკატებისთვის მინიმალურად გაფართოვდა შემდეგი სახით:

ნაგვის მიმღები მოწყობილობა (ცხრილი III A.5).

ბულგარეთი	ამჟამად დამონაჟებულია ორი ინსენერატორი ვარნასა და ბურგასის პორტებში, რომლებიც 1996 წლამდე აოგო.
საქარველო	ნაგავი გაიტანება ქალაქის ნაგვის მიმღებ ნაგებობებში. ფოთის პორტში გროვდება 380ტ. გამტარუნარიანი ბარჟით; ბათუმის პორტში - 380ტ. გამტარუნარიანი ბარჟით.
რუმინეთი	სპეციალური 12 მ ³ გამტარუნარიანი სატვირთო მანქანა ნაგვის შეგროვებისათვის გეგმიდან, მომუშავე 2000 წლიდან. ეროვნულმა კომპანიამ - საზღვაო პორტების ადმინისტრაციამ, კონსტანცა, შემოსწავლულ სატვირთო მანქანაში 40 000 აშშ დოლარი გადაიხადა.
რუსეთის ფედერაცია	არ გაფართოებულა;
თურქეთი	არ გაფართოებულა;
უკრაინა	მყარი ნარჩენების ინსენერატორი VI კლასის სახიფათო ნარჩენებისათვის, დაფინანსებულ იქნა პორტებისა და სახიფათო ნარჩენების მოხმარებაზე პასუხისმგებელი ორგანოების მიერ.

ნავთობის მიმღები მოწყობილობები (ცხრილი III.A6)

ბულგარეთი	მიმღები მოწყობილობები, გამწმენდი ნაგებობების ჩათვლით, (გრავიტაციული სეპარაცია და ფლოტაცია), ვარნას ნავსადგურში. მოწყობილობების მფლობელს კერძო კომპანია წარმოადგენს. 2001 წელს
-----------	---

საქართველო რუმინეთი	ბულგარეთსა და ჰოლანდიას შორის ერთობლივი პროექტის ფარგლებში ბურგასის ნავსადგურში დამონტაჟებულ იქნა ახალი გამწმენდი ნაგებობა (დანადგარი) (ნავთობშემცველი წყლის მცირე სეპარატორი). მთელი ნარჩენები მიეწოდება მიმღებ მოწყობილობებს.
რუსეთის ფედერაცია	კონსტანცის ნავთობტერმინალმა, შეზღუდული პასუხისმგებლობის ფირმამ, განახორციელა ცისტერნის რეაბილიტაცია და მილების მოდერნიზება, რომლის მთლიანმა ღირებულებამ 1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა (პრივატიზება ჯერ არ განხორციელებული, სახელმწიფო წილი 61.7%-ს შეადგენს). 2001 წლის ივლისში კონსტანცის საზღვაო ნავსადგურის ადმინისტრაციის (სახელმწიფო კომპანია) მიერ აშენდა და დამონტაჟდა ტრიუმის წყლების გამწმენდი ნაგებობა (1 მ ³ ს-ში გრავიტაციული სეპარაციის უნარით, ფიზიკურ/ქიმიური სეპარაცია, ბიოლოგიური გაწმენდა და ლამის გაწმენდა). იგი დააფინანსა ნიდერლანდების ეკონომიკის სამინისტრომ და დაახლოებით 400.000 აშშ დოლარი დაჯდა.
თურქეთი უკრაინა	ნავთობის მიმღები მოწყობილობები დამონტაჟებულ იქნა 1996 წლამდე. ნოვოროსიისკი ალჭურვილია ნავთობის მიმღები მოწყობილობებით ჭუჭყიანი ბალასტური წყლებისათვის და ცისტერნის რეცხვისას მიღებული ჭუჭყიანი წყლების მიმღები საშუალებებით, ტანკერის წმენდის შედეგად დარჩენილი ლამის მიმღები მოწყობილობით, ტრიუმის დაბინძურებული წყლის მიმღები საშუალებებით, და აგრეთვე საწვავი ნავთობის გამწმენდიდან მიღებული ლამის მიმღები მოწყობილობით. სოჭი ფლობს მხოლოდ ტრიუმის ნავთობშემცველი წყლების გამწმენდ მოწყობილობებს. ტუაფსე – ჭუჭყიანი ბალასტური წყლების, ცისტერნების რეცხვისას მიღებული ჭუჭყიანი წყლების, ტრიუმის ნავთობშემცველი წყლების მიმღებ მოწყობილობებს და საწვავი ნავთობის გამწმენდიდან მიღებული ლამის გამწმენდ მოწყობილობას.
	ინფორმაცია არ მოუწოდებია; ინფორმაცია მოუწოდებია;

1996-2001 წლებში შავი ზღვისპირა ქვეყნებში არ დამონტაჟებულა ქიმიკატების მიმღები მოწყობილობები (ცხრილი III A 7).

ტრიუმის წყლების მისაღებისა და ნარჩენების გატანის მიზნით ნავსადგურის მიმღები მოწყობილობები შავი ზღვის სანაპიროს ქვეყნებში საჭიროებენ მოდერნიზებას, ალჭურვილობას, ინსენერატორებს და მცურავ საშუალებებს.

ამჟამად ბულგარეთში, რუმინეთსა და თურქეთში მიმდინარეობს ყველა ტიპის მიმღებ საშუალებებზე საჭიროების შეფასება;

ბულგარეთი	ამჟამად შემუშავების სტადიაშია ნავსადგურების ნარჩენების მართვის გეგმა (PWMP). მიმღები და გამწმენდი მოწყობილობების საჭირო გამტარუნარიანობა შეფასდება იმის მიხედვით თუ რამდენი ნარჩენი შემოდის (რაც დამოკიდებულია ნავსადგურში შემოსული გემების რაოდენობასა და სახეობაზე, ასევე გემით ნავსადგურების გათვალისწინებულ რაოდენობაზე და ა.შ.);
რუმინეთი	კონსტანცაში ნარჩენების მართვის სტრატეგიული გეგმის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლა, მთლიანი ღირებულებით 5.200 000 ევრო, ISPA-ს დაფინანსებით. პროექტი გულისხმობს ინსენერატორის აგებას

ნარჩენებისათვის გემებიდან და ნავსადგურის ტერიტორიაზე შეგროვილი მყარი ნარჩენებისთვის; აგრეთვე ტრიუმის წყლების გამწმენდი სადგურის მშენებლობას; ასევე ტრიუმის წყლებისა და გემებიდან და ნავსადგურის ტერიტორიიდან მყარი ნარჩენების შემგროვებელ გემს; პროექტი ასევე გულისხმობს ეკოლოგიური ღუმპინგის ადგილს 16 0875 ტ. გამტარუნარიანობით.

თურქეთი საზღვაო საქმეთა სამდივნომ მოამზადა პროექტი “მომსახურების რეგულირება, რომელიც ეხება ნარჩენების მიღებას გემებიდან და საზღვაო ტრანსპორტის სხვა საშუალებებიდან “ და რომელიც წარდგენილია პრემიერ მინისტრთან ხელმოსაწერად. მას შემდეგ, რაც ეს დადგენილება ძალაში შევა თურქეთი განახორციელებს ნავსადგურების მიმღები საშუალებების (PRF) არსებული ვითარების გამოკვლევას თურქეთის შავი ზღვის მთელი სანაპიროს, მარმარილოს, ეგეოსისა და ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს გასწვრივ, რათა მომზადდეს საინვესტიციო გეგმა ნავსადგურების მიმღები საშუალებებისათვის.

ინვესტიციები, რომელიც საჭიროა რამდენიმე ნავსადგურის მიმღები მოწყობილობებისათვის შემდეგნაირად არის შეფასებული:

ბულგარეთი	შეფასების პროცესშია;
საქართველო	პროექტი არ არსებობს;
რუმინეთი	საჭიროა 14 მილ. აშშ დოლარი გაუმჯობესებისა და მოდერნიზებისათვის;
რუსეთის ფედერაცია	თითოეული კონკრეტული შემთხვევისათვის განისაზღვრება ყველა ტიპის საჭირო ინვესტიცია;
თურქეთი	საჭიროა 500 000 აშშ დოლარი სამსუნგისა და ტრაპზონის ნავსადგურებისათვის.
უკრაინა	თითოეული კონკრეტული შემთხვევისათვის განისაზღვრება ყველა ტიპის საჭირო ინვესტიცია.

1996 წელს ევროკავშირისა და PHARE-ს მიერ ჩატარდა ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლა, რომელიც ეხებოდა მიმღები მოწყობილობების დადგმას ბულგარეთის, რუმინეთისა და თურქეთის მთავარ ნავსადგურებში, სადაც ძირითადად სამსუნგისა და ტრაპზონის მიმღები მოწყობილობების წარმოადგენდნენ. როგორც ამ პროექტის გაგრძელება ევროკავშირის PHARE-ის პროგრამის ჩარჩოში, დანიის გარემოს დაცვის სააგენტომ გამოჰყო სანავსადგურო ნარჩენების მართვის გეგმის მომზადების გრანტი ვარნას ნავსადგურისათვის. თურქეთში ამ პროექტის საფუძველზე მომზადდა დადგენილების პროექტი იმ მომსახურების თაობაზე, რომელიც ეხება გემებიდან და სხვა საზღვაო მცურავი საშუალებებიდან ნარჩენების მიღებას.

თუმცა, აღნიშნული გამოკვლევების შედეგად მიღებული ინფორმაცია ჯეროვნად ვერ გავრცელდა TACIS-ის ქვეყნებში. შემდგომში აღარ გამხდარა ხელმისაწვდომი რაიმე ახალი დაფინანსება, იმისათვის რომ ეს კვლევები განახლებულიყო ან შემუშავებული რეგიონული სამოქმედო გეგმა სახიფათო ტვირთის და მყარი ნარჩენებისათვის სანავსადგურო მიმღები მოწყობილობების დამონტაჟების მიზნით.

რეკომენდაციები:

⇒ განახლდეს შავი ზღვის გარემოს დაცვის პროგრამისა და PHARE-ეს ფარგლებში

განხორციელებული გამოკვლევების შედეგები სანავსადგურო მიმღები მოწყობილობების შესახებ.

⇒ მოძიებულ იქნას საერთაშორისო მხარდაჭერა დამატებითი წინასაპროექტო გამოკვლევების ჩასატარებლად TACIS-ის ქვეყნებში და ხელი შეეწყოს თანამშრომლობას ამ დარგში სახელმწიფო და კერგო სექტორებს შორის.

⇒ შემუშავდეს რეგიონული სამოქმედო გეგმა მიმღები მოწყობილობების გაუმჯობესებისა და მათი 2007 წლისათვის დამონტაჟების დაწყების მიზნით.

მუხლი 38.
 შავი ზღვის რეგიონში სანავსადგურო სახელმწიფო კონტროლის შესახებ დიპლომატიური შეთანხმების (ურთიერთგაგების მემორანდუმის) მიღების საფუძველზე დაარსდება სანავსადგურო სახელმწიფო კონტროლის შეჯერებული სისტემა. სასურველია, რომ სტამბოლის კომისიამ 1998 წლის დეკემბრამდე შეიმუშაოს ასეთი მემორანდუმი ნაოსნობის გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების ასპექტების საკონსულტაციო ჯგუფის რეკომენდაციების საფუძველზე.

2000 წელს ნავსადგურების სახელმწიფო კონტროლის შესახებ დიპლომატიურ შეთანხმებაზე (გაგების მემორანდუმი) ხელის მოწერით ბულგარეთმა, საქართველომ, რუმინეთმა და თურქეთმა წარმატებით შეუწყვეს ხელი რეგიონული თანამშრომლობის განვითარებას შავი ზღვის ნავსადგურების უფლებამოსილ ორგანოებს შორის. დოკუმენტი მიღებულ და რატიფიცირებულ იქნა ბულგარეთის და თურქეთის მიერ, ხოლო რუმინეთის მიერ ხელმოწერილია, მაგრამ არ არის რატიფიცირებული. ფინანსური სირთულეების გამო მემორანდუმისათვის ხელი არ მოუწერია რუსეთის ფედერაციას და უკრაინას.

მემორანდუმის ძირითადი მიზნებია:

- საზღვაო ტრანსპორტის მიერ გარანტიის უზრუნველყოფა მასზე, რომ ეს უკანასკნელი თავისი აღჭურვილობით აკმაყოფილებს მოთხოვნებს ნავთობით დაბინძურების თავიდან აცილების შესახებ და რომ იგი ფლობს ტრიუმისა და ნარჩენი წყლების სერტიფიკატს. ისეთ შემთხვევაში, როდესაც ნავსადგურის სახელმწიფო კონტროლის ორგანოზაცია (PSCO) აფიქსირებს რაიმე უკმარისობას ზემოხსენებული აღჭურვილობისა და სერტიფიკატის თვალსაზრისით, როგორცაა ნავთობის სარეგისტრაციო ჟურნალი და ნარჩენების ბორტის ჟურნალი, მათ გააჩნიათ კანონით დაშვებული უფლება, დააკაონ გემი იქანდე, ვიდრე ზემოაღნიშნული დეფიციტი არ იქნება ლიკვიდირებული.
- შემცირდეს ან საერთოდ შეწყდეს არა სტანდარტული გემების ნაოსნობა შავ ზღვაში.

მემორანდუმის განხორციელება ნავსადგურის სახელმწიფო კონტროლის თაობაზე დაევალოთ ეროვნულ კომპეტენტურ პასუხისმგებელ პირებს –საზღვაო ადმინისტრაციებს. აღნიშნულის ფაქტობრივი განხორციელება დაიწყება „აუნაზღაურებადი პერიოდის" (gratis period) შემდეგ, რომლის დროსაც ნავსადგურის სახელმწიფო კონტროლის ინსპექტორები და ადმინისტრატორები გაივლიან მომზადებას, დამკვიდრდება ინფორმაციული სისტემა და ა.შ.

შავი ზღვის კომისიამ დამკვირვებლის სტატუსი მიანიჭა მემორანდუმის დროებით სამდივნოს, რომელიც სტამბულშია დაფუძნებული.

საჭირო ღონისძიებები:

- ⇒ კონვენციის დანარჩენი მხარეთა წახალისება იმ მიზნით, რომ შეუერთდნენ ნავსადგურების სახელმწიფო კონტროლის მემორანდუმს.
- ⇒ გადამზადების (ტრეინინგების) მდგრადი სისტემის შექმნა საზღვაო ორგანიზაციების თანამშრომლებისათვის., რომლებიც ჩართულნი არიან მემორანდუმის განხორციელებაში.
- ⇒ IMO-თან თანამშრომლობის გაგრძელების ხელშეწყობა მის მიერ საზღვაო და გარემოს დაცვის პასუხისმგებელ პირებისათვის კვალიფიკაციის ამაღლების აუცილებელი კურსების უზრუნველყოფის საქმეში.

მუხლი 39.
 შავი ზღვის ქვეყნებმა საჭიროა გადადგან სათანადო ნაბიჯები იმისაკენ, რომ სრულად გამოიყენონ თავიანთი განსაკუთრებული ან განხორციელების მაიძულებელი უფლებამოსილებანი, საერთაშორისო სამართლის თანახმად, იმისათვის, რომ მიიღწიონ შავ ზღვაში გემებიდან არალეგალური ჩაღვრის შემცირებას.

ქვეყნის სამართლებრივი და მარეგულირებელი ბერკეტები სრულად ადექვატურია შავი ზღვის ქვეყნებში, მოთხოვნების, შეზღუდვებისა, რეკომენდაციების, ჯარიმების, ისევე როგორც გემების დაკავების თვალსაზრისით, როდესაც ეს უკანასკნელნი არ ემორჩილებიან მოთხოვნილებებს ტერიტორიულ წყლებში, ან უარყოფენ მათ მიერ ეროვნული სასაზღვრო ზოლის დარღვევის შემთხვევებს.

ქვეყნის პასუხისმგებელი პირები, რომლებიც აკონტროლებენ ტერიტორიულ წყლებს, თუმცა რამდენადმე შეზღუდულნი ფინანსური პრობლემების გამო, არიან:

ბულგარეთი	
საქართველო	საზღვაო ტრანსპორტის საზღვაო ადმინისტრაცია, საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო.
რუმინეთი	
რუსეთის ფედერაცია	
თურქეთი	თურქეთის სანაპიროს დაცვა, აგრეთვე მუნიციპალიტეტები საკუთარი პროვინციების ფარგლებში, რომლებიც იყენებენ მცურავ საშუალებებს, პატრულირებისათვის მომუშავე გემებს და ვერტმფრენებს.
უკრაინა	შავი ზღვის გარემოს დაცვის სახელმწიფო ინსპექცია, აზოვის ზღვის გარემოს დაცვითი სახელმწიფო ინსპექცია. სანაპიროს დაცვა მონიტორინგითა და დისტანციური კონტროლით.

ბევრად უფრო რთული საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ღია ზღვაში, მაგრამ განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის ფარგლებში არაკანონიერ ჩაღვრებთან ჯერ-ჯერობით არ არის გადაჭრილი შემდეგი მიზეზების გამო:

- ეკონომიკური ზონების დემარკაციის გადაუჭრელი პრობლემა რუმინეთსა და უკრაინას, რუსეთის ფედერაციასა და უკრაინას, რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს, თურქეთსა და უკრაინას შორის.
- სახელმწიფო მმართველობითი ორგანოების არასაკმარისი დაფინანსება.
- კანონმდებლობის სავალდებულო განხორციელების რეგიონული ჰარმონიზებული სისტემის არარსებობა.
- რეგულარული დისტანციური დაკვირვების არარსებობა.

- ზღვაში დაღვრილი ნავთობის იდენტიფიკაციის სისტემის არქონა.

საჭირო ღონისძიებები:

- ⇒ ნავსადგურის სახელმწიფო კონტროლზე გაგების მემორანდუმის განხორციელება.
- ⇒ ნარჩენების არალეგალური ჩაშვების კონტროლის მიზნით კანონმდებლობის სავალდებულო განხორციელების ჰარმონიზებული სისტემის შემუშავება და განხორციელება;
- ⇒ თანამგზავრებით დაკვირვების რეგიონული სისტემის ჩამოყალიბება;
- ⇒ კომერციული თვითმფრინავების გამოყენების სისტემის შემუშავება შავ ზღვაზე კონტროლის განსახორციელების მიზნით.
- ⇒ ნავთობის დაღვრისათვის მზადყოფნის, მასზე რეაგირებისა და თანამშრომლობის კონვენციის (OPRC 90) მოთხოვნებისა და ავარიულ დაღვრაზე რეაგირების რეგიონული გეგმის განხორციელება.
- ⇒ გემის ტრიუმებში წყლის სეპარატორების დამონტაჟების კონტროლი შავი ზღვის გავლით მიმავალ გემებზე.
- ⇒ დისტანციური დაკვირვების ინტეგრირებული სისტემის დაარსება სანაპირო ზონის დაბინძურებისა და სხვა სახიფათო შემთხვევებისათვის.
- ⇒ საერთაშორისო ინსპექციის ჩამოყალიბება შავ ზღვაში ნარჩენების არალეგალური ჩაშვების კონტროლის მიზნით.
- ⇒ საპროექტო წინადადების მომზადება და IFI- ში წარდგენა ნავთობის არალეგალური ჩაშვების სატელიტური სისტემით რეგულარული მონიტორინგის შესახებ.

მუხლი 40.
 შავი ზღვის რეგიონისათვის შეიქმნება კანონმდებლობის განხორციელების მაიძულებელი ურთიერთშეჯერებული სისტემა, ჯარიმების დაწესების ჩათვლით. სასურველია, რომ სტამბულის კომისიამ, ნაოსნობის გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების ასპექტების საკონსულტაციო ჯგუფის რეკომენდაციების საფუძველზე შეიმუშაოს ასეთი სისტემა 1998 წლის დეკემბრამდე. ამ სისტემის უპირველესი მიზანი იქნება – შეასრულოს არალეგალური ჩაღვრების შემამცირებელი როლი და სადაც საჭიროა, გამოიყენოს იძულების ზომები არალეგალურ ჩამღვრელთა წინააღმდეგ.

ჯარიმების არსებული სისტემა კარგად ჩამოყალიბებულია და ფუნქციონირებს შავი ზღვის ყველა ქვეყანაში ეროვნულ დონეზე. საკანონმდებლო და მარეგულირებელი ბერკეტები, რომლებიც ჯარიმის სისტემასაც მოიცავენ, უზრუნველყოფს ტერიტორიულ წყლებში არალეგალურ ჩაღვრებთან ბრძოლის სტაბილურ შესაძლებლობას. ჯარიმის სისტემა დაფუძნებულია დამაბინძურებლების ჩაშვების/ემისიების ეკოლოგიურ ნორმებზე/სტანდარტებზე და ზღვის გარემოს დაბინძურებისათვის გადასახადების პროცედურებზე/ნორმებზე. შავი ზღვის ყველა ქვეყანაში არალეგალური ჩაშვებებისათვის გათვალისწინებულია ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

მნიშვნელოვან პრობლემას, რომელიც გავლენას ახდენს ზემოხსენებული საკითხების განხორციელებაზე ეროვნულ დონეზე, წარმოადგენს ამ ღონისძიებაში ჩართული ადგილობრივი მმართველობითი ორგანოების არასაკმარისი დაფინანსება. არ შემუშავებულა არალეგალური ნარჩენების წინააღმდეგ კანონმდებლობის განხორციელების ჰარმონიზებული რეგიონული სისტემა, რომლის მიზეზს წარმოადგენს ამ ღონისძიებების ხელშემწყობი

რომელიმე კეთილგონივრული საერთაშორისო პროექტის არარსებობა და შავი ზღვის ქვეყნების უუნარობა გადაწყვიტონ ეს საკითხები.

საჭირო ღონისძიებები:

- ⇒ უზრუნველყოფილ იქნას ჰარმონიზებული საინსპექციო სისტემის სანავსადგურო სახელმწიფო კონტროლის შესახებ გაგების მემორანდუმთან მჭიდრო კავშირის საფუძველზე განხორციელება და არსებული მოთხოვნების ცხოვრებაში გატარება.
- ⇒ ხელი შეეწყოს “არა სპეციალური გადასახადის” წესის გამოყენებას სანავსადგურო მიმღები მოწყობილობებისათვის შავი ზღვის ყველა ძირითად ნავსადგურში რეგიონულ დონეზე.
- ⇒ შავი ზღვის სანაპიროს ქვეყნებს შორის მოხდეს შეთანხმება ნარჩენების სავალდებულო ჩაბარების შესახებ მიმღები მოწყობილობებისათვის, სანავსადგურო მიმღები მოწყობილობების სისტემის შემუშავებისა და შავი ზღვის ნავსადგურებს შორის ინფორმაციის გაცვლის შესახებ.
- ⇒ უზრუნველყოფილ იქნეს ანალიტიკური აღჭურვილობის დამონტაჟება ნავთობის დამბინძურებლების სწრაფი იდენტიფიკაციისათვის.
- ⇒ ჩამოყალიბდეს რეგიონულ შეთანხმებულ ხარისხობრივ მიზნებზე და სტანდარტებზე დაფუძნებული ჯარიმების ჰარმონიზებული სისტემა.
- ⇒ განხორციელდეს წინასაპროექტო შესწავლა, რათა განისაზღვროს არალეგალური ჩაშვებების მასშტაბები და მათი შემცირების ზომები.

მუხლი 41.

შავი ზღვის ქვეყნები 1997 წელს საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციას წარუდგინენ საჭირო წინადადებებს ყოვლისმომცველი გამოკვლევების ჩასატარებლად, რათა მიღებულ იქნას ზომები შავ ზღვაში გემებიდან ბალასტური წყლების ჩაღვრის შედეგად ეგზოტიკური სახეობების მოხვედრის თავიდან ასაცილებლად მომავალში. რადგანაც არსებობს ასეთი სახეობების რეგიონის სხვა ზღვებში მიგრაციის საფრთხე, კონსულტაციები ჩატარდება კასპიისა და ხმელთაშუაზღვისპირა ქვეყნებთან.

ეგზოტიკური სახეობის შემოჭრამ შესაძლოა გამანადგურებელი ზეგავლენა მოახდინოს ადგილობრივი სახეობის თევზებზე, როგორც ეს მტაცებელი მეღუზის *Mnemiopsis leydyi*-ის შემთხვევაში მოხდა, რომელმაც სერიოზული ზიანი მიაყენა პელაგიური თევზთა სახეობების მარაგს (პირველი აღრიცხვა 1982 წელს განხორციელდა). ეს ეგზოტიკური სახეობები ჩაშვებული ბალასტური წყლებიდან და გემთა კორპუსებიდან ჩნდებიან. ჯერ-ჯერობით არ შეკრებილა ინფორმაცია რეგიონში იმ გემების რაოდენობის შესახებ, რომლებიც ბალასტურ წყლებს უშვებენ ზღვაში. მაგრამ უკრაინის ანგარიშგების დოკუმენტაციიდან 1996-2001 წლებისათვის ჩანს, რომ საზღვაო ტრანსპორტის მოძრაობა უკრაინის ნავსადგურებში დაახლოებით სამჯერ გაიზარდა (IIIA.8).

ბევრი გამოკვლევა არსებობს ეროვნულ დონეზე ამგვარ შემოჭრასთან დაკავშირებით. მომავლისათვის ამ პრობლემების თავიდან აცილებაზე მიმართული ღონისძიებები გადასინჯვის პროცესშია და ხორციელდება გაეროს GLOBALLAST-ის პროექტის ფარგლებში, რომელსაც შავი ზღვის ქვეყნების რეგიონისათვის ოდესაში (უკრაინა) დაფუძნებული აქვს სადემონსტრაციო ადგილი. 1999წ. სექტემბერში საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მიერ მოეწყო რეგიონული სამეცნიერო სამუშაო შეხვედრა ბალასტური წყლების მართვასა და

კონტროლის შესახებ, ხოლო 2001 წლის 8-10 ოქტომბერს ოდესაში ჩატარდა შავი ზღვის პირველი კონფერენცია ბალასტური წყლების მართვისა და კონტროლის შესახებ.

გაეროს GloBALLAST –ის პროექტში ჩართულნი არიან შემდეგი ინსტიტუტები:

ბულგარეთი	საზღვაო ადმინისტრაცია, ზოგიერთი მოწვეული მეცნიერი, ნაოსნობის გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების ასპექტების საკონსულტაციო ჯგუფის საკონტაქტო პირი.
საქართველო	საზღვაო ტრანსპორტის ადმინისტრაცია, საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო.
რუმინეთი	საზღვაო კვლევისა და განვითარებისა ეროვნული ინსტიტუტი, ანტიპა, კონსტანცა; ეროვნული კომპანია „რუმინული წყლები“; გარემოს დაცვის ინსპექცია; სამოქალაქო ნაოსნობის ინსპექცია.
რუსეთის ფედერაცია	აზოვის თევზრეწვის კვლევითი ინსტიტუტი.
თურქეთი	საზღვაო საკითხების ქვესამდივნო
უკრაინა	სამხრეთის ზღვების ინსტიტუტი, ოდესის ფილიალი.

ოდესის შეხვედის დროს წამოყენებულ იქნა წინადადება საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციასთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე ბალასტური წყლების შეფასების რეგიონული პროექტის წინასაპროექტო შესწავლის ჩატარების თაობაზე და მომავალში მისი მიღებისათვის კონვენციის მხარეების მიერ.

დასკვნები:

- ⇒ წახალისდეს რეგიონათშორისი თანამშრომლობა საზღვაო და გარემოს დაცვის მმართველობით ორგანოებს შორის და მოიძებნოს IFI-ის ფინანსური დახმარება ეგზოტიკური სახეობების შემოღწევის თავიდან ასაცილებელი ღონისძიებების განხორციელებისათვის.
- ⇒ საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციასთან თანამშრომლობით წარმოდგენილ იქნეს და დაინერგოს პრევენციული ღონისძიებები და დაფუძნდეს მონიტორინგის სისტემა შემოსული უცხო სახეობების კონტროლისათვის, როგორც **BSIMP-ის** განუყოფელი ნაწილი.
- ⇒ ხელი შეეწყოს ბალასტური წყლების მართვის გაეროს გლობალური კონვენციის იდეის განვითარებას.

ვ) დამფინგით გამოწვეული დაბინძურება

მუხლი 42.
 საჭიროა 1996 წლის დეკემბრისათვის სრულიად აკრძალოს ზღვის, ნაპირის ან ესტუარის არეალებში მუნიციპალური ნაგვის ჩაყრა. შავი ზღვის ქვეყნებმა უნდა შეიმუშაონ გეგმა, რომელიც შესაძლებელს გახდის ამ აკრძალვის რეალურად განხორციელებას 1999 წლის დეკემბრიდან.

რუმინეთის სანაპირო არეალებისათვის უკანასკნელ ხანებში შეიმჩნევა საოჯახო მყარი ნარჩენების ოდენობის მცირედ მზარდი ტენდენცია. რუმინეთის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით: ამგვარი ნარჩენების 82%, სამთო მრეწველობის ნარჩენების ჩათვლით, ინახება სპეციალურ ადგილებში, 14% იყიდება ან გადაამუშავდება, 3% რჩება წარმოქმნის ადგილზე, ხოლო 0,3% - იწვება.

შავი ზღვის ქვეყნებში 2000 წლისათვის წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მთლიანი რაოდენობა ასე გამოიყურება: (ცხრილი IIIA.9)

ბულგარეთი	კითხვას არ უპასუხა
საქართველო	კითხვას არ უპასუხა
რუმინეთი	124 ათასი ტონა
რუსეთის	2,5 ათასი მ ³
ფედერაცია	
თურქეთი	202 ათასი ტონა
უკრაინა	კითხვას არ უპასუხა

მუნიციპალური ნარჩენების განთავსება ზღვაში, სანაპირო ზოლზე და ესტუარებში სრულად არის აკრძალული შავი ზღვის ყველა სანაპირო ქვეყნის მიერ (IIIa.10). მუნიციპალური მყარი ნარჩენების სათანადო მართვის უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენება სპეციალური პროცედურები, დირექტივები და წესები. შეფასებები არალეგალურ განთავსებაზე შავი ზღვის ქვეყნებში ხელმისაწვდომი არ არის. ინფორმაციის არარსებობის გამო არ იძლევა რეგიონულ დონეზე პრობლემის შეფასების საშუალებას.

მიუხედავდ იმისა, რომ რიგ შემთხვევებში პოლიტიკა, საკანონმდებლო და მარეგულირებელი ღონისძიებები (ზომები) მყარი ნარჩენების მართვისათვის (ცხრილი III.11) ადექვატურად ჩამოყალიბებულია ან ჩამოყალიბების პროცესშია, მაინც არ არის საკმარისად ეფექტური შემდეგი მიზეზების გამო: არა სათანადოდ აღჭურვილი და მომსახურე ჰერსონალით დაკომპლექტებული ეროვნული მმართველობითი ორგანოები; იმ მუნიციპალიტეტების ცუდი ეკონომიკური მდგომარეობა, რომელთაც ძირითადად ევალებათ ამ ამოცანების შესრულება; ნაგვის შეგროვებისა და გადაამუშავების არაეფექტური სისტემა; და დაწვის არაეფექტური მოწყობილობები.

მყარი ნარჩენების მართვის გეგმა სანაპირო მუნიციპალიტეტებისათვის ეროვნულ დონეზე შემდეგი სახით არის შემუშავებული:

ბულგარეთი	
საქართველო	ნარჩენების შეგროვების სტანდარტი, მაგრამ არ არსებობს ეროვნული გეგმა;
რუმინეთი	ნარჩენების მართვის ეროვნული გეგმა, 2000წ.
რუსეთის	
ფედერაცია	
თურქეთი	მუნიციპალიტეტებისათვის, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვისათვის საშუალებების უზრუნველყოფასა და ოპერირებაზე, სახელმძღვანელო პრინციპების სახით მუშავდება მყარი ნარჩენების მართვის გეგმები. ამგვარი პროექტი შავი ზღვის რეგიონში განხორციელდა ტრაპიზონისა და რიზეს ოლქებში.
უკრაინა	აზოვისა და შავი ზღვების დაცვისა და რეაბილიტაციის ეროვნული პროგრამა; მყარი ნარჩენების მართვის ადგილობრივი გეგმები ჩართულია

რეგიონულ დონეზე ეს პრობლემა სათანადოდ არ იქნა განხილული.

საჭირო ღონისძიებები:

- ⇒ წარიმართოს რეგიონული წინასაპროექტო შესწავლები მუნიციპალური მყარი ნარჩენების პრობლემებზე, სანაპირო ზოლში სოციალ-ეკონომიკური საკითხების ჩათვლით.
- ⇒ შემუშავდეს და განხორციელდეს სანაპირო ზოლში მყარი ნარჩენების მართვის რეგიონული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.
- ⇒ შემუშავდეს რეგიონულ დონეზე შეთანხმებული სახელმძღვანელო პრინციპები და სახელმძღვანელოები სანაპირო ზონაში მყარი ნარჩენების მართვისათვის.
- ⇒ ხელი შეეწყოს ინოვაციური ტექნოლოგიების და ნოუ-ჰაუს დანერგვას სანაპირო ზოლში მყარი ნარჩენების მართვისათვის.

მუხლი 43.

შავ ზღვაში არალეგალური დამფინგი შეშფოთებას იწვევს. შავი ზღვის ქვეყნებმა, ცალ-ცალკე და ერთობლივად, საჭიროა მიიღონ ზომები ნებისმიერი ასეთი საქმიანობის გასაკონტროლებლად.

შავი ზღვის საზღვაო მმართველობითი ორგანოები გარემოს დაცვის მმართველობით ორგანოებთან სათანამშრომლობის საფუძველზე პასუხისმგებელნი არიან არალეგალური დამფინგის კონტროლზე, თუმცა არც ერთ ქვეყანას არ მოუწოდებია ინფორმაცია ამის თაობაზე.

არალეგალური დამფინგის ძირითადი მაკონტროლებელი საშუალებები მოიცავენ: კონტროლს საჰაერო სივრციდან (რუსეთის ფედერაცია); კარგად მომზადებული მომსახურე პერსონალით დაკომპლექტებული ინსპექციების გაზრდილ რაოდენობას; ჯარიმების სისტემებს, საზოგადოებისა და ადგილობრივი მმართველობითი ორგანოების უკეთეს მონაწილეობას და სარეაბილიტაციო პროექტებს (თურქეთი).

ზემოაღნიშნული ზომები შავი ზღვის ყველა ქვეყანის მიერ ეფექტურ ღონისძიებებად არის შეფასებული. რუმინეთი იტყობინება ნავსადგურის მიდამოების ნავით დაბინძურების დამაკმაყოფილებელი შემცირების ტენდენციისა და ახლად შეძენილი აღჭურვილობით მიღწეული უფრო სუფთა პლიაჟების შესახებ (Beach Teach STR 2000-EU სპეციალური მიზნით დაპროექტებული დანადგარები). თურქეთი აღნიშნავს თავის წარმატებულ გამოცდილებას მუნიციპალური პილოტ-პროექტების განხორციელებაში. პრობლემისათვის, რეგიონულ კონტექსტში, ჯერ-ჯერობით არ მიუქცევიათ სათანადო ყურადღება, აქედან გამომდინარე შავი ზღვის კომისიისაგან მეტ ყურადღებას მოითხოვს. ინფორმაციისა და ნოუ-ჰაუს გაცვლა არაადეკვატური იყო.

საჭირო ღონისძიებები:

- ⇒ მყარი ნარჩენების (ნაგვის) მონიტორინგის სისტემა შევიდეს შავი ზღვის დაბინძურების მონიტორინგისა და შეფასების (BSIMAP) კომპონენტებში და შემუშავდეს და განხორციელდეს ნაგვით დაბინძურების შეფასების კოორდინირებული მეთოდოლოგიები და ტექნიკური საშუალებები.
- ⇒ ხელი შეეწყოს მყარი ნარჩენების მართვაში ნოუ-ჰაუსა და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვას პატარა მუნიციპალიტეტების მასშტაბით.
- ⇒ ხელი შეეწყოს საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას და მოსახლეობის განათლებას, ტურისტების ჩათვლით, მყარი ნარჩენების რეციკლირებისა და ხელმეორედ გამოყენების საკითხებში;
- ⇒ გაუმჯობესდეს ინფორმაციის დინება და გაცვლა შავი ზღვის ქვეყნების მუნიციპალიტეტებს შორის, რათა მოხდეს საუკეთესო გამოცდილების, ინოვაციური ტექნოლოგიების და ნოუ-ჰაუს გაზიარება;
- ⇒ შემუშავდეს არალეგალური დამფინგის მონიტორინგის რეგიონული სახელმძღვანელო პრინციპები;
- ⇒ მოხდეს ინსპექტორების მომზადება და აღჭურვა;
- ⇒ ხელი შეეწყოს მცირე მუნიციპალიტეტებში სადემონსტრაციო პროექტების განხორციელებას.

მუხლი 44.

შავი ზღვის ქვეყნებმა სტამბულის კომისიის მეშვეობით და ბუქარესტის კონვენციის დამფინგის ოქმის მესამე პუნქტის გათვალისწინებით 1998 წლის თებერვლამდე საჭიროა დაადგინონ ამოღებული გრუნტისთვის გაფანტულ დამაბინძურებელთა კონცენტრაციის დონეები.

სანაოსნო არხების გაღრმავება საზღვაო ტერიტორიებზე პორტების და ნავსადგურების მუშაობის ერთ-ერთ ჩვეულებრივ კომპონენტს წარმოადგენს. დამფინგის შედეგად წარმოშობილი ეკოლოგიური რისკები უკავშირდება დამაბინძურებლების მიგრაციას გრუნტიდან წყლის სვეტში და უმცირესი ნაწილაკების დისპერსიას (განბნევა), რის შედეგადაც ეს ნაწილაკები გადაიტანება ასობით კილომეტრზე და ილექება ბენტოსურ ორგანიზმებზე. ამოღებული ნალექი (სედიმენტი) ან გრუნტი, როგორც წესი იყრება ზღვის იმ ადგილებში, რომლებიც შერჩეულია შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- არანაირი ან მინიმალური ზეგავლენა ბიოტაზე;
- დაბინძურების ან გაბნევის მცირე რისკი;
- საკმარისი სიღრმე.

უკრაინაში შავი ზღვის ჩრდილო და დასავლეთ ნაწილში განლაგებულია ამოღებული გრუნტის დამფინგის 11 ადგილი. ზოგიერთი ეს ადგილი მუშაობს მრავალი წლის განმავლობაში. ამოღებული გრუნტის სანაპირო ზოლის გამაგრებისათვის ან სამშენებლო მასალად გამოყენების ალტერნატიული ტექნოლოგიები არ არის სათანადო დონეზე განვითარებული რეგიონში. რუმინეთში ამოღებული გრუნტი გამოიყენებოდა მიწის სამელიორაციოდ. თურქეთს არ გააჩნია დამფინგის ადგილები შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ (ცხ.IIIA.12 და ცხ.IIIA.12ა).

დამფინგის ოპერაციები, ჩვეულებრივ, საჭიროებს სპეციალური ნებართვის მიღებას გარემოსდაცვითი სამსახურებისაგან. ნებისმიერმა ახალმა დამფინგის ადგილმა უნდა გაიაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასება.

შავიზღვისპირა ქვეყნებში, ამოღებული გრუნტის დამფინგის რაოდენობის შემდეგი ტენდენციები შეიმჩნევა (დანართი), კერძოდ:

ბულგარეთი: ხუთი წლის განმავლობაში არ განხორციელებულა დამფინგის ოპერაციები;

თურქეთი: დამფინგი აკრძალულია კანონით;

რუმინეთი: ამოღებული გრუნტის დამფინგის მცირედ გაზრდილი ტენდენცია;

რუსეთის ფედერაცია: ზღვაში ჩაშვებული გრუნტის გაზრდილი რაოდენობა;

საქართველო: დამფინგი არ ხდება;

უკრაინა: დამფინგის ზრდა არ შეიმჩნევა.

მხოლოდ რუმინეთი აწარმოებს დაბინძურების დონის და დამფინგის ადგილების სისტემატიურ მონიტორინგს.

ამოღებული გრუნტში დამაბინძურებლების ზღვრული კონცენტრაციები დადგენილია რუმინეთის მიერ. ეს მნიშვნელობები შემუშავებულია უკრაინაში და შეტანილია დოკუმენტში: „შავ და აზოვის ზღვებში სანაოსნო არხების გაღრმავების შედეგად წარმოქმნილი ფსკერული ნალექების კლასიფიკაცია (უკრაინის ფარგლებში)“. ეს დოკუმენტი არ იქნა მიღებული ოფიციალურად. დაბინძურების მონიტორინგისა და შეფასების საკონსულტაციო ჯგუფმა ვერ მიაღწია შეთანხმებას ამოღებულ გრუნტში ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების დადგენის კონცეპტუალურ მიდგომებზე. სხვა მიდგომის მიხედვით (რუსეთის ფედერაცია), ზღვრულად დასაშვები მნიშვნელობების დადგენა უნდა მოხდეს თითოეული შემთხვევისათვის გზმ-ს ფარგლებში და შემუშავდეს ამ მნიშვნელობების დაწესების მეთოდოლოგია. დაბინძურების მონიტორინგის და შეფასების (AG PMA) და ნაოსნობის გარემოსდაცვითი უსაფრთხოების ასპექტების (AG ESAS) საკონსულტაციო ჯგუფების ერთობლივი შეხვედრა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების დაწესების შესახებ, შავი ზღვის კომისიის სამუშაო გეგმის მიხედვით, შედგება 2002 წლის ივლისში.

საჭირო ღონისძიებები:

- ⇒ მოხდეს ამოღებული გრუნტისათვის ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების დაწესების მიდგომების ჰარმონიზება და ამოღებული გრუნტის მენეჯმენტის უახლეს საერთაშორისო ტექნოლოგიებზე დამყარებული საჭირო მეთოდოლოგიებისა და სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება 2005 წლისათვის;
- ⇒ ამოღებული გრუნტის გარემოზე ზემოქმედების ანგარიშგების მიზნით, 2005 წლისათვის შემოღებულ იქნას მონიტორინგის ერთიანი მაჩვენებლები, როგორც BSIMAP-ის შემადგენელი ნაწილი;
- ⇒ ხელი შეეწყოს ამოღებული გრუნტის მენეჯმენტის ნოუ-ჰაუსა და ინოვაციური ტექნოლოგიების დამკვიდრებას რიგი სადემონსტრაციო პროექტების განხორციელებისა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების დახმარების გზით.

მუხლი 45.

შავი ზღვის ქვეყნებმა უნდა იმსჯელონ ბუქარესტის კონვენციის დამფინგის ოქმის სრულყოფაზე, ლონდონის 1972 წლის კონვენციისა და მისი შემდგომი შესწორებების თანახმად.

შავი ზღვის კომისიის დღის წესრიგში არ დამდგარა „დამფინგის შესახებ ბუქარესტის კონვენციის პროტოკოლის“ შესწორების საკითხი მუდმივმოქმედი სამდივნოს დაფუძვნების პროცესის შეფერხების გამო. საინფორმაციო ვაკუუმის არსებობა მიუთითებს, რომ პროტოკოლის ფარგლებში საინფორმაციო მოთხოვნების გამკაცრების საჭიროებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს შავი ზღვის კომისიამ და ნაოსნობის გარემოსდაცვითი უსაფრთხოების ასპექტების სამოქმედო ცენტრმა უფრო დიდი მუშაობა გაწიოს ამ მიმართულებით. რეგიონულ დონეზე ჯარიმებისა და მონიტორინგის სისტემები საჭიროებს შემდგომ გაუმჯობესებას. აუცილებელია წინ წაწევა ამოღებული გრუნტის ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების დაწესების მიდგომების ჰარმონიზების მიმართულებით.

საჭირო ღონისძიებები:

- ⇒ ხელი შეეწყოს ხელშემვრელი მხარეების მიერ ლონდონის კონვენციის რატიფიცირებას, სადაც კი ეს საჭიროა;
- ⇒ გადაისინჯოს პროტოკოლი დამფინგის შესახებ და მომზადდეს შესაბამისი შესწორებები 2007 წელს დაგეგმილ მინისტრთა შემდგომი შეხვედრისათვის;
- ⇒ ჩატარდეს ამოღებული გრუნტის მენეჯმენტის სტრატეგიების და სამოქმედო გეგმების განხორციელების წინასაინვესტიციო შესწავლა;

- ⇒ შემუშავდეს ამოღებული გრუნტის მენეჯმენტის სახელმძღვანელო პრინციპები, მეთოდოლოგიები და ინსტრუქციები;
- ⇒ ჩატარდეს სპეციალისტების მომზადება და გაუმჯობესდეს პროფესიული სწავლება;
- ⇒ მომზადდეს და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს წარედგინოს წინადადება რეგიონულ პროექტზე სანაპირო ზონების დაბინძურებისა და სხვა სახიფათო მოვლენების დისტანციური დაკვირვების სისტემის შესახებ.

ზ) ნარჩენების მართვა

მუხლი 46.

შავი ზღვის სახელმწიფოები ითანამშრომლებენ გარემოსდაცვითი თვალსაზრისით ნარჩენების მართვის შესატყვისობაში მოსული პოლიტიკით, დაუთმობენ რა სათანადო ყურადღებას ნარჩენების მინიმიზაციას, გადამუშავებას და ხელახალ გამოყენებას.

შავი ზღვისპირეთის ქვეყნებში ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიები ითვალისწინებს ნარჩენების მინიმიზაციას, ხელმეორედ გამოყენებას, რეციკლირებას და ნაგავსაყრელების რეაბილიტაციას. რეგიონში ნარჩენების მართვის შესაბამისი საკანონმდებლო და ნორმატიული ინტრუმენტები სათანადო დონეზეა განვითარებული და წარმოდგენილია ორგანული კანონებით, ნორმატიული დოკუმენტებითა და პროგრამებით (ცხ. III. 15). ევროგაერთიანების (EU) კანდიდატ ქვეყნებს თავიანთ კანონმდებლობაში გადმოაქვთ 2000/59/EC დირექტივა

(გემებზე წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო და საზღვაო ტვირთების ნარჩენების საპორტო მიმღები მოწყობილობები). ეროვნულ დონეზე ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

ბულგარეთი: ნარჩენების მავნე ზემოქმედების შემცირება, გარემოსდაცვითი აქტი, 18 სექტემბერი 1997; ბაზელის კონვენცია სახიფათო ტვირთების ტრანსსასაზღვრო გადატანებისა და კონტროლის შესახებ; საპორტო ნარჩენების მართვის გეგმები (PWMP-ები);

თურქეთი: ინფორმაცია არ იქნა წარდგენილი;

რუმინეთი: ხდება ევროგაერთიანების ღირებულებების გადმოტანა (ტრანსპორტი);

რუსეთის ფედერაცია: 1996-2001 წლების ფედერალური პროგრამა „ნარჩენები“, რომელიც ითვალისწინებდა ნარჩენების მართვის კონკრეტული ღონისძიებების/ქმედებების განხორციელებას;

საქართველო: მსოფლიო ბანკის სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის პროექტის ფარგლებში;

უკრაინა: შავი და აზოვის ზღვების დაცვისა და რეაბილიტაციის ეროვნული პროგრამა (2001-2011) შეიცავს თავს ნარჩენების მართვის შესახებ; ამჟამად მუშავდება რეგიონული პროგრამა ტოქსიკური ნარჩენების შესახებ.

ნარჩენების მართვის საკითხები რეგიონულ დონეზე საერთოდ არ იქნა გათვალისწინებული არცერთ პროგრამასა თუ პროექტში. ხელშემკვრელ მხარეებს შორის არ იქნა გავრცელებული და გაზიარებული ცოდნა და გამოცდილება საყოფაცხოვრებო და სახიფათო ნარჩენების მოვლის არსებული ტექნოლოგიების და მათი მართვის საუკეთესო მეთოდების შესახებ.

მცირე მუნიციპალიტეტებისათვის ნარჩენების მართვის სისტემის შემოღების მოდელი, ნარჩენების ინტეგრირებული მართვის გეგმების შემუშავებისა და განხორციელების, რეგიონული ნაგავსაყრელი ადგილების შერჩევის და სხვათა ჩათვლით, არის ერთ-ერთი მაგალითი წარმატებული გამოცდილებისა, რომელიც გავრცელებულ და გაზიარებულ უნდა იქნას. ასეთ წარმატებულ პროექტად შეიძლება ჩაითვალოს თურქეთის ტრაპიზონისა და რიზეს რაიონების ნარჩენების მართვის რეგიონული პროექტი.

საჭიროა რეგიონული სტრატეგიის შემუშავება და წინასაპროექტო შესწავლა, რათა:

- ჩატარდეს მყარი ნარჩენების (საყოფაცხოვრებო, სახიფათო და სამედიცინო) ინვენტარიაცია, რომელიც მოგცემს შავი ზღვის რეგიონში არსებულ სურათს; განისაზღვროს ნარჩენების შემადგენლობა და რაოდენობა; შემუშავდეს შესაბამისი კომპიუტერული მოდელი და მოხდეს პერსონალის სწავლება;
- განისაზღვროს შესაბამისი „მყარი ნარჩენების განთავსების მოდელი“ ფინანსური და ტექნიკური პარამეტრების თვალსაზრისით, ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, აღდგენის, განთავსების და ნაგავსაყრელების ადგილმდებარეობის შერჩევის ჩათვლით;
- შეირჩეს და რეგიონში დამკვიდრდეს ნარჩენების ინტეგრირებულ მართვასთან დაკავშირებული შესაბამისი ინტეგრირებული მოდელი;
- მომზადდეს და განხორციელდეს არსებული ღია ნაგავსაყრელების რეაბილიტაციის პროექტები და შესწავლილ იქნას ამ ადგილებიდან ენერჯის აღდგენის შესაძლებლობა ფინანსური და ტექნიკური თვალსაზრისით;
- შემოთავაზებული პროექტის ფარგლებში განისაზღვროს შერჩეული მოდელისათვის საჭირო მოწყობილობების რაოდენობა, ტიპები და მახასიათებლები და შესწავლილ იქნას პროექტის საინვესტიციო ღირებულება;

- წინასაპროექტო შესწავლის დასრულების შემდეგ მომზადდეს და დამონტაჟდეს შესაბამისი მოწყობილობები;
- მოხდეს პერსონალის სწავლება სანიტარული ნაგავსაყრელების ექსპლოატაციის და მოვლა-პატრონობის წესებსა და მეთოდებში მოწყობილობების ამუშავების წინ და მომზადდეს ნაგავსაყრელების ექსპლოატაციისა და მოვლა-პატრონობის ინსტრუქციები (სახელმძღვანელოები).

საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციასთან (IMO) და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით, შემდეგი რეგიონული პროექტები განხორციელების შემთხვევაში დაეხმარება ეროვნულ მთავრობებს გადაჭრან ნარჩენების მართვის პრობლემები:

- პორტებისათვის ნარჩენების მართვის გეგმების შემუშავების ინსტრუქციების/სახელმძღვანელოების მოზადება IMO-ს და EU-ს მოთხოვნათა გათვალისწინებით და შავი ზღვის ყველა პორტში მათი დანერგვის ხელშეწყობა;
- ნარჩენების, გემებზე დაგროვებული ნარჩენების ჩათვლით, მოვლისა და განთავსების საუკეთესო გარემოსდაცვითი მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა;
- ეკოსისტემების რეაბილიტაციის პროექტების განხორციელება;
- სანაპირო ზონის მუნიციპალიტეტებისათვის ნაგავსაყრელების ექსპლოატაციის, მოვლა-პატრონობის და შემოწმების კრიტერიუმების ინსტრუქციების ან სახელმძღვანელოების მომზადება.

საჭირო ღონისძიებები:

- ⇒ გათვალისწინებულ იქნას ჩანდინარე წყლების საკითხები შავი ზღვის კომისიის სამუშაო გეგმაში;
- ⇒ მოძიებულ იქნას ფინანსური დახმარება ნარჩენების მართვის და მისი გარემოსდაცვითი და სოციალურ-ეკონომიკური შედეგების რეგიონული წინასაპროექტო შესწავლის მიზნით, რათა უზრუნველყოფილ იქნას სანაპირო ზონის მდგრადი განვითარება;

- ⇒ მომზადდეს და განხორციელდეს რეგიონული პროექტი სანაპირო ზონის ნარჩენების მართვის შესახებ, სადაც გათვალისწინებულ იქნება ეროვნული გეგმები და მოხდება ამ გეგმების ჰარმონიზება.

თ) სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადატანა

ტექსტი 47.
 ყოველგვარი დაყოვნების გარეშე შავი ზღვის ქვეყნებმა სტამბულის კომისიის მეშვეობით და შავი ზღვის დაბინძურებისა და დაცვის დიპლომატიურ კონვენციაზე მიღებული I-ლი რეზოლუციის გათვალისწინებით, საჭიროა დაასრულონ და მიიღონ ბუქარესტის კონვენციის საძიძი ნარჩენების ტრანსსასაზღვრო მოძრაობისა და ასეთ არალეგალურ ტრანსპორტირებასთან ბრძოლაში თანამშრომლობის ოქმის ტექსტი.

სახიფათო ნივთიერებების გადატანამ შესაძლოა ყველაზე დიდი ზიანი მიაყენოს ადამიანის ჯანმრთელობასა და ეკოსისტემებს შავი ზღვის რეგიონში. ამჟამად, არ არსებობს შავ ზღვაში სახიფათო ნარჩენების გადატანის რეგიონული ან ეროვნული სტატისტიკა ან ანგარიშგება.

სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადატანისა და კონტრაბანდისთან ბრძოლის შესახებ ბუქარესტის კონვენციის პროტოკოლის ტექსტზე მუშაობა ვერ დასრულდა მუდმივმოქმედი სამდივნოს შექმნის მნიშვნელოვანი დაყოვნების გამო.

გამომდინარე იქიდან, რომ შავი ზღვის ქვეყნები წარმოადგენენ სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადატანებისა და განთავსების კონტროლის შესახებ ბაზელის კონვენციის (1989) წევრებს, პროტოკოლში გამოყენებულ უნდა იქნას ამ კონვენციის პრინციპები.

სახიფათო ნარჩენების გადატანა ეროვნულ დონეზე რეგულირდება ნუსხით, რომელშიც მითითებულია ნებადართული სახიფათო მასალების იმპორტი, ტოქსიკური ნარჩენების ჩათვლით. სახიფათო ნარჩენები წარმოადგენს იმ ნარჩენებს, რომლებიც ჩამოთვლილია ბაზელის კონვენციის I და II დანართებში და რომლებსაც აქვთ კონვენციის III დანართში მოყვანილი და/ან დაკონკრეტებული მანუშის განმსაზღვრელი ერთი ან რამოდენიმე თვისება (ფეთქებადობა, აალებადობა, დამჟანგველობა, მომწამვლელობა, კოროზიულობა, ტოქსიკურობა, ეკოლოგიური ტოქსიკურობა და ა.შ.), აგრეთვე იმ მასალებს, რომლებიც ბინძურდება ამ ნარჩენებით. ამიტომ, ბაზელის კონვენციის განხორციელების ხელშეწყობა შესაძლოა იყოს საკმარისი ტოქსიკური ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადატანების კონტროლისათვის. ამ მიმართებაში, ნებისმიერი საზღვაო ტვირთის გადატანა უნდა რეგულირდებოდეს მოცემული კონვენციით ან ნებისმიერი მომავალი პროტოკოლის.

საჭირო ღონისძიებები:

- ⇒ IMO-ს დახმარებითა და ბაზელის კონვენციასთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით ჩატარდეს სახიფათო ნარჩენების გადატანის პროტოკოლის მიღების აუცილებლობის და განხორციელებადობის შესწავლა;
- ⇒ დამყარდეს მჭიდრო კავშირები ბაზელის კონვენციასთან;
- ⇒ შემუშავდეს და განხორციელდეს სტრატეგია და სამოქმედო გეგმა სახიფათო ნარჩენების გადატანის კონტროლის შესახებ;
- ⇒ ჩატარდეს სახიფათო ნარჩენების ინვენტარიზაცია, რომელიც მოგვცემს შავი ზღვის რეგიონში არსებულ სურათს და ინფორმაციას სახიფათო ნარჩენის კატეგორიის და რაოდენობის, ამ ნარჩენების განთავსების მეთოდების და ტრანსსასაზღვროდ გადასაზიდი ტვირთების რაოდენობაზე;
- ⇒ ხელი შეეწყოს ბაზელის კონვენციის განხორციელებას, აგრეთვე შეგროვდეს და გაანალიზდეს ნარჩენების აღრიცხვის მონაცემები იმ მიზნით, რომ მომზადდეს “ტყუპი პროექტები” შავი ზღვისპირეთის ქვეყნებში;
- ⇒ კონტრაბანდის აღმოსაფხვრელად მხარი დაეჭიროს წევრი ქვეყნებისათვის პასუხისმგებლობისა და კომპენსაციის პროტოკოლის შემუშავებას;

- ⇒ გაძლიერდეს არსებული საბაჟო სამსახურები ქვეყნებს შორის ნარჩენების არალეგალური მოძრაობის კონტროლის მიზნით და შეიქმნას სპეციალიზებული საბაჟო სამსახურები;
- ⇒ ხელი შეეწყოს ავარიული დაბინძურების სალიკვიდაციო და საგანგებო შემთხვევებზე რეაგირების გეგმების მიღებას.

მუხლი 48.

საჭიროა დამუშავდეს შავი ზღვის სტრატეგია ავარიული დაბინძურების სალიკვიდაციო გეგმისა და საგანგებო შემთხვევებზე რეაგირებისათვის. სასურველია, რომ სტამბულის კომისიამ მოამზადოს და მიიღოს ეს სტრატეგია 1997 წლის დეკემბრისათვის საკონსულტაციო ჯგუფის რეკომენდაციების გათვალისწინებით. ამ სტრატეგიამ უნდა უზრუნველყოს საფუძველი იმისა, რომ ავარიული დაბინძურების სალიკვიდაციო გეგმები, რომლებიც შეიქმნება შავი ზღვის ქვეყნებში, იყოს საკმარისად კოორდინირებული. მის საფუძველზე, აგრეთვე უნდა შეიქმნას ავარიული დაბინძურების რეგიონალური სალიკვიდაციო გეგმა.

ნაოსნობის გარემოსდაცვითი უსაფრთხოების ასპექტების საკონსულტაციო ჯგუფმა (AG ESAS) IMO-ს დახმარებით მოამზადა ავარიების დროს შავ ზღვაში ნავთობის ჩაღვრაზე რეაგირების და ლიკვიდაციის გეგმა, რომლის მიღებაზეც ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები შავი ზღვის მთავრობების მიერ. ნავთობის ტრანსპორტირების მზარდი ტენდენცია გვაძლევს საკმაო მიზეზს, რათა არსებობდეს შავი ზღვის ნავთობით დაბინძურების სალიკვიდაციო გეგმა. თუმცა, გეგმა არ ითვალისწინებს სხვა საშიშ ნივთიერებებს. ამიტომ, AG ESAS-ი შეთანხმდა, რომ შავი ზღვის საგანგებო შემთხვევებზე რეაგირების და ავარიული დაბინძურების სალიკვიდაციო გეგმა დანართის სახით დაერთოს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების პროტოკოლს და დაიყოს ორ ნაწილად: 1) ნავთობი და 2) სხვა საშიში ნივთიერებები.

საჭირო ღონისძიებები:

- ⇒ ხელი შეეწყოს შავი ზღვის საგანგებო შემთხვევებზე რეაგირების და ავარიული დაბინძურების სალიკვიდაციო გეგმის მიღებასა და ხელმოწერას 2003 წლისათვის;
- ⇒ შემუშავდეს გეგმის მეორე ნაწილი სხვა საშიში ნივთიერებების შესახებ 2005 წლისათვის;
- ⇒ IMO-თან თანამშრომლობის გზით, უზრუნველყოფილ იქნას სამაშველო რაზმების, აგრეთვე ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების საჭირო სწავლება;
- ⇒ მოძიებულ იქნას საერთაშორისო დახმარება სამაშველო რაზმებისათვის შესაბამისი აღჭურვილობის შეძენის მიზნით, რათა მათ შეძლონ მუშაობა საერთაშორისო წყლებში;
- ⇒ შეიქმნას ეფექტური და საიმედო კომუნიკაციის სისტემა.

შავ ზღვაში წლიურად იღვრება 3,5 დან 267,7 ტონამდე ნავთობი, თუმცა არ არის ნათელი არის თუ არა ეს დაღვრები ავარიული (იხ. ცხ. IIIA.13). 1996-2001 წლებში შავი ზღვის ტერიტორიულ წყლებში დაფიქსირდა ნავთობის დაღვრის 170 შემთხვევა 537,7ტ დაღვრილი ნავთობის საერთო რაოდენობით. ბულგარეთში ამ პერიოდისათვის არ აღრიცხულა რაიმე მნიშვნელოვანი დაღვრა ან ავარია. მუშა და გაურკვეველი ხასიათის მცირე დაღვრები აღინიშნება ნავსადგურების მახლობლად, არხებსა და ტერიტორიულ წყლებში. თურქეთში დაღვრა არ აღრიცხულა (ცხ.IIIA.13).

ნავთობის დაღვრის ძირითად წყაროს წარმოადგენს ავარიული ჩაღვრები გემებიდან და ღია ზღვაში განლაგებული დანადგარებიდან. მიუხედავად ამისა, შეფასების მიხედვით, ღია ზღვაში მდებარე დანადგარებიდან ნავთობის ჩაღვრის რისკი ძალიან დაბალია.

ბულგარეთი: ღია ზღვაში ნავთობის მოპოვება არ ხდება; გაზის მარაგები აღმოჩენილ იქნა ვარნის სანაპიროს მახლობლად. დაგეგმილია ამ მარაგების გამოყენება 2002 წლიდან;

თურქეთი: ღია ზღვაში ნავთობის მოპოვება არ ხდება;

რუმინეთი: ეროვნული კომპანია „PETROM“ შ თავისი ფილიალის „PETROMAR“-ის (კონსტანცა) საშუალებით ამუშავებს ღია ზღვის 1 ძირითად დანადგარს შავი ზღვის ეკონომიკური ზონის წყლებში. რუმინეთის ღია წყლებში ნავთობის მოპოვება გაგრძელდება შემდეგი 20 წლის განმავლობაშიც;

რუსეთის ფედერაცია: ამჟამად რუსეთის ფედერაციის ტერიტორიულ წყლებში არ ხდება ნავთობის მოპოვება და იგი არ არის მოსალოდნელი ახლო მომავალშიც;

საქართველო: არ მოუწოდებია ინფორმაცია;

უკრაინა: 3 საბადოზე არსებული 6 დანადგარი

საჭირო ღონისძიებები:

- ⇒ მიღებულ იქნას შავი ზღვის საგანგებო შემხვევებზე რეაგირების და ავარიული დაბინძურების სალიკვიდაციო გეგმა 2003 წელს;
- ⇒ გაძლიერდეს საერთაშორისო თანამშრომლობა და ტექნოლოგიების შემოტანა;
- ⇒ ჩატარდეს ეროვნული და რეგიონული სალიკვიდაციო გეგმების განხორციელებაში ჩართული პერსონალის სწავლება;
- ⇒ მასშტაბის მიწოდოს საჭირო ინფორმაცია ბუნებრივი კატასტროფების შემთხვევაში უარყოფითი ზეგავლენის და შედეგების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით;
- ⇒ გემებზე მოხდეს სპეციალური თანამედროვე აპარატურისა და დანადგარების დამონტაჟება და გემების დიზაინის გაუმჯობესება, ავარიული დაღვრების თავიდან აცილებისა და ბუნებრივი კატასტროფების დროს ზიანის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით.

მუხლი 50.

საჭიროა მიღებულ იქნას შავი ზღვის საგანგებო შემთხვევებზე რეაგირების გეგმა. სასურველია, რომ სტამბოლის კომისიამ, ნაოსნობის გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების ასპექტების საკონსულტაციო ჯგუფის რეკომენდაციებზე დაყრდნობით, მიიღოს ეს გეგმა 2000 წლის დეკემბრისათვის. შავი ზღვის საგანგებო შემთხვევებზე რეაგირების გეგმა ერთობლივად უნდა ეხებოდეს შემდეგ საკითხებს: საავარიო აღჭურვილობა, ანგარიშგების ფორმები და მონაცემები ნავთობის ჩაღვრაზე, ჩაღვრის მასშტაბების კვალიფიკაცია, საშიშროების მიმართ მგრძობიარობის შეფასების მეთოდები სანაპიროებისათვის და ჩაღვრის შემდგომი განვითარების შემაფასებელი სისტემები – ჩაღვრილი ნავთობის ლაქის გადაადგილების მოდელის ჩათვლით. დამატებით, საჭიროა შეიქმნას რეგიონალურად შეთანხმებული საკლასიფიკაციო და რისკის შემფასებელი ეროვნული სისტემები.

ავარიულ შემთხვევებზე რეაგირების რეგიონული გეგმის პროექტი შავი ზღვის ნავთობით დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ სავსებით შეესაბამება უკვე არსებულ თუ ჯერ კიდევ შემუშავების პროცესში მყოფ ეროვნულ გეგმებს. ავარიულ შემთხვევებზე რეაგირების ეროვნული გეგმები, რომლებიც შავი ზღვის ყველა ქვეყანაში არსებობს ან ჯერ კიდევ შემუშავების პროცესშია, უმეტეს შემთხვევაში მიზნად ისახავს ნავთობით დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლას:

ბულგარეთი	ნავთობის ავარიულ დაღვრაზე რეაგირების ეროვნული გეგმა, 2001 წლის დეკემბერი.
საქართველო	საბოლოო პროექტი შემუშავდა მსოფლიო ბანკის სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის პროექტის ფარგლებში, რომელიც 2002 წელს იქნება მიღებული.
რუმინეთი	ავარიულ შემთხვევებზე რეაგირების ყველა ადგილობრივი გეგმა შავი ზღვის ნავთობით დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ მიღებულ იქნა 1995 წლის შემდეგ. 1996 წელს შესყიდულ იქნა თანამედროვე მოწყობილობა-აღჭურვილობანი ადგილობრივი ავარიულ შემთხვევებზე რეაგირების გეგმის შესაბამისად. ავარიულ შემთხვევებზე რეაგირების გეგმაში ყოველწლიურად შედიოდა შესწორებები, რაც მთავრობის პოლიტიკის ხშირი ცვლილებით იყო განპირობებული. ერთგვარი გაურკვეველობა ჯერ კიდევ არსებობს სამოქალაქო დაცვის ნაწილების დაქვემდებარების საკითხებთან დაკავშირებით. 2002 წელს დამტკიცდება ნავთობის დიდი რაოდენობით დაღვრების შემთხვევების ეროვნული სტრუქტურის კოორდინატორი.
რუსეთის ფედერაცია	შავი ზღვის ავარიულ შემთხვევებზე რეაგირების რეგიონული გეგმა ჩართულ იქნა ფედერალურ გეგმაში და ჯერ კიდევ განხილვის პროცესშია, დამტკიცდება 2002 წელს.
თურქეთი	ავარიულ შემთხვევებზე რეაგირების ეროვნული გეგმა წარდგენილია პარლამენტში, დამტკიცდება 2002 წელს.
უკრაინა	ნავთობის რეგიონული ჩაღვრებით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაციის ადგილობრივი გეგმები ყოველწლიურ გადასინჯვას ექვემდებარება. ღია ზღვაში ნავთობის ჩაღვრით გამოწვეული შედეგების სალიკვიდაციო გეგმა შემუშავების პროცესშია და 2002 წელს დამტკიცდება.

ყველა ქვეყანა, რომელიც ევრო-კავშირში გაერთიანებას აპირებს, განსაკუთრებულად საჭიროებს ავარიულ შემთხვევებზე რეაგირების ეროვნულ გეგმებს, რომლებიც მოიცავს საზღვაო სივრცის განზრახ ან შემთხვევით დაბინძურებას არა მარტო ნავთობით, არამედ ნებისმიერი სხვა მავნე ნივთიერებით ევროსაბჭოს №2850/2000/EC გადაწყვეტილების შესაბამისად. რუმინეთის შემთხვევაში აუცილებელია საერთაშორისო მხარდაჭერა, რათა მოხდეს ავარიულ შემთხვევებზე რეაგირების ეროვნული გეგმების გავრცობა და მასში შევიდეს საკითხი ნავთობის გარდა სხვა მავნე ნივთიერებების შესახებაც. იგივე ვრცელდება შავი ზღვის სხვა ქვეყნებზეც. მათთან მიმართებაში მოსალოდნელია ჩატარდეს კონსულტაციები და გაეწიოს ტექნიკური დახმარება საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მხრიდან.

ავარიულ შემთხვევებზე რეაგირების რეგიონული თუ ეროვნული გეგმების შემუშავება დამოკიდებულია საზღვაო ტვირთის რაოდენობასა და რისკის სიდიდეზე. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის ფაქტი, რომ ამ ეტაპზე ზემოაღნიშნულ ქვეყნებს არ შესწევთ უნარი გაუმკლავდნენ რაიმე სხვა დამაბინძურებელს გარდა ნავთობისა. ნავსადგურის ოპერატორები, ისევე როგორც ამ საქმით დაკავებული კომპანიები, ვალდებული არიან ანგარიში გაუწიონ საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის საერთაშორისო საზღვაო კოდექსს სახიფათო ტვირთის შესახებ და მასთან დაკავშირებულ MARPOL-ის დანართებს.

საჭირო ღონისძიებები:

- ⇒ სახიფათო ტვირთის მართვის რეგიონული ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლა.
- ⇒ შავი ზღვის ავარიულ შემთხვევებზე რეაგირების გეგმის მანვე ნივთიერებათა შესახებ ნაწილი 2-ის დასრულება 2005 წლისათვის.

მუხლი 51.
 ეროვნული საავარიო სამსახურების სწრაფი და ეფექტური ქმედებების უზრუნველყოფის მიზნით, შავი ზღვის ყველა ქვეყანამ, კერძო სექტორთან თანამშრომლობით, და სადაც საჭიროა საერთაშორისო და ორმხრივ სამსახურებთან ერთად უნდა უზრუნველყონ საკუთარი ეროვნული სამსახურების კვალიფიცირებული მუშაკებით დაკომპლექტება და მათთვის საჭირო რესურსების ხელმისაწვდომობა.

რეაგირების ეროვნული სისტემები სრულ მწყობრში იმყოფება და ფუნქციონირებადია, თუმცა შავი ზღვის ქვეყნების უმეტესობა ფინანსურ სირთულეებს განიცდის (ცხრილი IIIA.16). არასაკმარისი დაფინანსება ართულებს შესაბამისი აღჭურვილობის შექმნას და კვალიფიციური კადრების საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მოზიდვას. განსაკუთრებით მწირია დაფინანსება მცურავი საშუალებების, ნავთობის შემკრები გემების, მძიმე ბონების, ნავთობ შემკრებების, და სხვა სპეციალური აღჭურვილობის შესაძენად, რომელიც ბულგარეთის, საქართველოს, რუმინეთისა და უკრაინისათვის არის აუცილებელი. რუსეთის ფედერაციაში აუცილებელია აღჭურვილობის მოდერნიზაცია საერთაშორისო სტანდარტების მისაღწევად. თურქეთის ყველა ოლქში სიტუაცია განსხვავებულია.

საგანგებო სიტუაციებისათვის ეროვნულ დონეზე მზადყოფნა განსხვავებულია ქვეყნებს შორის და შემდეგნაირად გამოიყურება:

ბულგარეთი	შედარებით კარგი.
საქართველო	შედარებით კარგი ნავთობის ტერმინალებზე.
რუმინეთი	ავარიულ შემთხვევებზე რეაგირების ეროვნული გეგმის განხორციელება ჯერ არ მომხდარა, შესაბამისად, ნავარაუდევია დაბალი მზაობა, განსაკუთრებით ფართომასშტაბიანი ავარიების შემთხვევაში.

რუსეთის ფედერაცია	მზადყოფნის მაღალი დონე.
თურქეთი	შეკითხვას არ უპასუხა.
უკრაინა	ადგილობრივ დონეზე - ნავსადგურებში, გემთსაშენებში - მზადყოფნა დამაკმაყოფილებელია, რაც შეეხება ღია ზღვას-არადაამაკმაყოფილებელი.

ეროვნული შესწავლისა და ტრენინგის პროგრამები განხორციელდა შავი ზღვის ყველა ქვეყანაში, კერძოდ:

ბულგარეთი	არსებობს ნავთობით დაბინძურებასთან ბრძოლის რეგულარული (ყოველწლიური) სასწავლო პროგრამის ჩატარების აუცილებლობა. ავარიულ შემთხვევებზე რეაგირების ეროვნულ გეგმაში სასწავლო პროგრამების საკითხს სპეციალური თავი დაეთმო. ასეთი ფართომასშტაბიანი პროგრამის ღირებულება დაახლოებით 20.000 აშშ. დოლარს შეადგენს.
საქართველო	სასწავლო ვარჯიშები ტარდება ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიასა და სუფსის ნავსადგურში.
რუმინეთი	ნავთობის დაღვრების მოდელირებისა და მონაცემთა ბაზის შესწავლაზე დაფუძნებული კვლევა გადაწყვეტილების მხარდამჭერი სისტემის შესახებ განხორციელების პროცესშია. ზემოხსენებული კვლევები საზღვაო კვლევისა და განვითარების ეროვნული ინსტიტუტის (კონსტანცა) მიერ უნდა ჩატარდეს 2001 წლისათვის 15 000 ევროს საფასურად.
რუსეთის ფედერაცია	შეკითხვას არ უპასუხა
თურქეთი	შეკითხვას არ უპასუხა
უკრაინა	შეკითხვას არ უპასუხა

საჭირო ღონისძიებები:

- ⇒ ავარიულ შემთხვევებზე რეაგირების გეგმების შესაბამისად მუდმივი სასწავლო ტრენინგების სისტემის შექმნა.
- ⇒ 2003 წლისათვის ავარიულ შემთხვევებზე რეაგირების ეროვნული გეგმების საბოლოო სახით ჩამოყალიბება და მათი რეგულარული განახლების უზრუნველყოფა.

მუხლი 52.
 საჭიროა სანაოსნო, ნავთობისა და ბუნებრივი აირის სექტორებთან გამოიძებნოს მჭიდრო თანამშრომლობის ნიადაგი იმ ვარაუდით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მათ მიერ შესაძლებლობის ფარგლებში საგანგებო მდგომარეობაზე რეაგირების გეგმების შექმნისა და მათი განხორციელების ხარჯების დაფარვა.

სანაოსნო, ნავთობისა და ბუნებრივი აირის სექტორების ჩართვას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ავარიულ შემთხვევებზე რეაგირების გეგმების ეფექტური განხორციელებისათვის. მიუხედავად ყველაფრისა, შავი ზღვის სანაპიროს ქვეყნებში ეს თანამშრომლობა ყოველთვის ადექვატური არ არის და მნიშვნელოვან გაუმჯობესებას საჭიროებს:

ბულგარეთი	ამ ეტაპზე ნავთობისა და ბუნებრივი აირის სექტორში ჩართული მსხვილი ბულგარული კერძო კომპანიები არ არიან მზად მსგავსი თანამშრომლობის დასამყარებლად. კომპანიები, ნავთობის ტერმინალების მეპატრონეთა ჩათვლით, კანონის შესაბამისად ვალდებული არიან შეიმუშაონ ავარიულ შემთხვევებზე რეაგირების ადგილობრივი/ინდუსტრიული გეგმები, ისევე, როგორც უზრუნველყონ მინიმალური რაოდენობის აღჭურვილობა და მომსახურე პერსონალი საგანგებო შემთხვევებისათვის. კომპანიაში არსებული საშუალებები და სამუშაო ძალა რეაგირების მომდევნო დონეებშიც -ნავსადგურების, მუნიციპალური, საოლქო (რეგიონულ) და ეროვნულ დონეები - არის ჩართული.
საქართველო	ძალიან კარგი თანამშრომლობა შევრონთან (Chevron), ბრიტიშ პეტროლიუმთან (BP), GIOC-თან და ნავსადგურებთან.
რუმინეთი	თანამშრომლობა დამყარებულია ეროვნული გეგმის ფარგლებში (ყველა ადგილობრივი გეგმა ეროვნული გეგმის ნაწილია). ნავთობისა და ბუნებრივი აირის სექტორი ფარავს ავარიულ შემთხვევებზე რეაგირების გეგმისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ოპერაციების დანახარჯთა 20%-ს.
რუსეთის ფედერაცია	არსებობს მჭიდრო თანამშრომლობა რუსეთის სანაოსნო, ნავთობის და ბუნებრივი აირის კომპანიებს შორის, რომელთაც ნავთობის დაღვრაზე რეაგირების აუცილებელი აღჭურვილობა გააჩნიათ.
თურქეთი	ნავთობისა და ბუნებრივი აირის კომპანიებს შორის თანამშრომლობას ადგილი არა აქვს.
უკრაინა	რეაგირება არ მოუხდენია.

მხოლოდ რუმინეთმა გვაცნობა ღია ზღვაში გამოკვლევების პროგრამის შესახებ, რომელიც DETROMAR-ის ოფშორული ნავთობკომპანიის მიერ იქნა წამოწყებული, ხოლო მისი შემდგომი განვითარება მინერალური რესურსების ეროვნულმა სააგენტომ იკისრა.

ზღვის და სანაპიროს გარემოს შემთხვევითი დაბინძურების რისკის შემცირებისათვის შემდეგი პროექტები იქნა განხორციელებული ან განხორციელდება ეროვნულ დონეებზე:

ბულგარეთი	ზღვის ზედაპირის დისტანციური დაკვირვება ნავთობის დაღვრის მონიტორინგისათვის ბულგარეთის წყლებში, პროექტი განსახილველად გადაეცა ევროკავშირის HARE CBC-ს. ავარიულ შემთხვევებზე რეაგირების დაგეგმვა სხვადასხვა დონეზე საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მოთხოვნების გათვალისწინებით;
საქართველო	ნავთობის დაღვრაზე რეაგირების ეროვნული გეგმა; ბალასტური წყლების მართვის გეგმა; სანაპირო ზონის მართვის ინტეგრირებული სისტემის სანავსადგურო გეგმა.

რუმინეთი	<p>ორმხრივი შეთანხმებები ნავთობის დაღვრის შედეგების ლიკვიდაციაზე პასუხისმგებელი დაწესებულებებს შორის სადაც შეთანხმების მონაწილე მხარედ გამოდიან: ფლოტი, საზღვრის დაცვის პოლიცია, საზღვაო კვლევისა და განვითარების ეროვნული ინსტიტუტი, აგრეთვე სამოქალაქო ნაოსნობის ინსპექცია.</p> <p>QUALIPOL-ის პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური გამოკვლევა: Ecos-Overture-ს პროგრამა საფრანგეთთან და ესპანეთთან ერთად „ნავთობის დაღვრის პრევენციისა და ინტერვენციის ცენტრის“ დაარსების შესახებ.</p> <p>(საფრანგეთისათვის განკუთვნილი ბრესტში არსებული CEDRE-ის მსგავსად).</p> <p>ინტერვენციების ადგილობრივი გეგმების განახლება და განვითარება.</p> <p>2001 წლის ბოლოსათვის ადგილობრივი PETROMAR-ის (ოფშორული ნავთობკომპანია) ინტერვენციის გეგმა განახლდება სპეციალურად მოწყობილი ავარიული შემთხვევებისათვის და დაემატება ადგილობრივი გეგმის დანართი ბუნებრივი კატასტროფების შესახებ.</p>
რუსეთის ფედერაცია	ხელი შეეწყოს ორმაგი ძირიანი და ტრიუმიანი გეგმების აგებას.
თურქეთი	რეაგირება არ მოუხდენია.
უკრაინა	რეაგირება არ მოუხდენია.

საჭირო ღონისძიებები:

- ⇒ ხელი შეეწყოს შავი ზღვის ნავთობით დაბინძურების ავარიულ შემთხვევებზე რეაგირების რეგიონული გეგმის ხელმოწერასა და დამტკიცებას;
- ⇒ 2005 წლისათვის შემუშავდეს შავი ზღვის ავარიულ შემთხვევებზე რეაგირების გეგმა მავნე ნივთიერებების შესახებ; ამ გეგმის შემუშავებაში ჩაერთოს სამოქალაქო დაცვის B4 დირექტორატი ევროპის თანამეგობრობიდან (ბრიუსელი), ზოლო მის მხარდაჭერაში მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციამ.
- ⇒ ჩატარდეს რეგულარული ერთობლივი წვრთნები ორმხრივი ან მრავალმხრივი თანამშრომლობის საფუძველზე;
- ⇒ შეიქმნას უკვე შემუშავების პროცესში მყოფი კავშირგაბმულობა და საინფორმაციო (ვებ-საიტი) სისტემა მონაცემთა ფართო ბაზით. ამ პროექტს ანხორციელებენ აშშ-ს ენერჯეტიკის დეპარტამენტი და ოაკ რიდჯის ეროვნული ლაბორატორია, აშშ.
- ⇒ დაინერგოს ღია ზღვის და სანაპირო ზონის დაბინძურების, აგრეთვე სხვა სახიფათო შემთხვევების დისტანციური დაკვირვების ინტეგრირებული სისტემა.
- ⇒ ხელი შეეწყოს საერთაშორისო და ევროპის კანონმდებლობის სახელმძღვანელო პრინციპების და მეთოდოლოგიების განხორციელებას.
- ⇒ გაუმჯობესდეს თანამშრომლობა სანაოსნო, ნავთობის და ბუნებრივი აირის სექტორებთან მათი ჩართვით რეგიონალ თუ ადგილობრივ დონეზე ავარიულ შემთხვევებზე რეაგირების ღონისძიებებში.

ი) დამაბინძურებლების შეფასება და მონიტორინგი

მონიტორინგისა და შეფასების ღონისძიებებიდან შეკრებილი მონაცემების ხარისხი და სარწმუნოება უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ეროვნულ და რეგიონულ დონეებზე პოლიტიკის

გატარებისა და გადაწყვეტილებების მიღებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონული მონიტორინგისა და შეფასების პროგრამის დაარსებაში პროგრესი ნაკლებად შეიმჩნევა, ამან არ უნდა შეაფერხოს შავი ზღვის სანაპიროს ქვეყნების მიერ ჩატარებული სამუშაოების მასშტაბები და ზემოხსენებულ საკითხში ამ ქვეყნების მიღწევა ეროვნულ დონეზე, მხედველობაში მიიღება რა იმ მნიშვნელოვანი საერთაშორისო პროგრამების არარსებობა, რომლებიც შავი ზღვის სანაპიროს ყველა ქვეყანას ესაჭიროება მონიტორინგისა და შეფასების წარმოებისათვის, აგრეთვე ამ ქვეყნების განკარგულებაში მყოფი საშუალებების სიმწირე.

შავი ზღვის მონიტორინგისა და შეფასების ინტეგრირებული პროგრამის განვითარება დაფუძნებულია შემდეგ ძირითად პრინციპებზე:

- ქვეყნების მიერ ხარჯების გაწევის შესაძლებლობა.
- დროში მდგრადობა.
- ეტაპობრივი მიდგომა სრულად ადეკვატური მონიტორინგის და შეფასების სისტემის შესაქმნელად.
- ეკოსისტემის ყველა კომპონენტის ინტეგრირება.
- შესაბამისობა ძირითად გარემოსდაცვით მიმართულებებთან ევროპულ და გლობალურ კონტექსტში.

მუხლი 53.

„შავი ზღვის დაბინძურების მდგომარეობის“ მოხსენება მზადდება და გამოქვეყნდება ყოველ 5 წელიწადში ერთხელ, დაწყებული 1996 წლიდან. ის იქნება დაფუძნებული დაბინძურებაზე მონიტორინგისა და შეფასების კოორდინირებული პროგრამებიდან შეკრებილ მონაცემებზე.

ეროვნული ანგარიშები შავი ზღვის გარემოს მდგომარეობის შესახებ ბულგარეთის, რუმინეთის, რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული ანგარიშების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. საქართველომ გამოხატა თავისი სურვილი BSSAP-ის დებულების შესაბამისად შექმნას ზღვის გარემოს შეფასებისა და ანგარიშების სისტემა. არანაირი ანგარიში შავი ზღვის გარემოს მდგომარეობის შესახებ არ ყოფილა წარმოდგენილი თურქეთის მხრიდან.

რეგიონულ დონეზე შავი ზღვის დაბინძურების შეფასება (ed. Laurence D. Mee, Graham Topping, UNDP, New York, Black Sea Environmental Series, Vol. 10, 1998) სამეცნიერო ნაშრომების გამოცემათა ციკლის სახით იქნა წარმოდგენილი. ზემოხსენებული კვლევა შეეცადა შეემოწმებინა მონაცემთა არსებული ბაზა შავი ზღვის გარემოს დაცვის სფეროში. კვლევა ჩატარდა შავი ზღვის მონიტორინგში აქტიურად ჩაბმული მეცნიერებისა და შავი ზღვის გარემოსდაცვის პროგრამის ფარგლებში მომუშავე ექსპერტების მიერ.

„შავი ზღვის დაბინძურების მდგომარეობის“ ანგარიშის გამოქვეყნება, რომელიც დაბინძურების მონიტორინგისა და შეფასების კოორდინირებული პროგრამებიდან შეკრებილ მონაცემებზე იქნება დაფუძნებული, ჯერ კიდევ ეჭვქვეშ დგას, ვინაიდან არ არსებობს მონიტორინგისა და შეფასების რეგიონის მასშტაბით შეთანხმებული პროგრამა, გარდა ამისა შავი ზღვის სანაპიროს ქვეყნებს არ შესწევთ უნარი სრულფასოვნად დაუჭირონ მხარი მონიტორინგს ეროვნულ დონეზე.

საჭირო ღონისძიებები:

- ⇒ 2002 წლის ივნისისათვის დასრულდეს შავი ზღვის მონიტორინგისა და შეფასების ინტეგრირებული პროგრამის (BSIMAP) შემუშავება. შავი ზღვის კომისია შავი ზღვის მონიტორინგისა და შეფასების ინტეგრირებულ პროგრამას (BSIMAP) საგარეულოდ მე-9 სხდომაზე დაამტკიცებს, კომისია აგრეთვე მიიღებს სპეციალურ ზომებს ეროვნულ დონეზე, BSIMAP –ის განხორციელებისათვის საჭირო დაფინანსების უზრუნველსაყოფად. შეთანხმებული ფორმატის მიხედვით რეგულარული ანგარიშების წარდგენა ექსპერიმენტის სახით 2002 წლის 1 სექტემბრისათვის დასრულდება, ხოლო 2003 წლიდან სრულად დაიწყებს ფუნქციონირებას.
- ⇒ არსებული შესაძლებლობების სიმწირის გათვალისწინებით, ერთმანეთს შედარდეს თუ რა ესაჭიროება თითოეული ქვეყანას ანგარიშების წარდგენისა და შეფასების წარმოებისათვის; უზრუნველყოფილ იქნენ შავი ზღვის საკონტაქტო პირები (ორგანოები) ქვეყნებს შორის შეთანხმებული სახელმძღვანელო პრინციპებით, რათა ეროვნული ანგარიშები მომზადდეს ურთიერთშეთანხმებული ფორმატით იმ მიზნით, რომ ეროვნულმა გეგმებმა სრულად მოიცვას რეგიონული მნიშვნელობის ინფორმაცია. ამ შემთხვევაში ნაკლები შრომის გაწევა მოუწევს როგორც ეროვნულ საკონტაქტო პირებს (ორგანოებს), ასევე მონიტორინგისა და შეფასების აქტიურ ცენტრს (ოდესა, უკრაინა).

მუხლი 54.

შავი ზღვის მონიტორინგის სისტემა, დაფუძნებული ბიოლოგიური ზემოქმედებებისა და მთავარი დამაბინძურებლების გაზომვებზე, შეიქმნება ბუქარესტის კონვენციის შესაბამისად. ის შემდგარი იქნება ინტეგრირებულად – ეროვნულ სტრატეგიულ სამოქმედო გეგმაში ჩართული მონიტორინგის სავალდებულო ეროვნული პროგრამებისა და ხარისხის უზრუნველყოფის დამოუკიდებელი სისტემებისაგან. სასურველია, რომ 1998 წლისათვის სტამბოლის კომისიამ შეიმუშაოს ხარისხის უზრუნველყოფელი ახალი სისტემა დაბინძურების მონიტორინგისა და შეფასების საკონსულტაციო ჯგუფის მეშვეობით.

შავი ზღვის გარემოს მდგომარეობის შეფასება ეროვნულ დონეზე ჩვეულებრივ კოორდინირებულია გარემოსდაცვის სახელმწიფო მმართველობითი ორგანოების მიერ და დაფუძნებულია მიმოხილვების, კვლევითი ექსპედიციების და ეროვნული მონიტორინგის ქსელების მონაცემთა ბაზაზე (ბულგარეთი, რუმინეთი რუსეთის ფედერაცია, უკრაინა. ზოგიერთ შემთხვევაში მონიტორინგისა და შეფასების განხორციელება ხდება პროექტის ფარგლებში (თურქეთი).

მონიტორინგის ეროვნულ პროგრამებს საკუთარ ტერიტორიულ წყლებში ანხორციელებს ბულგარეთი, რუმინეთი, უკრაინა და რუსეთის ფედერაცია, თუმცა ხშირად არარეგულარულად და შეზღუდული პარამეტრებით, რაც ეკონომიკური მიზეზებით არის განპირობებული. საქართველოს ბოლო 5 წლის განმავლობაში მონიტორინგი არ განხორციელებია. თურქეთში მონიტორინგი და შეფასებები მხოლოდ პროექტის ფარგლებში განხორციელდა. რეგიონის მასშტაბით შეთანხმებული მონიტორინგისა და შეფასების პროგრამის არარსებობამ ამ ღონისძიებების ეროვნულ დონეზე ფინანსირება ეჭვქვეშ დააყენა.

ზღვის გარემოს მდგომარეობის შეფასების დროს ყველა ქვეყანა განსხვავებულ მეთოდოლოგიებსა და ტექნოლოგიებს მიმართავს. რეგიონის კეთილდღეობის მიზნით საჭიროა ზემოხსენებული მეთოდოლოგიისა და ტექნოლოგიების საკითხებზე ქვეყნებს შორის

ურთიერთშეთანხმება, აგრეთვე ამ მეთოდებისა და ტექნოლოგიების რეგიონის საჭიროებებთან შესაბამისობაში მოყვანა.

მონიტორინგის პროგრამებში ჩვეულებრივ შემდეგი პარამეტრები იგულისხმება: ნუტრიენტები, BOD, ნავთობი, კვალური მეტალები, (ბულგარეთი, რუმინეთი, უკრაინა, რუსეთის ფედერაცია), ორგანული დამაბინძურებლები (ბულგარეთი, რუმინეთი, უკრაინა) და ბიოლოგიური პარამეტრები (ბულგარეთი, რუმინეთი, უკრაინა). პარამეტრების შეზღუდული რაოდენობის გარდა, ანალიზთა ხარისხი, ისევე როგორც ნიმუშთა შერჩევის სისწორე და მონიტორინგის არეალი არაადექვატური იყო. მონიტორინგის შედარებით რეგულარული მონაცემები რუმინეთში სანაპიროს მიმდებარე ზონის (20მ სიღრმე) შესახებ ინფორმაციით შემოიფარგლება. უკრაინის გარდა ღია ზღვაში მონიტორინგის შესახებ მონაცემები არც ერთ ქვეყანაში არ მოიპოვება. უმეტესობა პარამეტრებისა, რომლებიც შევიდა „წყლის ჩარჩო ღირექტივაში სანაპირო წყლების შესახებ“ არ იზომება და უახლოეს მომავალში შავი ზღვის ქვეყნების მიერ არ გაიზომება.

ბიოლოგიური აბერაციების (ნორმიდან გადახრის) გამოყენების მნიშვნელობა მონიტორინგის პროგრამებში შავი ზღვის ყველა ქვეყანაში არის აღიარებული და პრაქტიკაშიც ხორციელდება იმ ქვეყნებში, რომელთაც მონიტორინგის ჩატარების უნარი შეწევთ. ამ ეტაპზე ბიოლოგიური პარამეტრები სრულად არის ინტეგრირებული ბულგარეთის, რუმინეთისა და უკრაინის მონიტორინგის ეროვნულ პროგრამებში. პლანქტონისა და ბენტოსის სტანდარტული კომპლექტის პარამეტრები რუსეთის ფედერაციის მონიტორინგის ეროვნული პროგრამის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა, თუმცა ეკონომიკური სირთულეებიდან გამომდინარე ეს პარამეტრები პროგრამიდან ამოღებულ იქნა. საქართველომ გამოთქვა სურვილი ჩართოს ზემოხსენებული პარამეტრები თავის მონიტორინგის ეროვნულ პროგრამებში, როგორც კი მონიტორინგის განხორციელების შესაძლებლობა ქვეყნისათვის ეკონომიკურად ხელმისაწვდომი იქნება. თურქეთი სრულად მოახდენს პარამეტრების ინტეგრაციას მონიტორინგის რეგიონულ პროგრამაში მისი დამტკიცების შემდეგ. ბიოლოგიური ზემოქმედების ორგანიზმების დონეზე გაზომვა მოცემულ ეკონომიკურ პირობებში შეუძლებელად არის მიჩნეული და გადავადებულია.

შავი ზღვის გარემო დაცვის პროგრამისა და TACIS-ის პროექტის ფარგლებში წამოწყებული და შემდეგ ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს (IAEA) ჩარჩოში მონაკოს საზღვაო ლაბორატორიის დახმარებით განვითარებული ხარისხის უზრუნველყოფისა და ხარისხის კონტროლის სისტემის დაარსების შესაძლებლობა, ჯერ კიდევ ძალიან სუსტია. რამდენიმე სასწავლო ტრენინგი ჩატარდა 1996/1997 წელს შავი ზღვის რეგიონში „TACIS-ის შავი ზღვის ფონდების“ პროგრამის ფარგლებში. სამწუხაროდ, ევროკავშირის პილიტიკის შედეგად TACIS-სა PHARE-ის პროგრამებთან მიმართებაში, თურქეთი არ მოხვდა რეგიონული ღონისძიებების სიაში.

ყველა საკონსულტაციო ჯგუფი ხაზგასმით აღნიშნავს მონიტორინგისა და შეფასების რეგიონული პროგრამის დაარსების და მასთან მიმართებაში ერთიანი მიდგომის შემუშავების აუცილებლობას. დაბინძურების მონიტორინგის საკონსულტაციო ჯგუფმა შეიმუშავა შავი ზღვის მონიტორინგისა და შეფასების სტრატეგიის პროექტი, რომლის ძირითადი ნაწილიც – მონიტორინგის პროგრამა – ფინანსურად განხორციელებადი იქნება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებისათვის. ზემოხსენებული გეგმის დამტკიცება კომისიის მიერ, 2002 წლისათვის არის ნავარაუდები.

საჭირო ღონისძიებები:

- ⇒ სტრატეგიის მომზადება რეგიონული შეფასების რეგულარული პროცესისათვის, რომელშიც ეროვნული კომპონენტები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ.
- ⇒ მჭიდრო თანამშრომლობის დამყარება ევროპის გარემოსდაცვის სააგენტოსა და მის თემატურ ცენტრებთან მაღალკვალიფიციური ტექნიკური რჩევებისა და დახმარების მისაღებად.
- ⇒ დაბინძურების მონიტორინგისა და შეფასების აქტიური ცენტრის შემდგომი გაძლიერება ხარისხის უზრუნველყოფისა და ხარისხის კონტროლის რეგიონულ დონეზე სრულად დაარსებული სისტემით, TACIS-ის შავი ზღვის რეგიონული პროგრამის (2000/2001 წწ.) დასრულებისთანავე.
- ⇒ დაბინძურების მონიტორინგისა და შეფასების საკონსულტაციო ჯგუფის გადაწყვეტილებების შესაბამისად, შავი ზღვის მონიტორინგისა და შეფასების ინტეგრირებული პროგრამის დაარსება 2005 წლისათვის, რომელშიც შევა ტექნიკური სახის სახელმძღვანელო პრინციპების, მეთოდოლოგიებისა და რეკომენდაციების სრული კრებული.
- ⇒ OSPAR-ის, HELCOM-ისა და სხვა რეგიონული საზღვაო კონვენციების საუკეთესო გამოცდილების გამოყენება.

მუხლი 55.

საჭიროა შემუშავდეს საბანაო წყლის გაზომვის ერთიანი ტექნიკა ხარისხის უზრუნველყოფის დამხმარე მექანიზმებთან ერთად. სასურველია, რომ სტამბოლის კომისიამ შეიმუშაოს გაზომვების ეს ერთიანი ტექნიკა 1997 წლის დეკემბრამდე დაბინძურების მონიტორინგისა და შეფასების საკონსულტაციო ჯგუფის დახმარებით. დაუფარაობა საჭიროა ხელშეწყობილ იქნეს საბანაო წყლის ხარისხის გაზომვის მონაცემების, სულ მცირე, წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებისა და ურთიერთგაცვლის გზით.

შავი ზღვის გარემოს დაცვის პროგრამის ფარგლებში შავი ზღვის სანაპიროს საბანაო წყლის ვარგისიანობის შესახებ ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის (WHO) მიერ ჩატარებული კვლევების შედეგად 1995 წლის აპრილში შემუშავდა სახელმძღვანელო (პროექტი) რეკრეაციული წყლებისა და სანაპიროს ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების თაობაზე. ზემოაღნიშნული იყო შავი ზღვის კომისიის მიერ ჩატარებული ბოლო ღონისძიება საბანაო წყლის ხარისხის შესახებ. სახელმძღვანელოს პრინციპები გარკვეულწილად გამოყენებულ იქნა რუმინეთსა და თურქეთში. შავი ზღვის დანარჩენი ქვეყნები საკუთარ პროცედურებს იყენებდნენ. იმის გათვალისწინებით, რომ ეროვნული სანიტარული და ეპიდემიოლოგიური ინსპექციები, ჩვეულებრივ, ცუდად აღჭურვილი და დაკომპლექტებულია, ანალიზები შეზღუდულად ხორციელდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ დონეებზე გაზომვის უნიფიცირებული ტექნოლოგია გამოიყენება, რეგიონულ დონეზე სულ სხვაგვარი სიტუაციაა. საბანაო წყლის ხარისხის მონიტორინგი შავი ზღვის სანაპირო ქვეყნებში ეროვნულ სანატარულ და ჰიგიენურ მმართველობითი ორგანოებს ეკისრება, რომელიც, როგორც წესი ჯანდაცვის სამინისტროს ან სხვა შესაბამისი ორგანოს დაქვემდებარებაშია. გარემოს დაცვის და ჯანდაცვის სახელმწიფო მმართველობითი ორგანოებს შორის ქმედებათა კოორდინაციის დაბალმა დონემ რეგიონული მასშტაბით, აგრეთვე დაბინძურების მონიტორინგისა და შეფასების საკონსულტაციო ჯგუფსა და დაბინძურების ხმელეთზე განლაგებული წყაროების საკონსულტაციო ჯგუფს (AG PMA, AG LBS) შორის პასუხისმგებლობის მკვეთრი გამიჯვნის არარსებობამ, მაშინ როდესაც სწორედ AG PMA-ს და AG LBS-ის მოვალეობაში შედიოდა ქმედებების კოორდინირების

უზრუნველყოფა, გამოიწვია რეგიონულ დონეზე უმოქმედობა მომდევნო 5 წლის განმავლობაში.

რეგიონულ ღონისძიებებს შესაძლოა სასარგებლო სამსახური გაუწიოს არსებული ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაციამ ევროკავშირის დირექტივასთან საბანაო წყლის ხარისხის შესახებ, რომელიც ბულგარეთში, რუმინეთსა და თურქეთში უკვე მოქმედებს, ხოლო საქართველოში **GICMP-ის** პროექტის ფარგლებში ხორციელდება. განხორციელების პროცესშია ჩართული უკრაინა და რუსეთის ფედერაცია.

რეგიონული თანამშრომლობისათვის დამატებით იმპულსს წარმოადგენს კონვენცია ტრასსასაზღვრო წყლების და საერთაშორისო ტბების დაცვის და გამოყენების შესახებ და მისი შესაბამისი ოქმი წყლით გამოწვეული დაავადებათა შესახებ.

უნდა დამყარდეს მჭიდროს თანამშრომლობა ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციასა (WHO) და ევროპის სხვა შესაბამის სააგენტოებთან.

არაადექვატური იყო ფართო საზოგადოებისათვის განკუთვნილი ინფორმაცია სანაპიროებისა და საბანაო წყლის მდგომარეობის შესახებ. მხოლოდ თურქეთში არსებობდა სანაპიროებისა და საბანაო წყლის ხარისხის შესახებ საზოგადოების ინფორმირების სისტემა, რომელიც წარმოდგენილი იყო ბროშურისა და ლურჯი დროშით აღნიშნული პლიაჟების შესახებ ვებ-გვერდის სახით. ლურჯი დროშის პროგრამის მოთხოვნაა, არა მარტო სუფთა გარემო არამედ კარგად განვითარებული ინფრასტრუქტურა ტურიზმისათვის. ეკონომიკური თვალსაზრისით გარდამავალ პერიოდში მყოფი ქვეყნებისათვის ზემოხსენებული ამჟამად არარეალურია. ტურისტების მოსაზიდად პლიაჟებისა და საბანაო წყლის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს მთელი ტურისტული სეზონის განმავლობაში.

რეგიონული თვალსაზრისით, საბანაო წყლის მონიტორინგისა და შეფასების კუთხით სამომავლო მუშაობა შემდეგზე იქნება ფოკუსირებული:

- 2006 წლისათვის გადაისინჯოს და დამტკიცდეს რეგიონული სახელმძღვანელო პრინციპები შავი ზღვის საბანაო წყლის ხარისხის მონიტორინგისა და საბანაო წყლის ხარისხის შეფასების ტექნოლოგიების შესახებ, წყლის ხარისხის შესახებ ევროკავშირის დირექტივისა და ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივის გათვალისწინებით. ამ დოკუმენტს საფუძვლად უნდა დაედოს ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის სახელმძღვანელო ცნობარი რეკრეაციული წყლებისა და პლაჟების ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების შესახებ.
- 2006 წლისათვის საბანაო წყლის ხარისხის უზრუნველყოფისა და ხარისხის კონტროლისა მოქმედი სისტემის ჩამოყალიბება.
- კერძო ტურისტულ სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობით 2004 წლისათვის საბანაო წყლის ხარისხის შესახებ რეგიონული საინფორმაციო სისტემის ჩამოყალიბება და განვითარება შავი ზღვის კომისიის საინფორმაციო სისტემის ფარგლებში.
- 2007 წლისათვის ადგილობრივი და ეროვნული ხელისუფლების წარმომადგენელთათვის კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგის ეფექტური სისტემის დაფუძნება.
- რეგიონული საზღვაო კონვენციების გამოცდილების, მათ შორის OSPAR-ის, HELCOM-ის, HELCOM-ის, ბარსელონას, გაეროს ორგანიზაციების, ევროპის გარემოს დაცვის სააგენტოს (EEA) თემატური ცენტრების და ა.შ საუკეთესო გამოცდილების გაზიარება.

რეგიონული მონიტორინგისა და შეფასების მონაცემთა ბაზის შექმნა, ისევე როგორც ანგარიშგების ცხადი პოლიტიკისა და პროცედურების დაარსება შავი ზღვის კომისიისათვის ჯერ კიდევ გადაუჭრელ პრობლემას წარმოადგენს. შავი ზღვის კომისიის მუდმივი სამდივნოს არასებობის პირობებში, სისტემის ჩამოყალიბების მცდელობა პროექტის ფარგლებში წარუმატებელი აღმოჩნდა, რადგან სისტემას რეგიონული თვალსაზრისით საჭირო მდგრადობა და სიცოცხლისუნარიანობა აკლდა. აქედან გამომდინარე, მუდმივი სამდივნოს დაარსებისთანავე, შავი ზღვის კომისიამ უპირველეს მიზნად დაისახა შავი ზღვის საინფორმაციო სისტემის ჩამოყალიბება. ამ ინიციატივას ფინანსური მხარდაჭერა ევროკავშირმა აღმოუჩინა. უნდა გავრძელებდეს მჭიდრო თანამშრომლობა ევროპის გარემოს დაცვის სააგენტოს (EEA) თემატურ ცენტრებთან და მათ საინფორმაციო ცენტრებთან, რეგიონული საზღვაო კონვენციების საინფორმაციო ბაზებთან, ICES-ის ჩათვლით. შავი ზღვის გეოინფორმაციის სისტემა უნდა გადაისინჯოს და მომავალში განვითარდეს რეგიონული მოთხოვნების შესაბამისად. სრულად უნდა იქნეს გამოყენებული შავი ზღვის ჰიდრომეტეოროლოგიურ მონაცემთა ბაზა, რომელსაც “ნატო”-ს (NATO) მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში ჩაეყარა საფუძველი და რომელიც რეგიონში 1998 წლიდან ფუნქციონირებს. დუბლირებისა და სამუშაოს ორმაგი შესრულების თავიდან ასაცილებლად დაბინძურების მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფი მთლიანად ჩართული უნდა იყოს GOOS –ის საქმიანობაში. თუკი ეს ასე მოხდება, ეს იმის მაუწყებელია, რომ შავი ზღვის სანაპიროს ქვეყნების სამეცნიერო წრეებს შორის თანამშრომლობა საგრძნობლად უნდა გაუმჯობესდეს.

ძალზე შეზღუდულია იმ საკითხთა კვლევის შესაძლებლობა, რომელიც ეროვნულ დონეზე დამატებით კვლევით პროგრამებსა და ღონისძიებებს საჭიროებენ. აქედან გამომდინარე საერთაშორისო დაფინანსება საჭიროა შემდეგი კვლევების ჩასატარებლად:

- მონიტორინგის გაფართოება იმ პარამეტრებამდე, რომელიც წყლის ჩარჩო ღირებულების მოთხოვნებით არის დადგენილი.
- პრობლემის მასშტაბებისა და შავი ზღვის ეკოსისტემაზე მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების ზეგავლენის განსაზღვრა.
- ჰაერით გადატანილი დაბინძურების შესწავლა და ამ კომპონენტის შავი ზღვის მონიტორინგის ინტეგრირებულ პროგრამაში შეტანა.
- იფუზური წყაროებიდან და მდინარეებიდან შავი ზღვის დაბინძურების ხვედრითი წილის შესწავლა.
- ბიომრავალფეროვნებისა და თევზჭერის საკითხების სრული ჩართვა შავი ზღვის მონიტორინგისა და შეფასების პროგრამაში.

მუხლი 56.
 საჭიროა შეიკრიბოს და თავისუფლად გაცვილილ იქნას ყოველ 5 წელიწადში ერთხელ, დაწყებული 1996 წლიდან, მონაცემები, რომლებიც ეხება დამაბინძურებელთა შეტანის რეალურ და შეფასებით გაზომვებს დაბინძურების წერტილოვანი წყაროებიდან, მდინარეებიდან და, სადაც შესაძლებელია, გაფანტული წყაროებიდანაც. სასურველია, რომ ასეთ მონაცემთა შეგროვება ხმელეთზე განლაგებული წყაროებიდან გამოწვეული დაბინძურების კონტროლის საკონსულტაციო ჯგუფმა ითაოს.

მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაციის შეგროვება რეალურად ჩამოყალიბებული დამაბინძურებლების შესახებ შავი ზღვის ქვეყნებისათვის ჩვეულებრივ პრაქტიკას შეადგენს, ანგარიშგების

რეგიონული სისტემა მაინც ვერ დაარსდა. თუკი მხედველობაში მივიღებთ უმოქმედობის გასულ წლებს, დაბინძურების ხმელეთზე განლაგებული წყაროების საკონსულტაციო ჯგუფის (AG LBS) მაკოორდინირებელ საქმიანობას სერიოზულად სჭირდება გაუმჯობესება. კომისიამ თავის მხრივ, მის შემადგენლობაში მყოფი თურქი წევრის მეშვეობით უნდა უზრუნველყოს აქტივობის ცენტრის მხარდაჭერა, რაც თურქეთის კომპეტენციაში შედის.

ხმელეთზე განლაგებული წყაროების (LBS) რეგიონული მონაცემთა ბაზა უნდა ჩამოყალიბდეს, როგორც შავი ზღვის საინფორმაციო სისტემის განუყოფელი ნაწილი და მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:

- ინფორმაცია შავი ზღვის აუზის ჰიდროლოგიური მდგომარეობის შესახებ;
- ინფორმაცია შავი ზღვისა და მისი აუზის წყლების ფონური დაბინძურების შესახებ;
- ინფორმაცია სამრეწველო საქმიანობის შესახებ: ე.ი რა სახის საწარმოები არის წარმოდგენილი, მათი სპეციალიზაცია, ნედლეული და ტექნოლოგიები;
- ინფორმაცია საყოფაცხოვრებო ნარჩენების შავ ზღვაში ჩაშვების (ძირითადი წყაროების აღწერა) და დაბინძურების დიფუზური წყაროების შესახებ;
- ინფორმაცია რეგიონში სამომავლო მშენებლობის შესახებ;
- შავი ზღვისათვის დაწესებული წყლის ხარისხის სტანდარტები;
- ინფორმაცია ამ სფეროში მიღწევების შესახებ, სფეროს შიგნით არსებული საუკეთესო ტექნოლოგიები და თუ რომელ ლიცენზირებულ საწარმოს მიეკუთვნება იგი. (როდესაც ახალმშენებლობაზე ან რეკონსტრუქციაზეა საუბარი).
- ინფორმაცია ამ სფეროში მომუშავე საწარმოებისათვის ნარჩენი წყლებისა და წყლის გამწმენდი საშუალებების არსებული სისტემების შესახებ;
- ფართო საზოგადოებისათვის განკუთვნილი პოპულარული ფორმით მიწოდებული საინფორმაციო და სასწავლო მასალები.

სასურველი იქნებოდა ისეთი მონაცემთა ბაზის შექმნა, რომელიც სრულად შეინახავდა შესაბამის ინფორმაციას, რომლის გაცვლა ან გამდიდრება შესაძლებელი იქნებოდა სხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობის პირობებში.

რეგიონისათვის მაქსიმალური შესაძლო დაბინძურების (MAD, Maximum Available Discharges), გამწმენდი მოწყობილობების (დანადგარების) პარამეტრების, ნარჩენი და სანიაღვრე წყლების მოცულობის, აგრეთვე სხვადასხვა დასახლებებისა თუ საწარმოებისათვის მიწოდებული წყლის რაოდენობის გამოსათვლელად საჭიროა კომპიუტერული პროგრამები.

საჭირო ღონისძიებები:

- ⇒ 2003 წლიდან მოყოლებული უზრუნველყოფილ იქნეს შავი ზღვის მონიტორინგის ინტეგრირებული ძირითადი პროგრამის განხორციელება დადგენილი ფორმატით, რომელშიც გათვალისწინებული იქნება 2002 წლის სექტემბერში ექსპერიმენტის სახით განხორციელებული ანგარიშგება მონიტორინგში ეროვნული მონიტორინგის მონაცემთა ბაზაზე დაფუძნებით.
- ⇒ 2005 წლისათვის სრულად შეფასდეს შავი ზღვის გარემოს მდგომარეობა;
- ⇒ 2006 წელს გამოიცეს ანგარიში გარემოს მდგომარეობის შესახებ.
- ⇒ გაუმჯობესდეს თანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარება ევროკავშირის საზღვაო მონიტორინგის სფეროში დახელოვნებულ ცენტრებთან, შავი ზღვის სანაპიროს

- ქვეყნების დახმარების მიზნით.
- ⇒ შემუშავდეს გარემოს ხარისხის მიზნები და შავი ზღვის სანაპიროს ქვეყნებში პოლიტიკისა და გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო გარემოს ინდიკატორების სრული ნუსხა (ევროპის ღირექტივებისაკენ სწრაფვისას, კანონმდებლობის ჰარმონიზებისათვის კარგ საფუძველს ქმნის მოხსენება გარემოს ხარისხის სტანდარტების შესახებ).
 - ⇒ დაბინძურების მონიტორინგისა და შეფასების აქტიური ცენტრის, საკონტაქტო ორგანოების (პირების) შემდგომი გაძლიერება და მათი ეროვნულ დაწესებულებებთან თანამშრომლობის გაძლიერება.
 - ⇒ ღუნაის ქვეყნებთან თანამშრომლობა შავი ზღვის კომისიისა (BSC) და ICPDR ურთიერთგაგების მემორანდუმის ფარგლებში.
 - ⇒ 2003 წლისათვის განხორციელდეს დამაბინძურებლების ფაქტიური მოცულობისა და დაბინძურების ხმელეთზე განლაგებულ წყაროებთან დაკავშირებული სხვა საკითხების შესახებ მონაცემთა ჩართვა შავი ზღვის რეგიონულ საინფორმაციო სისტემაში. ამ საკითხთან მიმართებაში GEF-ის და TACIS-ის პროექტების მეშვეობით უნდა განხორციელდეს ეროვნული საკონტაქტო პირებისათვის (ორგანოებისათვის) აუცილებელი ტრენინგების ჩატარება დაბინძურების ხმელეთზე განლაგებული წყაროების შესახებ და მხარდაჭერის აღმოჩენა.

ბ. ცოცხალი რესურსების მართვა

ა) კომერციული რესურსები

მუხლი 57.
 თევზები ზღვის ეკოსისტემის განუყოფელი ნაწილია. თევზი კარგად გრძნობს თავს დაუბინძურებელ და დაცულ ეკოსისტემაში, გარდა ამისა ზღვის ეკოსისტემისათვის სასარგებლოა თევზრეწვის ქმედებები, თუ მათი მართვა სათანადოდ ხორციელდება. ამ გეგმაში შეთანხმებული ზომები დაბინძურების შემცირების თუ ბიომრავალფეროვნების, საარსებო არეალების და ლანდშაფტების დაცვაზე, შავ ზღვაში კომერციული თევზრეწვის აღდგენის წინაპირობას წარმოადგენს. გარდა ამისა, განსაკუთრებულ დაცვას საჭიროთი და საჭოფი ადგილებიც ითხოვს.

60-იანი წლების შემდეგ შავი ზღვის თევზრეწვის სექტორმა დიდი დაღმავლობა განიცადა თევზის სახეობათა რაოდენობისა და თევზჭერის თვალსაზრისით. შავი ზღვის გარემოს დაცვის პროგრამის ფარგლებში ჩატარებულმა კვლევამ თევზრეწვის სექტორში დაღმავლობის 3 ძირითადი მიზეზი გამოავლინა:

- გადაჭარბებული თევზჭერა;
- ეგზოტიკური სახეობების შემოჭრა (მაგალითად, *Mnemiopsis leydii*);
- დაბინძურება;

ექსპერტთა აზრით შავ ზღვაში თევზრეწვის მაქსიმალურმა მდგრადმა ოდენობამ წელიწადში 2.000.000 ტონასაც შეიძლება მიაღწიოს, თუკი თევზჭერის წესები იქნა შემოღებული, ან იმ შემთხვევაში თუ განხორციელდება იშვიათი სახეობების დაცვის ზომების (*Mnemiopsis leydii*-ის კონტროლის შემთხვევაში). ამის გარდა, აკვაკულტურის სექტორის განვითარების შემთხვევაში, მიდიის რამდენიმე მილიონიანი მოსავლის მიღება იქნებოდა შესაძლებელი. ანალიზი გვიჩვენებს, რომ უკანასკნელი 5 წლის მანძილზე მთლიანი თევზჭერის დონე

მეტნაკლებად სტაბილურია, თუ არ ჩავთვლით თევზჭერის ოდნავი ზრდის ტენდენციას რუსეთის ფედერაციაში და უკრაინაში. რუმინეთში საერთო თევზჭერა შემცირდა, ხოლო თურქეთში მისი სტაბილიზაცია მოხდა. (ცხრილი III B.1; ცხრილი III B.2;)

ზღვის საკვები რესურსების მდგომარეობა ნაწილობრივ გაუმჯობესდა მრავალი თევზის სახეობისათვის, ეს ძირითადად ეროყე ოვატა-ს გაშვებით აიხსნება. იგი მტაცებელი მელუზა ნემიოპსის ლეყდვი-ის ბუნებრივი მტერია, ამ უკანასკნელმა 80-90-იან წლებში შავი ზღვის თევზების საკვები რესურსების განადგურება გამოიწვია. კანონმდებლობის განხორციელებამ და შავი ზღვის სანაპიროს ქვეყნების უმეტესობაში ეკონომიკური კრიზისით გამოწვეულმა დაბინძურების ხარისხის შემცირებამ, ეკოსისტემას თვითგადასახლისების საშუალება მისცა. შედეგად, ბოლო 2-3 წლის განმავლობაში წვრილი ზღვის თევზის სახეობების აღდგენის ნიშნები ეტყობათ.

ეროვნული საკანონმდებლო და მარეგულირებელი ზომების დაწესებამ დიდი როლი შეასრულა თევზის სახეობების არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება და რეგიონში თევზის რეწვაზე კონტროლის გამკაცრებაში. კანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში განხორციელდა 1996 წლამდე შავი ზღვის სანაპიროს ქვეყნების მიერ მიღებული, თევზის რეწვასთან დაკავშირებული ძირითადი დოკუმენტების შემდგომი გაუმჯობესება, დახვეწა და ცხოვრებაში გატარება. ისინი სახეობების დაცვის პრობლემას პირდაპირ ეხებიან. მხოლოდ თურქეთში არ შეცვლილა ძირითადი კანონები თევზრეწვის შესახებ (1971, 1986), თუმცა ამჟამად თურქეთის პარლამენტი თევზის რეწვის შესახებ ახალ კანონპროექტს იხილავს. არსებული საკანონმდებლო ბაზას თევზის რეწვის შესახებ შესწევს უნარი მოაწესრიგოს ზღვის თევზებისა და სხვა ცოცხალი რესურსების საკითხები შავი ზღვის ყველა ქვეყანაში. რაც შეეხება ტრანსსასაზღვრო კონტექსტს, აქ ჯერ კიდევ საჭიროა ეროვნული კანონმდებლობებისა და დამარეგულირებელი ნორმების რეგიონული ჰარმონიზაცია და მხარდაჭერა, განსაკუთრებით თევზისა და სხვა ცოცხალი რესურსების დაცვის საკითხებში. (ცხრილი IIIB.3)

ევროკავშირში შესვლა, რომელსაც ბულგარეთი, თურქეთი და რუმინეთი მალე განახორციელებენ და რომელიც საქართველომ და უკრაინამ ეროვნულ პოლიტიკად აღიარეს, კიდევ უფრო მეტად დაავალდებულებს ქვეყნებს გააუმჯობესონ ზღვის საბინადრო ადგილებისა და ზღვის ცოცხალი რესურსების დაცვისათვის საჭირო მარეგულირებელი ბაზა და მოახდინონ მისი მოდერნიზება. აქედან გამომდინარე, სწრაფი შეთანხმება თევზრეწვის კონვენციისა და ბიოლოგიური მრავალფეროვნების და ლანდშაფტების დაცვის ოქმის შესახებ, აგრეთვე თევზრეწვისა და სხვა ცოცხალი რესურსების მართვის სამოქმედო და რეგიონული სტრატეგიული გეგმების შემუშავება და განხორციელება მკაფიოდ ჩამოყალიბებულ ხარისხობრივ და რაოდენობრივ მიზნებთან და ნორმალურ სამუშაო გრაფიკთან ერთად, დამატებითი იმპულსი იქნება ეროვნული კანონმდებლობის განხორციელებისა და ამოქმედებისათვის.

შავი ზღვის ქვეყნებს თევზრეწვის სექტორში ინსტიტუციური ბაზის ჩამოყალიბების დიდი ისტორია გააჩნიათ: ერთ შემთხვევაში, როგორც დამოუკიდებელი ორგანოების, (თევზრეწვის სახელმწიფო კომიტეტი, რუსეთის ფედერაცია), მეორე შემთხვევაში, სოფლის მეურნეობის სექტორის ქვედანაყოფების (ბულგარეთი, რუმინეთი, თურქეთი, უკრაინა), ხოლო მესამე შემთხვევაში გარემოსდაცვითი სექტორის სახით (საქართველო) (ცხრილი IIIB.4). ეროვნული კანონების, დადგენილებების, წესდებისა და ინსტრუქციების (ლიცენზიებისა და წლიური კვოტას ჩათვლით) კარგად განვითარებული სისტემები თევზრეწვის სექტორის მთლიანი მართვის შემადგენელი ნაწილებია. ინტერსექტორული თანამშრომლობა გარემოსდაცვით უწყებებთან სხვადასხვა ფორმით არის წარმოდგენილი, კერძოდ:

- ბულგარეთი – არ არის მითითებული;
- საქართველო – ინსტიტუტებში მორისი ექსპერტთა სამეცნიერო საბჭო თევზრეწვის საკითხებზე;
- რუმინეთი – თანამშრომლობის სპეციალური პროცედურა მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან ღუნაის დელტას ბიოსფერულ ნაკრძალში.
- რუსეთის ფედერაცია – სპეციალური პროცედურით ხდება თევზჭერის კვოტის დადგენა და თევზრეწვის წესების დამტკიცება;
- თურქეთი – არ არის მითითებული;
- უკრაინა – სექტორთშორისი სამუშაო ჯგუფები.

თევზრეწვის სექტორის მდგრადი განვითარების მისაღწევად ინსტიტუციონალიზებული და გაძლიერებული უნდა იქნეს თანამშრომლობა თევზრეწვის და გარემოსდაცვით მმართველობით ორგანოებს შორის. სექტორებს შორის თანამშრომლობა რეგიონულ დონეზე არ არის სათანადოდ დაფუძნებული და მონაწილე მხარეთა მხრიდან მეტ აქტივობას მოითხოვს.

საკანონმდებლო და მარეგულირებელი ზომები, რომლებიც ეხება ან ხორციელდება შავი ზღვის ქვეყნებში:

- ქვირითობის პერიოდში თევზრეწვაზე სეზონური აკრძალვა.
- თევზის ზომა (ცხრილი IIIB.7);
- ეროვნული კვოტები;
- მკვებავი და საქვირითე ადგილების დაცვა;
- საზამთრო ადგილების დაცვა;
- თევზმჭერი მოწყობილობების გამოყენების შეზღუდვები.

ჩვეულებრივ თევზრეწვის მართვა გულისხმობს თევზრეწვის შესახებ დადგენილებათა მიღებას ზემოაღნიშნულ საკითხებზე. ზემოხსენებული პრაქტიკა ეფექტურ ბერკეტებად არის მიჩნეული და კანონის ძალით არის უზრუნველყოფილი შავი ზღვის ქვეყნებში. თევზის სარეწაო სიმძლავრეების მეშვეობით მოპოვებული თევზის კონტროლი უკვე დამკვიდრდა ზოგიერთ ქვეყანაში და მსგავსი პრაქტიკის დანერგვა შავი ზღვის ქვეყნებშიც შესაძლებელია.

თევზის მარაგის შემცირებამ და შედეგად თევზის სარეწაო სიმძლავრეებით მოპოვების ზრდამ გამოიწვია სანაპიროს თევზრეწვაზე დამოკიდებული მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუარესება. რუმინეთში ზარალმა 4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა 1985-86 წლებთან შედარებით. უკრაინის ზარალი დაახლოებით 74 მლნ. აშშ დოლარს შეადგენდა, ხოლო ზღვის სხვა რესურსებით გამოწვეული ეკონომიკური ზარალი წელიწადში 6-9 მლნ. აშშ დოლარს შორის მერყეობდა (შავი ზღვის გარემოს პრიორიტეტების კვლევა, უკრაინა, 1998, ხელმისაწვდომი მონაცემები 1995 წლის ჩათვლით). თურქეთში თევზჭერის დანაკარგებმა 132.008 ტონა შეადგინა. მაშინ, როცა ფულადი დანაკარგი იმდენად შესამჩნევი არ იყო მოქნილი საბაზრო ეკონომიკის წყალობით, 50 000 მეთევზე უმუშევარი დარჩა. (შავი ზღვის გარემოს პრიორიტეტების კვლევა, თურქეთი, 1998, უკანასკნელი ხელმისაწვდომი მონაცემები 1995 წლისათვის).

„შავი ზღვის გარემოს პრიორიტეტების შესწავლის“ შედეგად შავი ზღვის გარემოს დაცვის პროგრამის ფარგლებში წამოწყებულ იქნა პროგრამა, რომელსაც უნდა შეეფასებინა შავი ზღვის დაბინძურებით და მისი ეკოსისტემის დაბინძურებით გამოწვეული ეკონომიკური დანაკარგები თევზრეწვის დარგში. ეს კვლევა არ დასრულებულა და არ გამოქვეყნებულა. გამოიცა მხოლოდ ორი ეროვნული ანგარიში (თურქეთი, უკრაინა). წლიური სავარაუდო ეკონომიკური ზარალის დათვლა ბევრისმთქმელი იქნება მართვისა და პოლიტიკის განმხორციელებლებისათვის. მეტწილად ეკონომიკური შეფასებანი იმიტომ არის არაადეკვატური, რომ არ არსებობს ასეთი შეფასების ერთიანი მეთოდოლოგია. საერთო მეთოდოლოგია და მიდგომა ეკონომიკური ზარალის რეგიონული მასშტაბით შეფასებისათვის აუცილებელია და უნდა ითვალისწინებდეს არსებულ საერთაშორისო და ეროვნულ კანონებს.

უკანონო თევზჭერა შავი ზღვის სანაპიროს ქვეყნების ერთ-ერთი უდიდესი პრობლემაა. ქვეყნისათვის გადაცემული დაჭერილი თევზის ოდენობამ რუმინეთში შესაძლოა წელიწადში 1000 ტონას მიაღწიოს. ბულგარეთში უკანონო თევზჭერის ეკონომიკური ღირებულება 2-5 მილიონ დოლარამდეა, რუმინეთში – 3 მილ. დოლარი, ხოლო რუსეთის ფედერაციაში 1-2 მილიონ ტონას აღწევს. თუ შავი ზღვის ექვსივე ქვეყანაში მსგავს ციფრებს ვივარაუდებთ მივიღებთ, რომ შავი ზღვის რეგიონისათვის ყოველწლიურმა დანაკარგმა უკანონო თევზჭერის მიზეზით შესაძლოა 20მლნ. აშშ დოლარი შეადგინოს. უკანონო თევზჭერის წინააღმდეგ ეროვნულ დონეზე შემუშავებული კანონმდებლობა საკმაოდ პროგრესულია და მისი ცხოვრებაში გატარებაც შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფილია ქვემოთ ჩამოთვლილი ორგანოების მიერ:

ბულგარეთი	
საქართველო	ეკოპოლიცია;
რუმინეთი	
რუსეთის ფედერაცია	თევზრეწვის ინსპექცია, სასაზღვრო დაცვა;
თურქეთი	
უკრაინა	თევზრეწვის ინსპექცია, სანაპიროს დაცვა;

მიუხედავად ამისა, ზემოაღნიშნული ორგანოები ყოველთვის არ არიან შესაბამისად აღჭურვილნი და არ გააჩნიათ საკმარისი მომსახურე პერსონალი თვით საკუთარი ქვეყნის ტერიტორიული წყლების სრულად გასაკონტროლებლადაც კი. საერთაშორისო კონტროლის შედარებით რთული საკითხები კი დამოკიდებული ხდება რეგიონული და ორმხრივი იურიდიულად სავალდებულო დოკუმენტების შემუშავებასა და განხორციელებაზე, კერძოდ კონვენცია თევზრეწვის შესახებ, შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვის კონვენციის ბიოლოგიური მრავალფეროვნებისა და ლანდშაფტის დაცვის ოქმი.

მეცნიერთა შრომა თევზჭერის სექტორში წარმოდგენილია მთელი რიგი პუბლიკაციების სახით. მიუხედავად ყველაფრისა, ამ ღონისძიებებს, განსაკუთრებით კი მათ, რომლებიც ეხება ტრანსსასაზღვრო სახეობების რეგიონული მარაგის, თევზებზე დაბინძურების ზემოქმედების და თევზების დაბინძურების ღონეების შეფასებას, სერიოზული ფინანსური სირთულეები ექმნებათ. ამიტომ, საჭირო იქნება საერთაშორისო დახმარება მოძიება ისეთი პროექტებისათვის, რომელთა მიზანს შავი ზღვის თევზჭერის სექტორის გაუმჯობესება წარმოადგენს, კერძოდ:

- - თევზის მარაგის რეგიონული შეფასების განხორციელება.
- - ანადრომული და ტრანსსასაზღვრო სახეობების საქვრითე ადგილების და საკვები ზონების დაცვა.

საჭირო ღონისძიებები:

- ⇒ 2004 წლისათვის თევზჭერის კონვენციაზე მუშაობის დასრულებისა და მისი მიღების უზრუნველყოფა.
- ⇒ 2005 წლამდე გადაისინჯოს, განახლდეს და იურიდიული სტატუსი მიენიჭოს იშვიათი და გადაშენების საფრთხის წინაშე მდგარი სახეობების ჩამონათვალს ბიოლოგიური და ლანდშაფტების მრავალფეროვნების დაცვის ოქმის მე-2 დანართის საფუძველზე.
- ⇒ შავი ზღვის მნიშვნელოვანი ანადრომული სახეობების მიგრაციის მარშრუტების, საქვირითე და საკვები ადგილების აღწერის და შეფასების ჩატარება და მათი რეაბილიტაციის და დაცვის რეგიონული პროექტის მომზადება 2002-2004 წლებში.
- ⇒ მდგრადი თევზრეწვის რეგიონული სტრატეგიის შემუშავება კვების პროდუქტებისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციასთან (FAO) თანამშრომლობის საფუძველზე და შავი ზღვაში საიმედო თევზრეწვის მიზნით FAO-ს კოდექსის ხელშეწყობა.
- ⇒ თევზრეწვის პრაქტიკის გაუმჯობესება ზღვის არაკომერციული სახეობების შემთხვევითი დაჭერის თავიდან აცილების მიზნით.
- ⇒ ინფორმაციის გაცვლის გაუმჯობესება, განსაკუთრებით განხორციელებული ღონისძიებებისა და პელაგიური თევზრეწვის შესახებ.
- ⇒ თევზრეწვისა და გარემოსდაცვითი სექტორებს შორის თანამშრომლობის გაუმჯობესება ეროვნულ და რეგიონულ დონეებზე.

მუხლი 58.

ეკოსისტემის რეაბილიტაციის მიზნით განსაკუთრებულ დაცვას საჭიროებს ფილოფლორას მინდვრები და სხვა სალიფსიტო კრიტიკული არეალები. ანადრომული სახეობების სატორფე ადგილები აღსადგენია და სანაპირო ლაგუნები – გამოსაჯანსაღებელი. 2000 წლისათვის თითოეული შავი ზღვის ქვეყანა მოამზადებს სულ ცოტა ერთ ექსპერიმენტულ პროექტს, რომელიც თავის წვლილს შეიტანს შავი ზღვის თევზის მარაგის აღდგენისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის არეალების აღდგენის საქმეში.

თევზის მარაგის რაოდენობა და ხარისხი დიდად არის დამოკიდებული ეკოსისტემებისა და, საქვირითე და საარსებო ადგილების მდგომარეობაზე. შავ ზღვაში თევზრეწვისათვის უმნიშვნელოვანესი ეკოსისტემები წარმოდგენილია ცხრილში III B5. რუსეთის ფედერაციაში მთავრობის მიერ მიღებული და დამტკიცებულია ზოგადი გეგმა თევზის მარაგის აღწარმოების შესახებ. თევზსაშენებთან დაკავშირებული ყველა საჭირო სამუშაო დაფინანსებულია და ტარდება ამ გეგმის შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში რეგიონულ ადმინისტრაციებს ან რუსეთის ფედერაციის რეწვის სახელმწიფო კომიტეტს შესწორებანი შეაქვთ გეგმაში. რეგიონული თვალსაზრისით მნიშვნელოვან საკითხად რჩება თევზის მარაგის აღწარმოებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე გარემოსა და ეკოსისტემების დაცვა და რეაბილიტაცია. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ არაზრდასრული და ახალგაზრდა თევზების ჭერა უარყოფით გავლენას ახდენს თევზის მარაგზე. ამ საკითხთან მიმართებაში სპეციალური კონტროლის მექანიზმის დაწესება საჭირო.

შავი ზღვის გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი თევზების სახეობები შესულია 2002 წლის 14 ივნისს ვარნაში (ბულგარეთი) ხელმოწერილ ბიოლოგიური მრავალფეროვნებულსა და ლანდშაფტების დაცვის შესახებ ოქმის წინასწარ სიაში იშვიათი და გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობების შესახებ. ამ სახეობების უმეტესობა ასევე შედის გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი და იშვიათი სახეობების ეროვნულ წითელ წიგნებში. თუმცა, შავი ზღვის თევზების კომერციულ სახეობათა უმეტესობის დღევანდელი მდგომარეობა არასახარბიელოა და ჯერ კიდევ მეთევზეთა და თევზჭერის მმართველობით მორგანოთა შეშფოთების საგანს წარმოადგენს. იმისათვის, რომ შავი ზღვის სანაპიროს ქვეყნებს არ მოაკლდეთ ისეთი მნიშვნელოვანი რესურსი, როგორცაა თევზი, საჭიროა მდგომარეობის გამოსწორება და თევზის რაოდენობის მდგრადობის შენარჩუნება გადაჭრელი მარეგულირებელი ზომების მიღების გზით.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ანადრომული თევზების სახეობების საქვირითე ადგილები, რადგანაც ისინი გულისხმობს თევზის ისეთი კომერციული სახეობების აღწარმოებას როგორცაა თართი, ქორჭილა, ქარიყლაპია, ნაფოტა და ა.შ. ზემოაღნიშნული საქვირითე ადგილების დაცვა ნიშნავს მდინარის შესართავთან მდგომარეობის ხელუხლებლად შენარჩუნებას. მიუხედავად ანადრომული თევზების სახეობებისათვის საქვირითე ადგილების დაცვის და აღდგენის აშკარა აუცილებლობისა, აგრეთვე ქვეყნების ინდივიდუალური მცდელობისა დაიცვან და აღადგინონ ზემოაღნიშნული საქვირითე ადგილები, ამ პრობლემის რეგიონული მასშტაბით გადაწყვეტის უნარი არაადექვატურად იქნა გამოყენებული. ამის გარდა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აღწარმოებისათვის საჭირო პირობების შექმნას, გაფართოებას და შენარჩუნებას იმ სახეობებისათვის, რომლებსაც შესაძლოა საფრთხე შეექმნათ, ან რომლებიც რისკის მქონე პოპულაციების ჯგუფში შედიან, განსაკუთრებით თართი და პალტუსი.

ანადრომული თევზების საქვირითე ნიადაგების შენარჩუნება დამოკიდებული იქნება შესაბამის ქმედებებზე ეროვნულ დონეზე, აგრეთვე ისეთ მდინარის კომისიებთან თანამშრომლობა როგორცაა: მდინარე დუნაის საერთაშორისო კომისია, მდ. დნებრის მომავალი კომისია და რუსეთ-უკრაინის ორმხრივი თანამშრომლობა აზოვის ზღვასთან მიმართებაში.

სანაპირო ლაგუნები, როგორც თევზის მრავალი სახეობის საბინადრო და საქვირითე ადგილი, ძალზე მნიშვნელოვანია შავი ზღვის თევზრეწვის სექტორისათვის, განსაკუთრებით კი აკვაკულტურის და თევზსაშენებისათვის. რუსეთის ფედერაციის მოხსენებაში აღნიშნულია კეფალის მოსაშენებელი ფერმა, რომელიც 1949 წელს დაარსდა კიზილტასის ლაგუნათა/ლიმანთა სისტემაში, აგრეთვე **zander** და ნაფოტას გამრავლებით დაკავებული საშენები იეისკის, ბეისუნგისა და ახტარსკის ლიმანებსა და აზოვის ზღვაში. უკრაინაში აღდგენილი იქნა კალაპოტის არხები, რომლებიც ლაგუნებს ზღვასთან აკავშირებს (მოლოჩნი ლაგუნა აზოვის ზღვაში და ტილეგულსკის ლიმანი). მსგავსი ქმედებები არ დაფიქსირებულა სხვა ქვეყნებში, ძირითადად იმ მიზეზის გამო, რომ სანაპირო ლაგუნები უმეტესად განლაგებულია შავი ზღვის შელფის ჩრდილო-დასავლეთ მხარეში.

საერთაშორისო დონორმა ორგანიზაციებმა არ გამოხატეს ინტერესი შავი ზღვის თევზრეწვის სექტორის შესანარჩუნებელი ეროვნული და რეგიონული ღონისძიებების მიმართ. ზოლო სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა არასაკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ რუმინეთში, კონსტანცაში არსებული „სამოქმედო ცენტრს“ რეგიონული კოორდინატორის როლი შეესრულებინა ისეთ ღონისძიებებში, როგორცაა: რეგიონული თევზის სახეობების შეფასება. რუსეთის ფედერაციის გარდა თევზრეწვის სექტორის მდგრადობის მიღწევისათვის საჭირო ეროვნული ღონისძიებები არსად არ შეესაბამებოდა სექტორის მოთხოვნილებებს. და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიც არასაკმარისად იყვნენ ჩართულნი პროცესში.

2002-2006 წწ. პერიოდისათვის საქვითე და საკვები ნიადაგის შენარჩუნების და დაცვისათვის დასახული ამოცანებია: (ცხრილი III B6).

ბულგარეთი	– არანაირი;
საქართველო	– ფოთი-ოჩამჩირე;
რუმინეთი	– ღუნაის დელტას ბიოსფეროს ნაკრძალი და საზღვაო ნაკრძალი 2
მაი-გარნა ვეჩე;	
რუსეთის ფედერაცია	– დადგინდება თართის შენარჩუნების შესახებ ახალი კანონპროექტის მიღების შემდეგ.
თურქეთი	– ქვირითობის პერიოდში თევზრეწვა საქვითე ნიადაგებზე აკრძალულია.
კრაინა	– ქვირითობის პერიოდი თევზრეწვის საქვითე ნიადაგებზე აკრძალულია.

საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან მოსალოდნელია ეროვნული დონეზე ღონისძიებათა ჩატარების მხარდაჭერა.

საჭირო ღონისძიებები:

- ⇒ მეტი აქტივობა FAO-სა და იმ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობის დასამყარებლად რომლებიც შავ ზღვაში თევზრეწვის დადგენილი ფარგლებში წარმოების ხელშემწყობები არიან და ისეთ პროექტებთან თანამშრომლობის სა უძველზე, როგორც არის GEF-ის პროექტი „აზოვის და შავი ზღვის სანაპირო ზოლის გასწვრივ არსებული ეკოლოგიური დერეფნების ბიომრავალფეროვნების დაცვა“;
- ⇒ საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვება წინასაპროექტო რეგიონული კვლევის ჩატარებაში შავი ზღვის ლაგუნების/ლიმანების რეაბილიტაციისა და მათი, როგორც თევზისა და აკვაკულტურის გამრავლების ადგილების, გამოყენების მიზნით და ამ მიმართულებით ეროვნული ძალისხმევის მხარდაჭერა და გაძლიერება;
- ⇒ იმ ადგილების განსაზღვრა, რომლებიც რეგიონის მასშტაბით დაცული ადგილების ქსელში შეტანას ექვემდებარება; შავი ზღვისათვის შესაბამისი კრიტერიუმების ჩამოყალიბება;
- ⇒ საიმედო (სწორი) თევზრეწვის შესახებ ფართო მასების ინფორმირება საგანმანათლებლო კამპანიების მეშვეობით.

მუხლი 59.
 იმისათვის, რომ შავ ზღვაში მოხდეს ეკოსისტემის რეაბილიტაცია და მდგრადი თევზრეწვა წარმოებდეს, საჭიროა თევზრეწვის მართვის გზების გაუმჯობესება და სარეწი სიმძლავრეები მიუსადაგდეს თევზის მარაგის მდგომარეობას. სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს თევზრეწვის კონვენციის რაც შეიძლება სწრაფად მიღებას ისე, რომ შესაძლებელი გახდეს თევზრეწვის მართვის სისტემის შექმნა, რომელშიც შემდეგი კომპონენტები იქნება გათვალისწინებული: რეგიონის მასშტაბით თევზის მარაგის რეგულარული კოორდინირებული შეფასება, უფლებამოსილების გაცემა შავი ზღვის ყველა სარეწიო გემისათვის ეროვნულ დონეზე, რეგიონული სანებართვო სისტემა და კვოტების სისტემა, გარდა ამისა, სასწრაფოდაა გასაუმჯობესებელი თევზრეწვის წესების შესრულებაზე ზედამხედველობა. ეს და სხვა ზომები, რომლებიც მიზნად ისახავს შავ ზღვაში უფრო მდგრადი თევზრეწვის მიღწვას, საჭიროა თევზრეწვის სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობით ჩატარდეს.

თევზის მარაგის ეროვნულ დონეზე შეფასება ფართოდ გავრცელებულ პრაქტიკას წარმოადგენს შავი ზღვის ქვეყნების თევზრეწვის სექტორში და სწორედ მის საფუძველზე ხდება ზღვის ცოცხალ რესურსებზე და სხვა მოთხოვნილებებზე ეროვნული კვოტების დაწესება. (ცხრილი IIIB.10).

შავი ზღვის ქვეყნების წინაშე მდგარი პრობლემები:

- არასაკმარისი დაფინანსება და კვლევითი გემების არასაკმარისი შესაძლებლობები.
- კომერციული თევზების მარაგის შეფასებისათვის რეგიონთაშორისი კოორდინირების არარსებობა.

თევზის მარაგის აღდგენა და თევზჭერის დონის მიახლოება 60-80-იან წწ-ის დონესთან შედარებით თევზჭერის სექტორში გადაუდებელ აუცილებლობათა სიაშია შეტანილი. ეროვნულ დონეზე განხორციელებული ქმედებები, როგორც არის, მაგალითად: ყოველწლიური პროექტები რუმინეთში თევზის რესურსების ექსპლოატაციის შესახებ, ასევე პროექტები ზეგავლენის მომხდენი ფაქტორების კვლევისა და ეკოლოგიური ბალანსის შესახებ; მთავრობათაშორისი ხელშეკრულება აზოვისა და შავ ზღვებში უკრაინასა და რფ-ს შორის; ბრტყელი თევზის კულტურის განვითარების პრაქტიკა, ისევე როგორც პროექტი პალტუსის სახეობის განვითარებისათვის თურქეთში, არ არის საკმარისი ამ ამოცანათა განსახორციელებლად. აქედან გამომდინარე, უნდა მომზადდეს პროექტი თევზის მარაგების აღდგენის შესახებ, შემუშავდეს რეგიონის მასშტაბით სტრატეგია ამგვარი აღდგენისათვის და მოიძებნოს საერთაშორისო დახმარება ამ მიზნების განსახორციელებლად.

1996 წლამდე რეგიონული თუ ეროვნული კვლევები, რომლებიც შავი ზღვის ქვეყნებში ჩატარდა, შავი ზღვის გარემოს დაცვის პროგრამის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. შავი ზღვის გარემოს დაცვის პროგრამის ეგიდით ჩატარებული კვლევების შედეგად დაიწერა რეკომენდაციები, რომლებმაც ხელი შეუწყო შავი ზღვის სტრატეგიულ სამოქმედო გეგმის (1996) ჩამოყალიბებას. თუმცა 1996 წლის შემდეგ ტრანსსასაზღვრო კონტექსტში თევზის სახეობების დაცვისა და თევზრეწვის რეგიონული ასპექტების წესისამებრ განსახილველად საჭირო ფინანსური რესურსები ძალზე მწირი იყო. შავი ზღვის გარემოს დაცვის პროგრამის მიერ არ იქნა გამოქვეყნებული რეგიონული და ეროვნული ანგარიშები თევზრეწვის შესახებ, თუმცა ეროვნული ანგარიშები თევზრეწვისა და თევზთა სახეობის შესახებ წარდგენილ იქნა პროგრამის მაკოორდინებელი ორგანოს (PCU) წინაშე სტამბოლში. მსგავს მდგომარეობაში აღმოჩნდა ანგარიშის პროექტი: „შავი ზღვის თევზრეწვის ფლოტილიების სტრუქტურისა და მოქმედების ანალიზი“. კონვენციის დამხმარე ორგანოს სტატუსით 2001 წლის ივლისში პირველად შეიკრიბა თევზრეწვისა და ზღვის სხვა ცოცხალი რესურსების საკითხების საკონსულტაციო ჯგუფი. ეროვნულ დონეზე აღმოჩენილი მხარდაჭერა არ იყო საკმარისი, რათა რუმინეთში (კონსტანცა) არსებულ აქტიურ ცენტრს რეგიონული კოორდინატორის როლი შეესრულებინა.

რუსეთის ფედერაციაში ტარდებოდა ყოველწლიური ეროვნული კონფერენციები და წელიწადში ორჯერ ორგანიზებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები, რომლებმაც შესაძლებლობების ფარგლებში რეალობად აქციეს ეროვნული ძალისხმევა თევზის მარაგსა და მრავალფეროვნებაზე გარემოს ზემოქმედების მნიშვნელობის გამოვლენასთან და თევზრეწვის გარემოზე ზემოქმედების რეგიონული ასპექტების შესწავლასთან მიმართებაში.

მომდევნო 3 წლის განმავლობაში რეკომენდირებულია შემდეგი საკითხების შეწავლა სავარაუდოდ GEF-ის პროექტის ფარგლებში:

- საბოლოოდ ჩამოყალიბდეს და გამოიცეს რეგიონული და ეროვნული ანგარიშები შავი ზღვის თევზრეწვისა და თევზრეწვის შავი ზღვის გარემოზე ზემოქმედების შესახებ;
- თევზრეწვის გარემოზე ზემოქმედების მონაცემთა რეგიონული ბაზის შექმნა. ანგარიშები დასამტკიცებად უნდა წარედგინოს შავი ზღვის კომისიას.
- საჭირო ზომების მიღება შავი ზღვის თევზრეწვის შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად რეგიონის შიგნით, აგრეთვე ინფორმაციის მიწოდება ყველა დაინტერესებული მხარისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის;
- ეროვნული გამოცდილებისა და ცოდნის მაქსიმალურ გამოყენება, მაგ: რუსეთის ფედერაციის გამოცდილება თართის გამრავლებაში, თურქეთის გამოცდილება პალტუსის გამრავლებაში.

სამეცნიერო საზოგადოება და შავი ზღვის რეგიონის ექსპერტები კვლავაც მუშაობენ თევზრეწვის საკითხებსა და იმ ურთიერთკავშირზე, რომელიც გარემოს ფაქტორებს, თევზის მარაგის სიჯანსაღესა და არსებულ პირობებს შორის არსებობს. ამ შრომის შედეგი წარმოდგენილია მე-3 დანართში (Annex III) „შავი ზღვის სანაპიროს ქვეყნების მეცნიერთა ძირითადი ნაშრომები, 1996-2000“. სასურველია, რომ თევზრეწვის საკითხი შევიდეს შავი ზღვის სანაპიროს ქვეყნების მეცნიერთა წელიწადში ორჯერ ორგანიზებული ფორუმის სავალდებულო კომპონენტად. აგრეთვე საურველია, რომ რეგულარულად გამოქვეყნდეს ის მეცნიერული მიგნებები, რომლებიც შავ ზღვაში თევზრეწვის მდგრადი განვითარებისათვის სარგებლობის მომტანი იქნება. საჭიროა შეიქმნას შავი ზღვის შესახებ მონაცემთა ბიბლიოგრაფია, რომელიც შავი ზღვის კომისიის ვებ-გვერზე განთავსდება.

შემოსწავლულს თუ შევაჯამებთ, თევზის მარაგისა და მათი პოპულაციების შესახებ ცოდნის ძირითადი ხარვეზები შემდეგია:

- თევზის მარაგის მეცნიერული შეფასების არარსებობა;
- თევზჭერის მაქსიმალური მდგრადი რაოდენობის განსაზღვრისათვის მეცნიერულ დონეზე დასაბუთებული ინფორმაციის არარსებობა;
- თევზის ანადრომული და ბენტოსური სახეობების დღევანდელი მდგომარეობისა და განვითარების შესახებ ცოდნის არ ქონა;
- თევზის გამრავლებისათვის დაბინძურების საფრთხისა და ცხელი წერტილების ზეგავლენის შესახებ ცოდნის სიმცირე.
- თევზის მოშენების ცოდნის ნაკლებობა.
- თევზის მარაგის შეფასებისათვის საჭირო ინფორმაციის, მეთოდოლოგიისა და ტექნიკის ნაკლებობა.

ამის გარდა, რეგიონულ დონეზე არასაკმარისად განვითარებულმა ინსტიტუციონალურმა სისტემამ ხელშემკვრელ მხარეებს შორის ინფორმაციული ნაკადის უზრუნველყოფაში შემდეგი ხარვეზები გამოიწვია:

- ნიმუშების შეგროვების, დამუშავების, ანალიზებისა და მონაცემთა ინტერპრეტირებისათვის ხარისხის უზრუნველყოფისა და ხარისხის კონტროლის არასაკმარისობა.

- თევზრეწვის სექტორში არსებული სიახლეებისა და პროცესების სრული მიმოხილვისა და მონაცემთა რეგიონული ბაზის არარსებობა;
- თევზის ძირითადი მარაგების დაბინძურების დონე;

ზემოაღნიშნული საკითხების/ხარვეზების შესასწავლად რეკომენდირებულია შესაბამისი პროფილის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციის მოზიდვა. მეცნიერულად დამტკიცებული რეგიონული კვლევების და წესების შემდეგ ამ საკითხების გადაჭრის მნიშვნელობა გაიზრდება.

თევზრეწვის მართვის ძირითადი პრობლემების წყაროებია:

- რეგიონული თვალსაზრისით თევზრეწვის მართვის სამართლებრივი საკითხების მოუგვარებლობა;
- თევზის მარაგების რეგიონულ დონეზე კოორდინირებული შეფასების არარსებობა.
- თევზჭერაზე, ლიცენზიის მოპოვებაზე, კვლევებზე და სათევზაო მოწყობილობებზე რეგიონული მასშტაბით შეთანხმებული ნორმების ნაკლებობა.
- უკანონო თევზჭერის აღსაკვეთად საჭირო მექანიზმების სიმცირე.
- თევზრეწვის ინსპექციების არასაკმარისი აღჭურვილობისა და კადრების პრობლემა;
- თევზრეწვის მონაცემთა რეგიონული ბაზის არსებობა;
- არასაკმარისად განვითარებული ორმხრივი თუ მრავალმხრივი თანამშრომლობა;

შავი ზღვის სტრატეგიულ გეგმაში შემოთავაზებულ ზომათა უმეტესობა აქტუალურია. კომისია გადახედავს ჯერ განუხორციელებელი ღონისძიებების ვადებს, მათ შორის:

- თევზის მარაგის რეგიონული შეფასება, არაუგვიანეს 2003 წლისათვის;
- თევზრეწვის შესახებ რეგიონული ანგარიშის გამოცემა და მონაცემთა რეგიონული ბაზის დაარსება თევზრეწვის საკითხებზე ორი წლის განმავლობაში.
- შავი ზღვის ეკოსისტემაზე, მათ შორის ბიომრავალფეროვნებაზე თევზრეწვის ეკოლოგიური ზემოქმედების შესაფასებლად საერთო მეთოდოლოგიების ჩამოყალიბება არაუგვიანეს 2004 წლისათვის.

შავი ზღვის სტრატეგიული სამოქმედო გეგმით დასახული ღონისძიებანი შავი ზღვის ქვეყნებისათვის პრიორიტეტს წარმოადგენს და მათი განხორციელება ეტაპობრივად უნდა მოხდეს ქვეყნების მიერ ახალი ვადების შესაბამისად, ხოლო ეროვნულ ძალისხმევას, რომლებიც მიმართულია ამ პრობლემის გადასაწყვეტად, სასურველია, რომ ფინანსური მხარდაჭერა აღმოუჩინოს GEF-მა, TACIS-მა, IFI-მ.

IFI-ში წარდგენილი პროექტები ყურადღებას უნდა ამახვილებდნენ:

- თევზის რეგიონული მარაგის შეფასება (საქართველო);
- ტრანსსასაზღვრო თევზის სახეობებთან მიმართებაში არსებული კრიტერიუმების, საჭირო ზომებისა და ნორმების ჰარმონიზაცია; (25 000 აშშ დოლარი 1 წლის განმავლობაში, რუმინეთი);
- ზღვის თევზის მარაგის შეფასების მეთოდების ჰარმონიზაციასთან მიმართებაში რეკომენდაციების შემუშავება (30.000 აშშ დოლარი 1წლის განმავლობაში, რუმინეთი)

- შავ ზღვაში თევზრეწვის მართვის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა: თევზჭერის აქტიური ცენტრის (კონსტანცა, რუმინეთი) ფინანსური მხარდაჭერა (250.000 აშშ დოლარი/2 წელი) (რუმინეთი);
- ტრანსსასაზღვრო თევზის მარაგის შეფასების მიზნით პერიოდული კრუიზების (3 წელიწადში ერთხელ) ორგანიზება. (80.000 აშშ დოლარი) (რუმინეთი).

საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერის მოპოვება საჭირო იქნება ისეთი პრიორიტეტული პროექტების განხორციელების მიზნით, როგორებიცაა: თევზის ანადრომული სახეობების (განსაკუთრებით თართის) დაცვა და აღწარმოება, აკვაკულტურის პროექტების შემუშავება, ეკოსისტემების დაცვა და ლაგუნების/ლიმანების აღდგენა.

წინამდებარე ნუსხაში მოცემულია რეკომენდირებული წინასაპროექტო გამოკვლევები:

- ტრალერების ფლოტილების რეაბილიტაცია;
- ნელლი თევზის პროდუქტების ძლიერი გაყინვის მეთოდით დამუშავების ხელშეწყობა;
- პროექტები დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით;
- ზღვის ცოცხალი რესურსების ხელოვნური მოშენება;
- არსებულ „საუკეთესო ტექნოლოგიებში“ ინვესტიციების ჩადების შესაძლებლობის გაცნობიერება;

განსაკუთრებული სირთულეები ჩნდება თევზრეწვის სექტორში შესაძლო ინვესტიციების და რეალური ინვესტიციების ნაკადის შეფასებისას. რუმინეთი აღნიშნავს, რომ 10 მცირეტონაჟიანი ტრალერისა და ერთი საინსპექციო გემის შესაძენად მინიმუმ 3.400.00 აშშ დოლარის ინვესტიციაა საჭირო. შავი ზღვის დანარჩენი ქვეყნების გამოთვლები არ განხორციელებულა.

საჭიროა ევროკავშირის, გაეროს განვითარების პროგრამისა და მსოფლიო ბანკის საინვესტიციო პროგრამებში ჩართვა, რათა ჩატარდეს წინასაპროექტო კვლევა თევზრეწვის სექტორის რეაბილიტაციის, რეგიონში ნორმირებული თევზრეწვის ხელშეწყობისა და საინვესტიციო პაკეტის შესახებ. ამ სექტორში სახელმწიფო და კერძო სექტორების ერთობლივი მოქმედება რეგიონული თანამშრომლობის გაძლიერების საწინდარია (შავი ზღვის განვითარების ბანკი, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობა, ორმხრივი საინვესტიციო პროექტები დაა.შ).

სესხების/კრედიტების/გრანტების ხელმისაწვდომობის შემთხვევაში საშუალო და მცირე ზომის თევზჭერისა და აკვაკულტურის კომპანიების განვითარება განხორციელებადი იქნებოდა (რუსეთის და თურქეთის გამოცდილება). ასეთი ტიპის სესხები/ინვესტიციები ხელმისაწვდომი უნდა იყოს რეგიონის მასშტაბით. ამ მიზნებისათვის კომისიამ IFI-ის, EBRD, შავი ზღვის განვითარების ბანკის, მსოფლიო ბანკისა და სხვა შესაბამისი საფინანსო დაწესებულებების მეშვეობით უნდა შექმნას ბრუნვადი ფონდები მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისათვის. სასურველია, რომ 5 წლიან პერიოდში შავი ზღვის თითოეულ ქვეყანაში ჩატარდეს შესაბამისი წინასაპროექტო კვლევები და განხორციელდეს პილოტ-პროექტები.

ფართო საზოგადოების მონაწილეობა თევზრეწვის მდგრადი განვითარების პროცესში შემოიფარგლება არასამთავრობო ორგანიზაციების კამპანიებითა და ადგილობრივ პროექტში მონაწილეობით.

თევზრეწვისა და ცოცხალი რესურსების საკონსულტაციო ჯგუფი აქცენტს გააკეთებს იმ გავლენაზე, რომელსაც თევზრეწვა ახდენს გარემოზე.

საჭირო ღონისძიებები:

- ⇒ მიღებულ და სასწრაფოდ რატიფიცირებულ იქნას კონვენცია თევზრეწვის შესახებ, რათა გაუმჯობესდეს რეგიონული თანამშრომლობისათვის საჭირო საკანონმდებლო ბაზა.
- ⇒ თევზის რაოდენობის რეგიონული შეფასების კოორდინირება და განხორციელება მომდევნო 3 წელიწადში;
- ⇒ შემუშავდეს და შეთანხმდეს გარემოზე თევზრეწვის ზეგავლენის და ბიომრავალფეროვნებაზე, თევზის მარაგზე, თევზის პოპულაციისა და ზღვის სხვა ცოცხალი რესურსის სიჯანსაღეზე ეკოლოგიური მდგომარეობის ზემოქმედების შეფასების მეთოდოლოგიები.
- ⇒ ჩამოყალიბდეს რეგიონული პროცედურა გაადშენების საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობების დადგენის მიზნით, აგრეთვე შემუშავდეს საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობების მარაგის შეფასების საერთო კრიტერიუმი;
- ⇒ ჩატარდეს წინასაპროექტო კვლევა თევზჭერის სექტორის განვითარების შესაძლო ეკონომიკური გზების შესახებ;
- ⇒ თევზჭერის სექტორის მდგრადი განვითარების პრინციპების შესახებ ინფორმაციის მიწოდება საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მეთევზეების ფართო გაერთიანებისათვის შავი ზღვის კომისიის ვებ-გვერდისა და საკომუნიკაციო სხვა საშუალებების მეშვეობით.

IV. ბიომრავალფეროვნების დაცვა

შავი ზღვის ნაზი ეკოსისტემა, რომელიც 70-90-იანი წლების შემდეგ საგრძნობლად დაზიანდა, ამჟამად აღდგენის პირველ ნიშბეს გვაჩვენებს. ეს ეხება როგორც მცირე ზომის ზღვის თევზთა სახეობების გამრავლებას, ასევე ფლორისა და ფაუნის ზოგიერთი ენდემური სახეობის გამრავლებასა და ზღვის წყალმცენარეების აყვავებას. მიუხედავად ამ სასიკეთო ძვრებისა, შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში არსებული ნუტრიენტების კონცენტრაციები ჯერ კიდევ მაღალია და ხელსაყრელი პიდრომეტეოროლოგიური პირობების არსებობის შემთხვევაში შეასძლოა ზღვის წყალმცენარეთა აყვავება და მასთან დაკავშირებული უარყოფითი ეკოლოგიური თუ ეკონომიკური შედეგები გამოიწვიოს. შავი ზღვის ეკოსისტემისა და მისი ბიომრავალფეროვნების რეაბილიტაციისათვის რამდენიმე სასიკეთო ფაქტორი არსებობს:

- დაბინძურების შემცირება შავი ზღვის სანაპიროს იმ ქვეყნებში, რომლებიც სერიოზული ეკონომიკური პრობლემის წინაშე დგას, აგრეთვე ევროკავშირის ღირებულების ეფექტურობა მდ. დუნაის აუზში;
- შეთანხმებული გარემოსდაცვითი პოლიტიკა, სტრატეგია და ქმედებანი რომლებიც შავი ზღვის ქვეყნებში „შავი ზღვის დაბინძურების წინააღმდეგ კონვენციის“ ფარგლებში განხორციელდა. შავი ზღვის გარემოს დაცვას ყველა ქვეყნის ეროვნულ გარემოსდაცვით პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, სახელდობრ შეტანილია საჭირო ღონისძიებათა პრიორიტეტულ სიაში ცხრილი IIIB.11; ცხრილი IIIB.12);
- საერთაშორისო თანამშრომლობა სხვა კონვენციების და საერთაშორისო, მრავალ-მხრივი და ორმხრივი ხელშეკრულებების ფარგლებში;

მუხლი 60.

საჭიროა შემუშავებულ და მიღებულ იქნეს ბუქარესტის კონვენციის ბიომრავალ-ფეროვნებისა და ლანდშაფტის დაცვის ოქმის ტექსტი. სასურველია, რომ 2000 წლისათვის სტამბოლის კომისიამ მიიღოს ეს ოქმი ბიომრავალფეროვნების დაცვის საკონსულტაციო ჯგუფის რეკომენდაციებზე დაყრდნობით, იმ მიზნით, რომ ოქმი წარდგენილ იქნეს ხელმოსაწერად მინისტრთა 2001 წლის შეხვედრაზე, რის შემდეგ მთავრობებს შეუძლიათ წამოიწიონ მისი რატიფიკაციის პროცესი.

ბიომრავალფეროვნების დაცვის საკონსულტაციო ჯგუფმა (AG CBD) სხვა საკონსულტაციო ჯგუფებთან თანამშრომლობით და TACIS-ის შავი ზღვის ფონდების ფარგლებში 1996/1997წწ-ს მოამზადა ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტის დაცვის ოქმის საბოლოო პროექტი და ინიცირება გაუკეთა ეროვნულ დონეზე კონსულტაციების ჩატარებას 2002 წლის 14 ივნისის მინისტრების შეხვედრაზე ოქმის ხელმოსაწერად.

საჭირო ღონისძიებები:

⇒ ბიომრავალფეროვნების დაცვის სამოქმედო გეგმისა და სტრატეგიის საბოლოო ვარიანტის შემუშავება 2003 წელს;

⇒ 1995 წელს შავი ზღვის გარემოს დაცვის პროგრამის ფარგლებში მომზადებული ლანდშაფტების მრავალფეროვნების დაცვის სამოქმედო გეგმისა და სტრატეგიის პროექტის საბოლოო ვარიანტის ჩამოყალიბება და სანაპირო ზოლის ინტეგრირებული მართვის საკონსულტაციო ჯგუფისა და ბიომრავალფეროვნების დაცვის საკონსულტაციო ჯგუფის მიერ ეროვნულ დონეზე კონსულტაციების მომზადება 2004 წლისათვის;

⇒ ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგიული სამოქმედო გეგმის განხორციელების ხელშეწყობა.

მუხლი 61.

1998 წლის დეკემბრისათვის საჭიროა მომზადდეს და გამოიცეს შავი ზღვის რეგიონული წითელი წიგნი, რომელშიც ჩამოთვლილი და აღწერილი იქნება გადაშენების პირას მდგარი სახეობები. სასურველია, რომ წითელ წიგნზე მუშაობას კოორდინაცია გაუწიოს სტამბოლის კომისიამ ბიომრავალფეროვნების დაცვის საკონსულტაციო ჯგუფის მეშვეობით.

წითელი წიგნი შავი ზღვის გადაშენების პირას მყოფი და იშვითი სახეობების შესახებ გამოიცა 1998 წელს, მაგრამ შეზღუდული ტირაჟის გამო მას ვერ გაეცნო შავი ზღვის ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვაში მონაწილე უწყებების უმრავლესობა. გარდა ამისა, პუბლიკაცია საზოგადოებას აცნობდა ექსპერტთა მოსაზრებებს, თუმცა წიგნში არ იყო განსაზღვრული მოხსენიებულ სახეობათა იურიდიული სტატუსი. ზემოაღნიშნული წიგნი არ იყო რეგიონის მასშტაბით საკმარისად განხილული და შეთანხმებული. ბიომრავალფეროვნების დაცვის საკონსულტაციო ჯგუფის აზრით წიგნში ზოგიერთი უზუსტობაა, რის გამოც ის რეგიონულ დონეზე განხილვასა და გადასინჯვას საჭიროებს.

წითელი წიგნი არ იქნა თარგმნილი და გამოცემული ხელშემკვრელი მხარეების რომელიმე ეროვნულ ენაზე. აქედან გამომდინარე, იგი მხოლოდ მეცნიერთა და მკვლევართა ვიწრო წრისთვის არის ხელმისაწვდომი, რაც შეეხება ფართო საზოგადოებას, მიუხედავდ იმისა, რომ შავი ზღვის სანაპიროს ქვეყნებში წიგნზე დიდი მოთხოვნილებაა, მკითხველთა ფართო მასები მოკლებულია მისი გაცნობის საშუალებას.

წითელ წიგნში შესატანი სახეობების იურიდიული სტატუსის განსაზღვრის მიზნით ზღვის გადაშენების პირას მყოფი და იშვითი სახეობების სია შემუშავდება ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტის დაცვის ოქმის ჩარჩოში და ამ ოქმის მე-2 დანართის სახით იქნება წარმოდგენილი. მის საფუძველზე განახლდება შავ ზღვაში გადაშენების პირას მყოფი და იშვითი სახეობების წითელი წიგნი.

საჭიროა შავი ზღვის კომისიასა და მუდმივი სამდივნოს მხრიდან წითელი წიგნის სხვა ქვეყნებისათვის მიეწოდება და წიგნის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ინტერნეტის გზით, მისი ელექტრონული ვერსიის შექმნა. შავი ზღვის სახეობების წითელი წიგნის პოპულარული ვერსიის შექმნა და გამოცემა უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იქნება ბიომრავალფეროვნების დაცვაში საზოგადოებრივი სექტორის ჩართვის ხელშეწყობისათვის, ისევე როგორც სკოლისა და უნივერსიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის განათლებისათვის. წითელი წიგნი პოპულარულ ვერსიაზე დიდი მოთხოვნილება საჭიროს ხდის ორივე ვერსიის ერთდროულ შემუშავებას.

საჭირო ღონისძიებები:

- ⇒ გადასინჯოს შავი ზღვის გადაშენების პირას მყოფი და იშვითი სახეობების წითელი წიგნი შავი ზღვის გადაშენების პირას მყოფი და იშვითი სახეობების იმ ნუსხის შესაბამისად, რომელიც შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვის კონვენციის ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტის დაცვის ოქმის მე-2 დანართის სახით იქნება წარმოდგენილი და რომელიც დამტკიცებულია შავი ზღვის კომისიის მიერ. 2004 წლისათვის ზემოხსენებული დოკუმენტი ითარგმნოს შავი ზღვის ქვეყნების ყველა ეროვნულ ენაზე.
- ⇒ 2005 წლისათვის მომზადდეს, გამოიცეს, ითარგმნოს და შავი ზღვის სანაპიროს ქვეყნებში ფართოდ გავრცელდეს წითელი წიგნის პოპულარული ვერსია.

მუხლი 62.

ზღვის ტუტუმწოვართა პოპულაციების აღდგენის მიზნით გასატარებელია შემდეგი ღონისძიებები:

ა) შავი ზღვის ყველა ქვეყანამ საჭიროა აკრძალოს ზღვის ტუტუმწოვრებზე ნადირობა და გააკონტროლოს ამ აკრძალვის შესრულება ყოველგვარი დაყოვნების გარეშე.

შავი ზღვის ქვეყნებმა 1966 წლის შემდეგ მორატორიუმი აქვთ დაწესებული ზღვის ვეშაპისებრთა ნადირობაზე (ბულგარეთი, საქართველო, რუმინეთი, რუსეთის ფედერაცია და უკრაინა). საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ამ ქვეყნებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს მათი გადაწყვეტილება მორატორიუმის შესახებ. თურქეთმა მორატორიუმი 1983 წელს შემოიღო. ზღვის ტუტუმწოვართა დაცვის სურვილი ამჟამად გამოიხატა კონვენციაში შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვის შესახებ, ოდესის სამთავრობო დეკლარაციაში და შავი ზღვის სტრატეგიულ სამოქმედო გეგმაში. მიუხედავად ამისა, 2000 წლამდე რუსეთის ფედერაცია და უკრაინა პერიოდული სიხშირით ახორციელებენ იმ წვრილცხვირა დელფინთა დაჭერას, რომლებიც კომერციული თუ მეცნიერული თვალსაზრისით დელფინარიუმში გამოიყენება (ცხრილი III B.13; ცხრილი III B.13a).

გაეროს ინიციატივა ბონის კონვენციის ფარგლებში, რომელიც შავ ზღვაში, ხმელთაშუა ზღვაში და მიმდებარე ატლანტიკურ არეალში ვეშაპისებრთა დაცვის შესახებ მრავალმხრივი შეთანხმების (ACCOBAMS) შემუშავებით განხორციელდა, მხარდაჭერილ და ხელმოწერილ/რეგულირებულ იქნა შავი ზღვის სამი ქვეყნის (ბულგარეთი, რუმინეთი და საქართველო) მიერ. შავი ზღვის კომისიის ფარგლებში შავი ზღვისათვის გათვალისწინებულია ACCOBAMS-ის საკოორდინაციო ორგანოს შექმნა (ACCOBAMS MOP1-ის რეზოლუცია 1.5, მონაკო, 28 თებერვალი - 2 მარტი, 2002 წელი). ხელმოწერილ იქნა ურთიერთგაგების მემორანდუმი შავი ზღვის კომისიასა და ACCOBAMS-ის სამდივნოს შორის.

არსებული რეგიონული საკანონმდებლო და მარეგულირებელი ბაზა, სავარაუდოდ, საკმარისია შავი ზღვის ტუტუმწოვართა შენარჩუნებისა და დაცვისათვის (გარდა გადაშენების პირას მყოფი სელაპისა monk seal). არსებული ნორმების გატარება შავი ზღვის სანაპიროს ქვეყნების მიერ შეფასებულ იქნა, როგორც წარმატებული. კონტროლის არსებულმა ინსტიტუტებმა მონიტორინგი უნდა გაუწიონ გადასინჯვისა და გაუმჯობესების და საჭიროების მქონე არსებული ეროვნული ნორმების შესაბამის საერთაშორისო აქტებთან სტანდარტიზაციისა და შესაბამისობაში მოყვანას. გარდა ამისა, კვალიფიცირებული კადრების სიმცირის, ადეკვატური ტრენინგის არარსებობის და ზღვის ტუტუმწოვართა პოპულაციის

შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად საჭირო რეგულარული მონიტორინგისათვის ფინანსების ნაკლებობის გამო, ინფორმაცია ზღვის ძუძუმწოვართა პოპულაციების მდგომარეობის შესახებ არასრულყოფილია და საჭიროებს რეგიონის მასშტაბით კოორდინირებულ ქმედებებს უკეთესი მართვის განსახორციელებლად, ისევე, როგორც ფართო საზოგადოებისა და მომსახურე პერსონალის განათლების დონის ასამაღლებლად.

საჭირო ღონისძიებები

- ⇒ ზღვის ძუძუმწოვართა მართვის საკონსულტაციო ჯგუფის ჩამოყალიბება და მისთვის ACCOBAMS-ის შავი ზღვის საკონსულტაციო დანაყოფის ფუნქციების გადაცემა.
- ⇒ ადგილობრივი მმართველობითი ორგანოებისათვის მუდმივმოქმედი პროფესიული სწავლების სისტემის დანერგვა.
- ⇒ ACCOBAMS-თან მიერთების ხელშეწყობა შავი ზღვის იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც მოცემულ ეტაპზე ზემოხსენებული ხელშეკრულების წევრები არ არიან.

მუხლი 62.
—
ბ) საჭიროა ჩატარდეს ზღვის ძუძუმწოვართა პოპულაციების რეგულარული შეფასებები და პირველი მათგანი დასრულდეს 1998 წელს. უმჯობესია, რომ ამ შეფასებების წარმოებას კოორდინაცია გაუწიოს სტამბულის კომისიის ბიომრავალფეროვნების დაცვის საკონსულტაციო ჯგუფმა.

1987 წლის შემდეგ არ ჩატარებულა ზღვის ძუძუმწოვართა რაოდენობის რეგიონული შეფასება. 1930-1950 წლებიდან ვეშაპისებრთა ოჯახის სამი სახეობის რაოდენობა 500,000-დან 2,000,000 მილიონამდე იყო შეფასებული. ზემოხსენებული ციფრები 80-იანი წლების შუაში 454,440-დან (თურქეთის მონაცემთა მიხედვით) 55,00-120,000-მდე (რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის მეცნიერთა თანახმად) მერყეობდა. თუმცა ყველა გაანგარიშება დაფუძნებული იყო კვლევის ძალიან ტენდენციურ მეთოდებზე და შესაბამისად სრულიად იქნა უარყოფილი ვეშაპისებრთა რეწვის საერთაშორისო საბჭოს სამეცნიერო კომიტეტის მიერ (1992წ). ასე რომ ამ ეტაპზე არ არსებობს შეფასება, რომელიც რეგიონულ დონეზე მიახლოებით ზუსტად მაინც დაადგენდა ვეშაპისებრთა პოპულაციის რაოდენობას.

პროცესში ჩართული კვლევითი ცენტრების მწირე რესურსების გამო ეროვნულ კვლევათა რაოდენობა შემცირდა. რიგი სანაოსნო კვლევებისა ჩატარდა 1995-1998 წწ-ში უკრაინის წყლებში ყირიმის ნახევარკუნძულის მიდამოებში, აგრეთვე ბულგარეთში. 1997 წელს ყოფილმა არასამთავრობო ორგანიზაციამ ჩატარა ვეშაპისებრთა ოჯახზე ყოველთვიური დაკვირვება ქერჩის სრუტეში ადგილობრივი ბორნის ხაზიდან. 1996 წელს ვეშაპისებრთა კვალი აღმოჩენილ იქნა მარმარილოს ზღვაში, აგრეთვე ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებში. 2001 წლის ივლისში უკრაინამ და რუსეთის ფედერაციამ ჩატარეს ერთობლივი კვლევა ვეშაპისებრთა გავრცელების და მათი რაოდენობის დადგენის მიზნით ქერჩის სრუტესა და აზოვის ზღვაში, რომელიც საჭაერო დაკვირვების მეშვეობით იქნა განხორციელებული.

სანაპიროზე გამორიყული დელფინებისა და მურა დელფინების მონიტორინგი განხორციელდა მინიტორინგის ვეშაპისებრთა ეროვნული ქსელების მიერ ორგანიზების საფუძველზე და იგი უკრაინაში (1989-1999წწ), ბულგარეთში (1997-1999 წწ), საქართველოში (1997-1999) და რუმინეთში (2001 წლიდან მოყოლებული) ჩატარდა. ცალკეულ ღონისძიებებს ამავე მიმართულებით ადგილი ჰქონდა რუსეთის ფედერაციის კავკასიური სანაპიროს გასწვრივ (1996-1999წწ) და მარმარილოს ზღვის არეალშიც (1993-1998წწ). EC/INCO-

COPERNICUS-ის „შავის ზღვის ვეშაპისებრთა ოჯახის მცირე ზომის წარმომადგენლებზე ადამიანის გავლენის დადგენა და მათი დაცვისათვის საჭირო ღონისძიებების დასახვის“ პროექტის ფარგლებში შესწავლილ იქნა ანთროპოგენული საფრთხე და ვეშაპისებრთა პათოლოგიები (BLASDOL-ი, 1997-1999წწ). ბულგარეთის, საქართველოს და უკრაინის შესაბამისმა დაწესებულებებმა გერმანელ და ბელგიელ პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობით ერთდროულად მოახდინეს ამ პროექტის განხორციელება. BLASDOL-ის მიერ მოწოდებული მონაცემებისა და მისი ეგიდით გამოცემული პუბლიკაციების მიხედვით, შავი ზღვის ვეშაპისებრთა პოპულაციების ბუნებრივი სიკვდილიანობის მიზეზი შესაძლებელია იყოს ფილტვის პარაზიტებით დაავადება თანდართული ბაქტერიული ინფექციითა და **morbillivirus** დაავადებით. ზემოხსენებული პათოლოგიების ეპიდემიოლოგია გაურკვეველია, ასევე სრულიად უცნობია თუ როგორ უნდა მოხდეს ეპიზოოტიის კონტროლი.

შავ ზღვაში დაბინძურების გავლენა ზღვის ძუძუმწოვართა პოპულაციაზე არ იქნა საკმარისად შესწავლილი, თუმცა შესაბამის მეცნიერულ ჟურნალებში გამოიცა ცალკეული პუბლიკაციები მდგრადი ორგანული ნაერთების (დამაბინძურებლების) (POP) და ნავსადგურების მიმდებარე ტერიტორიაზე ბინადარი მურა დელფინების (ზღვის ღორის) ვერცხლისწყლით მოწამვლის შესახებ. 1999 წლის აგვისტოში უკრაინაში მომზადებულ იქნა რიგი ანალიტიკური ანგარიშებისა ვეშაპისებრთა ოჯახის პათოლოგიების შესახებ შავი და აზოვის ზღვების ბინადარ ძუძუმწოვართა შესწავლის, დაცვისა და რებილიტაციის პროგრამის შესაბამისად. ამის გარდა, უკრაინაში გამოცემული და მიღებული იქნა ორი ძირითადი დოკუმენტი ვეშაპისებრთა ოჯახის სპეციალისტების ეროვნული შეხვედრის მიერ (კიევი, 2001 წლის 31 მარტი). ეს დოკუმენტებია: ა) ეროვნული მოხსენება "შავი და აზოვის ზღვების ძუძუმწოვრების პოპულაციების დღევანდელი მდგომარეობა" და ბ) შავი/აზოვის ზღვების ვეშაპისებრთა დაცვის ეროვნული სამოქმედო გეგმა.

2001 წელს ევროგაერთიანებამ თავისი ინსტრუმენტის: "LIFE-Nature" საშუალებით დასაფინანსებლად შეარჩია NIMRD-ის, კონსტანცა, მიერ მომზადებული პროექტი სახელწოდებით "შავი ზღვის რუმინეთის ტერიტორიულ წყლებში ბინადარი დელფინების კონსერვაცია". პროექტის ერთ-ერთი მიზანია ვეშაპისებრთა ოჯახის სამი სახეობის პოპულაციების გავრცელებისა და სიმჭიდროვის შეფასება რუმინეთის წყლებში. პროექტი გაგრძელდება 3 წელიწადს და მისი ღირებულება დაახლოებით 400000 ევროა.

შავი ზღვის ყველა შვიდი ქვეყნისათვის მომზადებული საპროექტო წინადადება შავი ზღვის ვეშაპისებრი ძუძუმწოვრების პოპულაციების მონიტორინგის, კონსერვაციისა და მენეჯმენტის შესახებ ცოტა ხნის წინ წარდგენილ იქნა ACCOBAMS-ის წევრი ქვეყნების პირველ შეხვედრაზე და ახლა საჭიროა მისი შეტანა GEF-ის საბჭოში ACCOBAMS-ისა და შავი ზღვის კომისიის მიერ ერთობლივად. პროექტის სახელწოდებაა: „შავი ზღვის ბიომრავალფეროვნების რაბილიტაცია და ბიორესურსების მდგრადი გამოყენება ვეშაპისებრთა ძუძუმწოვრების პოპულაციების რეგიონული კონსერვაციისა და მენეჯმენტის გზით“. პროექტის ხანგრძლივობა 4 წელიწადია და მიხლოებითი ღირებულება 200000 აშშ დოლარი, რომლიდანაც 1 მილიონის დაფინანსება GEF-ის ფონდიდან არ გათვალისწინებული. 2001 წლის დეკემბერში ქალაქ კონსტანცაში (რუმინეთი) ჩატარდა საერთაშორისო სასწავლო კურსი შავ ზღვაში ვეშაპისებრი ძუძუმწოვრების მონიტორინგის შესახებ, რომელსაც ხელმძღვანელობდა ACCOBAMS-ის დროებითი სამდივნო.

საჭირო ღონისძიებები:

⇒ 2003-2004 წლებისათვის, ACCOBAMS-თან თანამშრომლობის გზით, დასრულდეს რეგიონული შეფასებები;

- ⇒ დაევალოს ACCOBAMS-ს, უნიფიცირებული მეთოდოლოგიებისა და მიდგომების გამოყენების მიზნით, რეგიონული შეფასებების წინ ჩაატაროს სასწავლო სემინარები შავი ზღვის სანაპირო ქვეყნების ექსპერტებისათვის;
- ⇒ ვეშაპისებრი ცხოველების მასობრივი სიკვდილიანობის პროგნოზირებისა და კონტროლის მიზნით, ჩატარდეს ვეშაპისებრი ცხოველების პარაზიტების სასიცოცხლო ციკლის და მორბილოვირუსული ინფექციის თავისებურებების შემსწავლელი სისტემატური კვლევები.

მუხლი 62.

ზღვის ძუძუმწოვართა პოპულაციების აღდგენის მიზნით გასატარებელია შემდეგი ღონისძიებები:

გ) ბათუმის (საქართველოს) ბიომრავალფეროვნების დაცვის ცენტრი საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას საჭირო აღჭურვილობით, რათა იმოქმედოს, როგორც ტყვეობაში მყოფ ძუძუმწოვართა რეგიონალურმა სარეაბილიტაციო ცენტრმა.

1996 წელს ბათუმში, საქართველო, დაარსდა “ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის სამოქმედო ცენტრი”. TACIS-ის შავი ზღვის 1995-96 და 1996-97 ფონდების დახმარებით ცენტრმა მოამზადა ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნების პროტოკოლი, აგრეთვე შავი ზღვის ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. სამწუხაროდ, რეგიონული ღონისძიებების კოორდინაციის და ხელმძღვანელობის საკითხები არ იქნა გათვალისწინებული.

ცენტრის მიერ ბათუმში, საქართველო, არ იქნა დაარსებული ვეშაპისებრთა ოჯახის ძუძუმწოვრების რეაბილიტაციის ცენტრი, რომლის დაფუძნებისათვის, შეფასების მიხედვით, 1.5 მილიონი ევროს ოდენობის ინვესტიცია იყო საჭირო. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ბათუმში ასეთი ცენტრის დაარსების შესაძლებლობა, ACCOBAMS-თან თანამშრომლობის გზით საჭიროა წინასწარი კვლევის ჩატარება (ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება), რათა დადგინდეს შავ ზღვაში რეაბილიტაციის ცენტრების შესაძლო რაოდენობა, სიდიდე და ყველაზე მისაღები ადგილმდებარეობა.

ქვეყნები იჩენენ სხვადასვა ძალისხმევას ზღვის დაავადებული და დაჭრილი ძუძუმწოვრებისათვის აღკვეთილების დაარსების მიმართულებით. უკრაინასა და შავი ზღვის სანაპიროს სხვა ქვეყნებში ზღვის ძუძუმწოვრების კონსერვაციის მიზნით არ არის შექმნილი სპეციალური დაცული ტერიტორიები (ნაკრძალები და აღკვეთილები). თუმცა, უკრაინის ბიოსფერულ და ბუნებრივ ნაკრძალებში, რომლებიც მდებარეობს ღუნაისკი პლავნის, ჩორნომორსკისა და კარადავსკის ზღვისპირა ტერიტორიებზე, ყველა იმ ზღვის სახეობასთან ერთად, რომელიც ბინადრობს მოცემული ნაკრძალების სანაპირო წყლებში, მოქმედებს ვეშაპისებრთა ძუძუმწოვრების დაცვის რეჟიმიც. კვლავაც, ამ ფორმალურად არსებული დაცული ტერიტორიების საერთო ფართობი ძალიან მცირეა ვეშაპისებრთა ოჯახის ძუძუმწოვრების ეფექტური კონსერვაციისათვის და მომსახურე პერსონალი აშკარად საჭიროებს სპეციალურ მომზადებას დელფინისა და ზღვის ღორის კვლევისა და გადარჩენის მეთოდებში. უკრაინის გარემოს დაცვის სამინისტრომ დაამტკიცა ხუთწლიანი პროგრამა (1993-1997), რომელიც ითვალისწინებდა შავი ზღვის დაავადებული და დაშავებული ვეშაპისებრი ძუძუმწოვრების სამაშველო, სარეაბილიტაციო და ბუნებრივ გარემოში მათი გაშვების სისტემის შემუშავებასა და ზღვის ძუძუმწოვრების რეაბილიტაციის ცენტრის

დაარსებას. ხუთი წლის განმავლობაში ზღვის ტუტუმწოვრების ლასპის (გეოგრაფიული ადგილი) რეაბილიტაციის ცენტრმა საკმაოდ დიდი სამეცნიერო და პრაქტიკული გამოცდილება დააგროვა. თუმცა, მან შეწყვიტა თავისი მოღვაწეობა დაფინანსების ნაკლებობის გამო.

დღესდღეობით, სულ 12 დელფინარიუმი ფუნქციონირებს შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ. 100-120-მდე ბოთლცხვირა დელფინი და ეგზოტიკური ფეხლასტიანი ტუტუმწოვარა ცხოველი ბინადრობს ამ დელფინარიუმებში. იქიდან გამომდინარე, რომ არსებულ დელფინარიუმებს კვლევითი და გასართობი დანიშნულება აქვთ, ისინი ვერ ასრულებენ ზღვის დაჭრილი და დაავადებული ტუტუმწოვრების გამაჯანსაღებელი ცენტრების როლს. ბოლოში უტრიშის კონცხის (რუსეთის ფედერაცია) დელფინარიუმის მაგალითზე, დელფინარიუმების რეაბილიტაციის საპროექტო ღირებულება რამოდენიმე ათეულათასი დოლარი და მეტია, რაც დამოკიდებულია პროექტის სირთულეზე (ფასები, რეკონსტრუქციის ხანგრძლივობა, ტუტუმწოვართა რაოდენობა და ა.შ.). მიუხედავად ამისა, უკრაინულ-რუსული სემინარის: „დელფინარიუმების როლი შავი ზღვის ვეშაპისებრთა ტუტუმწოვრების პოპულაციების კონსერვაციაში“ (18-19 ოქტომბერი, 2001) მონაწილეებმა ერთხმად აღიარეს არსებული დელფინარიუმების თვითდაფინანსების პრინციპებზე მომუშავე ზღვის ტუტუმწოვრების სამაშველო და სარეაბილიტაციო ცენტრებად ეტაპობრივი გარდაქმნის აუცილებლობა.

საჭირო ღონისძიებები:

- ⇒ მოხდეს იფორმაციის ინტეგრირება და შემუშავდეს ვეშაპისებრი ტუტუმწოვრების შესახებ ინფორმაციის გაცვლის მექანიზმები შავი ზღვის საინფორმაციო სისტემის ფარგლებში;
- ⇒ მომზადდეს (ACCOBAMS-ის შავი ზღვის საკოორდინაციო ერთეულის და ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის მრჩეველთა ჯგუფის მიერ 2003 წელს) საპროექტო წინადადება დაჭრილი და დაავადებული ცხოველებისათვის აღკვეთილების და სარეაბილიტაციო ცენტრების დაარსების შესაძლებლობის შესწავლის და ამ ღონისძიებების განხორციელების შესახებ;
- ⇒ 2004 წლისათვის შემუშავდეს დელფინარიუმებში ზღვის ტუტუმწოვრების მოვლის წესები და ნორმები, კანონშესაბამისობის კონტროლის სისტემის ჩათვლით;
- ⇒ გაძლიერდეს ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის სამოქმედო ცენტრის მაკოორდინირებელი როლი, მიეცეს რა მას საშუალება GEF-ის, TACIS-ის და სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების დახმარებით წამოიწყოს და კოორდინაცია გაუწიოს შავი ზღვის ვეშაპისებრთა ოჯახის ტუტუმწოვრების კონსერვაციის რეგიონულ პროექტებს.

მუხლი 62.
—
დ) საჭიროა სათანადო ყურადღება მიექცეს თევზჭერის წესების გაუმჯობესებას, რატა თავიდან ავიცილით ზღვის ტუტუმწოვართა დაჭერა, როგორც პარალელური ჭერა ჩვეულებრივი თევზჭერის დროს. სასურველია, რომ სტამბულის კომისიამ ბიომრავალფეროვნების დაცვის საკონსულტაციო ჯგუფისა და თევზრეწვის სხვა ცოცხალი რესურსების დაცვის საკონსულტაციო ჯგუფის მეშვეობით შეიმუშაოს ზღვის ტუტუმწოვრების პარალელური ჭერის შემცირების სტრატეგია.

მიუხედავად იმ აზრისა, რომ ჩვეულებრივი თევზჭერის დროს ტუტუმწოვრები იშვიათად გვხვდება თევსაჭერი მოწყობილობების მახლობლად, ცხოველთა დაღუპვის შემთხვევები მაინც

ზდება. უნდა ითქვას, რომ რეგიონში არ არსებობს ოფიციალური სტატისტიკა დაღუპული ცხოველების რაოდენობაზე. ამრიგად, პრობლემის მასშტაბურობის შეფასება თითქმის შეუძლებელია. BLASDOL-ის პროექტის შედეგების თანახმად, მაისისა და ივნისის თვეებში პლინტუსის ფსკერზე გაჭიმული ლაყუნა ბაღეებით დაჭერა წარმოადგენს უმთავრეს საქმინაობას, რომელიც ახდენს უარყოფით ზეგავლენას შავი ზღვის სანაპირო წყლებში მობინადრე ზღვის ღორის პოპულაციებზე. ნორმალური თევზჭერის დროს ზღვის ძუძუმწოვრების ბაღეებში გაბმის საბჭოთა კავშირის 1968-1993 წლის მონაცემების მიხედვით, გაანგარიშებულ იქნა „ბადის სამიშროების ინდექსი“ ზღვის ძაღლისა და პლინტუსის ჭერის შემთხვევებისათვის. ეს მაჩვენებლები წლის განმავლობაში საშუალოდ მერყეობდა 9-დან 12-მდე ბადის 100 კმ-ზე.

ზოგადად, დელფინები ეგებოდნენ დამაგრებულ ბაღეებში, ზოგჯერ კი ფსკერულ და პელაგიურ დრალეებში. შესაძლოა შემუშავდეს შავ ზღვაში თევზჭერის უსაფრთხოების ზომები სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით. შავი ზღვის ქვეყნებში თევზჭერის მისაღები მეთოდები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია ზღვის ძუძუმწოვრების თევზსაჭერ მოწყობილობებში გაბმის თავიდან აცილება, გულისხმობს შუაწელის დრალეების, მცირე ფსკერული ბაღეების და ჩანთისმაგვარი ბაღეების გამოყენებას. შავი ზღვის ქვეყნებში არ ხდებოდა გამაფრთხილებელი აკუსტიკური მოწყობილობების გამოყენება ვეშაპისებრთა ჭერის ნეგატიური პრაქტიკის შესამცირებლად.

ზღვის ძუძუმწოვრების თევზსაჭერ მოწყობილობებში მოყოლა-გაბმის თავიდან აცილების სტრატეგია მოიცავს: ადგილობრივ დონეზე ინფორმაციის გავრცელებას, თევზსაჭერი მოწყობილობების გაუმჯობესებულ კონტროლს, მეთევზეთა სწავლებას და მაკონტროლებელი ორგანოების შესაძლებლობების გაძლიერებას.

ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის და თევზრეწვისა და ზღვის ცოცხალი რესურსების საკონსულტაციო ჯგუფებმა, ACCOBAMS-ის შავი ზღვის საკოორდინაციო ერთეულთან მჭიდრო თანამშრომლობით უნდა:

- შეიმუშავონ თევზჭერის შედეგად ზღვის ძუძუმწოვრების პოპულაციების განადგურების კოსმოსური დაკვირვებების მეთოდოლოგიები;
- მოამზადონ რეკომენდაციები ზღვის ღორებით დასახლებულ სანაპირო წყლებში მაისისა და ივნისის თვეებში ფსკერული ლაყუნა ბაღეებით თევზჭერის აკრძალვის შესახებ;
- შეიმუშავონ პლინტუსის ჭერის ახალი რეჟიმები და რეკომენდაცია გაუწიონ ისეთ თევზსაჭერ მოწყობილობებს, რომლებიც ნაკლებად სახიფათოა ვეშაპისებრთა მცირე ძუძუმწოვრებისათვის, ვიდრე არსებული ფსკერული ლაყუნა ბაღეები;
- ხელი შეუწყონ თევზის აკვაკულტურების განვითარებას, როგორც პრობლემის გადაჭრის ალტერნატიულ საშუალებას;
- აწარმოონ თევზსაჭერ მოწყობილობებში გაბმული/მოყოლილი ზღვის ღორებისა და დელფინების რიცხოვნების მონიტორინგი. ეს უზრუნველყოფს შავი ზღვის ვეშაპისებრთა ძუძუმწოვრების სიკვდილიანობის მონაცემებს და იქნება სამეცნიერო ინფორმაციის ახალი წყარო ვეშაპისებრთა ეკოლოგიის, ბიოლოგიის და პათოლოგიის შესახებ. შავი ზღვის მთლიან სანაპიროზე შესაძლოა BBLADSOL-ის პროექტში გამოყენებული ერთიანი მეთოდოლოგიის და დაგროვილი გამოცდილების გაზიარება;
- აუცილებელია ზღვის ძუძუმწოვრების თევზსაჭერ მოწყობილობებში გაბმის/მოყოლის მონაცემების შეგროვება აზოვის ზღვაშიც (რუსეთის ფედერაცია). ეს ზღვა წარმოადგენს შავი ზღვის სანაპირო წყლებში მობინადრე ზღვის ღორის გამრავლების და კვების

უმნიშვნელოვანეს ადგილს და იგი გამოირჩევა ინტენსიური თევზჭერითა და დაბინძურებით;

- შექმნან ვეშაპისებრთა ძუძუმწოვრების შემთხვევით ჭერის ეროვნული ქსელები სახელმწიფო სტრუქტურებთან (შავი ზღვის ქვეყნების გარმოსდაცვის სამინისტროებისა და თევზთა დაცვის სამსახურების ჩათვლით), კვლევით ინსტიტუტებთან და ზღვის ბიომრავალფეროვნების კონსერვაციით დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით. არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მასმედიის როლი შესაძლოა იყოს ძალიან მნიშვნელოვანი იმ თვალსაზრისით, რომ ისინი ხელს უწყობენ საზოგადოების გათვითცნობიერებასა და განათლებას;

- მოაწონ სასწავლო სემინარები ვეშაპისებრთა კვლევისა და კონსერვაციის შესახებ, რათა გაავრცელონ სამეცნიერო ცოდნა, მეთოდოლოგიები და BLADSOL-ის პროექტის გამოცდილება ზღვის ძუძუმწოვრების შემთხვევით ჭერის ეროვნული ქსელების სპეციალისტებსა და მოხალისეებს შორის. ერთიანი მეთოდოლოგიისა და მონაცემთა ბაზის მქონე შავი ზღვის ვეშაპისებრთა ძუძუმწოვრების ქსელის შექმნა უნდა წარმოადგენდეს ამ შეხვედრების მთავარ მიზანს. შავი ზღვის კომისიამ ACCOMBAMS-ის საკოორდინაციო ერთეულის მეშვეობით უნდა გაუწიოს კოორდინაცია მთლიან პროცესს.

საჭირო ღონისძიებები

- ⇒ მიმართულ იქნას ეროვნული ძალისხმევა ზღვის ძუძუმწოვრების შემთხვევითი ჭერის თავიდან აცილების ერთიანი მეთოდოლოგიების შემუშავებისაკენ;
- ⇒ სამი წლის განმავლობაში ჩატარდეს შავი ზღვის ძუძუმწოვრების პოპულაციების მდგომარეობის, ტენდენციების და ჯანმრთელობის შემსწავლელი რეგიონული შეფასებები;
- ⇒ CBD-ისა და FOMLR-ის საკონსულტაციო ჯგუფების და ACCOBAMS-ის მიერ ერთობლივად შემუშავდეს საპროექტო წინადადება ვეშაპისებრთა სარეაბილიტაციო ცენტრების შექმნის შესაძლებლობის შესწავლის შესახებ იმ მიზნით, რომ მოძიებულ იქნას საერთაშორისო დაფინანსება მოცემული ამოცანის შესასრულებლად;
- ⇒ ACCOBAMS-მა უზრუნველყოს ზღვის ძუძუმწოვრების კონსერვაციისა და დაცვის სამსახურებისა და სამენეჯმენტო შტატის მომზადება. უნდა შემუშავდეს პოპულარულ-საგანმანათლებლო ლიტერატურა, გადაითარგმნოს ადგილობრივ ენებზე და გავრცელდეს ადგილობრივ მეთევზეთა შორის და ზოგადად მოსახლეობაში;
- ⇒ გაძლიერდეს თანამშრომლობა ACCOBAMS-თან ამ უკანასკნელის და შავი ზღვის კომისიის საქმანობის ურთიერთპარამონიზაციის გზით. ექვსი სანაპირო ქვეყნის სამეცნიერო-კვლევით გუნდებს შესწევთ უნარი გადაჭრან შავი ზღვის ვეშაპისებრთა ძუძუმწოვრების კონსერვაციისა და მენეჯმენტის სფეროში არსებული პრობლემების უმრავლესობა GEF-ის საშუალო გრანტების საშუალებით (4 წელი, 2 მილიონი დოლარი);
- ⇒ აიკრძალოს ფსერული ლაყურა ბადების გამოყენება მაისისა და ივნისის თვეებში იმ სანაპირო წყლებში, სადაც ბინადრობენ ზღვის ღორები. ამ ღონისძიებას ექნება დადებითი შედეგი პლინტუსის ქვირითობაზე მაისსა და ივნისში. ამრიგად, ვეშაპისებრთა დაცვა მიგვიყვანს თევზის სარეწაო სახეობების კონსერვაციამდე;
- ⇒ შემოდებულ იქნას პლინტუსის ჭერის ახალი რეჟიმები და თევზსაჭერი მოწყობილობები, რომლებიც ნაკლებად სახიფათოა მცირე ვეშაპისებრი ძუძუმწოვრებისათვის;

- ⇒ ხელი შეეწყოს თევზის აკვაკულტურების განვითარებას, როგორც პრობლემის გადაჭრის ალტერნატიულ საშუალებას;
- ⇒ შესწავლილ იქნას მორბილოვირუსის თავისებურებანი და პარაზიტების სასიცოცხლო ციკლი, ვეშაპისებრთა ეპიზოოტიის პროგნოზირების ან თავიდან აცილების მიზნით;
- ⇒ ჩატარდეს ბადეში გაბმული და შემთხვევით დაჭერილი ზღვის ღორების და დელფინების რაოდენობის მონიტორინგი. შავი ზღვის ვეშაპისებრთა ძუძუმწოვრებზე მუდმივი დაკვირვება იქნება ახალი სამეცნიერო წყარო ვეშაპისებრთა ეკოლოგიის, ბიოლოგიისა და პათოლოგიის შესახებ. BLASDOL-ის პროექტის ფარგლებში შემუშავებული ერთიანი მეთოდოლოგია და დაგროვილი ცოდნა უნდა გავრცელდეს შავი ზღვის სანაპიროს მთელს ტერიტორიაზე;
- ⇒ დაიწყოს აზოვის ზღვაში (რუსეთის ფედერაცია) ვეშაპისებრი ძუძუმწოვრების თევზსაჭერ მოწყობილობებში გაბმის შესახებ მონაცემების სისტემატიური შეგროვება იმდენად, რამდენადაც ეს ზღვა წარმოადგენს შავი ზღვის სანაპირო წყლებში მობინადრე ზღვის ღორის გამრავლების, ქვირითობის და კვების არეალს და გამოირჩევა ინტენსიური თევზჭერითა და დაბინძურების მაღალი დონით;
- ⇒ შეიქმნას ვეშაპისებრთა ძუძუმწოვრების შემთხვევით ჭერის ეროვნული ქსელები სახელმწიფო სტრუქტურებთან (შავი ზღვის ქვეყნების გარემოსდაცვის სამინისტროებისა და თევზთა დაცვის სამსახურების ჩათვლით), კვლევით ინსტიტუტებთან და ზღვის ბიომრავალფეროვნების კონსერვაციით დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით. არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მასმედიის როლი შესაძლოა იყოს ძალიან მნიშვნელოვანი იმ თვალსაზრისით, რომ ისინი ხელს უწყობენ საზოგადოების გათვითცნობიერებასა და განათლებას;
- ⇒ ხელი შეეწყოს იმ ქვეყნების მიერთებას შავი ზღვის, ხმეთაშუა ზღვის და ატლანტიკის ოკეანის უწყვეტი ზოლის წყლებში მობინადრე ვეშაპისებრთა ძუძუმწოვრების კონსერვაციის შეთანხმებასთან (ACCOBAMS), რომლებიც ჯერჯერობით არ მონაწილეობენ ამ შეთანხმებაში.

V. ჰაბიტატებისა (ადგილსამყოფელების) და ლანდშაფტების დაცვა

მუხლი 63.

გარდა ა ამ სტრატეგიული სამოქმედო გეგმის 57, 58 და 59 პარაგრაფებში ნახსენები ქმედებებისა, შავი ზღვის რეგიონში ადგილსამყოფელისა და ლანდშაფტის დასაცავად, აგრეთვე, შემდეგი ზომებიცაა მისაღები.

ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის, ჰაბიტატებისა და ლანდშაფტების დაცვის ღონისძიებები წარმოადგენს ეროვნული სამოქმედო გეგმების და შავი ზღვის კომისიის სამუშაო გეგმის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტებს. ეს ღონისძიებები ხორციელდება გლობალური, ევროპული და რეგიონული კონვენციების საშუალებით, როგორცაა რამსარის კონვენცია, ბიომრავალფეროვნების კონვენცია და ევროპის კონვენცია ლანდშაფტური მრავალფეროვნების შესახებ. აგრეთვე, მათი მხარდაჭერა ხდება ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებით. ამ ინსტრუმენტების საშუალებით ხელი შეეწყოს შავი ზღვის მრავალი დაცული ტერიტორიისა და ჰაბიტატის შექმნას.

საჭირო ღონისძიებები:

- ⇒ დამყარდეს მჭიდრო თანამშრომლობა იმ კონვენციების და შეთანხმებების მონაწილეებთან, რომელთა ხელშემკვრელ მხარეებსაც წარმოადგენენ შავი ზღვის ქვეყნები. აგრეთვე, დაისახოს თითოეული ხელშემკვრელი ქვეყნისათვის შესაბამისი მიზნები მოცემული კონვენციის ან შეთანხმების ფარგლებში;
- ⇒ შესწავლილ იქნას „ტყუბი“ პროექტების განხორციელების შესაძლებლობა სხვა მსგავს კონვენციებთან თანამშრომლობით.

მუხლი 64.
საზღვაო და სანაპირო არეებში და, განსაკუთრებით, წყალჭაობიან ადგილებში საჭიროა დადგინდეს ახალი დასაცავი ტერიტორიები, არსებული დაცვა კი გაუმჯობესდეს. ბიომრავალფეროვნების საკუთარი ეროვნული სტრატეგიების დაგეგმვისას შავი ზღვის ქვეყნებმა საჭიროა გაითვალისწინონ შავი ზღვის სისტემის მთლიანობა. ეს უსეიდლება განხორციელდეს, მაგალითად, რეგიონალური მნიშვნელობის მქონე დასაცავი ტერიტორიების დადგენით.

ბუნების კონსერვაციის საერთაშორისო კავშირის (IUCN) და რამსარის კონვენციის კრიტერიუმები აღიარებულია რეგიონულ დონეზე და გამოიყენება ეროვნული და ტრანსსასაზღვრო დაცული ტერიტორიების შესაქმნელად. ეს კრიტერიუმები ითვალისწინებს:

- შავი ზღვის სახეობათა განსაკუთრებულ ჰაბიტატებს;
- გამოზამთრებისა და გამრავლების ადგილებს;
- ჰაბიტატების და ლანდშაფტების უნიკალურობას;
- ტრანსსასაზღვრო მიგრაციულ ბილიკებს.

ბიომრავალფეროვნის, მნიშვნელოვანი ბუნებრივი ლანდშაფტების და ჰაბიტატების დაცვის ზოგად ტენდენციაზე მიუთითებს ზღვისა და ხმელეთის დაცული ტერიტორიების მნიშვნელოვანი გაფართოება. მიუხედავად ამისა, BSEP-ის ბიომრავალფეროვნების კვლევის ფარგლებში შეთავაზებული რეგიონული მნიშვნელობის 14 დაცული ტერიტორიიდან არცერთი იქნა დაარსებული 1996-2000 წლებში (ცხ. IIIB.14).

საჭირო ღონისძიებები:

- ⇒ გადაისინჯოს და განახლდეს შავი ზღვის სანაპირო ქვეყნების რეგიონული მნიშვნელობის დაცული ტერიტორიების ნუსხა;
- ⇒ მოდიებულ იქნას საერთაშორისო დახმარება ახალი დაცული ტერიტორიების, განსაკუთრებით კი რეგიონული და ტრანსსასაზღვრო მნიშვნელობის ზღვის დაცული ტერიტორიების შესაქმნელად.

მუხლი 65.
შავი ზღვის რეგიონში ადგილსამყოფელისა და ლანდშაფტის დაცვის გაძლიერების მიზნით საჭიროა, შემდეგი ღონისძიებების გატარებით, გაუმჯობესებულ იქნას როგორც ეროვნული, ისე რეგიონალური მარეგულირებელი საშუალებები.

შავი ზღვის ქვეყნებში ჰაბიტატების და ლანდშაფტების კონსერვაციის, დაცვის და მენეჯმენტის მიზნით ფართოდ გამოიყენება შემდეგი პოლიტიკური ზომები (იხ. ცხ. III B.14; ცხ. III B.15):

- პრიორიტეტული გარემოსდაცვითი ღონისძიებების ნუსხაში ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის ღონისძიებების ჩართვა (შავი ზღვის ყველა სახელმწიფო);
- ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და დაცვის შესახებ არსებული ჩარჩო კანონმდებლობის დახვეწა;
- ეროვნული პროგრამების და სამოქმედო გეგმების შემუშავება და განხორციელება ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნების კონსერვაციის საკითხების გადაჭრის მიზნით;
- კანდიდატი ქვეყნების მიერ ევროგაერთიანების ღირექტივების შესრულების ხელშეწყობა.

შავი ზღვის ქვეყნებში ჰაბიტატების და ლანდშაფტების კონსერვაციისა და დაცვის მიზნით ფართოდ გამოიყენება შემდეგი სამენეჯმენტო ღონისძიებები:

- ეროვნული ნორმატიული დოკუმენტებისა და წესების ჰარმონიზაცია საერთაშორისო კონვენციებთან, სტრატეგიებსა და კრიტერიუმებთან, აგრეთვე ევროგაერთიანების ღირექტივებთან;
- მიწის მელიორაციის გეგმების შემუშავება კონსერვაციული მიზნებით;
- დაცული ტერიტორიებისა და სახეობების მართვის გაუმჯობესება;
- ზღვისა და ხმელეთის ტრანსსასაზღვრო ეკოლოგიური კორიდორების გამოვლენა და შექმნა.

რეგიონში ძირითად მიდგომას წარმოადგენს თითოეული დაცული ტერიტორიისათვის მენეჯმენტის გეგმის შემუშავება, ადგილობრივი თავისებურებებისა და ზემომქმედი ფაქტორების მხედველობაში მიღებით. იმის გათვალისწინებით, რომ შავი ზღვის ყველა ქვეყანა გარდამავალი ეკონომიკის პერიოდში იმყოფება, არსებობს დაცული ტერიტორიების საგრძნობლად გაფართოების შესაძლებლობა, თუ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები და სხვა ღონისძიებები გამოყოფენ შესაბამის ფინანსებს.

კონსერვაციის მიზნით გამოიყენება ფისკალური ტიპის ეკონომიკური მექანიზმები, როგორცაა, ჯარიმები და გადასახადები მიყენებულ ზიანზე. ეკონომიკური სტიმულები (წამახალისებელი ინსტრუმენტები) არ გამოიყენება ფართოდ რეგიონში. ასე მაგალითად, ისეთი ეკონომიკური სტიმულები, როგორცაა გადასახადისაგან გათავისუფლება (რუსეთის ფედერაცია), პირდაპირი დახმარება მთიანი სოფლებისათვის და სასუქების მცირე რაოდენობით გამოყენებისათვის ფულადი სტიმულირება (თურქეთი) არ არის ფართოდ დანერგილი რეგიონში. თურქეთის მთავრობა ხელს უწყობს კერძო სექტორის ჩარვას ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნების კონსერვაციისა და დაცვაში. გარკვეულწილად თანამშრომლობას ადგილობრივ დონეზე ადგილი აქვს რუსეთის ფედერაციაში. საქართველოში, რუმინეთსა და უკრაინაში სახელმწიფო და კერძო სექტორების თანამშრომლობა არ არის განვითარებული სათანადო დონეზე.

საჭირო ღონისძიებები:

⇒ შავი ზღვის ეკოსისტემის თავისებურებების გათვალისწინებით, საზღვაო დაცული ტერიტორიების შესაქმნელად შემუშავდეს შესაბამისი კრიტერიუმები და სახელმძღვანელო პრინციპები;

⇒ შავი ზღვისპირეთის ქვეყნებში, ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნების კონსერვაციისა და დაცვის მიზნით, შემუშავდეს და დაინერგოს ეკონომიკური სტიმულები და მათი სარგებლის ჩვენება მოხდეს რიგი სადემონსტრაციო პროექტების განხორციელების გზით;

⇒ მოხდეს კერძო სექტორის ჩართვა ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნების კონსერვაციისა და დაცვაში სახელმწიფო და კერძო სექტორების ურთიერთთანამშრომლობის გზით.

ა) საჭიროა მიღებულ იქნას დასაცავ ტერიტორიათა რეგიონალური სტრატეგია, რომლის გადასინჯვა მოხდება ყოველ 5 წელიწადში ერთხელ. სასურველია, რომ სტამბულის კომისიამ შეიმუშაოს ასეთი გეგმა 1998 წლის შუაგულისათვის და გამოსცეს სათანადო ბიულეტენები, ბიომრავალფეროვნების დაცვის საკონსულტაციო ჯგუფის რეკომენდაციაზე დაყრდნობით. გეგმაში, სხვა ყველაფერთან ერთად, საჭიროა ჩამოთვლილ იქნას შემდეგი: უმთავრესი ადგილები, რომლებიც დასაცავ ტერიტორიებად გამოცხადებას საჭიროებს; უმთავრესი ადგილები, სადაც დასაცავი ზომები გასაძლიერებელია; მიზნები, სტანდარტები და ღონისძიებები დაცული ტერიტორიების მოსაველეად და ფინანსების მოძიების ასპექტები.

შავი ზღვის ნებისმიერ ქვეყანაში ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნების კონსერვაცია წარმოადგენს ეროვნული გარემოსდაცვითი პრიორიტეტების ორგანულ ნაწილს. ამ ტიპის პროექტები და ღონისძიებები გათვალისწინებულია სახელმწიფო და საერთაშორისო პროექტებში. ეროვნულ დონეზე გამოყოფილია საკმაო ფინანსები ლანდშაფტებისა და ჰაბიტატების დასაცავად (დანართი III).

ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნების პროტოკოლი შემუშავდა ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის ცენტრის მიერ და განხილულ იქნა ელექტრონულად საკონსულტაციო ჯგუფის მიერ. დოკუმენტის ხელმოწერის მიზნით, 2002 წლის 14 ივნისს გაიმართა შავი ზღვის ქვეყნების საბოლოო კონსულტაციები. ამ დღეს შედგა შავი ზღვის ქვეყნების გარემოს დაცვის მინისტრების შეხვედრა.

შავი ზღვის ლანდშაფტური მრავალფეროვნების სტრატეგიის პირველადი დოკუმენტი შემუშავდა BSEP-ის ფარგლებში 1996 წელს და ბიომრავალფეროვნების კონვენციის (CBD) საკონსულტაციო ჯგუფმა მოამზადა შავი ზღვის ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2000 წელს.

საჭირო ღონისძიებები:

⇒ დასრულდეს და მიღებულ იქნას ლანდშაფტების კონსერვაციის რეგიონული სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა 1995 წლის „ლანდშაფტების კონსერვაციის სტრატეგიის“ პირველადი დოკუმენტის საფუძველზე. CBD-ის და ICZM-ის (სანაპირო ზოლის ინტეგრირებული მართვის) საკონსულტაციო კგუფებმა ერთობლივი ძალისხმევით დაასრულონ შესაბამისი საქმიანობა 2005 წლისათვის;

⇒ შესაბამისი პროტოკოლის თანახმად, 2005 წლისათვის დასრულდეს და მიღებულ იქნას ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის რეგიონული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა;

ბ) 2000 წლისათვის შავი ზღვის ყოველმა ყვეყანამ საჭიროა შეეცადოს გადასინჯოს და, სადაც შესაფერისია, მიიღოს საკუთარ სამართლებრივ სისტემასთან შეთანხმებით, დასცავი ტერიტორიების მოსავლელი ეროვნული კანონები, წესები და საგვემო საშუალებები. ეს კანონები, წესები და საგვემო საშუალებები საჭიროა ესადაგებოდეს სათანადო საერთაშორისო ინსტრუმენტებს, დასაცავ ტერიტორიათა რეგიონალური სტრატეგიის ჩათვლით. ეროვნულ დოკუმენტებში, სხვა ყველაფერთან ერთად, საჭიროა მითითებული იყოს მართვაზე პასუხისმგებელი ორგანო და პასუხისმგებელი სამთავრობო სამსახური, აღწერილი დასაცავი ტერიტორიების დადგენის პროცედურები; მოთხოვნილი იყოს, რომ ყოველი დასაცავი ადგილისათვის ჩამოყალიბდეს საკუთარი სამართავი გეგმა; დადგენილი იყოს დასაცავი ტერიტორიების მართვის სტანდარტები და, სადაც უპრიანია, დაფუძნებული იყოს დასაცავი ტერიტორიების მართვის საქმეში სამთავრობო სამსახურებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობისა და საზოგადოებრიობის

შავი ზღვის ქვეყნებში ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნების კონსერვაციისა და დაცვის სფეროში არსებობს სათანადო სამართლებრივ-ნორმატიული ბაზა და ინსტიტუციური მოწყობა. გარემოსდაცვითი სამსახურები ასრულებენ მაკოორდინირებელ როლს გარემოსდაცვით დარგთაშორის პროგრამებში, რადგანაც მათთან გააჩნიათ დაცული ტერიტორიების მართვის სპეციალური დეპარტამენტები ან დირექტორატები, რომლებიც შეესაბამება ადგილობრივ სტრუქტურებს და რომლებსაც მჭიდრო კავშირი აქვთ ბუნებრივი რესურსების მართვაში ჩართულ სატყეო, თევზმეურნეობის და სხვა სამსახურებთან. განსაკუთრებულად დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის ყველაზე მეტად გავრცელებულ ინსტრუმენტებს წარმოადგენს თითოეული დაცული ტერიტორიის მართვის (მენეჯმენტის) გეგმა, რომლის შედგენაც ხდება საერთაშორისო (თურქეთი) ან ეროვნული პროცედურების (ბულგარეთი, რუმინეთი, რუსეთის ფედერაცია, უკრაინა) შესაბამისად. რამოდენიმე ასეთი გეგმა შემუშავდა GEF-ის სადემონსტრაციო პროექტების ფარგლებში (რუსეთის ფედერაცია). GEF-ის დახმარება აღიარებულ იქნა შავი ზღვის ქვეყნების მიერ. მიუხედავად ამისა, საზღვაო დაცული ტერიტორიების შექმნის კრიტერიუმები და პროცედურები არ არის სათანადოდ განვითარებული.

საჭირო ღონისძიებები:

- ⇒ ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის საკონსულტაციო ჯგუფის მიერ მომზადდეს შავი ზღვის სახელმძღვანელო პრინციპები ბიომრავალფეროვნების დაცვის, კონსერვაციის, ათვისების, კონტროლის, დაფინანსების, საზოგადოებრივი განათლების და გათვითცნობიერების მარეგულირებელი მენეჯმენტის გეგმების შესახებ;
- ⇒ შემუშავდეს საზღვაო დაცული ტერიტორიების შექმნის ჰარმონიზებული პროცედურები;
- ⇒ მოხდეს საზღვაო დაცული ტერიტორიების შექმნის შესაძლებლობის შესწავლა (ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება).

საზოგადოება მტკიცედ უჭერს მხარს ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნების კონსერვაციას და აქტიურად მონაწილეობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ბულგარეთი, რუმინეთი, საქართველო და უკრაინა წარმოადგენენ ორპუსის კონვენციის

ხელშემკერე მხარეებს და მისი საშუალებით ურთიერთობენ მოსახლეობასთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და დაინტერესებულ კერძო პირებთან. მრავალი ასეთი ჯგუფი საკმაოდ ორგანიზებულია.

რეგიონში ტარდება მრავალი კამპანია, 1996 წლიდან მოქმედი შავი ზღვის დაცვის დღის ჩათვლით, რომელიც ეძღვნება ბიომრავალფეროვნების კონსერვაციას. რუმინეთში, რაიონთაშორის კონკურსზე „მე და გარემო“ წარდგენილ იქნა 16 პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ბუნებრივი ნაკრძალის დაარსებას. მათ შორის იყო გამარჯვებული პროექტიც სახელწოდებით „შეიქმნას თუ არა ვამა-ჰემეს 2 მაისის ნაკრძალი“, რომელიც წარადგინა არასამთავრობო ორგანიზაციამ “Mare Nostrum” (ამ ნაკრძალის შექმნის ღონისძიებები მიმდინარეობს WEPM-ის და NIMRD-ის ფარგლებში).

შავი ზღვის ქვეყნებში კონსერვაციის საკითხების გადაჭრაში მოსახლეობის ჩართვის ყველაზე მეტად გავრცელებული ღონისძიებებია:

- ეკოლოგიური ინფორმაციის გავრცელება (ბუკლეტების, საინფორმაციო ფურცლების, პლაკატების საშუალებით);
- საზოგადოების გათვითცნობიერების კამპანიების ჩატარება ისეთი შემთხვევებისათვის, როგორცაა შავი ზღვის დღე, ჭარბტენიანი ტერიტორიების დაცვის დღე, დედამიწის დღე, გარემოს დაცვის დღე, წყლის ზეიმი, ან სხვა ისეთი შემთხვევების ფარგლებში, როგორცაა შავი ზღვის იშვიათი და გადაშენების პირას მისული სახეობების გაცნობა;
- მოსახლეობისაგან, ეუთროფიკაციისაგან, თევზჭერისაგან და ტურიზმისაგან ზღვის ბიომრავალფეროვნების დაცვის და ზოგიერთი ეკოლოგიური რისკის აღმოფხვრის მცირე პროექტების კონკურსების მოწყობა. კონკურსის მონაწილეები არიან მეცნიერები და სტუდენტები;
- დაცული ტერიტორიების დაგეგმვა ხშირად ხდება სახალხო მოსმენებზე.

სხვა პრაქტიკა არსებობს საქართველოში. სოციალურ-ეკონომიკური შედეგები განიხილება წინა საპროექტო შესწავლის (ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების) დროს, თუმცა ეს ასე არ მოხდა ბორჯომ-ხარაგაულისა და კოლხეთის ეროვნული პარკების დაარსების შემთხვევაში.

მიუხედავად იმისა, რომ რუმინეთში არ არსებობს სახელმწიფო და კერძო სტრუქტურების ურთიერთთანამშრომლობის ოფიციალური პროტოკოლები, ცენტრალური და ადგილობრივი გარემოსდაცვითი სტრუქტურები მონაწილეობენ არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაში. ეს მიუთითებს ასეთი თანამშრომლობის განვითარების შესაძლებლობაზე.

მხოლოდ უკრაინაში, გარემოს დაცვის სამინისტროსთან მოქმედებს არასამთავრობო ორგანიზაციათა საბჭო.

რუსეთის ფედერაციაში მოსახლეობა ადგილობრივ და რეგიონულ დონეებზე მონაწილეობს კონსერვაციის პროექტების განხილვასა და სახალხო მოსმენებში.

მუხლი 65?

რუმიენტში მოქმედი ღუნაის ბიოსფერული ნაკრძალის მმართველობის გამოკლებით, რეგიონში არსებული ეროვნული სამსახურები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან კონსერვაციის ტერიტორიების მენეჯმენტზე, განიცდიან კადრების ნაკლებობას და აქვთ მწირი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ძირითად პრობლემას ფინანსების ნაკლებობა წარმოადგენს. ამის შედეგად, გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების კონსერვაციის კანონმდებლობა და რეგულატორული მექანიზმები ვერ მუშაობს სათანადოდ. ფინანსების ნაკლებობა ასევე ზეგავლენას ახდენს პროფესიული კადრების მომზადებაზე, განსაკუთრებით კი შემდეგ სფეროებში: დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმების შემუშავება, გადასახადები ბუნებრივ რესურსებზე, გარემოსდაცვითი ნებართვები და ნორმატივები.

საჭირო ღონისძიებები:

- ⇒ შეიქმნას პროფესიული მომზადების და განათლების სისტემა;
- ⇒ მოძიებულ იქნას საერთაშორისო დახმარება დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გასაძლიერებლად და ხელი შეეწყოს ტრანსსასაზღვრო დაცული ტერიტორიების შექმნას.

მუხლი 66.
ხალხის ცნობიერების ასამაღლებლად ღონისძიებები საჭიროა ჩატარდეს სკოლებში, ადგილობრივ მაცხოვრებლებში და დასაცავ ტერიტორიებზე ბუნებრივი რესურსების მომხმარებელთა შორის. ასეთი ღონისძიებები, სადაც უპირიანი იქნება, საჭიროა კოორდინირებული იყოს რეგიონალურ დონეზე.

კონსერვაციის სტრატეგიის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს გარემოსდაცვითი განათლება. ამავე დროს, რეგიონის ქვეყნებში შეიმჩნევა ბიოლოგიური და ლანდშაპური მრავალფეროვნების კონსერვაციისა და დაცვის შესახებ ეროვნულ ენებზე მომზადებული საზოგადოებრივი გათვითცნობიერების და განათლების მასალების ნაკლებობა. ამრიგად, არსებობს ბიომრავალფეროვნების სფეროში საზოგადოების გათვითცნობიერების და განათლების ეფექტური პროგრამების შემუშავების და განხორციელების გარდაუვალი აუცილებლობა, რაც უნდა მოხდეს შემდეგნაირად:

- შეფასდეს ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების საკითხებში საზოგადოების გათვითცნობიერების დონე და ცოდნა, და ჩატარდეს პროცესის მონიტორინგი იმ მიზნით, რომ შემუშავდეს და შეირჩეს საგანმანათლებლო და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების ეფექტური პროგრამები;
- შეტანილ იქნას ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების თემები და ლოზუნგები ოფიციალურ სასწავლო პროგრამებში;
- ამაღლდეს საზოგადოებრივი ცნობიერება ეროვნულ პარკებსა და სხვა დაცულ ტერიტორიებზე არსებული საგანმანათლებლო პროგრამების დამკვიდრების და ბიბლიოთეკებში, მუზეუმებში, ზოოპარკებში, აკვარიუმებსა და ბოტანიკურ ბაღებში საზოგადოებრივი გათვითცნობიერების პროგრამების შემოღების გზით;
- გაძლიერდეს კოორდინაცია სასწავლო დაწესებულებებს, სახელწიფო დეპარტამენტებს, მუზეუმებს, ზოოპარკებს, აკვარიუმებს, ბოტანიკურ ბაღებს, კერძო სექტორსა და სხვა ორგანიზაციებს შორის;

- მიეცეთ პროფესიული დახელოვნების საშუალება გარემოსდაცვითი განათლების სფეროში მოღვაწე მუშაკებს;
- შეიქმნას საგანმანათლებლო ლიტერატურა, რომელშიც აქცენტი იქნება გაკეთებული ეკოსისტემებსა და ბუნებრივ რესურსებზე ზემოქმედების შემცირების ან თავიდან აცილების ღონისძიებებზე;

- ხელი შეეწყოს საზოგადოებრივ გათვითცნობიერებას ბიომრავალფეროვნების საკითხებში, აგრეთვე კონსერვაციისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების თანამედროვე მოთხოვნებში, პერიოდულ მოხსენებებში, საინფორმაციო ფურცლებზე, ელექტრონულ საინფორმაციო სისტემებსა და სხვა საკომუნიკაციო საშუალებებში ბიომრავალფეროვნების მდგომარეობის ცვლილების ამსახველი მასალების გამოქვეყნების და ბუნებრივი რესურსების მართვის გაუმჯობესებული მეთოდების გაცნობის გზით.

საჭირო ღონისძიებები:

- ⇒ განხორციელდეს გადაშენების პირას მისული სახეობების დაცვის კამპანიები;
- ⇒ მომზადდეს ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების თემების და ლოზუნგების შემცველი საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც შესაძლოა გახდეს ოფიციალური სასწავლო პროგრამების ნაწილი; შეტანილ იქნას არსებული საგანმანათლებლო პროგრამები ეროვნულ პარკებსა და სხვა დაცულ ტერიტორიებზე, აგრეთვე ბიბლიოთეკებში, მუზეუმებში, ზოოპარკებში, აკვარიუმებსა და ბოტანიკურ ბაღებში; გაძლიერდეს კოორდინაცია სასწავლო დაწესებულებებს, სახელწიფო დეპარტამენტებს, მუზეუმებს, ზოოპარკებს, აკვარიუმებს, ბოტანიკურ ბაღებს, კერძო სექტორსა და სხვა ორგანიზაციებს შორის;
- ⇒ GEF-ის დახმარებითა და ინიციატივით, დაუყოვნებელი ღონისძიებების სახით, შესაძლოა განხორციელდეს შემდეგი პროექტები:
- ⇒ წითელი წიგნის პოპულარული ვერსიის მოზადება, გამოქვეყნება და გავრცელება;
- ⇒ შავი ზღვის ბიომრავალფეროვნების წლისათვის მზადება;
- ⇒ ბიომრავალფეროვნების შესახებ საზაფხულო კურსების მოწყობა საშუალო სკოლის მოსწავლეებისა და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის.
- ⇒ გაუმჯობესდეს შავი ზღვის ეკოსისტემების რეაბილიტაციის რეგიონული და ეროვნული გარემოსდაცვითი პროექტების კოორდინაცია, იმ მიზნით, რომ ერთობლივი ძალისხმევით შეიცვალოს შავი ზღვის გარემო;
- ⇒ „შავი ზღვის საერთაშორისო მონიტორინგის და შეფასების პროექტის“ (BSIMAP) საცდელ ტერიტორიებზე ჩატარდეს ბიომრავალფეროვნების უწყვეტი მონიტორინგი, უნიფიცირებულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით;
- ⇒ შემუშავდეს საპროექტო წინადადება ზღვის ძუძუმწოვრების კონსერვაციის და მათი პოპულაციების კვლევის სარეაბილიტაციო ცენტრების დაარსების შესაძლებლობების შესწავლის შესახებ.

ა. საზოგადოების მდგრადი განვითარება

ა) გარემოზე ზემოქმედების შეფასება

მუხლი 67.
1998 წლისათვის შავი ზღვის ყველა ქვეყანა მიიღეს კრიტერიუმებს გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და გარემოსდაცვითი აუდიტისათვის, რომლებიც სავალდებულო იქნება როგორც ყველა სახელმწიფო, ისე კერძო პროექტებისათვის. ზღვისპირა ქვეყნები ითანამშრომლებენ, რათა შესატყვისობაში მოიყვანონ ეს კრიტერიუმები 1999 წლისათვის და სადაც ეს შესაძლებელია, შემოიღონ გარემოსდაცვითი შეფასებები.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების და გარემოსდაცვითი აუდიტის კრიტერიუმები, რომელთა გათვალისწინებაც სავალდებულოა ყველა კერძო თუ სახელმწიფო საწარმოს მიერ, არ იქნა შეთანხმებული რეგიონულ დონეზე. თურქეთში, ეროვნულ დონეზე, 0.15 მგვტ-ზე მეტი სიმძლავრის მქონე ნებისმიერი ელექტროსადგური, აგრეთვე წყალსაცავი 1 მლნ. კუბ. მ-ზე მეტი მოცულობითა და 15 კვ. კმ-ზე მეტი ზედაპირის ფართობით, საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაპროექტების ფაზაში.

გარემოზე ზემოქმედების შეფასება მთლიანად არის ინტეგრირებული ეროვნულ კანონმდებლობებში და სავალდებულოა ახალი პროექტებისათვის. გარემოსდაცვითი აუდიტი, რომელიც ნაკლებ ყურადღებას იმსახურებს, არ არის სავალდებულო რუსეთის ფედერაციასა და უკრაინაში.

გარემოსდაცვითი აუდიტის პრაქტიკა უნდა დამკვიდრდეს შავიზღვისპირა ქვეყნებში.

გარემოზე ზემოქმედების სტრატეგიული შეფასება წარმოადგენს ეროვნული პოლიტიკის ნაწილს შავი ზღვის ქვეყნებში, გარდა თურქეთისა.

როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღონისძიება, გარემოზე ზემოქმედების შეფასება ჩატარებულ იქნა ან ჩატარდება ენერგეტიკის დარგში. ყველაზე მნიშვნელოვანმა ენერგეტიკულმა პროექტმა გაიარა გარემოზე ზემოქმედების შეფასება (იხ. ცხ. III.C.5).

რეგიონულ დონეზე არ იქნა ასეთი ღონისძიებები გათვალისწინებული და მათ არ დაუმსახურებიათ სათანადო ყურადღება ხელშემკვრელი მხარეების ან საერთაშორისო დონორებისაგან.

უმრავლეს შემთხვევაში, გარემოზე ზემოქმედების შეფასების მთავარი პასუხისმგებლობა აკისრიათ გარემოსდაცვით სტრუქტურებს (თურქეთი, რუსეთის ფედერაცია, საქართველო და უკრაინა). რუმინეთში ეს პასუხისმგებლობა დელეგირებულ აქვს გარემოს დაცვის კვლევისა და განვითარების ეროვნულ ინსტიტუტს (ICIM). თურქეთში გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ დაარსებულ იქნა კვლევისა და შეფასების კომისია, რომლის წევრებიც არიან საზოგადოებრივი ორგანიზაციების, უნივერსიტეტების, კომიტეტების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების დაფინანსება დამოკიდებულია პროექტის მიზნებზე და ჩვეულებრივ, ხდება საწარმოს ან კომპანიის ხარჯზე. გარემოზე ზემოქმედების დამოუკიდებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს სახელმწიფო გარემოსდაცვითი სტრუქტურების ბიუჯეტიდან ან სხვა წყაროებიდან, თუ არსებობს ამის მოთხოვნა საზოგადოების ან მთავრობის მხრიდან. ფინანსების ტიპიური გადანაწილება მოცემულია თურქეთის მაგალითზე (ცხ. III.C.4 და ცხ.III.C.5).

ახალი პროექტების სახალხო მოსმენები, ადგილობრივი და ეროვნული განხილვები, აგრეთვე ადგილობრივი მოსახლეობისა და ზოგადად, საზოგადოების ინფორმირების სხვა მეთოდები ფართოდ გამოიყენება შავი ზღვის ქვეყნებში.

საჭირო ღონისძიებები:

⇒ დამყარდეს მჭიდრო თანამშრომლობა გარემოზე ზემოქმედების შეფასების კონვენციის ფარგლებში იმ მიზნით, რომ შავი ზღვის რეგიონში დაინერგოს საუკეთესო გამოცდილება;

⇒ ხელი შეეწყოს ჰარმონიზებული გარემოსდაცვითი კრიტერიუმებისა და სტანდარტების შემოღებას, რათა გაადვილდეს ფართომასშტაბიანი ტრანსსასაზღვრო პროექტების გარემოზე ზემოქმედების შეფასება, ისეთი როგორცაა მაგალითად, ტრანსსასაზღვრო ენერგეტიკული პროექტები, ნავთობის ტერმინალები და სხვა;

⇒ შეიქმნას გარემოზე ზემოქმედების შეფასების ექსპერტთა ტექნიკური ჯგუფი, ტრანსსასაზღვრო კონტექსტში გარემოზე ზემოქმედების შეფასების სტრატეგიების და გეგმების შესახებ რიგი კონსულტაციების, ვორკშოპების, სემინარების და ა.შ. ჩატარების მიზნით.

ბ) სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვა

მუხლი 68.
იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას სანაპირო ზონის სათანადო მართვა, შავი ზღვის რეგიონისათვის საჭიროა ჩამოყალიბდეს სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის ურთიერთშეთანხმებული სტრატეგიები. ამის მისაღწევად საჭიროა შემდეგი ღონისძიებების გატარება.

სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვა (ICZM) წარმოადგენს სამთავრობო პროცესს და მოიცავს სამართლებრივ-ინსტიტუციურ ჩარჩოს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სანაპირო ზონის განვითარების და მენეჯმენტის გეგმებში გარემოსდაცვითი ასპექტების ინტეგრირება, სოციალური ასპექტების ჩათვლით, და ამ გეგმების შედგენაში დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა (ნოორდვიკის სახელმძღვანელო პრინციპები, 1993).

სანაპირო ზონის რეკრეაციული რესურსების ღირებულება და ფაქიზი ეკოსისტემების მოწყვლადობა საჭიროებს განსაკუთრებულ ყურადღებას გარემოს დაცვის სტრუქტურების მიერ და გათვალისწინებულ უნდა იქნას საკანონმდებლო დებულებებში, რათა მოხდეს მათი ეფექტური დაცვა და მართვა. დღეისათვის, სანაპირო ზონა იურიდიულად განსაზღვრულია ბულგარეთში, რუსეთის ფედერაციაში და თურქეთში. რუმინეთში, საქართველოსა და უკრაინაში ამჟამად მიმდინარეობს სანაპირო ზონის იურიდიული სტატუსის განსაზღვრა.

ეროვნულ და რეგიონულ დონეებზე, სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის საკანონმდებლო-ინსტიტუციური ბაზა სუსტად არის განვითარებული. ამიტომ, პროცესი ვერ ხორციელდება ეფექტურად რეგიონში, მიუხედავად იმისა, რომ მისი ზოგიერთი კომპონენტი ფართოდ გამოიყენება ან ამჟამად ინერგება ექსპერიმენტულ დონეზე, ასე მაგალითად, რუსეთის დედერაციაში, როგორც ქვეყნის ადმინისტრაციული სისტემა. კრასნოდარის (რუსეთის ფედერაცია) და დონეცკის (უკრაინა) მხარეებში ტასისის შავი ზღვის 1995-1996 და 1996-1997 წლების ფონდების დახმარებით განხორციელდა ICZM-ის სადემონსტრაციო პროექტები. ამასთან ერთად, პროექტის ფარგლებში კრასნოდარში მოქმედი „სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის საერთო მეთოდოლოგიის შემუშავებელი ცენტრის“ უშუალო

დახმარებით შემუშავდა “სანაპირო ზოლში გარემოსდაცვითი ქცევის ნორმები”. უკრაინაში სანაპირო ზონის მართვის შესახებ კანონის შემუშავების მოთხოვნა ჩაღებულა შავი და აზოვის ზღვების დაცვის და რეაბილიტაციის ეროვნულ პროგრამაში.

საჭირო ღონისძიებები:

- ⇒ შავი ზღვის ყველა ქვეყანაში ICZM-ის პრინციპების განხორციელების მიზნით ხელი შეეწყოს ეროვნული სამართლებრივ-ინსტიტუციური ჩარჩოების შემუშავებას;
- ⇒ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისათვის შემუშავდეს რიგი პრაქტიკული რეკომენდაციებისა ICZM-ის პრინციპებისა და მეთოდოლოგიების შესახებ და გავრცელდეს ეს რეკომენდაციები ადგილობრივ ენებზე მოსახლეობასა და დაინტერესებულ მხარეებში.

ა) საჭიროა ჩამოყალიბდეს სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის შავი ზღვის რეგიონალური სტრატეგია. სასურველია, რომ სტამბულის კომისიამ სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვისათვის საჭირო ზოგადი მეთოდოლოგიების შემუშავების საკონსულტაციო ჯგუფის რეკომენდაციებზე დაყრდნობით ჩამოაყალიბოს ასეთი სტრატეგია 1998 წლის დეკემბრამდე. რეგიონალურ სტრატეგიაში საჭიროა საგულდაგულოდ განისაზღვროს მიწისა და წყლის გამოყენების დაგეგმარების, ისევე როგორც ზონური სისტემების პროექტირების ძირითადი პრინციპები და მეთოდოლოგიები. რეგიონალურ სტრატეგიაში რეკომენდებული მეთოდოლოგიები და პრინციპები მხედველობაში უნდა იქნას მიღებული სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვისათვის ეროვნული სტრატეგიებისა და გეგმების შექმნის ან განხილვის დროს.

სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის რეგიონული სტრატეგიის პროექტი შემუშავდა შავი ზღვის გარემოს დაცვის პროგრამის ფარგლებში. იგი განიხილეს ბულგარეთმა და რუმინეთმა. სამწუხაროდ, სტრატეგია არ ითარგმნა ადგილობრივ ენებზე და არ იქნა მიღებული შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვის კომისიის მიერ. ამიტომ, იგი საჭიროებს შემდგომ დახვეწას. რუსეთის ფედერაციამ მოამზადა სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის ეროვნული სტრატეგია. მისი მეთოდოლოგია აპრობირებულ იქნა ექპერიმენტულ დონეზე რუსეთის ფედერაციასა (კრასნოდარის მხარე) და უკრაინაში (დონეცკის რაიონი) ტასისის შავი ზღვის ფონდის 1996-1997 წლების პროექტის ფარგლებში. თურქეთის გამოკლებით, სადაც სრულად ხორციელდება ICZM-ის პრინციპები და ICZM-ის საკითხები ცალკე თავის სახით არის შეტანილი შავი ზღვის ეროვნულ სამოქმედო გეგმასა და დღისწესრიგ-21-ში, სანაპირო ზონის ინტეგრირებულ მართვას არ ეთმობა დიდი ყურადღება. თუმცა, მას კვლავ მაღალი პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს შავი ზღვის სახელმწიფოებში გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში მიმდინარე პრივატიზაციის სწრაფი პროცესისა და სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების გამო. ორგანიზაციული თვასაზრისით, შავი ზღვის ქვეყნებში არ არის შექმნილი სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის ინსტიტუციური ჩარჩო, გარდა რუსეთის ფედერაციისა, სადაც დაარსდა დარგთაშორისი კომისია სამეწარმეო ძალების შესახებ. სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის ინსტიტუციური ჩარჩო აგრეთვე შეიქმნა ადგილობრივ დონეზე დონეცკის რაიონში (უკრაინა) განხორციელებული სადემონსტრაციო პროექტის ფარგლებში.

შავი ზღვის რეგიონში ინფორმაცია სადემონსტრაციო პროექტების შედეგების, თურქეთის გამოცდილების და სხვა მსგავსი საქმიანობის შესახებ არ იქნა გავრცელებული და არ მოხდა მიღებული გამოცდილების გაზიარება შავი ზღვის ქვეყნებს შორის.

საჭირო ღონისძიებები:

- ⇒ 2004 წლისათვის გადაისინჯოს, განახლდეს და დამტკიცდეს სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის რეგიონული სტრატეგია;
- ⇒ 2003 წელს შავი ზღვის ქვეყნებისათვის ჩატარდეს სემინარი სადემონსტრაციო პროექტების განხორციელების შესახებ;
- ⇒ 2003 წელს ხელმისაწვდომ გახდეს ტასისის შავი ზღვის ფონდების პროექტების საუკეთესო შედეგები.

ბ) ყოველმა შავიზღვისპირა ქვეყანამ საჭიროა შეეცადოს 1999 წლამდე თავისი სამართლებრივი სისტემის შესატყვისად მიიღოს და განხორციელოს სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის ხელშემწყობი საკანონმდებლო და სხვა ინსტრუმენტები.

ICZM-ის განხორციელებისათვის საჭირო იურიდიული ინსტრუმენტები გაფანტულია სხვადასხვა კანონებსა და სექტორულ რეგულაციებში (რუმინეთი), ჩადებულია პრეზიდენტის ბრძანებულებებსა და სამთავრობო დადგენილებებში (რუსეთის ფედერაცია) ან ხორციელდება სრულად (თურქეთი). უკრაინაში სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის განხორციელების და საჭირო სამართლებრივი ინსტრუმენტების შემუშავების დებულებები ჩადებულია შავი და აზოვის ზღვების დაცვისა და რეაბილიტაციის ეროვნულ პროგრამაში.

საკითხის სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ საკმაოდ დიდი დროა საჭირო საკანონმდებლო აქტების შემუშავების, მათი სახალხო განხილვის და პარლამენტის მიერ დამტკიცებისათვის. ამიტომ, ICZM-ის პრინციპების პრაქტიკული გამოყენება არსებული ინსტიტუტების მიერ უფრო უპრიანი იქნებოდა შავი ზღვის ქვეყნებისათვის მოცემულ ეტაპზე.

საჭირო ღონისძიებები:

- ⇒ ხელი შეეწყოს სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის განხორციელებისათვის საჭირო ეროვნული კანონმდებლობების შემუშავებას შავი ზღვის ქვეყნებში.

გ) სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის ეროვნული, რეგიონალური თუ ადგილობრივი სექტორთაშორისი კომისიები საჭიროა დაფუძნდეს, სადაც ეს არაა მომხდარი, 1997 წლის მიწურულისათვის. ამ კომისიებმა უნდა დააპროექტონ და განხორციელონ სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის გეგმები.

საჭირო სამართლებრივი ინსტრუმენტებისა და სრულად განვითარებული ინსტიტუციური ჩარჩოს უქონლობის გამო, არსებული დარგთაშორისი კომიტეტები, გარკვეულ წილად, ასრულებენ სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის დარგთაშორისი კომიტეტების როლს. კერძოდ:

ბულგარეთი –

საქართველო –

რუმინეთი – № 108/1999 სამთავრობო გადაწყვეტილებით, რუმინეთში დაარსდა სამინისტროთაშორისი კომისია სახელწოდებით “ლიტორალი”. ეს კომისია ასრულებს ICZM-ის ქსელის როლს და გააჩნია კონკრეტული უფლებამოსილებანი სანაპირო ზონის რესურსების მდგრად გამოყენებასა და სანაპირო ტერიტორიების ეკოლოგიური წონასწორობის აღდგენაში;

რუსეთის ფედერაცია – დარგთაშორისი კომისია სამეწარმეო ძალებზე შეიქმნა 19???

უკრაინა – დარგთაშორისი კომისია შავი და აზოვის ზღვების დაცვის და რეაბილიტაციის პროგრამის შესრულების შესახებ; ღონეცკში, ტასისის სადემონსტრაციო პროექტის ფარგლებში ადგილობრივ ღონეზე შექმნილი კომისია.

მუხლი 69.

ეროზია და მიწის დეგრადაცია მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ როგორც გარემოზე, ასევე სოციალურ ცხოვრებაზე. ნაპირების ეროზია, გამოწვეული რეგიონის ბევრ მდინარეში ჰიდრაულიკური პირობების შეცვლით, არის ტრანსსასაზღვრო მნიშვნელობის პრობლემა. 1998 წელს რეგიონში ჩატარდება ნაპირების ეროზიასთან დაკავშირებული პრობლემების გამოკვლევა. სასურველია, რომ გამოკვლევას კოორდინაცია გაუწიოს სტამბულის კომისიამ სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვისათვის საჭირო ზოგადი მეთოდოლოგიების შემუშავების საკონსულტაციო ჯგუფის მეშვეობით. გამოკვლევამ საჭიროა ყურადღება დაუთმოს პრობლემის მასშტაბის საკითხს მისი ეკონომიკური მხარეების ჩათვლით; დასახოს მდგომარეობის გამოსასწორებელი ღონისძიებები და მოიცავდეს რეკომენდაციებს საცდელ შესწავლათა და საჩველებელ პროექტთა განსახორციელებლად.

ნაპირის ეროზია, ნაპირის მოშლის (აბრაზია), მეწყერების და ა.შ. ჩათვლით, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზარალი, დამახასიათებელია შავი ზღვის დასავლეთ და ჩრდილო სანაპიროებისათვის. სამხრეთით (თურქეთი), სანაპირო ზოლის ეროზიის მამოძრავებელი ძალა არის ციკაბომთიანი რელიეფით გამოწვეული წყლის ზედაპირული ნაკადი, რომელსაც მოჰყვება მეწყერების წარმოშა.

შავი ზღვის რეგიონში ტყის გაკაფვა არ წარმოადგენს ნიადაგის ეროზიის მთავარ ფაქტორს (ცხ.III.C.6). არ არსებობს ტრენდები, რომლებიც მიუთითებდა სანაპირო ზოლში ტყის განადგურებაზე. უმეტეს შემთხვევაში, 1996-2001 წლების მონაცემები სანაპირო ზოლის ტყის ფართობების შესახებ არ იქნა წარდგენილი. თურქეთი წარმოადგენს შავი ზღვის რეგიონის ქვეყნიდან უმდიდრესს ტყის რესურსების მიხედვით (ტყით დაფარული ფართობები 1842395 ჰა-ს შეადგენს, რაც თურქეთის მთლიანი ტერიტორიის 26.15% და რეგიონის 46.7%-ია, 1997 წლის მონაცემების მიხედვით). რადგანაც ტყის გაკაფვა სასოფლო-სამეურნეო მიზნით მეტად უმნიშვნელოა, იგი არ წარმოშობს რაიმე მნიშვნელოვან პრობლემას შავი ზღვის რეგიონის თურქეთის ნაწილისათვის.

შავი ზღვის კომისიის ხელთ არსებული ინფორმაცია ეროზიების შესახებ მეტად მწირია და საჭიროებს სპეციალურ შესწავლას. ჰიდროლოგიური პირობებით, კლიმატის ცვლილებითა და სხვა ფაქტორებით გამოწვეულმა ეროზიულმა პროცესებმა შესაძლოა მოგვიტანოს მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სოციალური ზარალი. სანაპირო ზოლის ეროზიასა და მიწის დეგრადაციაზე რეგიონული დაკვირვების ერთიანი მეთოდოლოგიის მომზადება ყოვნდება და აუცილებელია მისი გათვალისწინება სამოქმედო ცენტრის მიერ შედგენილ წინადადებაში “სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის საერთო მეთოდოლოგიების შემუშავების შესახებ”.

ბოლო 30 წლის განმავლობაში, სანაპირო ზოლის ეროზიამ იმატა, მდინარე ღუნაის წყალშემკრებ აუზსა და სანაპირო ზოლში ეკონომიკური და სამრეწველო განვითარების გამო. აგრეთვე, ნავსადგურების განვითარებაც (მაგალითად, სულინას პორტი, მიდიას ნავსადგურის გაფართოების დამბები და კონსტანცას ნავსადგური, რომლებიც ელობებება ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიმართულ სანაპირო დინებას) ზეგავლენას ახდენს ადგილობრივ ჰიდროლოგიურ რეჟიმზე. ამჟამად, რუმინეთის სანაპირო ზოლის 60-80% განიცდის ეროზიას. სანაპირო ზოლის ახალმა კონფიგურაციამ, სელიმენტაციის პროცესის შემცირებასთან ერთად, ხელი შეუწყო ზღვისპირა სელიმენტური პროცესების დარღვევას და ეროზიის მატებას იმდენად, რამდენადაც გაიზარდა ნაპირების აბრაზია. ჰიდროლოგიური რეჟიმის დარღვევა იწვევს მტკნარი წყლის შემომავალი ნაკადის სიჭარბეს, რასაც მოჰყვება მეწყერული პროცესები, ჭარბტენიანი ტერიტორიების სელიმენტაცია, ნიადაგის დამლაშება და სანაპირო ზოლის ეროზიის ზრდა.

საჭირო ღონისძიებები:

- ⇒ მოეწიოს რეგიონული სასწავლო სემინარები გეოინფორმაციული სისტემების გამოყენების შესახებ, რამაც შესაძლოა ხელი შეუწიოს მონაცემების ეფექტურ გამოყენებას, შესაბამისი მონაცემების შეტანის უზრუნველყოფას და ინფორმაციის გადაფარვის თავიდან აცილებას;
- ⇒ მომზადდეს და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს წარედგინოს საპროექტო წინადადება რეგიონული სანაპირო ზოლის ეროზიის და მიწის დეგრადაციის, აგრეთვე სანაპირო ზოლის დაცვის ინოვაციური მეთოდების შესახებ;

- ⇒ მოეწიოს სამუშაო სემინარების ციკლი სანაპირო ზოლის დაცვის შესახებ შავი ზღვის ქვეყნებისათვის;
- ⇒ გამოვლინდეს სანაპიროს უმთავრესი ადგილობრივი და რეგიონული პრობლემები და შემუშავდეს მათი გადაჭრის გზები სანაპირო ზოლის კოორდინირებული მართვის მიდგომების გამოყენებით;
- ⇒ მომზადდეს, დამტკიცდეს და განხორციელდეს ზღვის სანაპიროს მართვის რეგიონული გეგმა იმ მიზნით, რომ ხელი შეეწიოს სანაპიროს შენარჩუნებასა და სანაპირო ზონის მდგრად განვითარებას;
- ⇒ გამოიძებნოს შავი ზღვის ქვეყნებში სანაპირო ზოლის ეროზიასთან ბრძოლის სფეროში არსებული ფინანსური სირთულეების დაძლევის გზები და საშუალებები;
- ⇒ ხელი შეეწიოს სანაპიროს ბაზური პროექტის-ზღვის სანაპიროს და წყლების ვირტუალური მონაცემთა ბაზა (The Black Sea Virtual Coastal and Marine Warehouse) შექმნას, რომელიც წარმოადგენს სანაპიროსა და ზღვის ინტეგრირებული ინფორმაციის მოძებნისა და შეღწევის სისტემას;
- ⇒ ხელი შეეწიოს COAST 3D სავსელე მორფოდინამიკური ექსპერიმენტების ჩატარებას, სანაპიროს ეროზიის, სისტემატური მონიტორინგის და ეროზიებთან ბრძოლის ღონისძიებების შესწავლის ჩათვლით;
- ⇒ განხორციელდეს ჭარბტენიანი ტერიტორიების დაცვის სადემონსტრაციო პროექტები GEF-ის შავი ზღვის ეკოსისტემების აღდგენის პროექტის ფარგლებში;
- ⇒ ხელი შეეწიოს საზოგადოებრივ განათლებასა და გათვითცნობიერებას სანაპიროს ეროზიის გამომწვევ მიზეზებსა და შედეგებზე.

გ) მდგრადი აკაკულტურის და ტურიზმის განვითარება

მუხლი 70.

აკაკულტურა და ტურიზმი ისეთი ორი სფეროა, შავიზღვისპირეთში ეკონომიკური წინსვლისა და მთლიანად რეგიონისათვის სარგებლობის მოტანის შესაძლებლობებს რომ ატარებს. ამ საქმიანობებით გარემოსათვის მიყენებული ზიანისა და განსაკუთრებით, ტრანსსასაზღვრო ზიანის თავიდან აცილებისათვის მათი განვითარება საჭიროებს მართვას 1999 წლისათვის შემუშავებული საერთო ნორმების შესაბამისად. სტამბულის კომისიას რჩევა ეძლევა, შეიმუშაოს და მიიღოს ეს საერთო ნორმები საკონსულტაციო ჯგუფების დახმარებით, და სადაც ეს მართებულია, ითანამშრომლოს თევზრეწვის კომისიასთან, როცა ეს ორგანო ჩამოყალიბდება სამრეწველო მორალური კოდექსის მისაღებად.

აკაკულტურის სექტორის მდგომარეობა შავ ზღვაში და მისი სამომავლო განვითარების შესახებ წინადადებები განხილული იყო 1995 წლის მოხსენებაში “ზღვის აკაკულტურა შავი ზღვის რეგიონში” (ახლანდელი მდგომარეობა და განვითარების ვარიანტები). ეს გამოკვლევა, რომელიც შავი ზღვის გარემოს დაცვის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა, ასევე მოიცავდა საჭირო ინვესტიციების შეფასებას. დამატებითი დახმარება TACIS/PHHAREE შავი ზღვის ფონდების მეშვეობით 1995/1996 წლებში აღმოუჩნდა აქტიურ ცენტრს (რუმინეთი), უკრაინის თევზრეწვის კვლევით ინსტიტუტს და ოკეანოგრაფიის ინსტიტუტს ქ. ქერჩში (ყირიმში). TACIS/PHHAREE შავი ზღვის ფონდების მეშვეობით 1995/1996 წლებში კონსტანტაში (რუმინეთი), ქერჩში (უკრაინა) და ტაგანროგში (რუსეთის ფედერაცია) პილოტ პროექტების სახით დაიდგა მიდიებისა და ხამანწის წარმოების კომერციული ხაზები. დაწყების მიუხედავად, ქმედებები ბოლომდე არ განხორციელებულა; მიუხედავად ასეთი პროექტების საჭიროებისა ეს გამოცდილება არ იყო წარმატებული. მიღებული გამოცდილების სუსტი დანერგვის გამო მთლიანად დაიკარგა უკუგება და უარყოფითად იმოქმედა რეგიონული დონის ქმედებების მდგრადობაზე. არ ჩატარებულა ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლა ეროვნულ დონეზე. ფაქტიურად, რეგიონალურ დონეზე რთულია მოხდეს აკაკულტურის ამჟამინდელი მდგომარეობის შეფასება. აღმოჩენილი ხელშეწყობის მიუხედავად ვერ განხორციელდა აკაკულტურის საწარმოების რაოდენობის შესახებ ზუსტი მონაცემების შესახებ მოხსენებების მიღება შავიზღვისპირა ქვეყნებიდან გარდა თურქეთისა, სადაც მათი რაოდენობა 148-მდე გაიზარდა 1996 წლის მონაცემებთან შედარებით. რეკომენდირებული ქმედებების ფონზე განხორციელებული ღონისძიებები არაადექვატური აღმოჩნდა (ცხრილი IIIგ.1, ცხრილი IIIგ.2; ცხრილი III ბ. 9).

ტრაპზონის ზღვის საინკუბატორო სადგური (თევზრეწვის ცენტრალური კვლევითი ინსტიტუტი) ყველაზე უკანასკნელი და კარგად განვითარებული პროექტია. იგი დაარსდა პროექტის ტიპის ტექნიკური თანამშრომლობით სოფლის მეურნეობისა და სასოფლო საქმეთა სამინისტროსა და JICA-ს შორის (იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო) საინკუბაციო ტექნოლოგიის განვითარების მიზნით პალტუსის ლიფსიტების წარმოებისათვის. პროექტი 1997 წელს დაიწყო და ხუთი წლის განმავლობაში განხორციელდება. იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტომ გრანტის სახით დაახლოებით 1,8 მილ. აშშ დოლარი გადასცა ინსტიტუტს, პროექტის პირველი ოთხი წლის განმავლობაში საჭირო ტრანსპორტის, სამანქანო მოწყობილობებისა და აღჭურვილობის შესაძენად. გარდა ამისა სოფლის მეურნეობისა და სასოფლო საქმეთა სამინისტრომ ამ პროექტისათვის 937 000 აშშ დოლარი დახარჯა.

1996-2000 წლებში აკვაკულტურის სფეროში შემდეგი გამოკვლევები ჩატარდა: აკვაკულტურის ობიექტების მოშენებისა და გამრავლების ბიოტექნიკის ხარისხის გაუმჯობესება; გამოსაჩეკი ჯიშების შექმნა; დაავადების პრევენცია და მკურნალობა; ანთროპოგენური ზემოქმედების ფაქტორები (დაბინძურების ჩათვლით) აკვაკულტურის ობიექტებში; გენეტიკური კვლევები და აკვაკულტურის ზემოქმედება გარემოზე.

რასაკვირველია აუცილებელია კვლევების გაგრძელება აკვაკულტურის ობიექტების გენეტიკასა და სელექციაში, ახალ ტექნიკურ აღჭურვილობაზე, მართვასა და მარკეტინგში, საკვებსა და მათ კვებაზე, დაავადებების პრევენციასა და მკურნალობაში, და აკვაკულტურის გარემოზე ზემოქმედებაზე.

თუმცა დანარჩენ ქვეყნებს არ მოუწოდებიათ პასუხი, არ არის ცნობილი, რომ რომელიმე საერთაშორისო პროექტი განხორციელებულიყო აკვაკულტურის განვითარების დარგში შავი ზღვის რეგიონში.

ეკონომიკური სტიმულირება, როგორც არის მაგალითად გადასახადებიდან განთავისუფლება ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიებისათვის ზოგჯერ შეიცავს შ.ხ. ის ქვეყნების კანონმდებლობა. ეს ეკონომიკური ბერკეტი არ გამოიყენება თევზრეწვის სექტორში. აკვაკულტურის განვითარების ხელშესაწყობი ეკონომიკური სტიმულები არ გამოიყენება (არ დანერგილა) შავი ზღვის ქვეყნებში და აქედან გამომდინარე მასზე ცნობებიც არ არსებობს ქვეყნების მხრიდან. თუმცა ეკონომიკური სტიმულების ღირსებას კარგად წარმოაჩენს IFI-ის ხელშეწყობით განხორციელებული პილოტ პროექტები.

სულ ცოტა ოთხი პროექტის განხორციელება დაიწყო რუსეთში, ესენია: “სამრეწველო აკვაკულტურა” და “ყუბანის მარიკულტურა”, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება; პროექტების “შავი ზღვის მოლუსკები” და “კამბალა” განხორციელება დაიწყო, მაგრამ შეჩერდა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის უქონლობის გამო.

შესაბამისი საკანონმდებლო და რეგულირების ბაზის შემუშავება აკვაკულტურის განვითარებისათვის შავი ზღვის ქვეყნებში ერთ-ერთ ძირითად საშურ საკითხს წარმოადგენს. აკვაკულტურის ეკონომიკური პოტენციალი სრული მასშტაბით არ განხორციელებულა.

თურქეთში რუსეთისაგან განსხვავებით, სადაც რუსეთის აკვაკულტურის საწარმოების გამოშვებულ პროდუქციაში კლება შეიმჩნევა, აკვაკულტურის საწარმოების მთელმა პროდუქციამ 50%-იანი ზრდა განიცადა დაწყებული 1998 წლიდან. შავი ზღვის სხვა ქვეყნების მიერ არ მიღებულა მნიშვნელოვანი ინფორმაცია აკვაკულტურის სექტორში წარმოების მდგომარეობის შესახებ. იმის გათვალისწინებით, რომ შავი ზღვის ქვეყნებში შესაბამისად არ შემუშავებულა აკვაკულტურის განვითარების საკანონმდებლო და მარეგულირებელი ბერკეტები, არ დაწყებულა “აკვაკულტურის პრაქტიკულ განხორციელების სამრეწველო კოდექსის” ან რომელიმე ალტერნატიული კოდექსის შემუშავება. არც ერთ ამ ქვეყნის ან რომელიმე პროექტს ან პროგრამას არ მიუმართავს ამ საკითხისათვის. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) “კომერციული თევზრეწვის განხორციელების კოდექსი” (ინგლისური) (მუხლი 9 – აკვაკულტურის განვითარება), რომელიც რუმინეთში ხორციელდება. მსგავსი რეგიონული რეკომენდაციების მომზადება საჭიროებს წარმოადგენს.

გამოიყენება საზოგადოდ აღიარებული ტექნოლოგიები, რომელიც მოიცავს: “გრძელხაზიან” სისტემას მიდიების კულტივირებისათვის (რუმინეთი და უკრაინა) და თევზის აღწარმოების მოწყობილობები, წყალსატევები (ტბორები), მალიები (რუსეთის ფედ-ია და თურქეთი). შავი

ზღვის ქვეყნებში აკვაკულტურის პროექტებისათვის სავალდებულოა გარემოზე ზემოქმედების შეფასება.

შავი ზღვის ქვეყნების უმრავლესობაში, სადაც ერთადერთ გამონაკლისს თურქეთი წარმოადგენს, ჯერ კიდევ შემუშავების სტადიაშია აკვაკულტურის განვითარების გარემოსდაცვითი ნორმები. (ცხრილი III. C8).

ევროკავშირში გაწვევრიანება გულისხმობს ბაენის მქონე წყლის ცხოველების შესახებ ევროკავშირის დირექტივის განხორციელებას ბულგარეთის, რუმინეთისა და თურქეთის მიერ. ევროკავშირის ქვეყნებსა და მისი არაწევრ ქვეყნებს შორის ჰარმონიზაციის გათვალისწინებით, შავი ზღვის ქვეყნებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ხდება აკვაკულტურისათვის გარემოსდაცვითი რეგიონული კრიტერიუმების შემუშავება.

პროცენტუალად, აკვაკულტურის საწარმოებმა შესაძლოა საფრთხე შეუქმნან მკვიდრ (ბუნებრივ) სახეობებს, რომელიც გულისხმობს: ბიომრავალფეროვნების დარღვევას, პესტიციდებით დაბინძურებას, ანტიბიოტიკებს და სხვა ქიმიურ ნივთიერებებს, რომლებიც აკვაკულტურის ტექნოლოგიებში გამოიყენება. აკვაკულტურის საწარმოების გარემოსათვის შესაძლო რისკის შექმნის გათვალისწინებით, ისინი უნდა დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას გარემოსდაცვითი კანონმდებლობის განხორციელების შესაბამისად. ერთ-ერთმა აკვაკულტურის ფერმამ რუმინეთში გაიარა გარემოზე ზემოქმედების შეფასება. თურქეთში გარემოსათვის უვნებელი აკვაკულტურის განვითარების მიზნით სავალდებულოა, რომ ჩატარდეს გარემოზე ზემოქმედების შეფასება იმ ადგილებში, სადაც მეთევზეობის ფერმებმა შეიტანეს განაცხადები ლიცენზიების მიღებაზე. შავი ზღვის დანარჩენ ქვეყნებშიც არსებობს მსგავსი მოთხოვნები.

საჭირო ღონისძიებები:

- ⇒ განხორციელდეს აკვაკულტურის განვითარებისა და შავი ზღვის მკვიდრი ბიოტისათვის აკვაკულტურიდან პოტენციური რისკების შესახებ რეგიონული ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება.
- ⇒ შემუშავდეს აკვაკულტურის ხარისხის კონკრეტული კრიტერიუმები.
- ⇒ აკვაკულტურის განვითარების ხალმეწყოების მიზნით გაუმჯობესდეს საინვესტიციო კლიმატი, მოზიდულ იქნას დაბალპროცენტუანი საბანკო კრედიტები, გადასახადებიდან განთავისუფლება, და განხორციელდეს სხვა ეკონომიკური სტიმულები გარკვეული დროის განმავლობაში, გამომდინარე აკვაკულტურის სახეობიდან, გამოყენებული ტექნოლოგიიდან, ელექტროენერჯის მოხმარებიდან და ა.შ.
- ⇒ შავი ზღვის სანაპირო ტერიტორიის მდგრადი განვითარებისათვის აკვაკულტურის მნიშვნელობის გათვალისწინებით, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ დაბინძურებულ ზონებში მიდიების კულტივირება ახალ ტექნოლოგიას წარმოადგენს სანაპირო არეალების არსებული ხარისხის გაუმჯობესებისათვის, რაც იმაზე მეტყველებს, რომ აკვაკულტურის სახეობების გამოყენება სამედიცინო მიზნით მათი გამოყენების საშუალებას იძლევა, საჭიროა (სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია) და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციების (WHO) ხელშეწყობით ჩატარდეს ტექნიკურ-ეკონომიკრი დასაბუთება რეგიონალურ დონეზე.

მუხლი 71.

მდგრადი აკვაკულტურა საჭიროა სტიმულირებულ იქნას სხვა ქმედებებთან ერთად, ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების ჩათვლით. პარალელურად საჭიროა განვითარდეს აკვაკულტურის მარეგულირებელი კანონმდებლობა. ამ კანონმდებლობაში საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს, რომ აკვაკულტურა, როგორც ასეთი, არ ქმნის ხიფათს გარემოს დაცვისათვის და საჭიროა შევიდეს ისეთი საკითხები, როგორებიცაა: ჭყორვილების განლაგება და სიხშირე, კომერციული ჯიშების კულტივირება, ეგზოტიკური სახეობების შემოტანა და კულტივირება, კარანტინი და ჰიგიენის მოთხოვნები. უფრო მეტიც, აკვაკულტურის გეგმებმა საჭიროა გაიარონ გარემოზე ზემოქმედების შეფასება, რომლის დროსაც საუღლდაგულოდ იქნება განხილული ასეთი საქმიანობის ბიომრავალფეროვნებაზე შესაძლო გავლენა.

მიუხედავად იმისა, რომ აკვაკულტურის ტექნოლოგიები გარემოსათვის უსაფრთხოდ ითვლება, მათ შესაძლოა ზიანი მიაყენონ მკვიდრ სახეობებს, წარმოადგენენ თევზების დავადებების წყაროს და გენეტიკურ საფრთხეს. ამისათვის (აქედან გამომდინარე), საჭიროა შემუშავდეს შესაბამისი მარეგულირებელი ნორმები და შეიქმნას კონტროლისა და მონიტორინგის სისტემები. ასეთი სისტემები არ არსებობენ. შემდეგი პარაგრაფი აჩვენებს, გამოიყენება თუ არა რაიმე სახის სახელმძღვანელო პრინციპები:

ბულგარეთი	არ უპასუხა
საქართველო	არ უპასუხა
რუმინეთი	აკვაკულტური სექტორში არ გამოიყენება ნივთიერებები, რომელთაც შესაძლოა მავნე ზემოქმედება ჰქონდეთ გარემოზე, ეროკავშირის ღირექტივა ბაკნის მქონე წყლის ცხოველების შესახებ.
რუსეთის ფედერაცია	ზღვის გარემოსათვის გამოიყენება ხარისხის სტანდარტები, რომლებიც მიღებულია.
თურქეთი	დანართში? წარმოდგენილია იმ ნივთიერებების სახელი და კონცენტრაცია, რომლებიც აკვაკულტურის სექტორში დაავადების კონტროლისათვის გამოიყენება.
უკრაინა	არ უპასუხა.

არ მიეცა სათანადო ყურადღება აკვაკულტურის საკანონმდებლო და მარეგულირებელ ჩარჩოს არც ეროვნულ და არც რეგიონულ დონეზე. შავი ზღვის ქვეყნების მოხსენებებიდან ჩანს, რომ აკვაკულტურის სექტორში არა აქვს ადგილი ორმხრივ ან მრავალმხრივ თანამშრომლობას, თუმცა ეს შესაძლოა პოტენციურად მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი ყოფილიყო აკვაკულტურის განვითარების დაჩქარებისათვის.

შავ ზღვაში არ მიმდინარეობს ეგზოტიკური სახეობების კულტივირება, გარდა კეფალისა. აკვაკულტურის დადებითი როლის შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ კეფალის წარმატებული შემოტანითა და მისი, როგორც თევზის რესურსის მზარდი მნიშვნელობიდან გამომდინარე. იმავდროულად, ამ ეტაპისათვის შეუძლებელია ვიწინასწარმეტყველოთ, თუ რა ზეგავლენას მოახდენს იგი შავი ზღვის ეკოსისტემაზე გრძელვადიან კონტექსტში. თუმცა, *Mnemiopsis leidye*-ის (1989) შემთხვევითმა გავრცელებამ ბალასტური წყლის მეშვეობით აჩვენა ბიოლოგიური დაბინძურების გამანადგურებელი შედეგები. გენეტიკურად მონივრული ორგანიზმების მიღებამ შესაძლოა კიდევ ერთი დამატებითი საფრთხე შეუქმნას შავი ზღვის ეკოსისტემას და მის რესურსებს.

თევზის სახეობებიდან თართი, ფერადი კალმახი და პალტუსი იმ ძირითად სახეობებს წარმოადგენენ, რომელსაც კომერციული მნიშვნელობა აქვთ. თუმცა პალტუსის კულტურის ფართო კომერციალიზაციას ჯერ კიდევ საკმაოდ დიდი დრო ესაჭიროება, წახალისებას საჭიროებს მარიკულტურის ადრე არსებულ სახეობების გამოკვლევა და შესწავლა. ძირითადი პრობლემები, რომლებიც ყურადღებას მოითხოვს შემდეგია:

- ზაფხულის მაღალი ტემპერატურა;
- ექსპერიმენტული და პილოტ-მასშტაბის გამოკვლევების ჩატარების გამოტოვება კომერციული ინვესტირების დაწყებამდე;
- დაცული ადგილებისა და შესაბამისი ტექნოლოგიის არარსებობა რეგიონისათვის, ასევე ალტერნატიული კულტურის სტრატეგიის არარსებობა
- ფერადი კალმახის მარიკულტურის ძირითად შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენს ზაფხულის მაღალი ტემპერატურა. ამ პრობლემის ნაწილობრივ გადაჭრა შესაძლებელია წარმოების ალტერნატიული სტრატეგიების შემუშავებით.

ძალიან მაღალია შავ ზღვაში რეგიონალი ტრენინგების შეფასების საჭიროება. ასეთი რეგიონული ტრენინგების მოსამზადებლად და ჩასატარებლად FAO-ს დახმარებით შემდეგ საკითხებს უნდა მიექცეს ყურადღება:

- ზღვის სახეობებისათვის თევზის ქვირითის წარმოება
- მარიკულტურის ტექნოლოგიები
- ჰიგიენა და სანიტარია
- თევზის საკვები რესურსები

უნდა განვითარდეს თანამშრომლობა კერძო სექტორთან, განსაკუთრებით ადგილობრივი და საერთაშორისო თევზის ბაზრებისა და თევზის დამუშავების განვითარების მიზნით.

საზოგადოების მონაწილეობა აკვაკულტურის სექტორში და მისი ცნობიერება აკვაკულტურის ღირსებების შესახებ მთელი რეგიონის მასშტაბით ძალიან დაბალია. კომისიამ აუცილებელი ნაბიჯები უნდა გადადგას იმისათვის, რომ სათანადო ინფორმაცია მიაწოდოს მთლიანად საზოგადოებას აკვაკულტურის განვითარების დადებითი მხარეების შესახებ და აამაღლოს საზოგადოების ცნობიერება მასთან დაკავშირებული რისკების თაობაზე.

საჭირო ღონისძიებები:

- ⇒ 2005 წლისათვის შეთანხმდეს და დაინერგოს საერთო მეთოდოლოგიები გარემოზე ზემოქმედების შეფასებისათვის და რეგიონულ დონოზე შეთანხმებული გარემოსადაცვითი კრიტერიუმები აკვაკულტურის სექტორში;
- ⇒ ხელი შეეწყოს აკვაკულტურის ეროვნული სამოქმედო გეგმების მომზადებას;
- ⇒ განისაზღვროს შავი ზღვის გარემოსადაცვითი მიზნები (მაჩვენებლები) ევროკავშირის სტანდარტების გათვალისწინებით.
- ⇒ ხელი შეეწყოს სამთავრობო და აკადემიური ინსტიტუტებიდან ინფორმაციის მწარმოებლებისათვის გადაცემას.
- ⇒ საჭირო ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოებისათვის, შავი ზღვის სანაპირო ქვეყნებს დახმარება აღმოუჩნდეს აკვაკულტურის სექტორისათვის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის განხორციელებაში.
- ⇒ მოძიებულ იქნას ფინანსური დახმარება მკვიდრი სახეობების აღწარმოების

რეგიონული ცენტრის შესაქმნელად – 5 წელი – 2 მილ. აშშ დოლარი.

- ⇒ გაუმჯობესდეს ეროვნული საკანონმდებლო და მარეგულირებელი ბაზა.
- ⇒ ხელი შეეწყოს აკვაკულტურის სექტორში რეგიონულ, ორმხრივ და მრავალმხრივ თანამშრომლობას.
- ⇒ დახმარება აღმოჩნდეს მრეწველობის განვითარებას აკვაკულტურის სექტორისათვის აუცილებელი აღჭურვილობის წარმოებისა და საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით.
- ⇒ შეთანხმდეს საერთო გარემოსდაცვით სტანდარტები და მიზნები აკვაკულტურის სექტორისათვის.
- ⇒ გაძლიერდეს სახელმწიფოსა და კერძო სექტორის თანამშრომლობა და მოძიებულ იქნას **IFI-ის** დახმარება მცირე და საშუალო საწარმოებისათვის.
- ⇒ შექმნავდეს აკვაკულტურის მრეწველობის პროცესუალური კოდექსი და მისი მთავარი პრინციპები ჰარმონიზებულ იქნას ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

მუხლი 70.

აკვაკულტურა და ტურიზმი ისეთი ორი სფეროა, შავიზღვისპირეთში ეკონომიკური წინსვლისა და მთლიანად რეგიონისათვის სარგებლობის მოტანის შესაძლებლობებს რომ ატარებს. ამ საქმიანობებით გარემოსათვის მიყენებული ზიანისა და განსაკუთრებით, ტრანსსასაზღვრო ზიანის თავიდან აცილებისათვის მათი განვითარება საჭიროებს მართვას 1999 წლისათვის შექმნილი საერთო ნორმების შესაბამისად. სტამბულის კომისიას რჩევა ეძლევა, შეიმუშაოს და მიიღოს ეს საერთო ნორმები საკონსულტაციო ჯგუფების დახმარებით, და სადაც ეს მართებულია, ითანამშრომლოს თევზრეწვის კომისიასთან, როცა ეს ორგანო ჩამოყალიბდება სამრეწველო მორალური კოდექსის მისაღებად.

ღია და დახურულ სისტემებში აღწარმოებისა და აკვაკულტურის პროდუქტის წარმოებისათვის შავი ზღვის სანაპიროს ქვეყნებში ადგილი აქვს ინტენსიური და ექსტენსიური ტექნოლოგიების გამოყენებას. გარემოსდაცვითი ნორმები, რომლებიც არსებობს შავის ზღვის სანაპიროს თითქმის ყველა ქვეყანაში რეგიონულ დონეზე არ განხილულა და არ შეთანხმებულა.

ისევე როგორც ნებისმიერი ახალი პროექტისა თუ ქმედების შემთხვევაში, გარემოზე ზემოქმედების შეფასება შავი ზღვის რეგიონში აკვაკულტურის ახალი ფერმის დაწყების საერთო პროცედურას წარმოადგენს. გარკვეული საერთაშორისო დახმარება იქნა აღმოჩენილი აკვაკულტურის სექტორის განვითარებისათვის რუმინეთში (2,500 აშშ დოლარი) და რუსეთის ფედერაციაში (80,000 აშშ დოლარი). ეკონომიკური სტიმულირების ბერკეტი ძალიან იშვიათად გამოიყენება აკვაკულტურის განვითარების ხელშესაწყობად, თუმცა რუსეთის ფედერაციაში არსებობს პრივილეგიები ბეგარასთან დაკავშირებით.

პროცესის დასაჩქარებლად აუცილებლობას წარმოადგენს საშუალო და მცირე ინვესტიციები, ან გრანტები. საჭირო ინვესტიციის სიდიდე მერყეობს 15 000 აშშ დოლარიდან (რუმინეთი) 720 000 აშშ დოლარამდე (რუსეთის ფედერაცია). რეგიონში არ შექმნილიყო “აკვაკულტურის პროცესუალური კოდექსი” და არც რომელიმე სხვა საერთაშორისო დოკუმენტი განხორციელებულა.

საჭირო ღონისძიებები:

- ⇒ შავი ზღვის რეგიონში იმ საერთაშორისო ორგანიზაციების მოწვევა, რომელთა სამუშაო სფეროს აკვაკულტურის განვითარება წარმოადგენს.
- ⇒ აკვაკულტურის ქმედებების შედეგად გარემოზე მიყენებული შესაძლო ზიანის თავიდან აცილების მიზნით საერთო გარემოსდაცვითი ნორმების, კერძოდ, ტრანსსასაზღვრო მნიშვნელობის მატარებელი ნორმების შემუშავება.
- ⇒ აკვაკულტურის მცირე და საშუალო ფერმებისა და საქმიანობისათვის ბრუნვადი ფონდების დაარსების მიზნისაკენ სწრაფვა.
- ⇒ რეგიონული ორგანოს ან ექსპერტთა ჯგუფის დაარსება ბუქარესტის კონვენციის ქვეშ აკვაკულტურის განვითარების ხელშეწყობის მიზნით.
- ⇒ სამეცნიერო თემური გაერთიანების, ბიზნეს-საქმიანობების, საერთაშორისო დონორებისა და კერძო სექტორის მონაწილეობით აკვაკულტურის განვითარების საკითხებთან დაკავშირებით რეგიონული კონფერენციების მოწყობა.
- ⇒ საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით 2005 წლისათვის აკვაკულტურის პროცესუალური კოდექსის შემუშავება.
- ⇒ აკვაკულტურის იმ სახეობების ნუსხის შემუშავება, რომლებიც სავარაუდოდ არ მოუტანენ ზიანს შავი ზღვის მკვიდრ ფლორასა და ფაუნას.

მუხლი 72.

ეკოტურიზმი რეგიონში საჭიროა წახალისებულ იქნას, სხვა ქმედებებთან ერთად, საჩვენებელი პროექტების განხორციელებით. ტურისტულ ინდუსტრიასთან და ტურიზმის ეროვნულ ხელმძღვანელობასთან მჭიდრო თანამშრომლობის პირობებში საჭიროა ჩამოყალიბდეს გარემოსდაცვითი ქცევის ნორმები და ჩატარდეს მდგრად ტურიზმში კვალიფიკაციის ამაღლების კურსები. ტურისტული ინდუსტრია საჭიროებს, როგორც საკუთარი, ისევე გარემოს კეთილდღეობისათვის, უფრო ადეკვატურ დაგეგმარებას იმ თვალსაზრისით, რომ ახლადდაწყებულ პროექტებში თავიდანვე იქნას გათვალისწინებული ისეთი საკითხები, როგორიცაა წყლის მარაგი, ჩამდინარე წყლების გაწმენდა, საბანაო წყლის ხარისხი, ბუნებრივი რესურსების გამოყენება და საკურორტო განვითარება. უფრო მეტიც, ტურიზმის განვითარების პროექტებს საჭიროა მოეთხოვოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების გავლა.

ტურისტული საშუალებებისათვის, იგივე საკანონმდებლო ბაზის საფუძველზე, რომლებიც ეხება ნებისმიერ სხვა ეკონომიკურ საქმიანობას, მოითხოვება გარემოზე ზემოქმედების შეფასება. ეს სავალდებულოა ყველა ახალი პროექტისათვის, თუმცა კრიტერიუმები სრულად არ იქნა განსაზღვრული. გარემოზე ზემოქმედების შეფასება თურქეთში აუცილებლობას წარმოადგენს 1993 წლიდან კონკრეტული ტურისტული საინვესტიციო პროექტებისათვის, როგორც არის მაგალითად 200-ზე მეტი ოთახის მქონე სასტუმროს მშენებლობა. გარემოზე ზემოქმედების შეფასებაზე პასუხისმგებლობა გარემოს დაცვის სამინისტროს ეკისრება. იმ სასტუმროების პროექტირებისათვის, რომლებიც 50-დან 199 ოთახს შიდავენ, გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურები პროვინციების მმართველობის პასუხისმგებლობას წარმოადგენს. გზშ არ მოეთხოვება სასტუმროებს 50-ზე ნაკლები ოთახით.

ტურისტულ საშუალებებს რეკომენდაცია ეძლევათ ჩატარონ ეკოლოგიური აუდიტები, რაც მათ იმიჯს მნიშვნელოვნად გაზრდის და მეტ კლიენტს მოიზიდავს.

უფრო მეტი ყურადღება ეთმობა “მწვანე ტურიზმს” და საკმაოდ კარგადაც არის იგი განვითარებული შედარებით ხელუხლებელ არეალებში, როგორცაა მაი, ვარნა ვენე (რუმინეთი), ღუნაის დელტა და შავი ზღვის ბიოსფერული ნაკრძალები (უკრაინა). გარემოს დაცვა დღეისათვის თურქეთის ტურისტული პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს და სამ მიზანს ეფუძნება:

- ტურისტულ სექტორში ეფექტური და კონკურენტუნარიანი სტრუქტურის განვითარება;
- საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად შესაძლო საუკეთესო სოციალური გარემოს უზრუნველყოფა უცხოელი ტურისტებისა და ადგილობრივი მოსახლეობისათვის; და
- ქვეყნის ბუნებრივი რესურსებისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება. თურქეთი გააგრძელებს პროექტების განხორციელებას გარემოსა და მისი კულტურული თვითმყოფადობის დაცვის და შენარჩუნების მიზნით.

ამ მიზნების ხელშეწყობა რეგიონალ დონეზე სასარგებლო იქნება ზღვის გარემოსა და სანაპიროს მოსახლეობის კეთილდღეობისა და ჯანმრთელობისათვის (ცხრილი III.3 და ცხრილი III.7).

საჭირო ღონისძიებები:

- ⇒ შავი ზღვის მთელი სანაპირო ტურიზმისათვის შემუშავდეს “მენეჯმენტის საუკეთესოდ განხორციელებს სახელმძღვანელო”;
- ⇒ ხელი შეეწყოს მთელი რიგი კვლევების ჩატარებას სანაპიროს დეგრადაციის ღონის დადგენის მიზნით;
- ⇒ გავრცელდეს საზოგადოების ცნობიერებაზე ზემოქმედების ხელმისაწვდომი საუკეთესო მიდგომები და ქმედებები და ჩატარდეს ტრენინგები;
- ⇒ ხელი შეეწყოს დაბინძურების გამოსასწოდეელი ქმედებების განხორციელებას ხმელეთზე განლაგებულ იმ წყაროებთან, სადაც დაბინძურება ტურისტული ინდუსტრიითაა გამოწვეული და რომელიც უარყოფითად მოქმედებს სანაპიროსა და ზღვის რესურსებზე.
- ⇒ ხელი შეეწყოს შავი ზღვის პლაჟებზე “ლურჯი დროშის” პროგრამის განხორციელებას, იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე.
- ⇒ ტურიზმის სექტორში მოხდეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესებში საზოგადოების ჩართვა.

დ) საზოგადოების ჩართვა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში

მუხლი 73.

საზოგადოების ყველა სექტორის მონაწილეობა არსებითი პირობაა რეგიონში მდგრადი პოლიტიკის გასატარებლად. ამისათვის კი საჭიროა საგანმანათლებლო პროექტების შექმნა, გადაწყვეტილებათა მიღებაში დაუფარაობისა და მონაწილეობის უფლების პროცედურებისა და, ადმინისტრაციულსა თუ სამართლებრივ პროცედურებში თავისუფლად ჩახედვის წესების შემუშავება.

შავი ზღვის რეგიონის მდგრადი განვითარების ძირითად წინაპირობას გარემოსდაცვით საკითხებში საზოგადოების ყველა ფენის მუდმივ განათლებას წარმოადგენს. 1996-2001 წლებში განხორციელდა ძალიან დიდი რაოდენობის საგანმანათლებლო მცირე პროექტები, კამპანიები თუ სხვა ღონისძიებები. 31 ოქტომბრის გამოცხადებამ შავი ზღვის დღედ ეროვნულ დონეზე გააერთიანა მრავალი არასამთავრობო ორგანიზაციისა და თემური გაერთიანების ძალისხმევა. TACIS-ის შავი ზღვის ფონდის პროექტების ჩარჩოში არასამთავრობო ორგანიზაციებს აღმოუჩინეს საერთაშორისო დახმარება. დამატებითი ხელშეწყობა არასამთავრობო ორგანიზაციებს საგანმანათლებლო მიზნებისათვის აღმოუჩინეს ისეთმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა, როგორებიცაა EUCC, Wetlands International, WWF და სხვა.

საზოგადოების ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში გულისხმობს საჯარო განხილვებს თითოეული ინდივიდუალური ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად. შავი ზღვის ოთხმა სანაპირო ქვეყანამ მოახდინა ორჰუსის კონვენციის რატიფიცირება.

საჭირო ღონისძიებები:

- ⇒ 2002 დან 2007 წლამდე ტრენინგის სპეციალური პროგრამებისა და სამუშაო შეხვედრების მომზადება და ჩატარება ეკო-განათლების სფეროში ადგილობრივი სახელმწიფო ორგანიზაციების წარმომადგენლების, რესურსების მომხმარებლების, არასამთავრობო ორგანიზაციების, ბიზნეს-სექტორის, მასწავლებლებისა და საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლებისათვის ადგილობრივი სამუშაო ჯგუფების La21 შექმნის მეშვეობით, რომელთაც კოორდინირებას გაუწევს “შავი ზღვის ადგილობრივი დღის წესრიგი 21” რეგიონული ჯგუფი. (იხ. ცხრილი III C5).
- ⇒ შავი ზღვის გარემოსთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესის დროს პროცედურების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.

მუხლი 74.

ამ სტრატეგიული სამოქმედო გეგმის განხორციელებაში საჭიროა მჭიდროდ ჩაერთონ მუნიციპალური სტრუქტურები. ამ მიზნისათვის გამოსაყენებელია როგორც არსებული (მაგ. შავი ზღვის ქალაქების საერთაშორისო კლუბი), ისევე მომავალში შესაქმნელი მექანიზმები. საჭიროა წახალისებულ იქნას მუნიციპალიტეტებს შორის თანამშრომლობა როგორც ეროვნულ, ისე რეგიონალურ დონეზე. ასევე, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის მმართველთა კავშირსაც წარედგინა მოთხოვნა, რომ ითანამშრომლოს ამ სტრატეგიული სამოქმედო გეგმის განხორციელების საქმეში.

საერთოდ, მუნიციპალიტეტები არ არიან საკმარისად ინფორმირებულნი და არ არიან ჩართული შავი ზღვის სტრატეგიული გეგმის განხორციელებაში. ძალიან სუსტია მინიციპალიტეტებს შორის რეგიონული თანამშრომლობა და უმრავლეს შემთხვევაში გარემოსდაცვითი დატვირთვა არ გააჩნია. შავი ზღვის კომისიის დონეზე არ არის დამყარებული კავშირები შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის მმართველთა კავშირთან.

საჭირო ღონისძიებები:

- ⇒ შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის მმართველთა კავშირთან მჭიდრო კავშირების დამყარება.
- ⇒ შავი ზღვის სანაპირო ქვეყნების მუნიციპალიტეტებს შორის ორმხრივი და მრავალმხრივი დიალოგების და თანამშრომლობის ხელშეწყობა.
- ⇒ შავი ზღვის სტრატეგიული სამოქმედო გეგმისა და შავი ზღვის რეაბილიტაციასა და დაცვასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ შავი ზღვის სანაპირო ქვეყნების მუნიციპალიტეტების დონეზე ინფორმაციით უზრუნველყოფის მექანიზმის შემუშავება.

მუხლი 75.

არასამთავრობო ორგანიზაციებმა საჭიროა გააგრძელონ აქტიური მონაწილეობა შავი ზღვის ეკოსისტემის რეაბილიტაციისა და დაცვის და მისი ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების მიზნით ეროვნული თუ რეგიონალური ღონისძიებების შემუშავებასა თუ ჩატარებაში.

შავი ზღვის არასამთავრობო ორგანიზაციების საინფორმაციო ბულკეტი (GEF BSEP, 1999) შეიცავს ინფორმაციას 90-ზე მეტი იმ არასამთავრობო ორგანიზაციის შესახებ, რომლებიც ჩართულნი არიან შავი ზღვის დაცვის ღონისძიებებში. არასამთავრობო თემური გაერთიანების მიერ განხორციელდა პროექტების, კამპანიების და ქმედებების მთელი რიგი, შავი ზღვის დღის აღნიშვნის ჩათვლით. შავი ზღვის არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელი (1998) აღმოცენდა არასამთავრობო ორგანიზაციათა ფორუმიდან (1996). მათ მუშაობას უპირველეს ყოვლისა მხარს უჭერდა საერთაშორისო დაფინანსება და თვით-მდგარადობას ძლიერ იყო მოკლებული. პროფესიული ასოციაციები, ისეთები როგორებიცაა მაგალითად ფერმერებისა და თევზის მრეწველთა ასოციაციები, არ იყვნენ სათანადოდ ჩართულნი.

საჭირო ღონისძიებები:

- ⇒ გაფართოვდეს შავი ზღვის კომისიის მიერ ურთიერთობა საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენლებთან შავი ზღვის სანაპირო ქვეყნებში, იმისათვის, რომ მოხდეს ფერმერებისა და მეთევზეთა ასოციაციების, სამეცნიერო ჯგუფებისა და განათლების სფეროს წარმომადგენლების ჩართვა ეროვნული და რეგიონული მიმართულებების შემუშავებასა და განხორციელებაში, რომლებიც მიზნით ისახავს შავი ზღვის ეკოსისტემის რეაბილიტაციასა და დაცვას და მისი ბუნებრივი რესურსების მდგრადობის შენარჩუნებას.
- ⇒ სასურველია, რომ შავი ზღვის კომისიამ და საერთაშორისო დონორებმა კოორდინირება და დახმარება გაუწიონ ისეთ მნიშვნელოვან საერთაშორისო მოვლენებს, როგორებიცაა “შავი ზღვის დღე”, “გარემოს დაცვის დღე”, “წყლის საერთაშორისო დღე” და ა.შ.

მუხლი 76.

შავი ზღვის არასამთავრობო ორგანიზაციების ფორუმმა სასურველია გააგრძელოს თავისი დახმარება იმ ქმედებების მიმართ, რომლებიც მიმართულია შავი ზღვის რეაბილიტაციისა და დაცვისაკენ, განსაკუთრებით კი, დახმარება სტრატეგიული სამოქმედო გეგმის განხორციელების საქმეში. რეკომენდირებულია, რომ სტამბოლის კომისიამ მიიღოს ისეთი პროცედურული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს არასამთავრობო ორგანიზაციების ფორუმის მონაწილეობას მის შეხვედრებში დამკვირვებლის სტატუსით.

შავი ზღვის არასამთავრობო ორგანიზაციები სრულად აცნობიერებენ გარემოსდაცვით საკითხებს და ხელს უწყობენ კომისიას მის საქმეში. შავი ზღვის გარემოს დაცვის პროგრამის ფარგლებში ჩამოყალიბებული არასამთავრობო ორგანიზაციების ფორუმი, რომლის მიზანს საზოგადოების რეგიონული თანამშრომლობის გაძლიერება წარმოადგენდა, კიდევ უფრო დამატებით გაძლიერდა შავი ზღვის არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელით, რომელიც ინსტიტუციური თვალსაზრისით უფრო ძლიერია და უფრო მყარია, ვიდრე არასამთავრობო ორგანიზაციების ფორუმი. შავი ზღვის კომისიამ შავი ზღვის არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელისათვის უზრუნველყო დამკვირვებლის სტატუსი, რომლის თანახმადაც ამ ქსელში ჩართულ არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ ხმამაღლა განაცხადონ თავიანთი მოსაზრებები და გამოხატონ მოვლენების მიმართ დამოკიდებულება.

საჭირო ღონისძიებები:

- ⇒ შავი ზღვის კომისიაში დამკვირვებლის სტატუსის მოსაპოვებლად განაცხადის შემომტანი არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის ცხადი და გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და შერჩევის პროცედურების უზრუნველყოფა.
- ⇒ შავი ზღვის კონვენციის ტერიტორიაზე არასამთავრობო ორგანიზაციების ქმედებებზე ადექვატური ინფორმაციის უწყვეტობის უზრუნველყოფა.
- ⇒ სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების მიერ შავი ზღვის კომისიისათვის აღმოჩენილი დახმარების ფარგლებში არასამთავრობო ორგანიზაციების მცირე გრანტებისათვის, შესაძლებლობის ფარგლებში ფინანსებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მუხლი 77.

საჭიროა დაგეინდ იქნან მონაწილეები ამ სტრატეგიულ სამოქმედო გეგმაში შემავალი თითოეული სამოქმედო მიმართულებისათვის. საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას მათი მონაწილეობა გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში და განსაზღვრულ იქნას ამ გეგმის განხორციელების საქმეში მათი პასუხისმგებლობა იმ მექანიზმების მეშვეობით, რომლებსაც წარმოადგენენ რეგიონალური გარემოსდაცვითი ცენტრები.

გარემოსდაცვის რეგიონული ცენტრის (REC) ქსელი, რომელიც უნგრეთშია დაფუძნებული მოიცავს ბულგარეთსა და რუმინეთში არსებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს. საქართველო შედის კავკასიის რეგიონის გარემოსდაცვით რეგიონულ ცენტრში. გრც-ები (REC) დაარსებულია რუსეთსა და უკრაინაში. წარმოებდა მოლაპარაკებები ცენტრის დაარსების თაობაზე თურქეთში. მიუხედავად ამისა, რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრების მონაწილეობა შავი ზღვის სტრატეგიული სამოქმედო გეგმის განხორციელებაში უმნიშვნელო იყო. ამ ორგანიზაციების მიერ ხალხმეწიერი პროექტები თუ ქმედებები რეგიონულ დონეზე არ იყო სათანადოდ გაშუქებული.

საჭიროა გაძლიერდეს თანამშრომლობა რეგიონულ გარემოსდაცვით ცენტრებსა და შავი ზღვის კომისიას შორის და უკეთ იყოს კოორდინირებული შემდეგ ასპექტებთან მიმართებაში:

- შესაძლებლობების გაძლიერება
- ტრენინგი
- საზოგადოების ცნობიერება, და
- ინფორმაციის ურთიერთგაცვლა.

შავი ზღვის არასამთავრობო ორგანიზაციების ქმედებები უფრო ეფექტურად უნდა იყოს კოორდინირებული, გარდა ამისა, ამ თანამშრომლობის ფარგლებში შეიძლება დახმარება აღმოჩნოდეს რიგ პროექტებს, მათ შორის:

- შავი ზღვის საერთაშორისო დღე
- სანაპიროს დაკვირვება
- საგანმანათლებლო პროექტები
- შავი ზღვის ახალგაზრდა მეცნიერთა კონფერენცია

საჭირო ღონისძიებები:

⇒ გაუმჯობესდეს კოორდინაცია შავი ზღვის სანაპირო ქვეყნების რეგიონულ გარემოსდაცვით ცენტრებს შორის.

მუხლი 78.
2000 წლამდე შავი ზღვის ყველა ქვეყანამ საჭიროა საკუთარი ეროვნული სამართლებრივი სისტემის შესაბამისად მიიღოს და ცხოვრებაში გაატაროს წესები, რომლებიც უზრუნველყოფენ გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, გაითვალისწინებენ საზოგადოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების გადაწყვეტილებათა მიღებაში მონაწილეობის უფლებას და გაითვალისწინებენ კერძო პირებისა და ორგანიზაციების უფლებას მიმართონ ადმინისტრაციულ და სასამართლო ორგანოებს, თუკი მათი უფლებები შეილახება. სტამბოლის კომისიას რჩევა ეძლევა მოამზადოს ამ თემაზე მოხსენების პროექტი.

შავი ზღვის კომისია და შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვის კონვენციის წევრი ქვეყნები მიესალმებიან საზოგადოების ჩართვას შავი ზღვის სტრატეგიული სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში. საზოგადოების ჩართვას გადაწყვეტილების მიღების პროცესში და გამჭვირვალობას რეგიონში კიდევ უფრო შეეწყოს ხელი ორჰუსის კონვენციის მეშვეობით, რომლის მხარეებიც არიან ბულგარეთი, საქართველო, რუმინეთი და უკრაინა. შავი ზღვის გარემოსდაცვის პრობლემებთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერება საკმაოდ მაღალია და მრავალი არასამთავრობო ორგანიზაცია ძალიან აქტიურია ადგილობრივ და ეროვნულ დონეებზე. ნებისმიერ არასამთავრობო ორგანიზაციას ან მის ასოცირებულ წევრს, რომელმაც თავისი ქმედებით დაამტკიცა ერთუგულება შავი ზღვის სტრატეგიული სამოქმედო გეგმის განხორციელებისადმი და წარმოაჩინა საქმიანობის შედეგები რეგიონულ ან ეროვნულ დონეზე, შეიძლება მიენიჭოს დამკვირვებლის სტატუსი. ეს სტატუსი არასამთავრობო ორგანიზაციის თემურ გაერთიანებას დამატებით ინსტრუმენტს აძლევს გადაწყვეტილების მიღებაზე ზემოქმედებისათვის.

შავი ზღვის სანაპირო ქვეყნებში, ხალხისათვის გარემოს შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და მისი ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში უზრუნველყოფილია შესაბამისი კანონმდებლობით. კონსტიტუციით გარანიტირებულია ადამიანთა უფლება მიმართონ ადმინისტრაციულ და იურიდიულ ორგანოებს.

არ მომზადებულა შავი ზღვის მემორანდუმი საზოგადოების მონაწილეობის პროცესში ჩართვის შესახებ. ამ დოკუმენტის ამოცანას წარმოადგენს დაადგინოს კავშირი სამთავრობო გამჭვირვალობასა და გარემოს დაცვის ეფექტურობას შორის. იგი უნდა მიეწოდოს არასამთავრობო ორგანიზაციებსა და გადაწყვეტილების მიღების პასუხისმგებლებს ექვსივე სანაპირო ქვეყანაში.

საზოგადოების მონაწილეობა შავი ზღვის სტრატეგიული სამოქმედო გეგმის განხორციელებაში ახალ იმპულსსა და დახმარებას მიიღებს შავის ზღვის ეკოსისტემის აღდგენის პროექტისა და სხვა რეგიონული პროექტების ჩარჩოში.

საჭირო ღონისძიებები:

- ⇒ 2002 წელს მომზადდეს მემორანდუმი საზოგადოების მონაწილეობის შესახებ ზღვის გარემოს დაცვისათვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში.
- ⇒ არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით რეგიონული შეხვედრების-/კონფერენციების ორგანიზება შავი ზღვის სტრატეგიული სამოქმედო გეგმის განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.
- ⇒ შავი ზღვის კომისიის ქოლგის ქვეშ მოეწიოს არასამთავრობო ორგანიზაციების ინტერესებზე დაფუძნებული დისკუსია-ფორუმი.
- ⇒ GEF, TACIS, EU და სხვა დონორების დახმარებით განხორციელებულ რეგიონალ პროექტებში/პროგრამებში საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და საგანმანათლებლო კომპონენტების შეტანის უზრუნველყოფა.

მუხლი 79.

ინფორმაცია შავი ზღვის რეაბილიტაციისა და დაცვის და მისი რესურსების მდგრადი განვითარების მისაღწევად ჩატარებული ღონისძიებების შესახებ საჭიროა ფართოდ გავრცელდეს. შავი ზღვის ყველა ქვეყანამ უნდა გამოაქვეყნოს სტრატეგიული სამოქმედო გეგმის პოპულარული ვარიანტი თარგმნილი მის ენაზე. გარდა ამისა შავი ზღვის გარემოსდაცვითი პროგრამის მეშვეობით განხორციელდება შემდეგი ქმედებები, არასამთავრობო ორგანიზაციების ფორუმთან მჭიდრო თანამშრომლობით.

ცხადი იყო, რომ პროექტზე-დაფუძნებული საინფორმაციო სამუშაო სისტემას აკლდა მუდმივი წარმოება და მდგრადობა. ამის გამო შავი ზღვის მთლიანი საზოგადოებრივი გაერთიანება მოკლებული იყო ეროვნულ და რეგიონალ დონეებზე შავი ზღვის სტრატეგიული სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესის შესახებ უახლეს ინფორმაციას. 1998 წელს ინგლისურ ენაზე გამოიცა შავი ზღვის სტრატეგიული სამოქმედო გეგმის პოპულარული ვარიანტი, ხოლო რუსულ და უკრაინულ ენებზე – 2001 წელს. ბულგარული, ქართული, რუმინული და თურქული ვარიანტები მომზადების სტადიაშია. ეს ძალიან სასარგებლო გამოცემაა, მაგრამ უფრო მეტად ორიენტირებული ეროვნულ პოლიტიკაზე უნდა იყოს და უფრო ადრე უნდა მომზადებულიყო, ვიდრე მისი მიღებიდან ხუთი წლის შემდეგ. ეროვნული სამოქმედო გეგმებისა და მათი პოპულარული ვარიანტებისათვის ასევე საჭირო იქნება ყურადღების მიქცევა და ისინი მჭიდროდ უნდა უკავშირდებოდნენ შავი ზღვის სტრატეგიულ სამოქმედო

გეგმას. ამ გამოცემის გავრცელების სისტემა არ იყო ეფექტური და ხშირად პოპულარული ვარიანტი რიგდებოდა ხოლმე რომელიმე მოვლენასთან დაკავშირებით, რის გამოც ცხადია, ადგილობრივ დონეებზე არ მიუღწევია დანიშნულების ადგილებამდე.

საჭირო ღონისძიებები:

- ⇒ დაარსდეს შავი ზღვის საინფორმაციო სისტემა იმისათვის, რომ მოხდეს ინფორმაციის გავრცელება შავი ზღვის კომისიის სახელით განხორციელებული ქმედებების, ყველა დაინტერესებული პირების ერთობლივი ძალისხმევითა და შავი ზღვის სტრატეგიული სამოქმედო გეგმის განხორციელებაში ეროვნულ დონეზე მიღწეული პროგრესის შესახებ.
- ⇒ შავი ზღვის სტრატეგიულ სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ქმედებების შესახებ საინფორმაციო გამოცემების (პუბლიკაციების) უზრუნველყოფა დროულად, გამჭვირვალედ და პოპულარულ ენაზე, და მისი სათანადოდ გავრცელების მექანიზმის შემუშავება.

ა) სკოლებში გამოსაყენებლად შეიქმნება საგანმანათლებლო საინფორმაციო პაკეტი. შავი ზღვის ყოველმა ქვეყანამ საჭიროა თარგმნოს ის თავის ენაზე.

შავი ზღვის ქვეყნებში დაგროვდა შავ ზღვასთან დაკავშირებული ღირებული საგანმანათლებლო მასალები და გამოცდილება. ეს დიდი გამოცდილება და კონსტრუქციული მასალები, სამწუხაროდ, სრულად არ არის გამოყენებული.

საჭირო ღონისძიებები:

- ⇒ შეგროვდეს, შეფასდეს და გამოიკვოს შავი ზღვის სანაპიროს ქვეყნებში მომზადებული საუკეთესო საგანმანათლებლო მასალები ღია კონკურსის საფუძველზე და ხელმისაწვდომი გახდეს შავი ზღვის გარემოსდაცვითი განმანათლებლების ფართო საზოგადოებრიობისათვის.
- ⇒ დახმარება აღმოუჩნდეს რელიგიურ გაერთიანებებს საგანმანათლებლო მასალების შემუშავებაში მათი მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე შავი ზღვის საეკლესიო მსახურთა და მეცნიერთა მიერ გამოსაყენებლად და კოორდინირება გაეწიოს გაეროს WCC-ის შავი ზღვის საგანმანათლებლო პროექტს.

ბ) მომზადდება და გადაითარგმნება შავი ზღვის ქვეყნების ენებზე მოძრავი გამოფენა საზოგადოებრივ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საჩვენებლად.

1995/96 წლებში შავი ზღვის PHARE და TACIS ფონდის საზოგადოების მონაწილეობის კომპონენტის ფარგლებში მობილური გამოფენის “ეკოპოინტ 97/98”-ის მეშვეობით ხელი შეეწყო საგანმანათლებლო ქმედებების განხორციელებას.

იგი ჩატარდა შავი ზღვის სანაპიროს ყველა ძირითად ქალაქში. ამას მოჰყვა შესაბამის საკითხებთან დაკავშირებით რიგი ღონისძიებების ორგანიზება და მოწყობა შავი ზღვის თითოეულ ქვეყანაში (იხ. ჩხრილი III C.9)

საჭირო ღონისძიებები:

⇒ ხელი შეეწყოს საზოგადოებას და არასამთავრობო ორგანიზაციებს შავი ზღვის გარემოს მდგომარეობასა და შავი ზღვის კომისიის განხორციელებული ქმედებების შესახებ უახლესი ინფორმაციის მიღებაში.

გ) შეიქმნება მომხმარებლისათვის ადვილად გამოსაყენებელი და არსებულ GIS სისტემაზე დაფუძნებული CD ROM, რომელზეც მულტიმედიის საშუალებებით ჩაწერილი იქნება ინფორმაციული პაკეტი შავი ზღვის შესახებ.

შავი ზღვის გარემოს დაცვის პროგრამის ფარგლებში იყო მცდელობა შექმნილიყო არსებულ გეოგრაფიულ საინფორმაციო სისტემაზე (GIS) დაფუძნებული ადვილად გამოსაყენებელი შავი ზღვის კომპაქტ-დისკ ROM მულტიმედიური პაკეტი, მაგრამ იგი მუდმივობას იყო მოკლებული. შავი ზღვის სანაპიროს არცერთ ქვეყანას 1996-2000 წლებში არ გამოუყენებია კომპაქტური დისკის ROM შავი ზღვის გარემოს დაცვისათვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში დახმარების მიზნით.

2001 წელს შავი ზღვის კომისიის მუდმივი სამდივნოსათვის აღმოჩენილი დახმარების ფარგლებში დაიწყო შავი ზღვის საინფორმაციო სისტემის (BSIS) შემუშავება და დანერგვა ევროკავშირის მიერ.

საჭირო ღონისძიებები:

- ⇒ ბოლომდე შემუშავდეს შავი ზღვის საინფორმაციო სისტემა (BSIS) GEF –ის შავი ზღვის ეკოსისტემის აღდგენის პროექტის ფარგლებში.
- ⇒ დაპროექტდეს, მომზადდეს და ამუშავდეს შავი ზღვის კომისიის მუდმივ სამდივნოში შავი ზღვის კომისიის ვებ-გვერდები.
- ⇒ გამოყენებულ იქნას გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის (GIS) ტექნოლოგია შავი ზღვის საინფორმაციო სისტემის (BSIS) შესაბამისი კომპონენტებისათვის, როგორცაა მაგალითად მონაცემთა მონიტორინგი, რომლის მიზანიც იქნება როგორც რეგიონული, ასევე ეროვნული გადაწყვეტილების მიღებისათვის ერთნაირად სასარგებლო გადაწყვეტილების ხელშეწყობის სრულფასოვანი სისტემის შექმნა.

მუხლი 80.

შეთანხმებული კრიტერიუმების საფუძველზე მოპოვებული ინფორმაცია საბანაო წყლის მდგომარეობის შესახებ უნდა გახდეს ფართოდ ხელმისაწვდომი საზოგადოებისათვის აქტიური ტურისტული სეზონის დროს, დაწყებული 1998 წლიდან. ხშირად განმეორებადი სრული და ანალიტიკური მეთოდოლოგია საკმარისი იქნება, რათა ბანაობის მსურველებმა მიიღონ ინფორმაცია წყლის მდგომარეობის შესახებ, რომელმაც შესაძლებელია გარკვეული რისკი შეუქმნას მათ ჯანმრთელობას. დამატებით, საჭიროა შეიქმნას ფერთა კოდირების სისტემა საბანაო წყლის ხარისხის რუკებისათვის; ეს რუკები კი გამოქვეყნდეს ყოველწლიურად, დაწყებული 1999 წლის იანვრიდან.

შავი ზღვის ქვეყნებში სხვა ფაქტორებთან ერთად საბანაო წყლის ცუდი ხარისხი უარყოფითად მოქმედებს ტურიზმის ინდუსტრიასა და მოსახლეობის შემოსავლებზე. შავი ზღვის ყველა ქვეყანაში დადგენილია საბანაო წყლების ხარისხის ეროვნული კრიტერიუმები. გარდა ამისა, ევროკავშირში გაერთიანება ბულგარეთის, რუმინეთისა და თურქეთისაგან მოითხოვს ევროკავშირის საბანაო წყლის დირექტივის გადმოტანას ამ ქვეყნებში. ერთ-ერთი მიდგომა საბანაო წყლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, რომელიც ზოგიერთ ქვეყნებში,

მაგალითად თურქეთში განხორციელდა, არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პლაჟების ლურჯი დროშის პროგრამა. სხვა მოთხოვნებთან ერთად ეს პროგრამა საბანაო წყლის ხარისხისათვის შემდეგი კრიტერიუმების აუცილებლობას ითვალისწინებს:

- კოლიფორმები: მაქს: 500/100 მლ
- ფეკალური კოლიფორმები მაქს: 100/100 მლ
- ფეკალური სტრეპტოკოკები: მაქს: 100/100მლ
- pH: 6-9

თუმცა შავი ზღვის ყველა ქვეყანაში ტურისტული სეზონის დროს მოქმედებს ხოლმე პლაჟების მონიტორინგის ეროვნული სისტემა, ტურისტებისათვის ფართოდ არ ხდება ცნობილი ინფორმაცია პლაჟების მდგომარეობის შესახებ. თუ რომელიმე პლაჟი დაკეტილია, ამის მიზეზს უმეტეს შემთხვევაში ბაქტერიოლოგიური დაბინძურება წარმოადგენს. ქიმიური დაბინძურების მიზეზით შავი ზღვის სანაპიროს არცერთი პლაჟი არ დაკეტილა 1996-2001 წლებში.

ერთადერთი თურქეთის გამოკლებით, არც ერთი შავი ზღვის ქვეყანა არ იყენებს ფერად-კოდირებულ რუქებს და არ აქვეყნებს ინფორმაციას პლაჟების მდგომარეობის შესახებ. ეს ნაკლი ძალიან წამგებიანია რეგიონისათვის რაც, როგორც ჩანს, ეკონომიკურ დანაკარგებში აისახება.

საჭირო ღონისძიებები:

- ⇒ დაინერგოს საბანაო წყლის ხარისხის შესაფასების ერთიანი მეთოდოლოგია ფერადი კოდირების სისტემის ჩათვლით და დაიწყოს მისი გამოქვეყნება დაწყებული 2003 წლიდან.
- ⇒ დაარსდეს მონიტორინგის სისტემა საბანაო წყლის ხარისხისათვის, რომელშიც გათვალისწინებული იქნება მონიტორინგის სისშირე და პარამეტრები და, რომელიც საკმარისი იქნება მობანავეთათვის ინფორმაციის მისაწოდებლად ნებისმიერი მდგომარეობის შესახებ, რომელმაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ადამიანის ჯანმრთელობას.
- ⇒ შავი ზღვის ყველა ქვეყანაში დაჩქარდეს და შესაბამისობაში მოვიდეს ხარისხის სტანდარტები პლაჟებისათვის ევროკავშირის საბანაო წყლის დირექტივასთან.
- ⇒ ხელი შეეწყოს იმ გამოკვლევების ჩატარებას, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობისათვის დაბინძურებული საბანაო წყლებით გამოწვეული რისკების შეფასებასთან.
- ⇒ შავი ზღვის საინფორმაციო სისტემაში მოხდეს საბანაო წყლების ხარისხის შესახებ ინფორმაციის შეტანა.

VI. შავი ზღვის ეროვნული სტრატეგიული სამოქმედო გეგმები

მუხლი 81.

თითოეულმა შავი ზღვის ქვეყანამ 1997 წლის ოქტომბრისათვის უნდა მოამზადოს შავი ზღვის ეროვნული სტრატეგიული სამოქმედო გეგმა, რომელშიც წარმოდგენილი იქნება ამ სტრატეგიული სამოქმედო გეგმის ეროვნულ დონეზე განხორციელების დეტალური გეგმა. ეს გეგმები უნდა შეიცავდნენ კონკრეტული პროექტების დეტალურ ანალიზს, სადაც ეს შესაძლებელია.

შავი ზღვის რეაბილიტაციისა და დაცვის სტრატეგიული სამოქმედო გეგმა, რომელსაც ხელი მოაწერეს შავი ზღვის სანაპიროს ქვეყნების გარემოს დაცვის მინისტრებმა, წარმოადგენდა საფუძველს შავი ზღვის ეროვნული სტრატეგიული სამოქმედო გეგმების პროექტების შემუშავებისათვის (NBSSAP).

შავი ზღვის ეროვნული სტრატეგიული სამოქმედო გეგმების მდგომარეობა უნდა გაანალიზოს შავი ზღვის კომისიამ. დღეისათვის კი ამასთან დაკავშირებით შემდეგი ინფორმაციაა ხელმისაწვდომი:

ბულგარეთი	დაიწყო შავი ზღვის ეროვნული სტრატეგიული სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავება 1997 წელს, მაგრამ არ დაუსრულებია.
საქართველო	არ უპასუხა.
რუმინეთი	მომზადდა შავი ზღვის ეროვნული სტრატეგიული სამოქმედო გეგმის (NNBSSAP)-ის პროექტი.
რუსეთის ფედერაცია	ღონისძიებები, რომლებიც განეკუთვნება შავი ზღვის ეროვნული სტრატეგიული სამოქმედო გეგმის განხორციელებას შესულია რუსეთის ფედერაციის ფედერალურ პროგრამებში.
თურქეთი	შექმნილია შავი ზღვის ეროვნული სტრატეგიული სამოქმედო გეგმის პროექტი, მაგრამ არ არის მიღებული, ასრულებს სახელმძღვანელო დოკუმენტის როლს.
უკრაინა	2001 წლის მარტში უკრაინის ეროვნული კანონის სახით ძალაში შევიდა აზოვისა და შავი ზღვის რეაბილიტაციისა და დაცვის ეროვნული პროგრამა (2001-2011), შავი ზღვის ტრატეგიული სამოქმედო გეგმა წარმოადგენდა საფუძველს უკრაინაში შავი ზღვის ეროვნული სტრატეგიული სამოქმედო გეგმის შემუშავებისათვის და მასში შავი ზღვის სტრატეგიულ სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული ყველა პრინციპი, მიდგომა და ღონისძიება არის შესული.

VII. სტრატეგიული სამოქმედო გეგმის დაფინანსება

ა) ამ სტრატეგიულ სამოქმედო გეგმაში არსებული შეთანხმებული ქმედებების დაფინანსება

მუხლი 82.

ამ სტრატეგიულ სამოქმედო გეგმაში შეთანხმებული ღონისძიებების დაფინანსება შეიძლება განხორციელდეს საშინაო, რეგიონალური ან საერთაშორისო წყაროებიდან, ესენია: სახელმწიფო ბიუჯეტი ან განსაკუთრებული ეკონომიკური ინსტრუმენტების გამოყენება, ისევე როგორც გრანტები და სესხები. ორმხრივი და მრავალმხრივი დაფინანსების შემთხვევებში საჭიროა მომზადდეს საერთაშორისო დაფინანსების განსაკუთრებული პროექტები. ამ პროცესის ხელშესაწყობად ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ, 1997 წლიდან დაწყებული, საჭიროა ჩატარდეს დონორთა კონფერენციები.

მუხლი 83.

შავი ზღვის ეროვნულ სტრატეგიულ სამოქმედო გეგმებში, რომლებსაც მოამზადებენ და მიიღებენ შავი ზღვის ქვეყნები, წარმოდგენილი უნდა იყოს დაფინანსების კონკრეტული გეგმები იმ პოლიტიკისა და ღონისძიებების განსახორციელებლად, რომლებიც ამ სტრატეგიულ სამოქმედო გეგმაშია.

გლობალური გარემოსდაცვის ფონდის შავი ზღვის ეკოსისტემის აღდგენის პროექტი დაიწყო დაიწყო 2002 წელს 4, 000, 000 აშშ დოლარის ოდენობის დაფინანსებით, რომელიც მიმართულია ნუტრიენტების შემცირებასა და სხვა სახიფათო ნივთიერებების შეზღუდვაზე, ასევე ნუტრიენტების შეზღუდვისათვის სექტორული რეფორმების ხელშეწყობაზე. შავი ზღვის რეგიონში ასევე უზრუნველყოფილია 70, 000,000 აშშ დოლარის პაკეტი გაეროს განვითარების პროგრამის შავი ზღვის აუზების საინვესტიციო პროექტებისათვის და 230 000 000 აშშ დოლარზე მეტი მსოფლიო ბანკის სესხის სახით.

შავი ზღვის რეგიონში შავი ზღვის კომისიისა და შავი ზღვის სტრატეგიული სამოქმედო გეგმის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით ევროკავშირის დახმარება განხორციელდება TACIS-ის პროექტის 3,500 000 ევროს მეშვეობით.

შავი ზღვის აუზში გარემოსდაცვითი საინვესტიციო პროექტების დახმარებას ასევე ხელი შეეწყობა ღუნაი-შავი ზღვის მიზნობრივი ჯგუფის (Task Force) მეშვეობით (DABLAS).

ბ. დაფინანსების კონკრეტული ღონისძიებები

ა) შავი ზღვის გარემოს დაცვის ფონდის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება

მუხლი 84.

საჭიროა მოხდეს შავი ზღვის გარემოსდაცვითი ფონდის ტექნიკურ-ეკონომიკური ამომწურავი შეფასება იმ განზრახვით, რომ ფონდი 2000 წლისათვის დაფუძნდეს. ფონდის დაფინანსების ძირითადი წყარო უნდა იყოს ეროვნულ დონეზე მიღებული ეკონომიკური ინსტრუმენტების ერთობლიობა. დამატებითი დაფინანსება შეიძლება მოიძებნოს საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან, დამფინანსებელთა ორმხრივი და მრავალმხრივი ორგანიზაციების, საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებების და კერძო სტრუქტურის ჩათვლით. ფონდი შესაძლოა გამოყენებულ იქნას სტამბოლის კომისიის მუშაობის დასაფინანსებლად, ასევე - იმ პროექტების შექმნის ხელშესაწყობად, რომლებიც წარედგინება შესაძლო დამფინანსებელს; ასევე იმ კონკრეტული პროექტების განსახორციელებლად, რომლებიც ხელს შეუწყობენ ამ სტრატეგიულ სამოქმედო გეგმაში დასახული პრიორიტეტების განხორციელებას, ან სტამბოლის კომისიის გადაწყვეტილებით მიღებული პროექტების შესასრულებლად.

განხორციელდა შავი ზღვის გარემოს დაცვის ფონდის ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასება. როგორც მოსალოდნელი იყო, ფონდის ფინანსების ძირითადი წყაროები იქნება ეროვნულ დონეზე შემუშავებული ეკონომიკური ინსტრუმენტების მეშვეობით მიღებული გადასახადები. მაგრამ ეროვნულ დონეებზე არასათანადოდ განვითარებული ეკონომიკური ინსტრუმენტების, გარდამავალი ეკონომიკისა და სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემათა გამო, რაც შავი ზღვის ქვეყანათა უმრავლესობამ განიცადა, გადასახადის ასეთი საშუალებები, როგორც ჩანს, არ არის შესაძლებელი.

VIII. მომავალი თანამშრომლობა

მუხლი 85.

ოდესის დეკლარაციის განხორციელების შეფასების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც მინისტრთა შეხვედრა საჭიროა ჩატარდეს ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ სამი წლის ნაცვლად, მოხდა შეთანხმება შემდეგ ორგანიზაციულ საკითხებზე.

შავი ზღვის სტრატეგიული სამოქმედო გეგმის რეკომენდაციების შესაბამისად 2002 წლის 14 ივნისს ვარნაში (ბულგარეთი) შავი ზღვის სტრატეგიული სამოქმედო გეგმის შესრულების განხილვის მიზნით შედგა მინისტრთა შეხვედრა.

მუდმივი სამდივნოს მიერ შემუშავებისა და განხორციელების პროცესშია წლიური მოხსენებების პროცედურები, ფორმატები, ინდიკატორები და ანგარიშგების მოთხოვნები. 2003 წელს შემუშავდება და დასრულდება შავი ზღვის საინფორმაციო სისტემა მისი განვითარებისათვის საჭირო მოქნილი მექანიზმებით, რომლის მიზანს წარმოადგენს ის, რომ ეროვნული ინფორმაციის მიღება და წარდგენა შეთანხმებული და შეთავსებადი იყოს. იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს შავი ზღვის სხვა რეგიონულ ზღვებთან შედარება და აგრეთვე შავი ზღვის კომისიის ჩართვა ევროპის გარემოს დაცვის პროცესში, მიმდინარეობს ევროპის გარემოს დაცვის სააგენტოსთან (EEA) მჭიდრო თანამშრომლობა ანგარიშგების მოთხოვნების რაციონალიზების შესახებ. პირველ ასეთ ნაბიჯს წარმოადგენდა

განხორციელებული სამუშაო კიევის მინისტრთა შეხვედრისათვის “გარემო ევროპისათვის”, რომელიც 2003 წელს შედგა.

2003 წელს დაიწყო ყოველწიური ანგარიშგება შავი ზღვის კომისიისადმი შავი ზღვის სტრატეგიული სამოქმედო გეგმის განხორციელების თაობაზე.

ეს მოხსენება შავი ზღვის სტრატეგიული სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ, რომელიც მოიცავს 1996-2001 წლებს, შედგა მუდმივი სამდივნოს მიერ მომზადებულ კითვარებზე ქვეყნების მიერ გაცემული პასუხების საფუძველზე. მოხსენება განხილულ და მიღებულ იქნა საკოსულტაციო ჯგუფების მიერ, ხოლო დაამტკიცა კომისიამ. მას ერთვის გადაწყვეტილების მიღების პასუხისმგებელი ორგანოებისათვის გამიზნული შავი ზღვის მოხსენება გარემოს მდგომარეობის შესახებ.

მუხლი 88.

შავი ზღვის რეაბილიტაციასა და დაცვაზე პასუხისმგებელი მინისტრები ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ შეხვდებიან ერთმანეთს, რაღა შეაფასონ ის წინსვლა, რომელსაც ადგილი ექნება სტრატეგიული სამოქმედო გეგმის განხორციელებაში და საჭიროების შემთხვევაში დასახავენ დამატებით ღონისძიებებს ამ გეგმის ზოგადი მიზნების მისაღწევად.

მინისტრთა ოდესის დეკლარაციის პოლიტიკური ღონისძიებები შავი ზღვის რეაბილიტაციისა და დაცვის სტრატეგიული სამოქმედო გეგმის პრინციპებში, მიდგომებსა და ღონისძიებებში აისახა და ეფექტურ ბერკეტებს წარმოადგენს რეგიონული თანამშრომლობის გაძლიერებისა და შავ ზღვაში ეროვნული გარემოსდაცვითი პოლიტიკური მიმართულებების გაფართოებისათვის. შავი ზღვის სტრატეგიული სამოქმედო გეგმის ამბიციური მიზნების მიღწევის პროცესი დაიწყო, თუმცა, როგორც ჩანს, მათი შესრულების ვადები რეალისტური არ იყო. მრავალი ქმედება, მათ შორის ეროვნული სტრატეგიული სამოქმედო გეგმების შემუშავება, მოსალოდნელზე გაცილებით მეტ დროს მოითხოვდა.

შავი ზღვის ქვეყნების გარემოს დაცვის მინისტრებმა მიიღეს გადაწყვეტილება შავი ზღვის სტრატეგიული სამოქმედო გეგმის ვადებში ცვლილებების შეტანისა და შავი ზღვის კომისიისადმი შავი ზღვის სტრატეგიული სამოქმედო გეგმის ეროვნულ დონეზე განხორციელების უკეთ კოორდინირების თხოვნის თაობაზე.

**IX. შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვის
კონვენციის მხარე ქვეყნების
გარემოს დაცვის მინისტრთა
შეხვედრის**

რეზოლუცია

**შავი ზღვის რეაბილიტაციისა და დაცვის სტრატეგიული სამოქმედო გეგმის შესწორების
თაობაზე**

შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვის კონვენციის მხარე ქვეყნების გარემოს დაცვის მინისტრებმა შეხვედრაზე, რომელიც ჩატარდა 2002 წლის 14 ივნისს ქ. სოფიაში, ბულგარეთი, გადაწყვიტეს შავი ზღვის რეაბილიტაციისა და დაცვის სტრატეგიულ სამოქმედო გეგმაში შემდეგი შესწორებების შეტანა:

1. მუხლი II, პუნქტი 19 - ვადა-ჩარჩო "1997" შეიცვალოს "2003"-ით
2. მუხლი II, პუნქტი 25 - ტექსტი "დაწყებული 1998 წლის ივნისიდან" შეიცვალოს "დაწყებული 2004"-ით
3. მუხლი III, პუნქტი 31 - ვადა-ჩარჩო "1999" შეიცვალოს "2005"-ით
4. მუხლი III, პუნქტი 33 - ვადა-ჩარჩოები "2000" და "2005" შეიცვალოს "2002"-ითა და "2007" შესაბამისად
5. მუხლი III, პუნქტი 33 - ვადა-ჩარჩოები "2001" და "2006" შეიცვალოს "2002"-ით და "2007"-ით შესაბამისად
6. მუხლი III, პუნქტი 34 - ტექსტი "2000 წლის იანვარი" შეიცვალოს ტექსტით "2002 წლის ივნისი"-თ
7. მუხლი III, პუნქტი 35 (ა) - ტექსტი "1998 წლის შუიდან" შეიცვალოს ტექსტით "2005"
8. მუხლი III, პუნქტი 35 (ბ) - ტექსტი "1998 წლის შუაიდან" შეიცვალოს ტექსტით "2004"
9. მუხლი III, პუნქტი 36 - ვადა-ჩარჩო "2002" შეიცვალოს "2007"-ით
10. მუხლი III, პუნქტი 37 - ვადა-ჩარჩოები "1999", "2000", "2002" შეიცვალოს "2007"-ით
11. მუხლი III, პუნქტი 40 - ვადა-ჩარჩო "1998" შეიცვალოს "2007"-ით
12. მუხლი III, პუნქტი 41 - ვადა-ჩარჩო "1997" შეიცვალოს "2004"-ით
13. მუხლი III, პუნქტი 44 - ტექსტი "თებერვალი 1998" შეიცვალოს ტექსტით "2005"
14. მუხლი III, პუნქტი 47 - ტექსტი "შემდეგი დაყოვნების გარეშე" შეიცვალოს ტექსტით "2006 წლისათვის"

15. მუხლი III, პუნქტი 48 - ტექსტი "შემდეგი დაყოვნების გარეშე" შეიცვალოს ტექსტით "2007 წლისათვის"
16. მუხლი III, პუნქტი 49 - ტექსტი "1998 წლის დეკემბერი" შეიცვალოს ტექსტით "2008 წლისათვის"
17. მუხლი III, პუნქტი 50 - ტექსტი "2000 წლის დეკემბერი" შეიცვალოს ტექსტით "2009"-ით
18. მუხლი III, პუნქტი 53 - ტექსტი "1996 წლის დასაწყისი" შეიცვალოს ტექსტით "2006 წლის დასაწყისი"-თ
19. მუხლი III, პუნქტი 54 - ტექსტი "1998" შეიცვალოს "2005"-ით
20. მუხლი III, პუნქტი 56 - ტექსტი "ყოველ ხუთ წელიწადში დაწყებული 1996 წლიდან" შეიცვალოს ტექსტით "ყოველწლიურად დაწყებული 2002 წლიდან"
21. მუხლი III, პუნქტი 58 - ვადა-ჩარჩო "2000" შეიცვალოს "2003"-ით
22. მუხლი III, პუნქტი 60 - ვადა-ჩარჩო "2000" შეიცვალოს "2002"-ით
23. მუხლი III, პუნქტი 62 (ბ) - დაემატოს ტექსტი "2005 წლისათვის"
24. მუხლი III, პუნქტი 65 - ტექსტი "1998 წლის შუიდან" შეიცვალოს "2004 წლისათვის"-ით
25. მუხლი III, პუნქტი 68 - ტექსტი "1998 წლის დეკემბერი" შეიცვალოს "2005"-ით
26. მუხლი III, პუნქტი 69 - ვადა-ჩარჩო "1998" შეიცვალოს "2005"-ით
27. მუხლი III, პუნქტი 70 - ვადა-ჩარჩო "1999" შეიცვალოს "2006"-ით
28. მუხლი III, პუნქტი 80 - ვადა-ჩარჩოები "1998", "1999" შეიცვალოს "2004"-ით
29. გეგმის ტექსტში ტექსტი "ნაოსნობის გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების ასპექტების ყველგან შეიცვალოს ტექსტით "ნაოსნობის გარემოს უსაფრთხოების"
30. გეგმის ტექსტში ტექსტი "თევზრეწვისა და ზღვის სხვა ცოცხალი რესურსების" ყველგან შეიცვალოს ტექსტით "თევზრეწვისა და ზღვის სხვა ცოცხალი რესურსების მართვის გარემოსდაცვითი ასპექტების საკონსულტაციო ჯგუფი"
31. დაემატოს ტექსტი "... (5) მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციასთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე პროგრამების კოორდინირება იმ მიზნით, რომ განხორციელდეს საბანაო წყლების ხარისხისა და პლაჟების მონიტორინგი და მოხდეს შეგროვილი ინფორმაციის შეფასება ადამიანთა ჯანმრთელობასთან მიმართებაში" დანართი I-ის პუნქტ 2-ის მეორე წინადადების ბოლოში

32. ამოღებულ იქნას ტექსტი "...(5) მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციასთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე იმ პროგრამების კოორდინირება, რომლებიც ეხება საბანაო წყლის ხარისხისა და პლაჟების მონიტორინგს და შეგროვილ ინფორმაციაში ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ნაწილის შეფასებას" დანართი I-ის პუნქტი 3-დან

მომზადებულია ინგლისურ ენაზე 2002 წლის 14 ივნისს, სოფიაში

- 33. ბულგარეთის რესპუბლიკა
- 34. საქართველოს რესპუბლიკა
- 35. რუმინეთი
- 36. რუსეთის ფედერაცია
- 37. თურქეთის რესპუბლიკა
- 38. უკრაინა